



ახალი უმაღლესი სასწავლებელი  
NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE

საერთაშორისო რეფერინგბაზი სამეცნიერო ჟურნალი

**დიპლომატია და სამართლი**

*ISSN 2449-2655*

**Nº 1(2) 2017**

International Scientific Journal  
**Diplomacy and Law**



გამომცემლობა „ენივერსული“

საქართველო, თბილისი 2017

Georgia, Tbilisi 2017

UDC (უაკ) 327+341.7

ჟურნალ „დიპლომატია და სამართლის“ სარედაქციო საბჭო:

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე**

**თამარ გარდაფხაძე** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**

**დავით გევორგიძე** – სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი

**სარედაქციო საბჭოს წევრები:**

**გორ დერციანი** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, „მხითარ გოშის“ სახელობის სომხეთის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი;

**კახი ყურაშვილი** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;

**ანა ანტჩაკ-ბარზანი** – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფინანსებისა და მენეჯმენტის ვარ-შავის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე;

**ანატოლი ფრანცუზი** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, კიევის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის დისციპლინების კათედრის გამგე;

**მამუკა მდინარაძე** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი;

**სერგი კაპანაძე** – საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ავთანდილ ხაზალია** – სამართლის დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ანნა მარუაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

**ქეთევან ჯიჯეიშვილი** – პოლიტიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი;

**ლალი გარდაფხაძე** – განათლების დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი;

**ქართული ტექსტის კორექტორი – ვალერი კვანტრიშვილი**, ფილოლოგის დოქტორი

**ინგლისური ტექსტის კორექტორი – სოფიო მორალიშვილი**, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

**ISSN 2449-2655**

**© ახალი უმაღლესი სასწავლებელი, 2017**

**გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com



UDC (ეპარ) 327+341.7

Editorial Board of the journal *Diplomacy and Law*

**Editor-in-Chief**

**Tamar Gardapkhadze** – Doctor of Law, Professor, Academician of the Georgian Academy of Social Sciences, Rector of New Higher Education Institute

**Deputy Editor-in-Chief**

**David Geperidze** – Doctor of Law, Associate Professor, Academician of the Abkhazian National Academy of Sciences, Dean of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

**Editorial Board Members**

**Gor Derdzyan** – Doctor of Law, Professor, Vice Rector of Armenian-Russian International University “Mkhitar Gosh”

**Kakhi Qurashvili** – Doctor of Law, Professor, Vice Rector of Tbilisi Humanitarian Teaching University

**Anna Antczak** – Barzan: Doctor of Philosophy, Head of the Department of International Relations at University of Finance and Management in Warsaw

**Anatoli Francuz** – Doctor of Law, Professor, Head of the Department of Law at Kiev University of Economics and Law

**Mamuka Mdinaradze** – Doctor of Law, Professor, Member of the Parliament of Georgia

**Sergi Kapanadze** – Doctor of International Relations, Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Avtandil Khazalia** – Doctor of Law, Academician of the Abkhazian National Academy of Sciences, Professor at Sokhumi State University

**Anna Maruashvili** – Doctor of Economics, Professor, Vice Dean of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

**Ketevan Jijeishvili** – Doctor of Politics, Head of the program of International Relations of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute

**Manana Nanitashvili** – Doctor of Economics, Head of the program of Business Administration at New Higher Education Institute

**Lali Gardapkhadze** – Doctor of Education, Professor at New Higher Education Institute

**Georgian language Editor** – **Valeri Kvantrishvili**, Doctor of Philology

**English language Translation** – **Sophio Moralishvili**, Doctor of Philological Sciences

**ISSN 2449-2655**

**© New Higher Education Institute, 2017**

Publishing House “UNIVERSAL”, 2017

19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

აკრძალულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „დიპლომატია და სამართალი“ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება სარედაქციო საბჭოს წერილობითი ნებართვის და წყაროს მითითების გარეშე.

ნინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და არ წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის პოზიციას ან პოლიტიკას.



*The opinions expressed in this publication are those of the author and do not necessarily reflect views or policies of the International Scientific Journal “Diplomacy and Law”.*

*No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording, or dissemination without prior written permission of the editorial board or without citing the source.*

დამფუძნებელი – ახალი უმაღლესი სასწავლებელი [newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

თანადამფუძნებლები:

ვარშავის ფინანსებისა და მართვის უნივერსიტეტი	<a href="http://vizja.pl">vizja.pl</a>
საქართველოს უნივერსიტეტების ასოციაცია	<a href="http://sua.ge">sua.ge</a>
საერთაშორისო სამართლის ასოციაცია	<a href="http://intlaw.ge">intlaw.ge</a>

*Founder – New Higher Education Institute* [newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

*Co-founders:*

University of Finance and Management of Warsaw	<a href="http://vizja.pl">vizja.pl</a>
Asociation of Georgian Universitis	<a href="http://sua.ge">sua.ge</a>
Asociation of International Law	<a href="http://intlaw.ge">intlaw.ge</a>



# სარჩვი

## სამართლის მიმართულება

ია ხარაზი, თამარ გარდაფხაძე ..... 9

პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტების შესახებ წუნდებული  
პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის (შედარებითი ანალიზი)

**Ia Kharazi, Tamar Gardapkhadze**

*Some of the Legal Aspects about the Liability for the Damage Arising from Defect Products  
(comparative research)*

ალექსანდრე ჯავახიშვილი ..... 31

თაღლითობის ჩადენის ძირითადი ხერხები

**Aleksandre Javakhishvili**

*The Main Methods of Committing Fraud*

თამარ ვეფხვაძე ..... 37

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ცნება და მახასიათებლები

**Tamar Vepkhvadze**

*The Concept and Characteristics of the Air Carriage Agreement*

დავით ხობელია ..... 46

აღმასრულებელი ხელისუფლება საპარლამენტო რესპუბლიკაში

**Davit Khobelia**

*The Executive Power in the Parliamentary Republic*

ქეთევან ზაქარეიშვილი ..... 52

საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ – პროცესის მართვის მექანიზმი

თუ რეგულირების მცდელობა

**Ketevan Zakareishvili**

*Law of Georgia on Labour Migration – Mechanism to Process Management  
or Regulation Attempts*

## სოციალური მეცნიერებების მიმართულება

გიორგი ჩხიკვიშვილი.....**58**

ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა

ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებში

*Giorgi Chkhikvishvili*

*Protection of Ethnic, Racial and Religious Minorities Rights in Niko Nikoladze's Considerations*

სოფო ჩქოფოია.....**66**

რელიგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

*Sopo Chkopoia*

*Role of Religions in International Relations*

ივანე სეხნიაშვილი .....

**72**

ტელევიზიის როლი ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებისას

*Ivane Sekhniashvili*

*The Role of Television in the US 2016 Presidential Election Coverage*

ბაქარ გვაზავა, ნინო ცერცვაძე.....**77**

არასრულწლოვანთა დანაშაულობების ფსიქოლოგიური მექანიზმები

*Baqar Gvazava, Nino Tservadze*

*Psychological Mechanisms of Juvenile Crimes*

ნინო ცერცვაძე .....

**84**

ლიდერობა – ფსიქოლოგიურ ტიპებთან მიმართებაში და მათი მიმოხილვა

*Nino Tservadze*

*Leadership in Relation to Psychological Types and their Review*

## ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება

მანანა ნანიტაშვილი.....**91**

კონკურენციის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია საცალო ვაჭრობაში

*Manana Nanitashvili*

*The Methodology of the Competition Diagnostics in the Retail Trade*



მაია ჭანია .....	102
საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები	
<b>Maia Chania</b>	
<i>Problems and Solutions of Georgian Integration in the World Economy</i>	
ეთერ ნარიმანიშვილი.....	108
საქართველოში ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის განვითარების პერსპექტივები	
<b>Eter Narimanishvili</b>	
<i>Tourist Products Development Perspectives in Georgia</i>	
ია გელაშვილი, კობა სანდროშვილი.....	115
ტურისტული პროდუქტი, როგორც განსაკუთრებული საქონლის სრულყოფის გზები ბიზნესში	
<b>Ia Gelashvili, Koba Sandroshvili</b>	
<i>Tourist Product as the Way of Improving Specific Goods in Business</i>	
მარიამ ზუბიაშვილი, ლელა ზუბიაშვილი.....	120
მმართველობითი აღრიცხვის აქტუალური საკითხები	
<b>Mariam Zubiashvili, Lela Zubiashvili</b>	
<i>Urgent Issues on Management Reporting</i>	
მაია გელაშვილი .....	126
ვაჭრობის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში	
<b>Maia Gelashvili</b>	
<i>Trade Role in International Relations</i>	
თინა გელაშვილი .....	132
გლობალური ცვლილებები და ახალი, ორგანიზაციული მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები	
<b>Tina Gelashvili</b>	
<i>Global Changes and New Perspectives of Organizational Management Development</i>	
ნინო მაზიაშვილი .....	141
იმიჯოლოგიის ინსტრუმენტები	
<b>Nino Maziashvili</b>	
<i>Imagology Tools</i>	

## ბიულოგიაზე და სამართლი

მანანა ალაძაშვილი, დავით ლოლუა ..... 147

ჰერეთის მხარეში ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის განვითარების  
ძირითადი სტრატეგიები

*Manana Aladashvili, Davit Lolua*

*The Main Strategies of Tourism and Hospitality Development in Hereti Region*

## ჰუმანიტარული მიმართულება

მადინა გუსეინოვა ..... 155

თანამედროვეობა, პრობლემები და პერსპექტივები ინგლისური ენის სწავლებაში

*Madina Guseinova*

*Modernity, Problems and Perspectives on Training English Language*



# სამართლის მიერ მომავალეობა

Ia Kharazi

*Sokhumi State University, Faculty of Law,  
David Aghmashenebeli University of Georgia  
(SDASU) Faculty of Law, Professor*

Tamar Gardapkhadze

*New Higher Education Institute,  
Professor*

## Some of the Legal Aspects about the Liability for the Damage Arising from Defect Products (comparative research)

### Abstract

The development of the small and medium-sized enterprises is considered to be a priority in Georgia, which should be estimated by the quality and the competitiveness of the product. This determines itself to research the theoretical and practical gaps of the legislation related to the defective products. To fight against the unsafe and poor quality is in direct connection with the economic and social security protection.

In Civil law the responsibility for the defective product is one of the core and actual issues. The interest toward this issue is increased after the development of market relationships and when on Georgian border began to import the various kinds of goods, which are not only safe, but sometimes also dangerous. This article concerns with the key problems of defect products and consumer rights protection, also compensation liability issue because of the damage as one of the responsibilities of tort law. As well about the circumstance which excludes the responsibility, etc.

ია ხარაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტისა და საქართველოს  
დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

თამარ გარდაფხაძე

ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
პროფესორი

პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტების შესახებ წუნდებული პროდუქტით  
მიყენებული ზიანისათვის (შედარებითი ანალიზი)

## რეზიუმე

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართუ-  
ლებად ითვლება, რომლის განმსაზღვრელია ორი კრიტერიუმი – პროდუქტის ხარისხი და კონკუ-  
რენტუნარიანობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს პროდუქტის ხარისხის მარეგულირებელი  
კანონმდებლობის თეორიული და პრაქტიკული ნაკლოვანებების შესწავლას. უხარისხო და მომხმა-  
რებლისათვის უგარგის პროდუქციისათან ბრძოლა უშუალო კავშირშია მომხმარებელთა ეკონომი-  
კური და სოციალური უსაფრთხოების დაცვასთან.

სამოქალაქო სამართალში წუნდებული, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პა-  
სუხისმგებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემა. აღვნიშნავთ, რომ მის მი-  
მართ ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა საბაზო ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში,  
როცა საქართველოს საბაზო საზღვრებზე დაიწყო გადაადგილება მრავალფეროვანმა ასორტიმენ-  
ტმა საქონლისა და, მათ შორის, ბუნებრივია, ადამიანის ორგანიზმისათვის არა მარტო უსაფრთხო,  
არამედ საფრთხის შემცვლელმა გენმოდიფიცირებულმა პროდუქტმა. სტატიაში ჩვენ შევეხეთ  
სქემატურად მხოლოდ ცალკეულ მნიშვნელოვან მხარეებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის  
საერთაშორისო აქტებზე, წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუ-  
ხისმგებლობაზე, როგორც დელიქტურ ვალდებულებათა ერთ-ერთ სახეზე, პასუხისმგებლობის  
გამომრიცხველ გარემოებებზე და სხვ.



ია ხარაზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იური-დიული ფაკულტეტისა და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სა-მართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

თამარ გარდაფხაძე

ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი

## პასუხისმგებლობის ზოგიერთი სამართლებრივი

### ასპექტების შესახებ წუდებული პროდუქტი

### მიყენებული ზიანისათვის (შედარებითი ანალიზი)

1. პროდუქტის ცნება; წუნდებული პროდუქტი; მნარმარებელი; მომხმარებელი; მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო აქტები

საქართველოს სახელმწიფო, რომელმაც ევროპის კავშირთა ასოცირების ხელშეკრულებას მო-აწერა ხელი, დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. მის წინაშე აშკარად გამოიკვეთა პრობლემა: ევ-როპული გზის არჩევა, ევროპული სტანდარტების დამკვიდრება, მათ შორის კი განსაკუთრებულია პრობლემა ფინანსური და ეკონომიკური კუთხით. ევროპულ სტანდარტებში კი, ბუნებრივია, შე-დის მცირე მენარმეობის განვითარება და მცირე მენარმეთათვის ხელის შეწყობა, რამეთუ ისინი უნდა გახდნენ ძირითადად ქვეყნის მოსახლეობის დაპურების მთავარი დასაყრდენი<sup>1</sup>.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართუ-ლებად ითვლება, რომლის განმსაზღვრელი ორი კრიტერიუმი – პროდუქტის ხარისხი და კონკუ-რენტუნარიანობაა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს პროდუქტის ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობის თეორიული და პრაქტიკული ნაკლოვანებების შესწავლას. უხარისხო და მომხმა-რებლისათვის უვარების პროდუქციისათვის ბრძოლა უშუალო კავშირშია მომხმარებელთა ეკონომი-კური და სოციალური უსაფრთხოების დაცვასთან<sup>2</sup>.

დღეისათვის საქართველოში მრავალი ცნობილი და წარმატებული ბრენდი მიმართავს საერთა-შორისო ორგანიზაცია **ssio 9000-ს (iss0 9000-ს)**, რომლის ექსპერტთა დასკვნები თუ სერთიფიკატე-ბი პროდუქციის ხარისხის მაღალი დონის მაჩვენებლად და სამომხმარებლო ბაზარზე მათი პრო-დუქციის დასამკვიდრებლად თითოეული კომპანიისათვის რეალურ გარანტად ითვლება. მომხმა-რებელი კი ამ ნიშნით ინფორმირებული ხდება, რომ მის მფლობელ კომპანიას ხარისხის მართვის სისტემა მაღალ დონეზე აქვს დანერგილი და მისი პროდუქციის ხარისხი ნამდვილად უმაღლესია. აქედან გამომდინარე, კომპანიები თავად არიან დაინტერესებული, მოიპოვონ ასეთი ხარისხის და-მადასტურებელი სერთიფიკატი<sup>3</sup>.

სამოქალაქო სამართალში წუნდებული, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პა-სუხისმგებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა. აღვნიშნავთ, რომ მის მი-მართ ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა საბაზო ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში,

<sup>1</sup>. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი პირველი, თბილისი, 2015, 326.

<sup>2</sup>. შოთაძე თამარ, „უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით“, უურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2, 60.

<sup>3</sup>. იქვე.

# დიალოგიზის და სამართლი

როცა საქართველოს საბაჟო საზღვრებზე დაიწყო გადაადგილება საქონლის მრავალფეროვანმა ასორტიმენტმა და მათ შორის, ბუნებრივია, ადამიანის ორგანიზმისათვის არა მარტო უსაფრთხო, არამედ საფრთხის შემცველმა გენმოდიფიცირებულმა პროდუქტმა (საკვებმა პროდუქტებმა, სამშენებლო მასალებმა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიშია, ასევე კოსმეტიკურმა საშუალებებმა და სხვ.), რომელსაც კონტროლი და სათანადო შემოწმება სჭირდება მაკონტროლებული ორგანოებისაგან, რადგან „**საქონელს ეროვნება და სამშობლო არ აქვს**“ (გუშინ პლანეტის შორეულ წერტილში დამზადებულმა უხარისხო პროდუქტმა დიდი ალბათობით შეიძლება გადმოლახოს ქვეყნის შიდა სივრცე და შემოაღწიოს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში). განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქტის მიწოდების პრობლემამ, რათა მან მომხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანება, ან უკიდურეს შემთხვევაში სიკვდილი არ გამოიწვიოს<sup>4</sup>.

მსოფლიო და მათ შორის საქართველოც ახალი გამოწვევების წინაშე დგას. სურსათის კრიზისი გარდაუვალია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე იქნება ცოტა პროდუქტია, ეს კი პირდაპირპროცესულად გამოიწვევს მასზე მაღალ ფასს. განვითარებული ქვეყნებიც კი იწყებენ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში რაღაც ცვლილებების შეტანას, რომ პირველ რიგში სოფლის მეურნეობის პროდუქციით საკუთარი მოთხოვნები დააკმაყოფილონ და მხოლოდ ამის შემდეგ თუ რაიმე იქნება ზედმეტი, მხოლოდ ის შესთავაზონ საერთაშორისო ბაზარს. ჩვენც ახლავე უნდა დავიწყოთ ამ მიმართულებით ფიქრი.<sup>5</sup>

სწორად აღნიშნავს პროფ. ბესარიონ ზონდე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო მიწა კვლავ დაუბრუნა უცხოელ მოქალაქეს: „ნებისმიერი კანონი უნდა შეფასდეს სუბიექტის არსობის შენარჩუნების კუთხით. თუკი რომელიმე ნორმა ჩემი არსებობის შენარჩუნებას ემსახურება, მისი გაუქმება ჩემ წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნება. კონსტიტუციამ ყველა შემთხვევაში უნდა დამიცვას მე, რათა ჩემი არსობა არ შეიცვალოს სხვისი არსობით“.<sup>6</sup>

საქართველო დღეს რეფორმების პროცესშია და მისი დეკლარირებული მიმართულება ევროპისაკენ მნიშვნელოვან ცვლილებებს ავალდებულებს, მათ შორის პროდუქციის უსაფრთხოებისა და ხარისხის კუთხით. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს ევროკავშირის მოქმედი კანონმდებლობის უბრალო გადმოღებასა და ამოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზე. ევროკავშირი მეორადი კანონმდებლობის ფარგლებში დიდი ხანია ზრუნავს ევროპული ბაზრის დაცვაზე უხარისხო პროდუქციისაგან. პროდუქციის უსაფრთხოების სფეროში არის რამდენიმე დირექტივა<sup>7</sup>, რომლებიც არ არის პირდაპირი მოქმედების აქტი, მათ განხორციელებას სჭირდება ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია, ანუ ამ მიზნით ეროვნული ნორმატიული აქტების შექმნა. შინაარსობრივად დირექტივები, როგორც წესი, ადგენს მიზნებს, რომლებსაც ქვეყნებმა უნდა მიაღწიონ და მათი მიღწევის ვადებს, აგრეთვე ზოგად მიმართულებებსა და მითითებებს ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ 1985 წელს განხორციელდა აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირე-

<sup>4</sup>. ეს ეხება აგრეთვე ე. წ. „ფრანკენშტეინის პროდუქტსაც“.

<sup>5</sup> გაზიეთი: ბანკები და ფინანსები, 2013, №324, გვ. 5.

<sup>6</sup>. ზონდე ბესარიონ, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბილისი, 2013, გვ. 193-194.

<sup>7</sup>. Council Directive 85/374 Defective products, Council Directive 92/59 General product safety, Council Directive 92/59 General product safety, EC legislation 2003/2004 edited by Nigel G. Foster. წყარო: შოთაძე, თამარ, „უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით“, უურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2,64.

4 directive warmoadgens wevri-qveynebis xelisuflebis mier salvaldebulod Sesasrulebel.



ბის რეგიონული უნიფიკაცია.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვა თანამედროვეობის ყველა ცივილიზებული საზოგადოების პრიორიტეტია<sup>8</sup>. საზოგად ქცეული ეს სურვილი კანონის სახეს იძენს და შესასრულებლად სავალდებულო ხდება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის წება ევროპულმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1992 წელს გამოხატა და იმავე წელს მაასტრიბის ხელშეკრულებაში ასახა. უადგილო იქნება ამ დოკუმენტის მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა. მეცნიერთა აზრით, ის ევროპის საკონსტიტუციო სამართლის ქვაკუთხედია. ნიშანდობლივია, რომ ამ შეთანხმებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვას საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო<sup>9</sup>. ევროპულმა კანონმდებელმა გაითვალისწინა მომხმარებელთა მნიშვნელობა ერთიანი ბაზრის (**SINGLE MARKET**) სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის და სხვა მუხლებთან ერთად ამ საკითხს XIV თავი დაუთმო მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოშიც“<sup>10</sup>.

1993 წელს მაასტრიბის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სადამიტუძნებლო ხელშეკრულებაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის აუცილებლობის შესრულების უშუალო მითითებით, მომხმარებელთა დაცვა გაერთიანების მნიშვნელოვან ვალდებულებად იქცა. შემდგომ წლებში შემუშავდა დირექტივა 94/47 „ვადიანი თანასაკუთრების შესახებ“ და დირექტივა 97/5 „გადარიცხვების შესახებ“. მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან ატრიბუტად იქნა მიჩნეული მომხმარებელთათვის უფლებადამცავი ინსტიტუტების შექმნისა და შესაბამისი სამართლებრივი პროცესის რეგულირების საკითხი, რაც მოწესრიგდა 98/27 დირექტივით „მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის სარჩელების შესახებ“. 1997 წელს ძალაში შედის დირექტივა 97/7 „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“, ხოლო 2000 წელს საგანგებოდ ელექტრონული სივრცის რეგულაციისათვის დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“. ფინანსური მომსახურებები მოექცა შორ მანძილზე დადებული ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებების შესახებ 2002/65 დირექტივის რეგულირების სფეროში“<sup>11</sup>.

მომხმარებელთა უფლებების დაცვას საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა, ამაზე მიუთითებს კონსტიტუციის 30-ე მუხლი და კერძო თუ საჯარო სამართლის ნორმატიული აქტები.

დღეს უკვე ძალადაკარგული კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ განსაზღვრავდა „მომხმარებლის“ ცნებას, რომლის თანახმად „მომხმარებელი“ იყო პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამოყენებული, შემძენი, შემკვეთი, ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე“. დღეს ასეთი განმარტება სამოქალაქო კანონმდებლობაში არ გვხვდება.

<sup>8</sup> <<http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004–2009/documents/dt/615/615453/615453de.pdf>> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.

<sup>9</sup> <<http://eur-lex.europa.eu/de/treaties/dat/12002E/pdf/12002E-DE.pdf>> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.

<sup>10</sup> ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.

<sup>11</sup> ერქვანია თინათინ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა“, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30)11, 46.

ე. ბზეკალავა შემდეგნაირ განმარტებას გვთავაზობს მომხმარებლისა<sup>12</sup>, „მომხმარებელი“ არის ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო სამართლის, ან სხვა სახელმწიფო რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირისაგან საკუთარი საჭიროებისათვის იძნეს პროდუქციას, ან გააჩნია ასეთი განზრახვა. ტერმინის ამგვარი დეფინიცია სრულად შეესაბამება როგორც ევროკავშირის, ისე მასში შემავალი ცალკეული ქვეყნების სამართალს. არსებობს ევროსაბჭოს რამდენიმე დირექტივა, რომელიც ტერმინ „მომხმარებელს“ მსგავსად განმარტავს. განსხვავებები ამ განმარტებებს შორის მინიმალურია და განპირობებულია იმ სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათით, რომლებსაც ისინი შეეხება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დეფინიცია, რომელიც ევროსაბჭოს 1985 წლის №85/577/EWG რეკომენდაციაშია მოცემული (რეკომენდაცია შეეხება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებს) და ტერმინ „მომხმარებლის“ გარდა განსაზღვრავს, თუ როგორი ხელშეკრულება ჩაითვლება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებად). ამ რეკომენდაციის თანახმად, „მომხმარებელი არის ფიზიკური პირი,... რომლის კონკრეტული (ამ რეკომენდაციით განსაზღვრული) მოქმედება არ შეიძლება მიენეროს მის სამეწარმეო ან სამსახურებრივ საქმიანობას<sup>13</sup>. იდენტურ დეფინიციას იძლევა ევროსაბჭოს 1986 წლის 22 დეკემბრის რეკომენდაცია №87/102/EWG, რომელიც ევროკავშირის ფარგლებში სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობის საკითხს განსაზღვრავს.<sup>14</sup>

**გერმანული სამოქალაქო კოდექსი (BGB) §18-ით** განსაზღვრავს **მომხმარებლის** ცნებას, რაც უდავოდ არ გვხვდება ასეთი სახით ქართულ სამოქალაქო კოდექსში, კერძოდ, „მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს ისეთ გარიგებას, რომელიც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას“. „მომხმარებლის კანონისმიერი დეფინიცია, უპირველეს ყოვლისა ემსახურება, განისაზღვროს სამოქალაქო კოდექსში მომხმარებლის დაცვის სხვადასხვა ნორმის ინდივიდუალური გამოყენების სფერო.... მომხმარებლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, გარდა ამისა მომხმარებელი შეიძლება იყოს ასევე სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, რომელიც შედგება ფიზიკური პირებისაგან. მომხმარებლები არ შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არ შექმნილან ეკონომიკური მიზნების მისაღწევად<sup>15</sup>.

მომხმარებლის ცნება დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებაზე. აუცილებელია მოქმედება პირადი მიზნით. პირის პირადი მიზნით მოქმედება არ მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელიც ემსახურება მის სამეწარმეო ან სხვა დამოუკიდებელ პროფესიულ მიზანს (სამეწარმეო საქმიანობას; ამასთან დაკავშირებით იხ. § 14). მნიშვნელობა არ აქვს ზოგად პროფესიულ სტატუსს. მაგ.: მეწარმე, რომელიც ავტომანაქენით ვაჭრობს, არის მომხმარებელი, თუ იგი მსუბუქ ავტომობილს იძნეს პირადი სარგებლობისათვის....<sup>16</sup>

<sup>12.</sup> ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 70.

<sup>13.</sup> <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31985L0577:de:HTML>>

[15.12.2013] წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 71.

<sup>14.</sup> <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:1987L0102:19980421:DE:PDF>> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 70-71.

<sup>15.</sup> კროპოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 2.

<sup>16.</sup> იქვე; ასევე, იხ. Bürgerliches Gesetzbuch

მომხმარებელთა დაცვის სამართლებრივი პერკეტები დღეს თანაბრად აქვს გადანაწილებული როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართალს, იგი დუალისტური ხასიათით წარმოგვიდგება (კერძო და საჯარო სამართლის შინაარსის ნორმებს ეფუძნება<sup>17)</sup>.

მომხმარებელთა შესახებ კანონმდებლობა არის ბაზრის რეგულირების კანონმდებლობა<sup>18</sup>. ბაზარი თავსი მხრივ რეგულირდება მასზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით, რომლის სუბიექტები არიან ბაზარზე მოთამაშე სამომხმარებლო გარიგებათა მხარეები – მომხმარებელი და მისი კონტრაპენტი. სამომხმარებლო კანონმდებლობაში საკმაოდ დიდია მგრძნობელობა მომხმარებლისადმი და მათი დაცვა განსაკუთრებული პრიორიტეტის საგანია“<sup>19</sup>.

ევროკავშირის დირექტივა (85/577) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე და მას არაერთი მუხლი ეხება.

ქუჩაში დადებული გარიგებები ერთ-ერთ უმსხვილეს და ხშირ ეკონომიკურ საქმიანობად არის მიჩნეული ევროკავშირი და არა მარტო იქ. ასეთი სახის კომერციული საქმიანობა, უმრავლეს შემთხვევაში, მოიცავს აგრესიულ მეთოდებს, რაც გამოიხატება შემდეგში: მოწვევის გარეშე მოვაჭრის უცხო, ადამიანთა სახლებში, სამსახურებში მისვლა, გასაყიდი პროდუქციის რეკლამირება არასრული ინფორმაციის საფუძველზე და სხვ<sup>20</sup>. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს ნაკლები დრო რჩება „ასეთ უჩვეულო“ შემთხვევაში დაფიქრებისათვის, როცა მას „ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში“ პროდუქციას სთავაზობენ შესასყიდად, მას კი დაფიქრების საშუალებაც არ აქვს პროდუქციის ხარისხის და ფასის შესასწავლად. იგი „იხიბლება“ შემოთავაზებით და „სწრაფად“ იღებს გადაწყვეტილებას მიღოს პროდუქტი, თუმცა შეიძლება უკვე ხვალ მისთვის არასასურველი შემოთავაზება, არასასურველი ფასით და არასასურველი ხარისხით. მას კი ყურადღების მიღმა შეიძლება დარჩეს პროდუქტის ნეგატიური მხარე: პროდუქტის დაბალი ხარისხი, შეუსაბამო ფასი და სხვ. ის ფაქტორები, რაც მას საშუალებას მისცემდა ჩვეულებრივი ბაზრის პირობებში უკეთესი ხარისხის პროდუქტი ეყიდა უფრო დაბალ ფასად. ასეთი ტიპის „საკითხის რეგულირება წარმოდგენილია ევროკავშირის 85/577 დირექტივაში<sup>21</sup>. დირექტივის პირველი მუხლის თანახმად, დირექტივა

bearbeitet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff

65. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck, 19-20.

<sup>17</sup>. ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.

<sup>18</sup>. European Consumer Law Group, Response to the Commission's Communication on European Contract Law, ec.europa.eu/consumers/cons-int/safe-shop/fair-bus-pract/cont-law/comments/associations-en.htm (20.01.2007). წყარო: ქარდავა ეკატერინე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე“. <http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

<sup>19</sup>. ქარდავა ეკატერინე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე“. <http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, 122.

<sup>20</sup>. ქარდავა ეკატერინე, დასახ. ნაშრ; 134.

<sup>21</sup>. Council Directive of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises, OJL 372 (31.12.85), 31-33. წყარო: ქარდავა ეკატერინე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე“. <http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, 134.

ვრცელდება ისეთ ურთიერთობებზე, როდესაც მოვაჭრე მომხმარებელს ამარაგებს პროდუქციით ან მომსახურებით და როდესაც ხელშეკრულება იდება მოვაჭრის მიერ ბიზნესსაქმიანობის ადგილის გარეთ ორგანიზებული ექსკურსის დროს, აგრეთვე მომხმარებელთან სახლში ან სამსახურში სტუმრობისას, როცა ასეთი ვიზიტი მომხმარებლის მოთხოვნით არ განხორციელებულა. დირექტივა ეხება ასევე ისეთ ხელშეკრულებებს, როდესაც მომხმარებელმა განსაზღვრული პროდუქციის შეძენის ან მომსახურების მიღების მიზნით მოითხოვა მოვაჭრის ვიზიტი, თუმცა ხელშეკრულების საგანი გახდა სხვა პროდუქცია/მომსახურება, რის შესახებაც მომხმარებელმა წინასწარ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ამ პროდუქციით/მომსახურებით ვაჭრობა მოვაჭრის პროფესიული ან კომერციული საქმიანობის ნაწილი იყო. დირექტივა აგრეთვე ვრცელდება ისეთ ხელშეკრულებებზე, როდესაც ოფერტი კეთდება თავად მომხმარებლის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაციების მსგავს ვითარებებში<sup>22</sup>.

აღნიშნული დირექტივის მიხედვით, წევრი ქვეყნები უფლებამოსილი არიან, გარკვეული სახის ხელშეკრულებების გამორიცხვაზე დირექტივის რეგულირების არეალიდან. კერძოდ, დაწესებულია ხელშეკრულების ფასის ქვედა ზღვარი **60 ევროს** ოდენობით, ე.ი. ნაკლები ღირებულების გარიგებებზე დებულებები არ ვრცელდება<sup>23</sup>.

ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში სხვადასხვა ნორმებშია განივთებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი საკითხები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებზე და მასთან დაკავშირებულ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმებზე.

სამოქალაქო კოდექსში მომხმარებელთა უფლებების ყველაზე გამოკვეთილ ნორმას **336-ე მუხლი** წარმოადგენს, რომლის თანახმად, „მომხმარებელსა და საკუთარი სარენის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულება სრულდება მისი დადებისთანავე“. „მსგავსი ნორმები ემსახურება მომხმარებლის ინტერესების დაცვას, ვინაიდან,... ქუჩაში დადებული ხელშეკრულების სპეციფიკური რეგულირების საგანი იმაში გამოიხატება, რომ მომხმარებელი არ ელოდება იმ სიტუაციაში და იმ ადგილას ხელშეკრულების დადებას და გადაწყვეტილების მიღება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის შესახებ მისთვის მოულოდნელად ხდება. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი ასეთი ტიპის სამართალურთიერთობას სპეციალურ რეგულირებას უქვემდებარებს და მომხმარებელს საშუალებას აძლევს შვიდი დღის ვადაში უარი განაცხადოს სახელშეკრულებო ურთიერთობაზე“<sup>24</sup>.

საინტერესო განმარტება იმისა, თუ რას წარმოადგენს თვით **წუნდებული პროდუქტი**, შეიძლება თუ არა მისი გაიგივება უხარისხო პროდუქტთან, როგორ განმარტებას გვთავაზობს თვით კანონმდებელი პროდუქტის ცნებისა და რა სახის პასუხისმგებლობას უნდა ელოდოს მწარმოებელ-დამამზადებელი-რეალიზატორი ამ სახის პროდუქტის დამზადება-რეალიზაციისათვის, თუ მან პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, ანუ რა **შედეგი შეიძლება გამოიწვიოს და რა გარემოებებია აუცილებელი აღნიშნული დელიქტური ვალდებულების დაგომისათვის?** ალბათ ვიდრე წუნდებულ პროდუქტს განვმარტავდეთ, უპრიანი იქნება განიმარტოს ზოგადად **პროდუქტის**

<sup>22</sup>. ქარდავა ეკატერინე, დასახ. ნაშრ; 136.

<sup>23</sup>. Council Directive (სქ. 25), Art. 3 (1).

<sup>24</sup>. ცერცვაძე ლაშა, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, 2015, თანაავტ. ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ჯანაშია ლევან, 192.



**ცნება (მ. 1011).** შემდეგ წუნდებული პროდუქტის ცნება (მ. 1010), აღნიშნული ინსტიტუტის უკეთ გაგებისათვის უპრიანი იქნებოდა უხარისხმო პროდუქტის ცნება განმარტებულიყო და ზოგადად მწარმოებლისა და ამის შემდგომ განსაზღვრულიყო კანონმდებლობით წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა და მერე როგორც არის, რამეთუ ნორმათა არასწორი განლაგება ხშირად, სამწუხაროდ, მისი შინაარსის სწორად გაეცებას უშლის ხელს. სხვას რომ თავი დავანებოთ, წინამავალი ნორმა ხომ მომდევნო ნორმათა შინაარსის განმსაზღვრელია და ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონსტრუქცია მიგვაჩინია, უფრო დაგვეხმარებოდა ამ სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტიტის სწორად აღქმისათვის. ჩვენს მოსაზრებას ნამდვილად აქვს სიცოცხლის უფლება.

**სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლში (6.1)** განმარტებულია „პროდუქტის ცნება“, რომლის თანახმად, „პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“ ასევე მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის“.

რაც შეეხება საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს – „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლის მიზანი ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა, უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა, პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა და ა. შ. 1-ლი ნაწილით სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იდენტურად განმარტავს პროდუქტის ცნებას და აქვე განმარტავს (მ.4, ნ. 2) „უსაფრთხო პროდუქტი“-ს ცნებას. კერძოდ, „უსაფრთხო პროდუქტი“ – პროდუქტია, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს. უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფის შესაძლებლობა ან ნაკლები რისკის შემცვლელი სხვა პროდუქტის ხელმისაწვდომობა არ არის პროდუქტის სახიფათო პროდუქტად მიჩნევის საფუძველი“. ასეთი სახის განმარტება სამოქალაქო კოდექსში არ გვხვდება, არც „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს მე-3 ნაწილში მოცემული განმარტების მსგავსი დეფინიცია „სახიფათო პროდუქტი“-სა, კერძოდ, „სახიფათო პროდუქტი“ – რომელიც არ შეესაბამება ამ მუხლის (საუბარია მე-4 მუხლზე) მე-2 ნაწილში (საუბარია უსაფრთხო პროდუქტის ცნებაზე) მოცემულ უსაფრთხო პროდუქტის განმარტებას“, ხოლო კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“<sup>25</sup> ზოგადად განმარტავდა პროდუქციის ცნებას, კერძოდ, „პროდუქტია“ – საქონელი, მომსახურება, სამუშაო“.

რაც შეეხება წუნდებული პროდუქტის ცნებას, მისი დეფინიცია მოცემულია 1010-ე მუხლში (6.1), რომლის თანახმად, „პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, „პროდუქტი არ მიიჩნევა წუნდებულად, მხოლოდ იმის გამო, რომ მოვციანებით უფრო უკეთესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი“. შედარებით განსხვავებულ განმარტებას იძლევა წუნდებული პროდუქტის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლის მე-5 თავში ტერმინთა განმარტება, კერძოდ, წუნდებული პროდუქტი განმარტებულია, როგორც პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების

<sup>25</sup> ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 5 აგვისტოს.

## დიალოგის და სამართლი

ისეთ მოთხოვნებს, რომლებსაც ელის მისგან პირი: პროდუქტზე ზოგადი წარმოდგენის გათვალისწინებით; ჩვეულებრივი გამოყენების პირობებში; იმ პერიოდისათვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც პროდუქტი ბაზარზე განთავსდა; **ზიანი** განმარტებულია, როგორც პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამობით დამდგარი შედეგი, რომელმაც გამოიწვია: ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება; ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზიანება ან განადგურება, გარდა თავად წუნდებული პროდუქტისა, რომლის ღირებულება 300 ლარზე მეტია“.

ვფიქრობთ, კანონმდებელს უნდა განემარტა **უხარისხო პროდუქტის ცნებაც**, რამეთუ წუნდებული პროდუქტის მიჩნევა უხარისხო პროდუქტად დაუშვებლად მიგვაჩინა, რადგან წუნდებული პროდუქტის გამოყენება გარკვეული კონდიციით ალბათ უნდა დავუშვათ, თუ ეს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო არ იქნება. ვთქვათ ჩამოფასებული წუნდებული პროდუქტია, თუმცა გამოსაყენებლად ვარგისი, მაგრამ უხარისხო პროდუქტის გამოყენება საერთოდ დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი გამოსაყენებლად, გადასამუშავებლად უვარგისია, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უგარგისია, განადგურებას ექვემდებარება. „საქონლის განადგურება არის სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ უცხოური საქონლის (ქართული საქონლისაც) ნებისმიერი ხერხით (დაწვით, დამარხვით და ყველა სხვა დასაშვები საშუალების გამოყენებით) იმ მდგომარეობაში მოყვანა, როდესაც შეუძლებელია ამ საქონლის ეკონომიკურად მომგებიანი გზით აღდგენა“<sup>26</sup>. საქონელი (პროდუქტი) ისე უნდა განადგურდეს, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაყენოს გარემოს ან/და პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით<sup>27</sup> სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი პროდუქტის უხარისხობის კრიტერიუმად მიიჩნევს რა მის საიმედოობას, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის და განსაკუთრებით არამენარმე მომხმარებლისათვის როგორიცაც და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიცაა, განსაზღვროს თუ რამდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. ბუნებრივია, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქტის, გულისხმიერი დამოკიდებულება მართებს ნივთის საიმედოობასთან მიმართებაში. ამგვარი გულისხმიერი დამოკიდებულების მოთხოვნა მომეტებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ახდენს ისეთი პროდუქტის რეალიზაციას, რომელიც გარკვეულწილად რისკთანაა დაკავშირებული. ამასთან, ნივთის ხარისხი განსაზღვრავს მის ფასს და კონტრაპენტის ინტერესს მოცემული პროდუქტისადმი. შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს შორის ნივთის ხარისხზე შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს უხარისხო პროდუქტის მნარმოებლის პასუხისმგებლობას. მოცემულ შემთხვევაში კასატორი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული 284 სპეციალური ნებართვის საფუძველზე აწარმოებს რა სპეციფიკური პროდუქტის – სისხლის პროდუქტისა და მის რეალიზაციას, მომხმარებელს მის მიმართ განსაკუთრებული ნდობა გააჩნია. ასეთი ნდობა განპირობებულია საქმიანობის ამ სფეროში კონტრაპენტის მზადყოფნის პრეზუმეციით, როგორც პროფესიონალი კადრებით, ისე სათანადო ტექნიკური ალჭურვილობით. .... მნარმოებელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია საწარმოს სათანადო ტექნიკით ალჭურვაზე, ხოლო ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა მნარმოებლის პასუხისმგებლის გამომრიცხავ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული. ამასთან, საკასაციო პალატა გან-

<sup>26</sup> ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 221.

<sup>27</sup> საქმე № ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: უხარისხო პროდუქტი (სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლი).



მარტავს, ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ა-ს აბსოლუტურ უფლებაზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე. ....დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას...<sup>28</sup>.

უხარისხო პროდუქტით გამოწვეული დელიქტური ვალდებულების საერთაშორისო კერძო ხასიათის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის წყაროდ ქართულ კანონმდებლობასთან ერთად გვევლინება გაეროს 1985 წლის 9 აპრილის „სახელმწიფოთა პრინციპები მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის“. მომხმარებლად მოიაზრება პირადი საჭიროებისათვის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გამომყენებელი, შემძენი, შემკვეთი ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქე. უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ასპექტებს ითვალისწინებს მეზობელი ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობებიც.

თავისთვის პროდუქტის მწარმოებლის – დამამზადებლის (შემსრულებელი, გამყიდველი) უშუალო მოვალეობას წარმოადგენს არა მარტო უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ მისი ვალდებულებაა დროულად მიაწოდოს მომხმარებელს აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მოქალაქის ძირითადი სამომხმარებლო უფლებების დაცვას, კერძოდ, მოითხოვოს: საქონლის, სამუშაოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სათანადო ხარისხი, პროდუქციის უსაფრთხოება, სათანადო ინფორმაცია პროდუქტის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე.

2. წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა, როგორც დელიქტურ ვალდებულებათა ერთ-ერთი სახე

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა აგებულია დელიქტური სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმებით და კონცენტრირება პროდუქციის მწარმოებლის/დამამზადებლის მიმართ<sup>29</sup>.

„დელიქტურ ვალდებულებათა ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. როგორც წესი, პროდუქტის მწარმოებელს და საბოლოო მომხმარებელს შორის არ არსებობს პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა. გამომდინარე აქედან, უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის მიმართ არ გამოიყენება ნაკლული ნივთის გამო პასუხისმგებლის ნორმები“.<sup>30</sup>

საერთოდ, სამოქალაქო არაქონებრივ უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს დელიქტურ ვალდებულებათა მე-2 თავი („პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის – მ. 1009-1016-ე მუხლები“). შევნიშნავთ, რომ სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებში საუბარია წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობაზე, წუნდებული პროდუქტის, ზოგადად პროდუქტის ცნებაზე, წუნდებული პროდუქციის მწარმოებელთა სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე და სხვ.

ევროკავშირის დირექტივის EEC85/374 მე-13 მუხლში „მომხმარებელთა უფლებები ევროკავ-

<sup>28</sup> ალექონ ნაჭყებია. სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 283-284.

<sup>29</sup> ძლიერიშვილი ზურაბ, ნასყიდობის სამართლებრივი ბუნება, 2006, 117-118.

<sup>30</sup> განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, <http://library.court.ge/gil/index.php?term-id=426>

შირში“ აღნიშნულია: „ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ თანამეგობრობის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია მომხმარებელი ევროკავშირის ბაზარს ენდობოდეს. ამიტომ ევროკავშირის ყველა კუთხეში მომხმარებელს ერთნაირი უფლებები აქვს. მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ეკონომიკური ინტერესების ეფექტურ დაცვას ევროკავშირის ერთიანი კანონმდებლობა უზრუნველყოფს.

აღნიშნული დირექტივა ფართო სპექტრს ჩამოთვლის მომხმარებელთა უფლებების დასაცავად ცალკეულ სამომხმარებლო სფეროში, კერძოდ: სურსათი, არასასურსათო პროდუქციის/მომსახურების უსაფრთხოება (სათამაშოები, მედიცინა და ფარმაცია, ქიმიკატები, სასტუმროები, კოსმეტიკა, ენერგიის მოხმარება და სხვა. ევროკავშირის დირექტივის თანახმად, „მომხმარებელს აქვს უფლება მოელოდოს, რომ გასაყიდად გამოტანილი საქონელი უსაფრთხოა. ეს უფლება უზრუნველყოფილა ორი ვალდებულებით: 1. მეწარმე (იმპორტიორი) ვალდებულია ბრუნვაში მხოლოდ უსაფრთხო საქონელი გაუშვას.<sup>31</sup> 2. სახელმწიფო ვალდებულია აკონტროლოს მეწარმეების მიერ ამ ვალდებულების შესრულება და თუკი დარღვევას აღმოაჩენს, მეწარმე ცალკე დააჯარიმოს და ცალკე – ასეთი საქონლის ბაზიდან ამოღება და მომხმარებლისაგან უკან გამოთხოვა აიძულოს<sup>32</sup>. მომხმარებელს აღნიშნული დირექტივის თანახმად „უფლება აქვს მიიღოს ზუსტად ისეთი პროდუქტი, როგორსაც შეპირდნენ. „შეპირებაში“ იგულისხმება ამ საქონლის თვისებების თაობაზე მისთვის შექმნილი შთაბეჭდილება – რეკლამის, ეტიკეტის, ინსტრუქციის, ზეპირი აღნერის ან სხვა გზით. თუ საქონელს ეს შეპირებული თვისებები არ გააჩნია, ეს ნიშნავს, რომ მას ნაკლი აქვს. გამყიდველი (მაღაზია) ვალდებულია გამოასწოროს ეს ნაკლი ნივთის შეკეთების, ან გამოცვლის საშუალებით, ან თუკი ეს შეუძლებელია, დაიბრუნოს საქონელი, ან თუ მომხმარებელი თანახმაა, შეამციროს მისი ფასი. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ისე, რომ მომხმარებელს არ მოუწიოს ხარჯების გაღება და ამ პროცესმა არ უნდა გამოიწვიოს მომხმარებლის ზედმეტი შენუხება ან მისი საქმიანობის შეფერხება“<sup>33</sup>. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროდირექტივას აქვს შემდეგი მნიშვნელოვანი დამატებები: 1. ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლება მომხმარებელს აქვს ნივთის შეძენიდან (მიღებიდან) სულ ცოტა 2 წლის განმავლობაში; 2. ნივთის შეძენიდან 6 თვის განმავლობაში მოქმედებს ე. წ. „მომხმარებლის უდანაშაულობის პრეზუმუცია“ – მომხმარებელს არ სჭირდება ამტკიცოს, რომ ნაკლი მას არ გამოუწვევია. ითვლება, რომ თუკი ნაკლი აღმოჩნდა, იგი ნივთს გაყიდვის მომენტშიც ჰქონდა (თუკი გამყიდველი საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს)<sup>34</sup>.

„გერმანიაში 1989 წელს მიღებულ იქნა კანონი „უხარისხო პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“. ამ კანონის მიღების მიზანი იყო არა მარტო გარკვეული წვლილი შეეტანა დელიქტური პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირების საქმეში, არამედ ეროვნულ სამართალში მოქმედი იმპლემენტაცია 1985 წლის 25 ივლისის ევროკავშირის დირექტივისა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბრალის არსებობისაგან დამოუკიდებლად. გერმანული კანონის თანახმად, პროდუქცია უხარისხოდ ჩაითვლება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება მომხმარებლის დასაბუთებულ მოლოდინს, მაგრამ პროდუქცია არ ჩაითვლება უხარისხოდ იმის გამო, რომ გაყიდვაში იქნება მისი ახალი ვარიანტი გაუმჯობესებული სამომხმარებლო მახასიათებლებით“<sup>35</sup>.

<sup>31</sup>. ასეთი მოთხოვნა საქართველოშიც არის დადგენილი. {CIT=იხ. „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-9 მუხლის პუნქტი.

<sup>32</sup>. საქართველოში ასეთი რამ მხოლოდ სურსათის ან წამლების სფეროში ხდება და ისიც მცირე მასშტაბით.

<sup>33</sup>. ეს უფლება მომხმარებელს საქართველოშიც აქვს (სამოქალაქო კოდექსის 487-492-ე მუხლები).

<sup>34</sup>. დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. შევნიშნავთ, რომ საქართველოში მომხმარებელს ეს უფლება არ გააჩნია.

<sup>35</sup>. ზოიძე თ; უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ (ქართული და გერმანული სამარ-

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი“<sup>36</sup> საწარმოს დეფინიციას იძლევა. აღნიშნული კანონის მიხედვით, საწარმოს წარმოადგენს დაწესებულება, რომელიც ორგანიზებულია და დამოუკიდებელ ეკონომიკურ სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც აღნიშნული კანონის მიხედვით საწარმოებად ითვლებიან<sup>37</sup>. იურიდიული პირები, მაგალითად, იდეალური კავშირები, მწარმოებელთა როლში გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ისინი მწარმოებლურ საქმიანობას ახორციელებენ“<sup>38</sup>.

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, „მწარმოებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ის და მასთან მომუშავე პერსონალი აღნიშნული საქონლის დამზადებისას ზედმინევნით იცავდა მსგავსი შემთხვევებისათვის დადგინდ წინდახედულობის ნორმებს.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული პრინციპი პირველად ე. ნ. „ქათმის ჭირის“ საქმე“-ში გამოიყენა. მეფრინველეობის ფაბრიკის მფლობელმა მიმართა ვეტერინარს ჩაეტარებინა ქათმების ვაქცინაცია ჭირის საწინააღმდეგოდ, ვეტერინარმა გამოიყენა მოპასუხე მწარმოებლის მიერ დამზადებული ვაქცინა. ვაქცინაციის შემდეგ 4000-ზე მეტი ვაქცინირებული ფრინველი დაიხოცა. დადგინდა, რომ მიზეზი იყო სწორედ ეს ვაქცინა, რომელიც შეიცავდა მავნე დანამატებს. ეს გარემოება გერმანიის სასამართლომ საკმარისად ჩათვალა, რომ მოპასუხისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა<sup>39</sup>.

**გერმანულ სამართალში** საკმაოდ გამოიკვეთა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, პირი, რომელიც სხვას პირდება პროდუქციის ამა თუ იმ ხარისხს, პასუხს აგებს ამ პროდუქტით მიყენებული არაპირდაპირი ზიანისათვის, თუნდაც ეს გამოწვეული იყოს ბრალის გარეშეც<sup>“40”</sup>. „მწარმოებლის პასუხიმგებლობა გულისხმობს მის მიერ წარმოებული საშიში (Gefährlichkeit) პროდუქციისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. უხარისხო პროდუქციისათვის პასუხს აგებს არა ნაკლიანი პროდუქტის გამყიდველი, არამედ ასეთი უხარისხო პროდუქციის მწარმოებელი“<sup>“41”</sup>.

თუმცა, უხარისხო პროდუქტის მნარმოებლის დელიქტური ვალდებულება შეიძლება არც წარმოიშვას, თუ: ა) მას არ გაუტანია ეს პროდუქტი სარეალიზაციოდ; ბ) საქმის გარემოებიდან გამომდინარე, პროდუქტს არ გააჩნდა ზიანის გამომწვევი ნაკლი; გ) მნარმოებელს (დამამზადებელს) პროდუქტი არ უნარმოებია, არც გასაყიდად და არც თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში; დ) პროდუქტს ჰქონდა ნაკლი, რომელიც ნორმალური იყო დადგენილი სტანდარტებით და შეუძლებელიც იყო არსებული ტექნიკით მისი გაუმჯობესება; ე) ადგილი ჰქონდა დაზარალებულის ბრალიულ მოწმიდებას.

ალსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ იცნობს გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავინ დელიქტურ ვალდებულებებს, კირძოდ, იმ შემთხვევ-

თლის მაგალითზე), 2009, 16.

<sup>36</sup>. (§1, Abs 2/letzter Satz kSchG).

<sup>37</sup> Bürgerliches Recht, Koziol-Welser, 13. Auflage, Wien 2007, 403.

38. Ibid

<sup>40</sup> ნიუარაძე ნ; უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზინისათვის პასუხისმგებლობის ცნება ქართულ სამოქალაქო საქართვაოში, უკრნალი „კოვრება და სამართალი“, 1998, 75.

<sup>41</sup> Bürgerliches Recht Koziol-Welser 13. Auflage Wien 2007 378

## დიალოგიზის და სამართლი

ვაში, როცა მოთხოვნა უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე წარდგენილია დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლით, მომხმარებლისთვის გადაცემული პროდუქტი დაზიანდა მესამე პირის, ან დაუძლეველი ძალის მიერ.

ზემოაღნიშნული დელიქტური ვალდებულების არსის გაგებისათვის, მისი ფაქტობრივი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თვით პროდუქტის ცნების გარკვევა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, **სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლი** ეხება. თუმცა, გარდა **1011-ე მუხლით** განსაზღვრული ცნებისა, საერთო გაებით, პროდუქტად მიიჩნევა ეკონომიკური საქმიანობის ნივთობრივი შედეგი, ხოლო პროდუქტისა და ნახევარფაბრიკატის (რესურსების) ურთიერთგამიჯვნა კი დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორზე.

თანამედროვე იურისპრუდენციაში პროდუქტად მიჩნეულია არამატერიალური სიკეთეც, როგორიცაა, ინტელექტუალური პროდუქტი კომპიუტერული პროგრამის სახით. აღნიშნული მუხლი არაფერს ამბობს პროდუქტის წარმოების სახეზე, ასეთად კი ითვლება ქარხნული, ხელოვნური წესით წარმოება, ან (ხელოვნების ნიმუში) ნაწარმოები, როგორც ერთადერთი პროდუქტი. უხარისხო პროდუქტის დელიქტური ვალდებულებებისას დგება ორმაგი პასუხისმგებლობის პრობლემაც, კერძოდ, როცა სახეზეა ორი ან მეტი დელიქვენტი და ისინი უკვე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები (სამოქალაქო კოდექსის 1013-ე მუხლისა და სოლიდარული მოვალეების შესახებ სხვა მუხლების გათვალისწინებით). ხსენებული 1011-ე მუხლი, პროდუქტის ცნებასთან ერთად, საბოლოოდ განმარტავს მწარმოებლის ცნებას, როგორც პროდუქტის შემოქმედს და საფუძველს.

„მწარმოებელი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო, თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარგანსაზღვრული ვადის განმავლობაში, აგრეთვე იმ რისკის შესახებ, რომელიც შეიძლება დაუყოვნებლივ არ გამოვლინდეს. გაფრთხილება არ ათავისუფლებს პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისაგან. მწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა ითვალისწინებდეს პროდუქტის მიმართ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს: ა) გააანალიზოს რისკი, რომელის შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტმა; ბ) მიიღოს შესაბამისი ზომები რისკის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, გააფრთხილოს მომხმარებელი და გამოითხოვოს პროდუქტი მომხმარებლიდან და ბაზრიდან“<sup>42</sup>. მწარმოებელი ასევე ვალდებულია დისტრიბუტორს მიაწოდოს სრული ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული რისკების შესახებ, რამეთუ დისტრიბუტორმა შეძლოს ამ ინფორმაციის მესამე პირისათვის მიწოდება. მწარმოებლისა და დისტრიბუტორის ერთობლივ, სოლიდარულ მოვალეობას წარმოადგენს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლონ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან იმ ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც ბაზარზე უზრუნველყოფენ მათ მიერ მიწოდებული პროდუქტით გამოწვეული რისკების თავიდან აცილებას. ასევე, ცალმხრივად, დამსაქმებელიც ვალდებულია ყველა აუცილებელი ზომების მიღება-შემუშავებაში, რათა პროდუქტი, რომელიც სამუშაო ადგილას გამოიყენება, იყოს უსაფრთხო. დასაქმებული კი ზოგადად პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების პერიოდში იზრუნოს საკუთარ და სხვა პირთა უსაფრთხოებასა და კანმრთელობაზე.

„თანამედროვე ლია ეკონომიკის პირობებში კოსმოპოლიტური ხასიათის კაპიტალს ეროვნება და სამშობლო არა აქვს“<sup>43</sup>, რამდენიმე დღის წინ ქვეყნიდან ათასობით კილომეტრებით უშორეს წერტილში დამზადებულმა პროდუქტმა შეიძლება საქართველოს საბაჟო საზღვარი გადმოკვეთოს და

<sup>42</sup>. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მ. 11, 6.1-3).

<sup>43</sup>. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 206.



ეროვნული ბაზრების დახლებზე მოხვდეს. მიუხედავად არსებული უამრავი ნორმატიული აქტებისა, რომლებიც კრძალავენ საეჭვო პროდუქტის ქვეყნის შემოდინებას, სამწუხაროდ, იგი მაინც ხვდება სავაჭრო დახლებზე, რომლებმაც სრულად დასაშვებია მოსახლეობის (მომხმარებლის) ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიოს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი, რომლითაც შეიძლება გაკონტროლდეს საქონელთა მოძრაობა ქვეყნებს შორის და მისი ხარისხიანობა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის № 420 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. იმის გამო, რომ ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმები, სასაქონლო ოპერაციები გააჩნიათ, იმპორტიორი ქვეყნისათვის აუცილებელია დაადგინოს პროდუქციის წარმოშობის ქვეყანა, არა მარტო იმ მიზნით, თუ როგორ უნდა დიბეგროს ესა თუ ის საქონელი, არამედ რამდენად რისკის შემცველი ქვეყნიდან შემოდის საქონელი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე (მაგალითად, ქვეყანაში არ „შემოიპაროს“ პროდუქტი იმ ქვეყნიდან, სადაც გავრცელებულია ვთქვათ „ქათმის ან ღორის გრიპი“ და სხვ. „სერტიფიკაციის მიზნებია შეუქმნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საქართველოს ერთიან სასაქონლო ბაზარზე საქმიანობის, აგრეთვე, საერთაშორისო ეკონომიკური, სამეცნიერო თანამშრომლობისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის პირობები, დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის არჩევაში, დაიცვას მომხმარებელი პროდუქციის დამამზადებლის (გამყიდველის, შემსრულებლის) არაკეთილინდისიერებისაგან, გააკონტროლოს პროდუქციის უსაფრთხოება ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დასაცავად, დაადასტუროს დამამზადებლის მიერ გაცხადებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი“<sup>44</sup>.

უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისას დაზარალებულმა თვითონვე უნდა დაამტკიცოს სასამართლოს ან სხვა ორგანოების წინაშე (არსებულ მტკიცებულებათა გათვალისწინებით) დამდგარი დელიქტური ვალდებულებიდან ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა. მან ასევე უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მას ნამდვილად მიადგა ზიანი და სწორედ უხარისხო პროდუქტისაგან, ასევე დაადგინოს დამამზადებლის, მნარმოებლის ვინაობაც. ამდენად, **1012-ე მუხლის** თანახმად, მთლიანი მტკიცების ტვირთი ეკისრება მხოლოდ დაზარალებულს და არა მნარმოებელს.

„საქართველოს კოდექსის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, – მიხედვით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მომხმარებლისათვის უხარისხო პროდუქტის მიწოდებით ზიანის მიყენებისას დელიქვენტს დისტრიბუტორიც წარმოადგენს, რომელიც არის პირი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში პროდუქტით უზრუნველყოფს ბაზარს და რომელიც პროდუქტის მიმართ სათანადო პირობების დაცვის შემთხვევაში არ ახდენს გავლენას პროდუქტის უსაფრთხოების მახასიათებლებზე. სამოქალაქო კოდექსით სუბიექტად ასევე წარმოდგენილია ავტორიზებული წარმომადგენელი. ის არის მნარმოებლის მიერ ავტორიზებული პირი, რომელსაც მნარმოებლის ნაცვლად შეიძლება მიმართონ უფლებამოსილმა პირებმა ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით. დელიქვენტად ასევე შეიძლება მოგვევლინოს იმპორტიორიც, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ახორციელებს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული პროდუქტების მიმართ დაცვის მიმართ დაზიანების შესახებ“ მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის ყველა იმ პირთ

<sup>44</sup> სარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 287.

## დიალოგი და სამართლი

(მწარმოებელს, იმპორტიორს, ბიზნეს-ოპერატორს, მესამე პირებს და სხვ.), რომლებიც კანონის გვერდის ავლით დაამზადებენ, სარეალიზაციოდ გამოიტანენ, ქვეყნის შიგნით შემოიტანენ და ა. შ. გენერაციული პროდუქტს, დაარღვევენ ეტიკეტირების დადგენილ სტანდარტებს, როთაც საბოლოო ჯამში ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნიან. აღნიშნული კანონის **მე-7 მუხლის თანახმად (3.1), „სურსათად/ცხოველის საკვებად გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან გენერაციული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“**, ასევე საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, თუ მათ შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის **0,9%-ზე მეტია**“, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, კი: „გენერაციული პროდუქტის მარცხენა კუთხეში, წრიულ ფორმაში განთავსებული უნდა იყოს წარწერა „გმ“, ხოლო გენერაციული პროდუქტის ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში, წრიულ ფორმაში – წარწერა „გმ“. აღნიშნული წარწერები იმდენად თვალსაჩინო, ადვილად აღქმადი და მკვეთრად გამოსახული უნდა იყოს, რომ მომხმარებელმა ადვილად შეძლოს მათი იდენტიფიცირება. ასევე, გენერაციული ინგრედიენტის/ინგრედიენტების შემცვლელი პროდუქტის ეტიკეტირებისას ამ პროდუქტზე აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს გენერაციული ინგრედიენტის/ინგრედიენტების სახელი/სახელები.

კანონი განსაკუთრებით გამოყოფს ბიზნეს-ოპერატორების პასუხისმგებლობას, რათა სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენერაციული ორგანიზმების და გენერაციული პროდუქტის იმპორტისას ეტიკეტირებულ იყოს კანონის სრული შესაბამისობის დაცვით და ასეთ პროდუქტებს თან ახლდეს თანმხლები დოკუმენტები (მაგ.: წარმოშობის სერტიფიკატი, ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი, ნასყიდობის აქტი და სხვ.).

სახელმწიფოს განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული მისი შესაბამისი ორგანოებისა სურსათად/ცხოველის საკვებად გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან გენერაციული პროდუქტის ეტიკეტირებული წესების დაცვაზე, ხოლო შემოსავლების სამსახურის განსაკუთრებულ ვალდებულებას შეადგენს მკაფიო საბაჟო კონტროლი დააწესოს ასეთი პროდუქტით საბაჟო საზღვრის გადმოღახვაზე და მათ განადგურებაზე.

მაკონტროლებელი ორგანო აკრედიტებული უნდა იყოს საქართველოს ან ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (**OECD**) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოს მიერ.“

აღნიშნული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლება აქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირებს. აღნიშნილი ორგანოები კანონმდებლობით დადგენილი წესის დამრღვევთ გამოუწერენ საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

სამოქალაქო კოდექსი მიგვითითებს **1009-ე** მუხლის გამოყენებაზე იმ შემთხვევისათვის, როცა წუნდებული, უხარისხო პროდუქტის გამოწვეული ზიანი ვრცელდება ზიანზე, რომელიც წარმოშვა სიკვდილით, ან სხეულის, ან/და ჯანმრთელობის დაზიანებით.

როდესაც ზიანის ანაზღაურების საკითხებს ვეხებით წუნდებული, უხარისხო პროდუქტით მი-



ყენებული ზიანის გამო, არ შეიძლება არ მოვიხმოთ სამოქალაქო კოდექსის ის ნორმებიც, რომლებიც ზიანის ანაზღაურების ზოგად პრინციპებს აფუძნებენ. „ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც ქართულ სამოქალაქო კოდექსშია მოცემული, შეიძლება ჩაითვალოს მთელი კერძო სამართლისათვის საერთო ზოგად პრინციპებად“. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები (**408-415**) თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტის შედეგად წარმოშობილ ზიანთან მიმართებაში“.<sup>45</sup> მათში გადმოცემულ პრინციპებს ემყარება როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელსეკრულებო ზიანის ანაზღაურება ცალკეული სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ ის მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებს ეხება, დელიქტურ ვალდებულებაზე იგი მხოლოდ ანალოგიის გზით შეიძლება გავარცელოთ.<sup>46</sup>

ვალდებულების წარმოშობის თითოეული საფუძველი არის მიზეზი ადეკვატური სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით საკუთარი უფლებების დაცვისა, იქნება ის სახელშეკრულებო, თუ არასახელშეკრულებო ზიანის მიყენებისას დამდგარი არაადეკვატური შედეგი. სამოქალაქო კოდექსის ცნობილი „ხიდი“ წორმაც (**მ. 326**) ხომ ამაზე მიგვითითებს, რომ „წესების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესახებ გამოიყენება არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“. **1014-ე მუხლის** შემთხვევაში შეიძლება ანალოგიით გამოყენებულ იქნას **408-ე მუხლის** პირველი ნაწილის დებულებები, სადაც გამოკვეთილია ნორმის სოციალური და სამართლებრივი ფუნქცია, რომელიც ზიანის მიმყენებელს აკისრია, კერძოდ, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“, ხოლო **მე-2 ნაწილის** თანახმად, „თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წარმომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩიოს გადახდით“. სარჩიოს ნაცვლად დაზარალებულს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებაც გააჩნია საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. 1014-ე მუხლის შემთხვევაში, როცა წუნდებული, უხარისხო პროდუქტის გამოყენებას დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა შედეგად, მაშინ შესაბამისად, ანალოგიით გამოსაყენებელ ნორმას წარმოადგენს **სკ მ. 1006 („ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას“)**, აქ ამ შემთხვევაში ზიანის კომპენსაციაზე, სარჩიოს მიღების უფლებაზე მოთხოვნის სუბიექტებს წარმოადგენებ ის პირები, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს წუნდებული პროდუქტის მიღებით. ზიანის მიმყენებლებმა (წუნდებული პროდუქტის მწარმოებელმა პირებმა, ვინც საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი ანარმოეს, ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან განმასხვავებელი ნიშნით გამოვიდა, როგორც მწარმოებელი, იმპორტიორი, რომელმაც უხარისხო პროდუქტი შემოიტანა საბაზუ საზღვარზე, გამსაღებელი და სხვ.) სარჩიოს დაწესებით ზიანი უნდა აუნაზღაურონ იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ეკისრებოდა. ასეთ პირებად კი მიიჩნევიან: არასრულწლოვანი შეიღები, არასრულწლოვანი და შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის გარდაცვალების მომენტისათვის მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ; ბავშვი, რომელიც დაზარალებულის გარ-

<sup>45</sup>. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის №ას-987-928-2010 წლის 24 იანვრის №ას-1076-1008-2010 განჩინება. წყარო: გიორგი ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თანაავტ. ძლიერიშვილი ზ; რობაქიძე ი; სვანაძე გ; ცერცვაძე ლ; ჯანაშია ლ; 2014, 645.

<sup>46</sup>. გიორგი ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თანაავტ. ძლიერიშვილი ზ; რობაქიძე ი; სვანაძე გ; ცერცვაძე ლ; ჯანაშია ლ; 2014, 645.

დაცვალების შემდეგ დაიბადა; მოხუცი მშობლები, რომლებიც დაზარალებული შვილის კმაყოფა-ზე იმყოფებოდნენ, გარდაცვლილის არასრულწლოვანი და-ძმები, რომლებიც სარჩოს იღებდნენ დაზარალებულისაგან გარდაცვალებამდე, აგრეთვე ის სრულწლოვანი პირები, რომლებსაც დამო-უკიდებელი შემოსავალი არ ჰქონდათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და სარჩოს დაზარა-ლებულისაგან იღებდნენ მის სოციაცხლეში. ზიანის ანაზღაურება ზოგადი წესებით ყოველთვიური სარჩოს გადახდით განისაზღვრება, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, პატივსადები მიზეზების არსებობისას, – ზიანის მიმყენებლის ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობების გათვალის-წინებით, სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი დაზარალებული პირების თხოვნით, სასამართლომ ზიანის მიმყენებელს შეიძლება დააკისროს ზიანის ანაზღაურება ერთჯერადად, თუ ამისათვის საა-ამისო პატივსადები მიზეზები იარსებებს.

უხარისხმო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ (განჩინება საქმე № ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალა-ქო, სამენარმეო და გაკოოფრების საქმეთა პალატამ (დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება) დაადგინა, რომ: ლ. ჩ-ძე დაინფიცირდა სწორედ იმ პროდუქტის – კრიოპლაზმის მოხმარების შემდეგ, რომე-ლიც მან მოპასუხისაგან, ამ პროდუქტის მწარმოებელი და რეალიზატორი ორგანიზაციისაგან, შე-იძინა. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ შესაძლოა მოსარჩელის დაინფიცი-რება გამოწვეულ იქნა სხვა გარემოებით, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკი-ცებულება მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით არ წარმოუდგენია. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1011-ე, 1010-ე, 487-ე, 494-ე, 1009-ე მუხლებით, ასევე მოპასუხე საზოგადოების წესდების მე-3 მუხლით და ჩათვალა, რომ ლ. ჩ-ძის ახლო ნათე-სავები მოსარჩელისათვის საჭირო სისხლის შეძენისას ვარაუდობდნენ, რომ იძენდნენ უეჭველად საიმედო, ხარისხიან პროდუქტს და ისინი ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლიე არავის გაუფ-რთხილებია. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ორგანიზაციის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში სარეალიზაციო პროდუქტის გატანის დროს არსებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური დონის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო პროდუქტის ნაკლის აღმოჩენა, ამდენად, საზოგადო-ების ბრალი არ არსებობს, რაც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავს. სასამართლომ განმარტა, რომ კანონის ზემოხსენებული დანაწესები სავალდებულოა მხარეთათვის ნებისმიერი მეცნიერე-ბისა და ტექნოლოგიების განვითარების დონის მიუხედავად, რის გამოც მოპასუხე ვალდებული იყო, ენარმოებინა და გაესხვისებინა მხოლოდ უსაფრთხო სისხლი იმ გარემოებათა გაუთვალის-წინებლად, თუ რა ლირებულების გამოკვლევები ესაჭიროებოდა აღნიშნულს.

მომხმარებელმა ლ. ჩ-ძემ მწარმოებელ შპს «ქ. ქუთაისის რეგიონალურ სისხლის ბანკისაგან» შეიძინა პროდუქტი – სისხლის კრიოპლაზმა, რომელიც უხარისხმო – «აივ» ვირუსით ინფიცირებუ-ლი აღმოჩნდა და შედეგად მომხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. აღნიშნულ ფაქ-ტებს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე და 413-ე მუხლები უკავშირებს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას: უხარისხმო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწ-ვეული ზიანისათვის. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევა-ში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება, არაქონებრივი საკასაციო პალატა გან-მარტავს, ვინაიდან მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აპსოლუტურ უფლებაზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალის-წინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინ-



ფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე.<sup>47</sup>

### 3. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები

სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი, გარდა იმისა, რომ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან, ამასთანავე გამორიცხავს მწარმებლის პასუხისმგებლობას, როცა მას ეს პროდუქტი არ გაუტანია სარეალიზაციოდ (მაგალითად, პირმა, რომელმაც ჩამოასხა ლუდი, სარეალიზაციოდ არ გაუტანია, მაგრამ საწარმოში მომუშავე პირებმა იგი სარეალიზაციოდ გაიტანეს, რომლის შენახვის ვადები დარღვეული იყო და მომხმარებლის მოწამვლა გამოიწვია); საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას (მაგალითად, მწარმოებელმა გამყიდველს მიაწოდა ხარისხიანი პროდუქტი გასაყიდად, მაგრამ მყიდველის მიერ პროდუქტის შენახვის ელემენტარული მოთხოვნების შეუსრულებლობამ მომხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია; მწარმოებელს პროდუქტი არ უწარმოებია არც გასაყიდად, არც სხვა კომერციული საქმიანობის ფარგლებში (უბრალოდ, მწარმოებელმა პროდუქტი პირადი მიზნებისათვის დამზადა); პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს (აქ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც პროდუქტის დამზადების მომენტში პროდუქტის ხარისხი დადგენილ ნორმატივებს შეესაბამებოდა); შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანისას (**მ. 1009, 6.1.**); **მე-2 ნაწილი** აღნიშნული მუხლისა, ასევე გამორიცხავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, როცა ნაკლი გამოწვეულია პროდუქტის კონსტრუქციით, რომლის შემადგენელიც გახდა ეს ნაწილი (მაგალითად, სხვა მწარმოებელმა უკვე დამზადებული პროდუქტი გადაამუშავა გამოიყენა სხვა პროდუქტის არსებით შემადგენელ ნაწილად და ასეთმა გადაამუშავებამ არასწორი რეაქციის წარმოშობით მომხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია). **მე-3 ნაწილი** ითვალისწინებს შემთხვევას, როცა მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება, თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა ქმედებამ. სამოქალაქო არაქონებრივი უფლების დამატებით გარანტიად უნდა მივიჩნიოდ მიყენებული ზიანის სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი გამორიცხვის ან შეზღუდვის დაუშვებლობა, რომელიც **1016-ე მუხლითაა განსაზღვრული.**

„პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის მე-5 პუნქტიც გამორიცხავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას, მსგავსად 1009-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### 4. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის დაზარალებულს ეკისრება (**ს. მ. 1012**) (ასევე, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“- (**მ. 6, 6.3.**); დაზარალებული ასევე ვალდებულია დაამტკიცოს წუნდებულ პროდუქტსა და მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. როგორც აღნიშნული ნორმებიდან ირკვევა, თვით დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს სასამართლოში რომ მას უხარისხო, წუნდებული პროდუქტი-საგან ზიანი მიადგა (სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო). ...., მან უნდა წარმოადგინოს

<sup>47</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2008-3-uni.pdf>

# დიკლომატია და სამართლებრივი სისტემები

მტკიცებულება, რომ მას ნამდვილად მიადგა ზიანი სწორედ უხარისხო პროდუქტისაგან. ასევე და-  
ადგინოს დამამზადებლის, მწარმოებლის ვინაობაც“<sup>48</sup>. **სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლის მე-4**  
**ნაწილის** მიხედვით კი, „თუ შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწო-  
დებელი მიიჩნევა მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი დაზარალებულს მოთხოვნიდან  
1 თვით ვადაში წარუდგენს მწარმოებელს ან იმ პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიაწოდა. ეს წე-  
სი გამოიყენება საიმპორტო საქონლის მიმართაც, როცა შეუძლებელია თავდაპირველი გამსაღებ-  
ლის ვინაობის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლის სახელი ცნობილია“. **საქართველოს**  
**უზენაესი სასამართლოს** გადაწყვეტილებით (**საქმე №-87-420-05**) მწარმოებელს დაეკისრა მტკი-  
ცების ტვირთი. სასამართლოს განმარტებით „მტკიცების ტვირთი, რომ ხანძრის გაჩენის ადგილას  
მიწოდებული ელექტროენერგია სს „თელასის“ წარმოებული არ იყო, მისივე ვალდებულებას წარ-  
მოადგენდა“.

ევროპული სასამართლო პრაქტიკა ავალდებულებს მწარმოებელს ამტკიცოს მისი არაპრალე-ულობა და ამოსავალ დებულებად იყენებს იმას, რომ პიროვნება, რომელსაც მიაყენეს ზიანი არ არის ვალდებული წარმოდგენა იქნიოს თუნდაც ერთოვერცხის მომზადების წესზე, ამიტომაც არ უნდა ეკისრებოდეს მტკიცების ტვირთი მწარმოებელის ბრალეულობის შესახებ“<sup>49</sup>.

უხარისხო პროდუქტით გამოწვეული დელიქტიდან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას ადგენს **სამოქალაქო კოდექსის 1015-ე მუხლი**, რომლითაც დაზარალებულს დელიქტის დადგომიდან სამი წლის განმავლობაში უფლება აქვს მოთხოვოს დელიქვენტისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო აღნიშნული მოთხოვნა უქმდება დელიქტის დადგომიდან **ათი წლის შემდეგ**, უშუალოდ იმ დღიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი გასაყიდად, სარეალიზაციოდ გაიტანა<sup>50</sup>. სამოქალაქო არაქონებრივი უფლების დამატებით გარანტიად უნდა მივიჩნიოდ მიყენებული ზიანის სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი გამორიცხვის ან შეზღუდვის დაუშვებლობა, რომელიც **1016-ე მუხლითაა განსაზღვრული**.

„ალბათ, საკმაოდ რთულია სრულყოფილად მოიცვა საერთაშორისო კერძო სამართლის დელიქტთა და სამოქალაქო არაქონებრივ უფლებათაგან გამომდინარე დელიქტურ ვალდებულებათა რთული და მზარდი ბუნება. ჩვენ შევეხეთ სქემატურად მხოლოდ მათ ცალკეულ მნიშვნელოვან მხარეებს. როგორც გამოჩენილი რუსი მეცნიერი ს. ალექსეევი წერდა, დელიქტურ ვალდებულებათა განვითარებიდან კარგად ჩანს ის, რომ ცივილისტიკაში გაერთიანდა სამართლებრივი განვითარების ორი ფუნდამენტური ხაზი, რომელიც, ერთი მხრივ, გამოხატავს კერძო სამართლის ღირებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნებითი სამართლის საწყისებს მათი თანამედროვე მნიშვნელობით (ადამიანის უფლებების სახით). ეს ყველაფერი კი მეტყველებს საერთაშორისო კერძო და სამოქალაქო სამართლის, მისი განვითარების ახალ ეტაპზე – 21-ე საუკუნის სამოქალაქო სამართლის საზოგადოების ჯხოვრიბაში სულ უფრო მზარდ და საფუძვლიან დამკვიდრებაზე“<sup>51</sup>.

<sup>48</sup> მარტინე ვალენტინის ძე: თეოდორ გრიფინის სამართლებულო კორპუსის სამსართალში, უკრაინაში ..აღმოაჩახი“, 2000.27.

<sup>50</sup> გერმანიის კანონის მიხედვით, „უხარისხო პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მწარმოებლის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე ძალადაკარგულად ითვლება უხარისხო პროდუქციის გამოშვების მომენტიდან 10 წლის გასვლის შემდეგ, თუ დაზარალებული მოცემული ვადის ამოწურვამდე არ წარმოადგენს თავის მოთხოვნებს სასამართლო წესით.

<sup>51</sup> მაჭარაშვილი ო; დელიქტები საერთაშორისო კერძო სამართალში, <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe>



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, ნაწილი პირველი, თბილისი, 2015, 326.
2. შოთაძე თამარ, „უხარისხმის პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ეკროპულ კანონმდებლობათა მიხედვით“, ჟურნალი „მართლმასჯულება“, 2007, №2, 60.
3. იქვე.
4. ეს ეტება აგრეთვე ე. წ. „ფრანგენშტეინის პროდუქტსაც“.
5. გაზითი: ბანკები და ფინანსები, 2013, №324, გვ. 5.
6. ზონები ბესარიონ, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, თბილისი 2013, გვ. 193-194.
7. Council Directive 85/374 Defective products, Council Directive 92/59 General product safety, Council Directive 92/59 General product safety, EC legislation 2003/2004 edited by Nigel G. Foster. წყარო: შოთაძე, თამარ, „უხარისხმის პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ეკროპულ კანონმდებლობათა მიხედვით“, ჟურნალი „მართლმასჯულება“, 2007, №2, 64.
8. 4 direktiva warmoadgens wevri-qveynebis xelisuflebis mier savaldebulod Sesasrulebel.
9. <[http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004\\_2009/documents/dt/615/615453/615453de.pdf](http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/dt/615/615453/615453de.pdf)> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.
10. <<http://eur-lex.europa.eu/de/treaties/dat/12002E/pdf/12002E-DE.pdf>> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.
11. ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.
12. ერქვანია თონათინ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა“, ჟურნალი „მართლმასჯულება და კანონი“, №3(30)11, 46.
13. ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 70.
14. <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31985L0577:de:HTML>>
15. [15.12.2013] წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 71.
16. <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:1987L0102:19980421>>
17. DE:PDF> [15.12.2013]; წყარო: ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 70-71.
18. კროპჰერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, 2014, 2.
19. იქვე; ასევე, იხ. Bürgerliches Gesetzbuch
20. bearbeitet von Bassenge, Brudermüller, Diederichsen, Edenhofer, Grüneberg, Heinrichs, Heldrich, Putzo, Sprau, Weidenkaff
21. Auflage, 2006. Verlag C. H. Beck, 19-20.
22. ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 66.
23. European Consumer Law Group, Response to the Commission's Communication on European Contract Law,
24. [ec.europa.eu/consumers/cons-int/safe-shop/fair-bus-pract/cont-law/comments/associations-en.htm](http://ec.europa.eu/consumers/cons-int/safe-shop/fair-bus-pract/cont-law/comments/associations-en.htm) (20.01.2007). წყარო: ქარდავა ეკატერინე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე“. <http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა.
25. ქარდავა ეკატერინე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე“. <http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, 122.
26. ქარდავა ეკატერინე, დასახ. ნაშრ; 134.

27. Council Directive of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away
28. from business premises, OJL 372 (31.12.85), 31-33. წყარო: ქარდავა ეკატერინე, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეკონომული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადგებული ხელშეკრულების მაგალითზე“. <http://www.library.court.ge/index.php?cat=s&catID=1>, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, 134.
29. 26 Latvia, Consumer Rights Protection Act, Section 9, 1
30. ქარდავა ეკატერინე, დასახ. ნაშრ; 136.
31. Council Directive (სქ. 25), Art. 3 (1).
32. ცერცვაძე ლაშა, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, 2015, თანავეტ. ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ჯანაშია ლევან, 192.
33. ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 5 აგვისტოს.
34. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 221.
35. საქმე № ას-296-624-07 25 სექტემბერი, 2007 წელი, ქ. თბილისი განმარტების საგანი: უხარისხმი პროდუქტი (სამოქალაქო კოდექსის 2010-ე მუხლი)
36. ალეკო ნაჭუება. სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 283-284.
37. ძლიერიშვილი ზურაბ, ნასყიდობის სამართლებრივი ბუნება, 2006, 117-118.
38. განმარტებითი ოურიდიული ლექსიკონი, [http://library.court.ge/gil/index.php?term\\_id=426](http://library.court.ge/gil/index.php?term_id=426)
39. ასეთი მოთხოვნა საქართველოშიც არის დადგენილი. {CIT=იბ. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-9 მუხლის პუნქტი.
40. საქართველოში ასეთი რამ მხოლოდ სურსათის ან წამლების სფეროში ხდება და ისიც მცირე მასტებაბით.
41. ეს უფლება მომხმარებელს საქართველოშიც აქვს (სამოქალაქო კოდექსის 487-492-ე მუხლები).
42. დიონეტივის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. შევნიშნავთ, რომ საქართველოში მომხმარებელს ეს უფლება არ გააჩნია.
43. ზოიდე თ; უხარისხმი პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება“ (ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე), 2009, 16.
44. (§1. Abs 2/letzter Satz kSschG).
45. Bürgerliches Recht, Koziol-Welser, 13. Auflage, Wien 2007, 403.
46. Ibid.
47. Васильев Е.А. Комаров, А.С. ред. Гражданское и тоговое право зарубежных государств,
48. 2004-2005. 2 том стр. 344-346. წყარო: გეგიძე ნინო, უხარისხმი პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2012, 48. <https://www.google.com/search?client=opera&q=%E1%80%80%E1%80%80%E1%80%80%E1%80%80>=სამართლის+ელექტრონული+ბიბლიოთეკა.
49. ნიუარაძე ნ; უხარისხმი პროდუქტით მიყენებული ზინისათვის პასუხისმგებლობის ცნება ქართულ სამოქალაქო სამართალში, უურნალი „ცხოვრება და სამართალი“, 1998, 75.
50. Bürgerliches Recht, Koziol-Welser, 13. Auflage, Wien 2007, 378.
51. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, მ. 11, 6.1-3).
52. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 206.
53. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 287.
54. საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 6 იანვრის №ას-987-928-2010 წლის 24 იანვრის №ას-1076-1008-2010 განჩინება. წყარო: გიორგი ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თანავეტ. ძლიერიშვილი ზ; რობაქიძე ი; სვანაძე გ; ცერცვაძე ლ; ჯანაშია ლ; 2014, 645.
55. გიორგი ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, თანავეტ. ძლიერიშვილ ზ; რობაქიძე ი; სვანაძე გ; ცერცვაძე ლ; ჯანაშია ლ; 2014, 645.
56. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2008-3-uni.pdf>
57. მაჭარაშვილი ო; დელიქტები საერთამორისო კერძო სამართალში, უურნალი „ალმანახი“, 2000, 27.
58. Fairgrieve D. and Howells G, Rethinking product liability: a missing element in the European Commission's Third Review if the European Product Liability Directive, 2007, pg 962. წყარო: გეგიძე ნ; უხარისხმი პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2012, 68. <https://www.google.com/search?client=opera&q=%E1%80%80%E1%80%80%E1%80%80%E1%80%80>=სამართლის+ელექტრონული+ბიბლიოთეკა.
59. გერმანიის კანონის მიხედვით, „უხარისხმი პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მნარმოებლის ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე ძალადაკარგულად ითვლება უხარისხმი პროდუქტის გამოშვების მომენტიდან 10 წლის გასვლის შემდეგ, თუ დაზარალებული მოცემული ვადის ამონურვამდე არ წარმოადგენს თავის მოთხოვნებს სასამართლო წესით.
60. მაჭარაშვილი ო; დელიქტები საერთამორისო კერძო სამართალში, <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe>

**Aleksandre Javakhishvili***Doctor of Law, Associate Professor  
of New Higher Education Institute*

## The Main Methods of Committing Fraud

### Abstract

The article “The Main Methods of Committing Fraud” deals with fraud as a serious crime which is widespread not only in Georgia, but throughout the world and represents a great danger to the community for its commitment to such major way as deception.

Scammers usually abuse public trust, play the hypocrite, and use the victim's such characteristic as a confidence, which is detrimental to a certain layer of society.

Therefore, this article describes all the methods and tools in detail, which are used by crooks at the time of committing the crime and hence it is possible to prevent serious crime.

**ალექსანდრე ჯავახიშვილი****სამართლის დოქტორი,****ახალი უმაღლესი სასწავლებლის****ასოცირებული პროფესორი**

### თაღლითობის ჩადენის ძირითადი ხერხები

#### რეზიუმე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXV-ე მუხლის თავში – ‘დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ – დადგენილია როგორც სისხლისამართლებლივი პასუხისმგებლობა სხვისი ნივთის დაუფლების, მისაკუთრების მიზნით, ან ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღების შესახებ.

აღნიშნული სახის დანაშაული სხვა დანაშაულებისგან განსხვავდება პირველ რიგში მისი ჩადენის ხერხით, სახელდობრ, თაღლითი კანონსაწინააღმდეგოდ უუფლება მოქალაქეთა პირად ქონბას (სხვა ნივთს), ან ქონებრივ უფლებას მოტყუებით.

ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტყუების ერთ-ერთ და განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ნდობის ბოროტად გამოყენება – ნდობის მოტყუება და ამიტომ მჭიდროდ არიან ერთმანეთში გადახლართული და მათ შორის მკაფიო ზღვარის დადება ყოველთვის არ ხერხდება.

მაშასადამე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თაღლითობა, როგორც მართლსაწინააღმდეგო და კანონსაწინააღმდეგო ქმედება დღესდღეობით განეკუთვნება იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც აქტუალურია და მრავალფეროვანია თავისი ჩადენის ხერხით და წარმოადგენს საზოგადოებისათვის (პატიოსანი, წესიერი და გულუდრყვილო ადამიანებისათვის) დიდ საფრთხეს და საშიშროებას.

ალექსანდრე ჯავახიშვილი  
სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლე-  
სი სასწავლებლის ასოცირებული პრო-  
ფესორი

## თაღლითობის ჩადენის ძირითადი ხერხები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXV-ე მუხლის თავში – ‘დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ ~ დადგენილია როგორც სისხლისამართლებლივი პასუხისმგებლობა სხვისი ნივთის დაუფლების, მისაკუთრების მიზნით, ან ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღების შესახებ.

აღნიშნული სახის დანაშაული სხვა დანაშაულებისგან განსხვავდება პირველ რიგში მისი ჩადენის ხერხით, სახელდობრ, თაღლითი კანონსაწინააღმდეგოდ ეუფლება მოქალაქეთა პირად ქონებას (სხვა ნივთს), ან ქონებრივ უფლებას მოტყუებით.

ამის შესაბამისად განვიხილოთ თაღლითობის ჩადენის ძირითადი ხერხი – მოტყუება, რაც გულისხმობს დაზარალებულის წინასწარ განზრას შეცდომაში შევვანას, გარკვეული ფაქტებისა და გარემოებების ხდომილებას, ე. ი. მისი საკუთარი ნებით (ნებაყოფლობით), ან წაქეზებით ქონების თაღლითისათვის გადაცემას. ასეთი ხერხით თაღლითი ეუფლება ამ ქონებას, როგორც საკუთარს, სამუდამოდ და უსასყიდლოდ. სწორედ, ამიტომ უნდა დადგინდეს ჭეშმარიტების განზრას დამახინჯება, წინააღმდეგ შემთხვევაში თაღლითობის შემადგენლობას ადგილი არ ექნება.

მოტყუებაში უნდა განვასხვავოთ მისი შინაარსი და ფორმა. შინაარსია სხვადასხვა გარემოებები, რომლებითაც თაღლითს შეჰყავს შეცდომაში დაზარალებული. მოტყუება შეიძლება შეეხოს საგნებს, პიროვნებებს, მოქმედებებს, ხდომილებებს, მათ ფაქტობრივ და იურიდიულ თვისებებს. მათ შინაარს შეადგენს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ხასიათის გარემოებები.

ფორმის თვალსაზრისით ნებისმიერი სიცრუე შეიძლება მიეკუთვნოს ორიდან ერთ-ერთ კატეგორიას: ჭეშმარიტების დამახინჯებას, ან ჭეშმარიტების დამალვას.

თვით კანონი არ შეიცავს სიცრუის განზრახვას, მაგრამ სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით, სიცრუედ ითვლება როგორც ჭეშმარიტების დამახინჯება (სიცრუის აქტიური ფორმა), როდესაც დამნაშავე, ანუ თაღლითი განზრას ამაზინჯებს გარემოებებს და შეჰყავს დაზარალებული შეცდომაში მათი ჭეშმარიტების შესახებ ატყობინებს მას აშკარად მცდარ ცნობებს, ისე ჭეშმარიტების დამალვა (სიცრუის პასიური ფორმა), როდესაც დამნაშავე სარგებლობს მისგან დამოუკიდებლად წარმოქმნილი დაზარალებულის მცდარი ინფორმირებით.

არსებობს ასევე თაღლითური სიცრუის ცალკე სახეები, რომლებიც შინაარსის მიხედვით მიზანშეწონილია დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

ა) სიცრუე პიროვნების შესახებ (მისი არსებობის, იგივეობის, განსაკუთრებული თვისებებისა და ხასიათის, პროფესიისა თუ კვალიფიკაციის);

ბ) სიცრუე სხვადასხვა საგნის შესახებ (მათ არსებობას, იგივეობას, ზომას, ხარისხს, ღირებულებას);

გ) სიცრუე სხვადასხვა ხდომილებების ფაქტებსა და მოქმედებების შესახებ:



დ) სიცრუე განზრახვების შესახებ (ცრუ დაპირებები).

სიცრუე პიროვნების შესახებ, რომელიც შეიცავს „სიცრუეს პიროვნებაში“, რაც ძალზე ხშირად გვხდება თაღლითობის საქმეებში, როდესაც თაღლითი იძლევა ცრუ ცნობებს როგორც საკუთარი პიროვნების, ისე თავისი თანამონაწილის შესახებ.

მაგალითად, ერთ-ერთი მსჯავრდებული, რომელიც მუშაობდა მშენებლობის სამინისტროში და თავს ასაღებდა ამ სამინისტროს თანამდებობის პირად, ირწმუნებოდა, რომ მას თითქოს შეეძლო დახმარება გაეწია ოროთახიანი ბინის აშენების მსურველთათვის და ამ ხერხით მან ორი წლის განმავლობაში არაერთხელ გამოართვა სხვადასხვა კლიენს ფული – საერთო ჯამში 47 000 ამერიკული დოლარი, დანაპირები კი არ შეუსრულა. სასამართლომ მის მოქმედებაში ცნო დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად 180-ე მუხლის ნაწილით. ზემოთ მოყვანილ მასალაში დამნაშავე თავს ასაღებდა თანამდებობის პირად, არწმუნებდა დაზარალებულს, რომ აქვს საშუალება გაუწიოს მას სამსახური, რითაც თავის მხრივ იწვევდა დაზარალებულის ცნობიერებაში ქონების გადაცემის განზრახვას.

სიცრუე შეიძლება ასევე ეხებოდეს მესამე პირსაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკია ამა თუ იმ პიროვნების არსებობის შესახებ. მაგალითად, თაღლითი დაარწმუნებს დაზარალებულს, რომ მისი ნათესავი ან ახლობელი, რომელიც გარდაცვლილად ითვლებოდა, ცოცხალია და ამ გზით ღებულობს ქონებას, ვითომ ამ პირისათვის გადასაცემად.

პიროვნებასთან დაკავშირებულ სიცრუეთა შორის შეიძლება გამოვყოთ სიცრუე „იგივეობაში“, როდესაც დამნაშავე წარმოადგენს თავის, ან თავის თანამონაწილეს, როგორც სხვა პირს, რათა მისაკუთროს სხვა პირის უფლებამოსილება, ანდა გამოიწვიოს მისი განსაკუთრებული ნდობა.

მოტყუების ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე მოტყუება „პიროვნულ თვისებებში“, რაც ნიშნავს იმას, რომ სუბიექტი აჯერებს ან ანიჭებს თავის მონაწილეს იმ თვისებებს, რომელიც მას არ გააჩნია და ამ შემთხვევას შეიძლება მიეკუთვნოს დამნაშავის ცრუ განცხადება იმის თაობაზე, რომ თითქოს იგი იცნობს ან ნათესაურ კავშირში იმყოფება ისეთ პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული სამსახური გაუწიონ მოტყუებულს (დაზარალებულს), ანდა თავდებად დაუდგნენ მას. მაგალითად, თითქოსდა თანამდებობის პირებისათვის ქრთამის გადასაცემად ფულის მიღებისას თაღლითი ხშირად ატყუებს დაზარალებულს ამ თანამდებობის პირებთან ნაცნობობის ფაქტის გამო.

სიცრუე დანაშაულის საგნის შესახებ – ცრუ ცნობები სხვადასხვა საგნის არსებობს, მათი რაოდენობის ფასის შესახებ. ჩვეულებრივ ამგვარი მოტყუება ხდება, როდესაც დამნაშავე გამყიდველის, ხოლო დაზარალებული მყიდველის როლშია. გარიგებას საგნის შესახებ ცრუ ცნობების მიწოდებით დამნაშავე ღებულობს საფასურს, რომელიც არ შეესაბამება გაყიდული საგნის ნამდვილ ღირებულებას და სწორედ არატოლფასოვანი გასამრჯელოს მიღებაშია ქონებრივი ხელყოფის ხასიათი.

სიცრუე საგნის არსებობის შესახებ ჩვეულებრივ უთავსდება სიცრუეს განზრახვაში. დამნაშავე ღებულობს ფულს ისეთი საგნის გაყიდვის დაპირებით, რაც მას არ გააჩნია და ამასთან, ბუნებრივია, წინასწარ იცის, რომ დანაპირებს ვერ შეასრულებს. სიცრუე შეიძლება ეხებოდეს საგნების რაოდენობას ან ზომას, როდესაც დამნაშავე გადასცემს დაზარალებულს გარიგების საგანს, დაპირებულზე რიცხვით, ზომით, ან წონით ნაკლებს და სწორედ ასეთი მოტყება ატარებს ყველაზე ხშირად ყიდვა-გაყიდვის დროს მოტყუების ფორმას.

მოტყუება რაოდენობაში ახლოსაა ხარისხში მოტყუებასთან. მოტყუებად რაოდენობაში უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ყიდვა-გაყიდვის პროცესში გარიგებით დადგენილი ფულადი თანხის დაზა-

# დიალოგიზის და სამართლი

რალებულისათვის შემცირებული ოდენობით გადაცემა.

იგივეობასა და ხარისხში მოტყუება ხდება მაშინ, როდესაც განსაზღვრული ნივთის მაგიერ კონტრაგენტს გადაეცემა სხვა არატოლფასი ნივთი. იგივეობაში მოტყუება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხარისხში მოტყუების კერძო შემთხვევა. განსხვავება მოტყუების ამ ორ სახეს შორის მხოლოდ იმაშია, რომ იგივეობის დარღვევის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ მაშინ, როდესაც სიცრუე ეხება საგნის ყველაზე მნიშვნელოვან თვისებებს, მათ არსა. ასეთი მოტყუება გამოისახება უბრალოდ სიტყვიერი რწმენით, რომ საგანი სწორედ ისეთია, როგორადაც მას ასაღებენ გადაცემის მომენტში ერთი საგნის მეორეთი შეცვლით, ან/და ფალსიფიკაციის გზით. საქართველოს სსკ-ის 197-ე მუხლის თანახმად, ფალსიფიკაცია გულისხმობს „მოტყუებით ნივთის თვისობრივ შეცვლას მნარმნებლის ან გამსაღებლის მიერ ჩადენილი ანგარებით“. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლის არსებობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებაა და, აქედან გამომდინარე, ჩდება საკითხი იმის თაობაზე, თუ როდის უნდა იქნეს ქმედება დაკვალიფიცირებული ფალსიფიკაციად და როდის თაღლითობით. ჩვენი აზრით, ფალსიფიკაცია თაღლითობაა, ვინაიდან გამყიდველი აქაც ატყუებს მყიდველს, მაგრამ მას მაინც აქვს თავისებურება.

საგნის ფალსიფიკაცია ყოველთვის ხარისხის გაფუჭებას ნიშნავს (გამყიდველი ღვინოში, თაფლში ან რძეში ხმარობს წყალს და ა.შ), მაგრამ თუკი გამყიდველი არ აფუჭებს პროდუკტს, მხოლოდ უცვლის მას ეტიკეტს (მაგალითად, მე-2 ხარისხის ნაცვლად ასაღებს უმაღლეს ხარისხად) და ამ გზით ითვისებს ფულს, მაშინ დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც ფალსიფიკაცია, არამედ როგორც თაღლითობა. მაგალითად, თაღლითობისათვის სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებული იქნა პირი იმის გამო, რომ იყიდა ალუმინის, ყვითელი ფერის 4 ლარად ღირებული ჩვეულებრივი ბეჭედი და ვითომ ოქროსია მიჰყიდა სხვას. სასამართლომ ეს ქმედება ცნო როგორც გასაყიდა ნივთის იგივეობის სიცრუე.

შესაძლებელია, ასევე რაიმე საგნის დამზადება, რომელიც სხვა ნივთს ჰგავს. მაგალითად, ე. წ. „კუკლა“ – თოჯინა, ქალადის შეკვრა, რომელიც ფულის შეკვრას წააგავს (ზოგჯერ მას ზემოდან ადებენ ნამდვილი ფულის 1-2 კუპიურას, ე. წ „ვერხუშკას“). ქალაქის სასამართლოს მიერ თაღლითობისათვის მსჯავრდებული იქნენ პირები 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ერთმა მათგანმა გაიცნო მოქალაქე და მასთან ერთად საუბრით სადგურზე გაყვა გზას. ამ დროს წინასწარ მოფიქრებული განზრახვით მათ გაუსწრო თანამგზავრმა, რომელმაც განგებ დააგდო ასფალტზე წინასწარ გამზადებული და ცვირსახოცში გახვეული ფულის შეკვრა, ზემოდან დატანებული ათლარიანით. ამ ორმა პირმა გადაწყვიტა ნაპოვნი ფულის გაყოფა და ამ მიზნით შევიდნენ იქვე სკვერში, სადაც მათ უცრად და მოულეოდნელად მიუახლოვდა თანამზრახველი და განუცხადა, რომ ახლახან მათ გვერდით ჩავლისას გაუვარდა ფულის შეკვრა 950 ლარის ოდენობით და ეჭვი მაქვს, რომ ეს ფული თქვენ აიღეთ. მან ყასიდად ჯერ თანამზრახველი გაჩერიკა, შემდეგ კი ორივემ ერთად უცნობი მოქალაქე, რომელსაც ერთ-ერთი ჯიბიდან მაღლად ამოაცალეს საფულე, რომელშიც შემდგომში აღმოჩნდა 250 ლარი, რაც შეუმჩნევლად მიისაკუთრეს და მყისვე მიიმაღწენ შემთხვევის ადგილიდან.

სასამართლოს მიერ მიცემული კვალიფიკაცია მცდარად მოგვეჩენა, რადგან მოქალაქის ქონების მითვისებისას უშუალო ხერხი იყო ქურდობა და კონკრეტულ შემთხვევაში მოტყუება, დამნაშავეებმა გამოიყენეს მხოლოდ ქურდობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ასეთი ქმედება, ჩვენი აზრით, უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ერთობლიობით.

სიცრუე ხდომილებებსა და მოქმედებების შესახებ შეიძლება იყოს რაიმე სამუშაოს შესრულე-



ბის ფაქტი, რომელიც ფაქტობრივად არ შესრულებულა, ან შესრულდა მცირე მოცულობით – კვალიფიცირდება, როგორც თაღლითობა. სიცრუე შეიძლება იყოს სათანადო გასამრჯელოს უკანონოდ მიღების მიზნით განეული ხარჯების შესახებ ყალბ მტკიცებაში. მაგალითად, მსჯავრდებული იყო პირი, რომელმაც სასაფლაოზე მუშად მუშაობის დროს მოტყუების გზით მიიღო მოქალაქის-გან 800 ლარი და შეჰპირდა მას მამის საფლავზე ბეტონის საძირკველის (ცოკოლის) მოწყობას, მოზაიკური ფილებისა და კარნიზების დაყენებას, მაგრამ გააკეთა მხოლოდ საძირკველი, ე. ი პრე-ისკურანტის მიხედვით შესრულდა მხოლოდ 317 ლარის სამუშაო, ხოლო დანარჩენი 483 ლარი კი მითვისებული იქნა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხდომილებებისა და მოქმედებების მხრივ სიცრუეს სახეების ამომწურავი ნუსხის მოცემა შეუძლია, რადგან თაღლითური მოტყუებების შინაარსი შეიძლება შეადგინოს ნებისმიერმა მოქმედებამ, ანუ ხდომილებამ. თუ ამგვარი მოტყუების შედეგად დამნაშავე დაზარალებულის ქონებას მიისაკუთრებს.

სიცრუე განზრახულობის შესახებ (ცრუ დაპირებები). ე. ი დამნაშავე დაპირებას იძლევა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება ქონების გამღები პირის სასარგებლოდ, ხოლო დაზარალებულის ქონების მიღების შემდეგ იყენებს მას საკუთარი თავის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარეობს, რომ ცნობები „სიცრუე განზრახულობის შესახებ“ და „ცრუ დაპირებები“ იდენტურია, ანუ ერთი და იგივეა.

ცრუ დაპირებების შინაარსია მომავალი დროის გარემოებები – თაღლითი დაპირებას იძლევა „იშოვოს“ დეფიციტური საქონელი, გადასცეს ფული დანიშნულებისამებრ, გადაიხადოს ვალი. ცრუ დაპირებები არის ყველაზე ტიპიური მოტყუება იმ გარემოებებში, რომლებიც მომავალს ეხება.

თაღლითური სიცრუეს მეორე ფორმაა ჭეშმარიტების დამალვა, ე. ი როცა თაღლითი მხოლოდ მაღავს ცნობებს ისეთი გარემოებების შესახებ, რომელთა ცოდნა თავს შეკავებინებდა დაზარალებულს ქონების გადაცემისაგან. ამიტომ სხვისი შეცდომის შეგნებული გამოყენება და ამ გზით სხვისი ქონების მითვისება სხვა არაფერია, თუ არა თაღლითობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, როდესაც თაღლითობის განხილვის დროს ზოგიერთი იურისტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის ჩადენის დროს აუცილებელია განხილული იყოს ასევე მოტყუების კიდევ ერთ-ერთი სახე, როგორიცაა, ნდობის ბოროტად გამოყენება (მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელი სისხლის სამართლის კოდექსში თაღლითობის მუხლში ნდობის ბოროტად გამოყენება იხილებოდა, როგორც თაღლითობის ჩადენის მეორე ხერხი), რომელიც არის მატერიალური სარფის უკანონოდ მიღების მიზნით დამნაშავესა და დაზარალებულს შორის შექმნილი განსაკუთრებული მიმნდობი დამოკიდებულების გამოყენება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ბოროტულად იყენებს მის მიმართ გამოხატულ ნდობას, რათა ამ გზით კანონსაწინააღმდეგოდ, უსასყიდლოდ და სამუდამოდ იგდოს ხელთ სხვისი ქონება.

ნდობის ურთიერთობათა საფუძველი შეიძლება უყოს ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოება: დაზარალებულის დამნაშავესთან ნაცნობობა, კონკრეტული გარემო პირობები, დაზარალებულის განსაკუთრებული მიმნდობლობა (ურთიერთობები მეზობლებს შორის, ნათესაური კავშირი, საერთო ნაცნობობა).

მიმნდობილობის ბოროტად გამოყენებაში უნდა ვიგულისხმოთ მეორე პირის გამოუცდელობა, მიმნდობლობა, განუვითარებლობა, რომელიც მის მიერ დადებული გარიგების გაუცნობიერებლობისას გამოიყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის ბოროტად გამოყენების სახესხვაობაა დაზარალებულის მიმდობლობის ბოროტად გამოყენებაც, მაგრამ ნდობის ბოროტად გამოყენება არის მინდობილობის

ბოროტად გამოყენების იდენტური, რადგან ეს ცნებები სხვადასხვა შინაარს გამოხატავენ, ვინაიდან ნდომა საერთო წესით გულისხმობს ადამიანებს შორის ურთიერთობის არსებობას. ნდობა ეს ყოველთვის ნებაა ვინმეს, ან რამის მიმართ, მიმნდობლობა კი ადამიანის ხასიათის თვისებათაგანია.

მიმნდობლობა, როგორც ადამიანის ხასიათის თვისება, შეიძლება იყოს ნდობის ურთიერთობის საფუძველი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი უნდა გამოიხატოს, გამოვლინდეს რაიმე მოქმედების სახით, რომ ნდობის ბოროტად გამოყენება გახდეს ქონების ხელყოფის დამოუკიდებელი საშუალება. მიმნდობლობის გამოყენება ასევე დამახასიათებელია მოტყუების გზით ჩადენილი თაღლითობისათვის. მეტიც, დაზარალებულთა მიმნდობლობით დამნაშავეები ხშირად სარგებლობენ ქურდობისა და სხვა დანაშაულების ჩადენის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტყუების ერთ-ერთ და განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ნდობის ბოროტად გამოყენება – ნდობის მოტყუება. ამიტომ ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთში გადახლართული და მათ შორის მკაფიო ზღვარის დადება ყოველთვის არ ხერხდება.

მაშასადამე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თაღლითობა, როგორც მართლსაწინააღმდეგო და კანონსაწინააღმდეგო ქმედება დღესდღეობით განეკუთვნება იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც აქტუალურია და მრავალფეროვანია თავისი ჩადენის ხერხით. იგი წარმოადგენს საზოგადოებისათვის (პატიოსანი, წესიერი და გულუბრყვილო ადამიანებისათვის) დიდ საფრთხეს და საშიშროებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ჯავახიშვილი, თაღლითობის ხერხები, სადისერტაციო ნაშრომი თბ., 1993.
2. ა. ჯავახიშვილი, თაღლითობის ხერხები უურნალი, „სამართალი“, №34, 1991.
3. ა. ჯავახიშვილი, თაღლითობა, სამეცნიერო ძიებანი., თბ., 2006.

**Tamar Vepkhvadze***Doctor of Law, Associate Professor  
of New Higher Education Institute*

## The Concept and Characteristics of the Air Carriage Agreement

### Abstract

Based on the Georgian and foreign Legislative analyses, the present article deals with the peculiarities of the air carriage agreement issues. Solving the problems in definitions concerning the legislative faults are also discussed in the presented article. At the same time the paper highlights definitions proposed by the author regarding article 668 of the Georgian Civil Code and article 63 of the Georgian Air Code.

**თამარ ვეფხვაძე**

სამართლის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

### საპარო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ცნება და მახასიათებლები

### რეზიუმე

ავიაციის სფეროში კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში წამყვანი ადგილი უკავია გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას, რომელშიც მოიაზრება არა ერთი ხელშეკრულება, არამედ ხელშეკრულებათა მთელი სისტემა. ეს სისტემა მოქმედებს ტრანსპორტის ყველა სახეობისათვის, მაგრამ მასში შემავალ ხელშეკრულებებს აქვს სხვადასხვა სამართლებრივი ბუნება და შემადგენლობა.

სტატიაში განხილულია საპარო გადაყვანა-გადაზიდვების ხელშეკრულების ცნება, სახეები და მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ქართული და უცხოური კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე. ასევე, მოცემულია დეფინიციებთან მიმართებაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და ჩამოყალიბებულია მათი გადაჭრის გზები. ნაშრომში შეთავაზებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის და საქართველოს საპარო კოდექსის 63-ე მუხლის ავტორისეული დეფინიციები.

საპარო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებლების განხილვისას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ კანონმდებლობაში ვხვდებით დეფინიციებთან და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. ასევე, სამოქალაქო კოდექსი გამოირჩევა სამგზავრო გადაყვანის დამარტინულირებელი ნორმების ფაქტობრივად არარსებობით, რაც წარმოშობს მთელ რიგ პრობლემებს გადაყვანა-გადაზიდვების მონაწილე მხარეებს შორის და ხშირ შემთხვევაში მომხმარებელთა უფლებების დარღვების საფუძველი ხდება.

თამარ ვეფხვაძე

სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი

## საპაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ცნება და მახასიათებლები

დღესდღობით სამეწარმეო ურთიერთობების ძირითადი ბაზისია ხელშეკრულება. ხელშეკრულება მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებაა, რომელშიც გამოხატულია ურთიერთხელ-საყრელი შეთანხმების თანხმობა. *Laissez-faire* დოქტრინამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სახელშეკრულებო ურთიერთობზე, რომლის მიხდევითაც ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არიან საუკეთესო მსაჯულები საკუთარი ინტერესებისა და მათ მინიჭებული აქვთ უფლება ნებაყოფლობით დადონ ხელშეკრულებები<sup>1</sup>.

ავიაციის სფეროში კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში წამყვანი ადგილი უკავია გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას, რომელშიც მოიაზრება არაერთი ხელშეკრულება, არამედ ხელშეკრულებათა მთელი სისტემა (მგზავრთა გადაყვანისა და ბარგის გადატანის ხელშეკრულება, ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება, ჩარტერი, ხელშეკრულება სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის გადაყვანა-გადაზიდვის ორგანიზების შესახებ, ხელშეკრულება ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის სამუშაოების ორგანიზების შესახებ და სხვ.). ეს სისტემა მოქმედებს ტრანსპორტის ყველა სახეობისათვის, მაგრამ მასში შემავალ ხელშეკრულებებს აქვს სხვა-დასხვა სამართლებრივი ბუნება და შემადგენლობა<sup>2</sup>.

საპაერო გადაყვანა-გადაზიდვის დეფინიცია ჩამოყალიბებულია საქართველოს საპაერო კოდექსის 63-ე მუხლში. არსებობს შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ყველანაირი დეფინიცია სამოქალაქო სამართალში საშიშია, რადგანაც მათი უარყოფა შეუძლებელია. ამასთან ერთად, ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივ ნორმებში, მაგალითად, გერმანიის კოდიფიცირებულ ნორმებში ხელშეკრულების დეფინიცია არ არის მოცემული, რაც განპირობებულია გერმანელ კანონმდებელთა გამიზნული ქმედებით – თავი აერიდებინათ ხელშეკრულების მრავალრიცხოვანი მახასიათებლებიდან რომელიმე მათგანის გამორჩენისაგან. მანამდე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის პროექტი კი, პირიქით, იმდენად იყო დატვირთული ტერმინოლოგით, რომ მან დაკარგა გამომხატველობა, სიცხადე და მოსახლეობისათვის გაუგებარი გახდა<sup>3</sup>. ანალოგიურად, ჰოლანდიის ძველი სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების მთელ რიგ განმარტებებს შეიცავდა, მაგრამ ახალ სამოქალაქო კოდექსში დეფინიციები უკვე აღარ არის მოცემული, რადგანაც ჰოლანდიელებს მიაჩნიათ, რომ საკმაოდ რთულია განსაზღვრო და დაარეგულირო როგორ უნდა ფუნქციონირებდეს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღმა ხელშეკრულებანი<sup>4</sup>. ფრანგი იურისტები სამოქალაქო



კოდექსის შექმნისას სარგებლობდნენ იმ აქსიომით, რომ სამართალში სახიფათოა ნებისმიერი გან-საზღვრება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: წარმოადგენს თუ არა აუცილებლობას კანონმდებელმა ჩამოაყალიბოს გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დეფინიცია სხვადასხვა სამართლებრივ ნორმებში?

სანამ აღნიშნულ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უმჯობესია, თავდაპირველად განვიხილოთ ნორმები, რომლებშიც გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დეფინიცია მოცემული, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლი და საქართველოს საპარაკო კოდექსის 63-ე მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლი განმარტავს გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას. ამ მუხლის თანახმად, „გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე“. აღნიშნული დეფინიცია მოიცავს როგორც სამგზავრო გადაყვანას, ასევე სატვირთო გადაზიდვას. ტერმინ „გადაზიდვის“ გამოყენება სამგზავრო გადაყვანის დროს ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ტერმინი „გადაზიდვა“ გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებით უსულო საგნების გადატანისას. მგზავრი, თავისთავად სულიერ არსებას განეკუთვნება, ამიტომაც ტერმინის „მგზავრთა გადაზიდვის“ გამოყენება სწორი არ არის, ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას „მგზავრთა გადაყვანა“. ამიტომ ის დეფინიცია, რაც სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლში არის ჩამოყალიბებული, უმჯობესია მოვიხსენით, როგორც „გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება“ და არა როგორც „გადაზიდვის ხელშეკრულება“. აღნიშნულთან დაკავშირებით შეუსაბამობას ვაწყდებით სამოქალაქო კოდექსის 670-ე მუხლთან მიმართებაში, სადაც კანონმდებელი იყენებს უკვე ტერმინს „გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება“, აგრეთვე, საქართველოს საპარაკო კოდექსშიც ანალოგიური ტერმინია გამოყენებული.

საქართველოში სამართლის რეცეპცია უცხოსამართლებრივი აქტების პირნმინდა ანდა შემოქმედებითი თარგმნის გზით ხორციელდებოდა. სამოქალაქო კოდექსში ერთმანეთში შეხამებულია როგორც შემოქმედებითი თარგმანები, ისე სრულიად ორიგინალური მიღვომები. ამიტომაცაა, რომ ქართული კანონმდებლობა ევროპულთან ჰარმონიზაციის ნიმუშია<sup>5</sup>.

როგორც ცნობილია, რეფორმის პროცესში არა მარტო ევროპული, არამედ რუსული სამართლებრივი აქტებიც გადმოღებილ იქნა, რასაც თან მოჰყვა რუსული კალკები, რითაც ქართული საკანონმდებლო ენაც დამახინჯდა<sup>6</sup>. ჩვენი აზრით, ტერმინ „გადაზიდვის“ გამოყენებაც სამოქალაქო კოდექსში, უნდა მომდინარეობდეს მისი უცხო ენიდან პირდაპირი თარგმანით. რუსული ტერმინი „пассажирские перевозки“ გამოიყენება, როგორც მგზავრთა გადაყვანის – „пассажирские перевозки“, ასევე ტვირთის გადაზიდვის – „грузовые перевозки“ დროს. ანალოგიური სიტუაცია ინგლისურშიც, სადაც მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა ერთი ტერმინით აღინიშნება – „carriage“. როგორც აღვნიშნეთ, ქართული ენის უნიკალური გრამატიკული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ტერმინ „გადაზიდვის“ გამოყენება მგზავრთა გადაყვანის დროს არასწორია და აღნიშნულის გამოსწორება გარდაუვალი აუცილებლობაა. ასევე ტერმინი „გადამზიდველი“ საჭიროებს კორექტირებას, რადგანაც მასში მოიაზრება ის საწარმო, რომელიც ტვირთის გადაზიდავს, მაგრამ ასევე გამოიყენება მგზავრთა გადაყვანის დროსაც, ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ „გადამზიდველის“ ნაცვლად კანონმდებლობაში გამოვიყენოთ „გადამყვან-გადამზიდველი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება უმჯობესია მოვიხსენით ტერმინით „გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეთორმეტე თავის პირველი ნაწილი

# დიალოგი და სემირთალი

„გადაზიდვის ხელშეკრულების“ ნაცვლად, მიზანშეწონილია დასათაურდეს, როგორც „გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლთან მიმართებაში გვაქვს კიდევ ერთი შენიშვნა. კერძოდ, ვთვლით, რომ მასში გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დეფინიცია არასრულფასოვნად არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, მუხლში მოცემულია მხოლოდ გადამყვან-გადამზიდველის ვალდებულებანი და იგნორირებულია როგორც მგზავრის, ასევე ტვირთის მიმღების ვალდებულებანი. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მუხლში განისაზღვროს ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები. ამასთან, როცა ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრის გადაყვანის ურთიერთობები საერთო, მაგრამ ურთიერთგანსხავებული ნიშნებითაც ხასიათდება, მიზანშეუწონელია მათი ერთი სამართლის ნორმაში განმარტება<sup>7</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვთავაზობთ კანონმდებელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას:

„მუხლი 668. ცნება

1. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდის საფუძველზე გადაიტანოს ტვირთი დანიშნულების ადგილზე და გადასცეს იგი საამისოდ უფლებამოსილ პირს, ხოლო ტვირთის გამგზვნი, ან სხვა უფლებამოსილი პირი ვალდებულია გადაიხადოს სატრანსპორტო მომსახურების საფასური.

2. მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულებით გადამყვან-გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდის საფუძველზე გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე, ხოლო ბარგის არსებობის შემთხვევაში გადაიტანოს იგი და გადასცეს მგზავრს, ან საამისოდ უფლებამოსილ პირს. მგზავრი, თავის მხრივ, ვალდებულია გადაიხადოს სატრანსპორტო მომსახურების საფასური.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დეფინიციის გაანალიზების შემდეგ, ჩვენ უკვე შეგვიძლია შევეხოთ საპაერო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დეფინიციას. საქართველოს საპაერო კოდექსის 63-ე მუხლში ჩამოყალიბებულია მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულება და ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება.

საქართველოს საპაერო კოდექსში ჩამოყალიბებულ დეფინიციასთან დაკავშირებით ჩვენ ერთი შენიშვნა გვაქვს. კერძოდ, მგზავრთა გადაყვანის ხელშეკრულების დეფინიციაში მითითებულია, რომ „მგზავრი ვალდებულებას კისრულობს გადაიხადოს მგზავრობისათვის დაწესებული საზღაური, ხოლო ბარგის ჩაბარების შემთხვევაში, მისი გადატანის საფასურიც“.

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საპაერო გადამყვან-გადამზიდველთა უმეტესობას დაწესებული აქვთ უფასოდ გადასატანი ბარგის წონა, რომელიც მერყეობს 20 კგ-დან 35 კგ-მდე, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ავიაკომპანია ახორციელებს გადაყვანა-გადაზიდვას და რომელი კლასით მიფრინავს მგზავრი. უფასოდ გადასატანი ბარგის წონა როგორც ქართული, ასევე უცხოური ავიაკომპანიების მიერ არის დაწესებული. დამატებითი საფასურის გადახდა მხოლოდ ზენორმატიული ბარგის არსებობის შემთხვევაში მოქმედებს. ამიტომაც, საქართველოს საპაერო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის ეს წინადადება უმჯობესია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მგზავრი ვალდებულებას კისრულობს გადაიხადოს მგზავრობისათვის დაწესებული საზღაური, ხოლო ზენორმატიული ბარგის არსებობის შემთხვევაში – მისი გადატანის საფასური“.

ჩვენ მიერ გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დეფინიციის განხილვის შედეგად, პასუხი გავეცით დასმულ კითხვას, მათ სამართლის ნორმაში გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რაც შემდეგში გამოიხატა: უმჯობესია სამართლის ნორმებში სრულყოფილად იყოს



ჩამოყალიბებული გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების დეფინიცია, რათა პრაქტიკაში ამ ნორმების გამოყენებისას, თავიდან ავიცილოთ მთელი რიგი პრობლემები. როგორც პროფესორი პ. ზონძე აღნიშვანს, ტერმინები აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოყიდოთ.<sup>8</sup> ვთვლით, რომ ზუსტად სამოქალაქო და საპარო კოდექსებში მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებების დეფინიციების დამაგრება, აუცილებლობაა. ამასთან, საზოგადოების განვითარება, ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესი საწინდარია სამართლებრივი შეხედეულებების ცვლილებისა. ამიტომ იმის მტკიცება, რომ კანონში დეფინიციების გამოყინებისაგან თავი უნდა შევიკავოთ, მართებული არ არის. არამედ, კანონში ჩამოყალიბებული დეფინიციების ცვლილება ჯანსაღ და პროგრესულ პროცესად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეთორმეტე თავი დასათაურებულია: „გადაზიდვა-გადაყვანა“. სათაურიდან გამომდინარე, აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს იმ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს როგორც სატვირთო გადაზიდვებს, ასევე სამგზავრო გადაყვანას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელზე აღნიშნულ თავში ნაკლებად არის საუბარი. ჩვენი აზრით, მიზან-შეწონილი იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატებით ჩაგვემატებინა ის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს სამგზავრო გადაყვანას, რის აუცილებლობასაც მოითხოვს თავად ამ თავის სათაურიც „გადაყვანა-გადაზიდვა“.

სამგზავრო ავიაგადაყვანის ხელშეკრულება კონსენსუალურ ხელშეკრულებას განეკუთვნება. მგზავრსა და გადამყვანს შორის ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულების პირობების შეთანხმების საფუძველზე მგზავრის მიერ ავიაბილეთის შეძენისას. აღნიშნულ შემთხვევაში რაიმე დამატებითი მოქმედება საჭირო არ არის.

სატვირთო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება სამგზავრო გადაყვანის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით ატარებს რეალურ ხასიათს, რადგანაც იგი დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც ტვირთი გადაეცემა გადამზიდველს გადასაზიდად. ამ მოსაზრებას მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებს. ასევე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჩარტერის ხელშეკრულება კონსენსუალურ ხასიათს ატარებს და ასევე ტვირთის გადაზიდვის ორგანიზების ხელშეკრულებაც კონსენსუალურადაა მიჩნეული<sup>9</sup>.

საპარო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა. ასევე, თუ ტვირთის გამგზავნი და მიმღები სხვადასხვა პირია, იგი მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება და მასში მიმღები მესამე პირად აღიქმება. საპარო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას ახასიათებს ის ნიშან-თვისებები, რომლებიც მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებს აქვთ. კერძოდ, ტვირთის მიმღების უფლებები წარმოიშობა მისი აქტიური მონაწილეობისა და დაინტერესების გარეშე, ასევე, მას უფლება აქვს უარი თქვას მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაზე და არ მიიღოს ტვირთი.

სამოქალაქო სამართლში ჩამოყალიბებულია დებულება, რომლის მიხედვითაც ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტის მიერ ხელშეკრულების დადების თავისუფლება შეიძლება შეიძლებოს ხელშეკრულების დადების ვალდებულებით, ე.წ. კონტრაპირების იძულებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა უკავია, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ამასთან, პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის, ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაქმიაყოფილებლად იძენენ, ან სარგებლობენ მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის

ფარგლებში. აღნიშნული ნორმა გამოიყენება საპარტო გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელებისას, რომლის მიხედვითაც გადამყვან-გადამზიდველები შეზღუდული არიან კონტრაპენტის თავი-სუფლად არჩევაში და ისინი ვალდებული არიან დადონ ხელშეკრულება. მომხმარებელს კი, თავის მხრივ, უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების დადება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 670-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას, ვალდებულია დადოს გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი. უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ფრენის შეწყვეტა, საპარტო ხომალდზე სამგზავრო ადგილების არარსებობა, ან რამე ფორმსმაჟორული სიტუაცია და სხვა.

სამგზავრო ავიაგადაყვანის ხელშეკრულება სტანდარტულ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება. გადამყვან-გადამზიდველის მიერ მგზავრისადმი შეთავაზებული ხელშეკრულების ფორმულარი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამასთან, გადამყვან-გადამზიდველი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ლიცენზირებული გადამზიდველია, რომელსაც აკისრია ვალდებულება, განახორციელოს გადაყვანა-გადაზიდვა ნებისმიერი პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც სურს ასეთი სახის მომსახურების მიღება<sup>10</sup>.

დომინირებული მდგომარეობის მქონე საწარმოს უფლება არა აქვს კონტრაპენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. ავიაკომპანიების მიერ გადაყვანა-გადაზიდვისათვის დაწესებული ტარიფი იმდენად რეალური უნდა იყოს, რომ მასში დომინირებული პიზიციიდან მიღვომა არ უნდა შეიმჩნეოდეს. სწორედ ერთან ევროპულ საპარტო სივრცეში განევრიანება ქართულ მხარეს აკისრებს ვალდებულებას ბაზარზე შექმნას კონკურენციული გარემო და ტარიფების ლიბერალიზაცია მოახდინოს. აღსანიშნავია, ევროპული სამართალი არ კრძალავს ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას, არამედ, აკრძალულია ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება<sup>11</sup>. ევროკავშირის საპარტო სამართალი წევრ ქვეყნებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას ფასების დაწესებაზე. ლიბერალიზაციის მესამე პაკეტით აიკრძალა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა და კონტროლი, ასევე, აღარ მოითხოვება ტარიფების სახელმწიფოსთან შეთანხმება.

საპარტო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება სასყიდლიან ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც გამოიხატება გადამყვან-გადამზიდველის მიერ გადაყვანა-გადაზიდვის საფასურის დაწესებაში. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ პრაქტიკაში შესაძლებელია შევხვდეთ უსასყიდლო გადაყვანა-გადაზიდვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს საფასურის გადახდაზე და უსასყიდლო გადაყვანა-გადაზიდვებს არ იცნობს. საქართველოს კანონმდებლობაში დამატებით უნდა იქნას შეტანილი ამ ურთიერთობის დამარეგულირებელი ნორმები, აქვე აღვნიშნავთ, რომ მონრეალის კონვენცია<sup>12</sup> და ევროპის სამართალი უშვებს უსასყიდლოდ გადაზიდვის არსებობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეობას განეკუთვნება ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის ხელშეკრულება, რომელიც ორმხრივი, სასყიდლი-ანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. ტვირთის გადაზიდვის ორგანიზების ხელშეკრულების თანახმად, გადამზიდველი კისრულობს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში მიიღოს, ხოლო ტვირთის მფლობელი კი ვალდებულია გადასცეს გადასაზიდად ტვირთი შეთანხმებული ოდენობით. ხელშეკრულებაში განისაზღვრება ტვირთის ოდენობა, წარდგენისა და მიწოდების ვადები, სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის, ანგარიშსწორებისა და სხვა პირობები. ხელშეკრულება, როგორც წესი, ატარებს გრძელვადიან ხასიათს და იდება გადამზიდველსა და ტვირთის გამგზავნს შორის ტვირთის სისტემატურად გადაზიდვისას. იგი განეკუთვნება ორმხრივ, სასყიდლი-ან და კონსენსუალურ ხელშეკრულებათა რიცხვს. ასეთი სახის ხელშეკრულებას საქართველოს



სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, თუმცა ხელშეკრულების თავისუფლად დადების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ დადონ მსგავსი ხელშეკრულება კანონის ფარგლებში. მსგავ-სი ტიპის ხელშეკრულებანი გვხვდება რუსეთის სამართალში. კერძოდ, რუსეთის სამოქალაქო კო-დექსის 798-ე მუხლის მიხედვით, გადამზიდველსა და ტვირთის მფლობელს ტვირთის სისტემური გადაზიდვისათვის უფლება აქვთ დადონ გრძელვადიანი ხელშეკრულება ტვირთის ორგანიზაციის შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ და-დონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწი-ნააღმდეგება მათ. ქართულ სახელშეკრულებო პრაქტიკას რომ გადავხედოთ, ჩემ მიერ ავიაკომ-პანიებში მუშაობის პერიოდში ხშირად შემხვედრია ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის ხელ-შეკრულებანი, რომლებშიც დაწვრილებით არის განერილი თითოეული მხარის უფლებები და ვალდებულებები. ასეთი ხელშეკრულებები ამარტივებს გადაყვანა-გადაზიდვებს და მათ უფრო ორგანიზაციულსა და სწრაფს ხდის. ასევე, გადამყვან-გადამზიდველებს აცილებს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება გადაყვანა-გადაზიდვის დროს წარმოიშვას.

საპარავო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეობას განეკუთნება ჩარტერის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას წინასწარ განსაზ-ღვრულ საფასურად გადასცეს მეორე მხარეს საპარავო ხომალდი, ან მისი ნაწილი ერთ, ან რამდე-ნიმე რეისზე ტვირთის, ბარგის გადასაზიდად, ან მგზავრთა გადასაყვანად<sup>13</sup>. თ. ზამპახიძის აზრით, ჩარტერის ხელშეკრულება კლასიკური გაგებით არ არის გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება. იგი ემიჯნება როგორც ქირავნობის, ასევე გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების კონსტრუქ-ციებს<sup>14</sup>. აღნიშნულ მოსაზრებას ჩვენ ვერ გვიზიარებთ. ჩარტერის ხელშეკულების საფუძველზე, ტურისტული სააგენტო აფორმებს ხელშეკრულებას გადამყვან-გადამზიდველთან და ქირაობს მთლიანად საპარავო ხომალდს, ან მის ნაწილს. ამ შემთხვევაში, სააგენტო არ გამოდის როგორც ავიაკომპანიის აგენტი. მიუხედავად ამისა, მგზავრი იძენს უფლებას, როგორც ბენეფიციარი პირი და უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ავიაკომპანიისაგან<sup>8</sup>.

ჩარტერის ხელშეკრულების გამოყენება პირდაპირ კავშირშია გადაყვანა-გადაზიდვების გან-ხორციელებასთან. საპარავო გადაყვანა-გადაზიდვებში ჩარტერი საკმაოდ ხშირად გამოიყენება, მაგრამ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა პასუხისმგებლობის ნორმების ფაქტობრივად არარსებობით გამოიჩინება. ქართულ პრაქტიკაში ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ტუ-რისტულ კომპანიებს ჩარტერით აუღიათ საპარავო ხომალდი, მაგრამ მგზავრები დანიშნულების ადგილზე არ გადაუყვანიათ, ან უკანა რეისი ალარ შეუსრულებიათ, რადგან ავიაკომპანიას არ გა-დაურიცხეს ჩარტერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქმაოდ მნიშვნელოვან პრაქტიკას აწესებს გერმანული სამარ-თალი. კერძოდ, 1985 წელს გერმანიის სასამართლომ განიხილა საქმე<sup>15</sup>, რომლის არსი მდგომარე-ობდა შემდეგში. ტურისტულმა სააგენტომ ჩარტერით აიღო საპარავო ხომალდის ნაწილი რეისზე ფრანგფურტი-სანტა-ლურია და გაყიდა ბილეთები. მგზავრები გამოცხადდნენ რეგისტრაციაზე, ავიაკომპანიამ მათ უარი განუცხადა ფრენაზე, რადგანაც, სააგენტო, სადაც ბილეთები ჰქონდათ ნაყიდი, გაკოტრდა და მას ავიაკომპანიის მიმართ დავალიანება დარჩა გადასახდელი. მგზავრები იძულებულნი გაახდნენ შეეძინათ ახალი ბილეთი. მგზავრებმა სადაზღვევო კომპანიისაგან მოით-ხოვეს თანხის ანაზღაურება და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თავის მხრივ, სადაზღვევო კომ-პანიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში ავიაკომპანიის წინააღმდეგ და მოითხოვა გადახდილი თანხის რეგრესის წესით უკან დაბრუნება. გერმანიის სასამართლომ განიხილა საქმე და გამოიტა-

ნა მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც სახელძღვანელოდ იქცა მომდევნო მსგავსი საქმეების განხილვისას. კერძოდ, სასამართლომ იხელმძღვანელა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის მიხედვით, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულებით შესაძლებელია, შეთანხმებულ იქნეს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ ისე, რომ მესამე პირმა უშუალოდ შეიძინოს შესრულების მოთხოვნის უფლება (26, 236). აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ მგზავრები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ავიაკომპანიისაგან გადაყვანა-გადაზიდვა და თავის მხრივ ავიაკომპანია ვალდებულია შეასრულოს იგი. მგზავრი, რომელიც სააგენტოში იძენს ბილეთს, უფლებამოსილი არ არის იცოდეს ავიაკომპანიასა და სააგენტოს შორის რა ტიპის ხელშეკრულებაა გაფორმებული და რა ვალდებულებები აკისრიათ ერთმანეთის მიმართ. მგზავრები სასამართლომ მიიჩნია, როგორც ბენეფიციარი მესამე პირი, ხოლო ჩარტერის ხელშეკრულება კი – მესამე პირთა სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაა. ავიაკომპანია, მესამე პირის – მგზავრის წინაშე ვალდებულია შეასრულოს დანაპირები და განახორციელოს გადაყვანა-გადაზიდვა. ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვისგან შეიძინა მგზავრმა ბილეთი, ავიაკომპანიისგან თუ სააგენტოსაგან<sup>17</sup>. ჩარტერის ხელშეკრულების რეგულირებისას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ საბჭოს 1990 წლის 13 ივნისის დირექტივით №90/314/EC „მოგზაურობის, დასვენებისა და ტურისტული პაკეტების შესახებ“.<sup>18</sup> იგი ევროკავშირის ტერიტორიაზე აწესებს ერთიან წესებს.

საპარო გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებლების განხილვისას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ კანონმდებლობაში ვხვდებით დეფინიციებთან და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ ხარვეზებს. ასევე, სამოქალაქო კოდექსი გამოირჩევა სამგზავრო გადაყვანის დამარტეგულირებელი ნორმების ფაქტობრივად არარსებობით, რაც წარმოშობს მთელ რიგ პრობლემებს გადაყვანა-გადაზიდვების მონაწილე მხარეებს შორის და ხშირ შემთხვევაში მომსარებელთა უფლებების დარღვების საფუძველი ხდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Eliot C. Quinn F. 2011. Contract Law. Eighth Edition. London: Longman, Pearson. P.4.
2. Суханов Е.А. Гражданское право. том IV, 3-е издание. М.: Московский Государственный университет имени М.: В. Ломоносова. 2008. Ст 121-123.
3. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, გვ.141.
4. მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006, გვ. 113.



5. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005. გვ.173.
6. იქვე, გვ.174.
7. შ. გაბიჩვაძე, საპაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2011, გვ.61.
8. ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, გვ. 155.
9. Брагинский М.И. Витрянский В.В. Договорное право. Книга четвертая. М.: СТАТУТ. 2008. Ст 145.
10. თ. ვეფხვაძე, სამგზავრო ავიაგადაყვანის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შედარებითი ანალიზი, ცხოვრება და კანონი, №4(8), 2009, გვ.49-54.
11. გ. გაბრიჩიძე, ევროპის კავშირის სამართალი, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2012, გვ. 251.
12. მონრეალი, კონვენცია, საერთაშორისო საპაერო გადაყვანა-გადაზიდვის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ, 28.05.1999. გ. 1.1.
13. დ. გეფერიძე, საერთაშორისო საპაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ასპექტები, დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2008, გვ. 37.
14. ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი პირველი, სამართალი, თბ., 2001, გვ. 315.
15. Markesinis B.S. Unberath H. Johnston A.C. The German law of contract. Comparative treaties. German: Hurt Publishing. 2006. P. 193.
16. გერმანია, უზენაესი სასამართლო, გადაწყვეტილება: BGHZ 93, 271. № 57. 2014.
17. Markesinis B.S. Unberath H. Johnston A.C. The German law of contract. Comparative treaties. German: Hurt Publishing. 2006. P.193-194.
18. ევროპის გაერთიანება, საბჭოს დირექტივა: მოგზაურობის, დასვენებისა და ტურისტული პაკეტების შესახებ, 90/314/ EC, 13.06.1990.

**Davit Khobelia**

*Doctor of Law, Associate Professor of  
Samtskhe-Javakheti State University  
Associate Professor of New Higher  
Education Institute*

## **The Executive Power in the Parliamentary Republic**

### **Abstract**

The article deals with the formation of the government of the parliamentary republic and the role and function of President while creating the government in the parliamentary republic. One of the main features of the parliamentary system is that it does not have the different election procedures for legislative and executive branches: the heads of governments, the prime minister and his cabinet – are composed by MPs and are given confidence by the parliamentary authorities.

Modern parliamentarism was born in England, although Spain and Ireland also claim to be the motherland of parliamentarism. History of establishment and the origin of parliamentarism didn't pass Georgia, our country. In XI century it faced incredible novelty. When in the whole world the only form of government was monarchy, the consultative body was created in Georgia which was named "Karavi" (tent), which in fact meant gaining of the legislative authority.

**დავით ხობელია**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესიონალური

**აღმასრულებელი ხელისუფლება საპარლამენტო რესპუბლიკაში****რეზიუმე**

თანამედროვე პარლამენტარიზმის უშუალო წინაპრად ინგლისის პარლამენტი მოიაზრება, თუმცა პარლამენტარიზმის სამშობლოს აღიარებაზე პრეტენზიას აცხადებენ ესპანელები და ირლანდიელებიც. პარლამენტარიზმის წარმოშობისა და დამკვიდრების ისტორიას არც საქართველოს მიღმა ჩაუვლია. ჩვენი ქვეყანა, მისი აღმავლობის ხანაში, XI საუკუნეში პირისპირ დადგა იმდროისთვის წარმოუდგენელი სიახლის წინაშე. მაშინ, როდესაც მსოფლიოში, მონარქიის გარდა მმართველობის სხვა ფორმას რულიად წარმოუდგენელი იყო, საქართველოში შეიქმნა სათათბირო ორგანო, „კარავი“, რაც ფაქტობრივად, საკანონმდებლო ხელისუფლების დაუფლებას ნიშნავდა.

სტატიაში საუბარია მთავრობის ფორმირებაზე საპარლამენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტის როლზე და ფუნქციაზე საპარლამენტო რესპუბლიკაში მთავრობის შექმნისას. საპარლამენტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ მას არა ქვს სხვადასხვა საარჩევნო პროცედურა საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისათვის: მთავრობის მეთაურები – პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი – კომპლექტდება პარლამენტართაგან და საპარლამენტო ორგანოსაგან ნდობის მინიჭებას მოითხოვს.

დავით ხობელია

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## აღმასრულებელი ხელისუფლება საპარლამენტო რესპუბლიკაში

თანამედროვე პარლამენტარიზმის უშუალო წინაპრად ინგლისის პარლამენტი მოიაზრება, თუმცა პარლამენტარიზმის სამშობლოს აღიარებაზე პრეტენზიას აცხადებენ ესპანელები და ირლანდიელებიც.

პარლამენტარიზმის წარმოშობისა და დამკვიდრების ისტორიას არც საქართველოს მიღმა ჩაუვლია, ჩვენი ქვეყანა, მისი აღმავლობის ხანაში, XI საუკუნეში პირისპირ დადგა იმ დროისთვის წარმოუდგენელი სიახლის წინაშე. მაშინ, როდესაც მსოფლიოში, მონარქიის გარდა მმართველობის სხვა ფორმა სრულიად წარმოუდგენელი იყო, ახალგაზრდა თამარ მეფეს ტახტზე ასვლისთანავე დაუპირისპირდა ძლიერი პოლიტიკური მდგომარეობის მქონე დიდებულთა გარკვეული წრე, რომელთაც მოსთხოვეს მეფეს მმართველობის ძირეული საკითხებისა და სასამართლო ხელისუფლების მათვის გადაცემა. მათ მიერ შექმნილი სათათბირო ორგანო, „კარავი“, ფაქტობრივად, საკანონმდებლო ხელისუფლების დაუფლებასა და მეფისათვის მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების დატოვებას გულისხმობდა. მართალია, იმ პერიოდის საქართველო არ აღმოჩნდა მზად აღნიშნული ცვლილებებისათვის და არც მონარქიის საძირკველი იყო სათანადოდ შესუსტებული, რომ მეამბოხებს სრულყოფილი გამარჯვებისათვის მიეღწიათ. ამ ფაქტს მეცნიერები სამართლი-ანად მიიჩნევთ XIII საუკუნის ინგლისის „თავისუფლებათა დიდი ქარტის“ წინამორბედად, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა ინგლისის მეფის ძალაუფლება.

საპარლამენტო სისტემის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მას არ აქვს სხვადასხვა საარჩევნო პროცედურა საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისათვის: მთავრობის მეთაურები – პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი – კომპლექტდება პარლამენტართა განდა საპარლამენტო ორგანოსაგან, ნდობის მინიჭებას მოითხოვს.

საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების დანაწილების სისტემაში პარლამენტის უპირატესობა, რაც გამოხატულებას პოულობს მთავრობის საპარლამენტო გზით ფორმირებასა და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობაში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობა, როდესაც მთავრობის ერთი წევრისადმი, განსაკუთრებით, მისი თავმჯდომარისადმი უნდობლობა მთელი მთავრობის გადადგომას იწვევს.

საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის მონაწილეობა და როლი მთავრობის ფორმირებაში წომინალურია. მთავრობა ფორმირდება იმ პარტიათა მიერ, რომლებიც არჩევნებში მანდატების უმრავლესობას მოიპოვებენ პარლამენტში. მმართველობის ასეთი ფორმის დროს არსებობს პრემიერმინისტრის თანამდებობა, რომელსაც ნიშნავს ან ირჩევს პარლამენტი. ზოგ შემთხვევაში კი პრემიერ მინისტრს ფორმალურად პრეზიდენტი ნიშნავს.

საპარლამენტო სისტემას ჰქონის, ან დამოუკიდებლად არჩეული ხელმძღვანელი, ან მმართველი,



რომლის როლი უმთავრესად „ცერემონიულია“, ხოლო უფლებები ზუსტად არის განსაზღვრული. მთავრობის მეთაური, ჩვეულებრივ პრემიერ-მინისტრად წოდებული, პირდაპირი არჩევნების გზით არ აირჩივა იგი იღებს თანამდებობას პარტიის ღიდერობის წყალობით და მისი მმართველობის პერიოდი არ აღემატება პარლამენტის ფუნქციონირების ვადას. პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი, რომელიც კომპლექტდება პარლამენტის წევრთაგან, მოითხოვს საკანონმდებლო ორგანო-საგან გარკვეული დროით ნდობის მინიჭებას, რათა იგი უფლებამოსილი გახდეს. მას შემდეგ, რაც კაბინეტი ფორმირდება, იგი კოლეგიალურად ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

საპარლამენტო სისტემის რესპუბლიკებში მთავრობა ფორმირდება საპარლამენტო ფორმირების გზით. ყველაზე ხშირად მთავრობის მეთაურს ნიშნავს პარლამენტი, ან იგი ინიშნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ, პარლამენტში შემდგომი დამტკიცებით. პრემიერ-მინისტრი აყალიბებს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ კაბინეტს. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მოიწონებს პრემიერ-მინისტრის მიერ შემოთავაზებულ კანდიდატებს, მაშინ ახალი მთავრობა ჩამოყალიბებულად ითვლება და პარტიის ლიდერი პრემიერ-მინისტრი ხდება. კაბინეტის ფორმირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის წევრებისაგან, ან ის შეიძლება შედგებოდეს იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც ჯერ არავითარი თანამდებობა არ უკავიათ, ან კიდევ, კაბინეტის წევრების უფრო გავრცელებული მოდელის მიხედვით, სადაც კაბინეტის წევრებიც არიან. მნიშვნელოვანი ძალაუფლება პარლამენტის ფარგლებს გარეთაც არსებობს და იგი გააჩნია არა მარტო კაბინეტს, არამედ ამომრჩევლებსაც. ზოგიერთ საპარლამენტო სისტემაში, კანონმდებლების მიერ მთავრობის „ჩა-მოგდების“ შედეგად, თავად პარლამენტს ითხოვენ. ახალი არჩევნები დაუყოვნებლივ უნდა გაიმართოს და ამომრჩეველთა კრება, რომელიც შედგება ცალკეული ამომრჩევლებისაგან, იღებს ძალაუფლებას, რაც საშუალებას აძლევს მას გადაწყვიტოს ის სადაო საკითხი. საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს ფორმალურად ფართო უფლებამოსილება გააჩნია, მაგრამ პრაქტიკაში იგი ვერ ახდენს რაიმეზე გავლენას სახელმწიფო ხელისუფლებაზე.

პრეზიდენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მთავრობის, ან პარლამენტის თანხმობის შემდეგ, რომლებსაც ასევე ეკისრებათ პასუხისმგებლობა.

საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებლად ითვლება არა სახელმწიფოს მეთური, როგორც ეს საპრეზიდენტო რესპუბლიკისთვისაა დამახასიათებელი, არამედ კოლეგიური ორგანო მთავრობის სახით, იქნება ეს მინისტრთა საბჭო, კაბინეტი თუ სხვა. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, როგორც აღვნიშნეთ, ფორმალურია და მისი სამართლებრივი ბუნება შეესაბამება ფორმულას: „მეფობს, მაგრამ არ მართავს“ სახელმწიფოს მეთაურის მოქმედებაზე პასუხისმგებელია მთავრობა. სახელმწიფოს მეთაურის სამართლებრივი აქტი იურიდიული ძალის მქონედ არ ჩაითვალოს, თუ ისინი განმტკიცებული არ იქნებიან მთავრობის მეთაურის ან კომპეტენტური მინისტრის ხელმოწერით, რომლებიც ამას შემდგომ საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას მათ მიერ კონტრასიგნებული აქტის შესრულება-განხორციელებისათვის. პრაქტიკულად, ყველა აქტი, რომელიც სახელმწიფო მეთაურისაგან გამომდინარეობს, მზადდება და ხორციელდება მთავრობის მიერ.

მთავრობის ფორმირების პროცესში პარლამენტის როლი ყველა ქვეყანაში კონკრეტულ სახეს ატარებს. სახელმწიფო მეთაურისა და პარლამენტის მიერ მთავრობის ფორმირების მეტად რთული პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია შემდეგი გზებით:

- სახელმწიფოს მეთაური წამოაყენებს მთავრობის მეთაურისა და წევრების კანდიდატურებს და პარლამენტის მიერ მათი მოწონების შემთხვევში სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს მათ;
- სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს მთავრობის მეთაურისა და წევრებს, რომელთაც შემდეგ პარლამენტი იწონებს;

## დიალოგიური და სამართლი

- სახელმწიფოს მეთაურს ნიშნავს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი მთავრობის მეთაურის კანდიდატურა, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილ მინისტრებს.
- სახელმწიფოს მეთაური მთავრობის მეთაურსა და წევრებს ფორმალურად ნიშნავს პარლამენტის ყოვლებელი ოფიციალური მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში მთავრობის მეთაური არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერია.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის არჩევანი გამოხატავს არა საკუთარ ნებას, არამედ ქვეყნის პარლამენტში არსებულ პოლიტიკურ ძალთა განლაგებას.

საპარლამენტო გზით მთავრობის ჩამოყალიბების პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ძალთა ბალანსზე, რაც გამოხატულებას პარლამენტის პარტიულ შემადგენლობაში პოულობს.

საპარლამენტო ქვეყნებში პარლამენტის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი წარმოადგენს. საპარლამენტო კონტროლი და მისი განხორციელების ფორმები მრავალგვარია, რაც სახელმწიფო ორგანოთა სისტმაში პარლამენტის ადგილთან დამართვა-გამგეობის ფორმასთან არის კავშირში. განასხვავებენ საპარლამენტო კონტროლის ორ ფომას: პოლიტიკურსა და იურიდიულს. პოლიტიკური კონტროლის ფორმებია: სამთავრობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხილვა, საპარლამენტო შეკითხვები, ნდობის ვოტუმის მიცემაზე უარი და ინტერპელაციის ფორმით უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება, მთავრობისა და მინისტრების მოხსენებებისა და ანგარიშების მოსმენა, მუდმივი კომისიების თუ კომიტეტების საკონტროლო საქმიანობა, პარლამენტის მიერ შექმნილი სპეციალური ორგანოების და დანიშნული ცალკეული თანამდებობების პირების მიერ საკონტროლო საქმიანობის განხორციელება, დელეგირებულ კანონმდებლობაზე კონტროლი. იურიდიული კონტროლის ფორმად აღიარებულია ახლადარჩეული დეპუტატების უფლებამოსილების სისწორის კონტროლი, სპეციალური საგამოძიებო კომისიების საქმიანობა და იმპირმენტის ინსტიტუტი, რომელიც უფრო მეტად საპარლამენტო პასუხისმგებლობის იურიდიული ფორმა.

საპარლამენტო კონტროლის პოლიტიკურ ფორმას ადგილი აქვს პარლამენტის ახალი შემადგენლობის მოწვევის შემდეგ, ან მორიგი სესიის გახსნისას, სამთავრობო განაცხადების საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე იმართება დისკუსია, რომლის დროსაც დეპუტატები მთავრობის პოლიტიკას, ან მის ცალკეულ ასპექტებს აფასებენ.

საპარლამენტო კონტროლის განსაუთრებულ ნაირსახეობად ითვლება სადეპუტატო შეკითხვის ინსტიტუტი, რომელიც მიმართულია მთავრობის ადმინისტრაციული მინისტრისადმი. განასხვავებენ მარტივ და წერილობით, ასევე ინტერპელაციის წესით წარმოდგენილ შეკითხვებს, რაც საკმაოდ რთული მექანიზმია, ამიტომაც იგი ყველაზე ქმედით ფორმად ითვლება. ინტერპელაციის წესით წარმოდგენილ შეკითხვისათვის საჭიროა, რომ იგი ხელმოწერილ იქნას პარლამენტისა და განსაზღვრული იდენტობის მიერ, საჭიროა დადგინდეს მისი წარდგენისა და განხილვის მკაფრად განსაზღვრული ვადები. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პასუხის განხილვას მოსდევს კამათი, რაც შეიძლება მთავრობის, პრემიერ-მინისტრის, ან ცალკეული მინისტრის მიმართ გაკიცხვის რეზოლუციის გამოტანით დამთავრდეს, რომელიც შეიძლება ნდობის საკითხზე კენჭისყრის საფუძვლი გახდეს.

საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვანი ფორმაა ასევე ნდობის საკითხის დაყენება პარლამენტის წინაშე. განასხვავებენ ნდობის გამოცხადებაზე უარსა და უნდობლობის ვოტუმის ფორმებს. ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმას ადგილი აქვს, როდესაც მთავრობა თვითონ აყენებს ნდობის საკითხს იმ აქტთან დაკავშირებით, რომლის მიღებასაც ცდილობს პარლამენტისგან. რაც შეეხება უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას, იგი საპარლამენტო ინიციატივის შედეგი შეიძლება იყოს.



საპარლამენტო სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობის საქმიანობაზე კონტროლს ახორცი-ელებენ საპარლამენტო კომისიები და კომიტეტები.

საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში პარლამენტს, მთავრობაზე კონტროლის მიზნით, უფლება აქვს შექმნას სპეციალური ორგანოები, ან განაწესოს საკონტროლო ფუნქციით აღჭურვილი პი-რები. მაგალითად, რუმინეთსა და უნგრეთში, ასევე ბევრ სხვა საპარლამენტო სისტემის ქვეყანაში შექმნილია საანგარიშო თუ საკონტროლო პალატები, მოქმედებენ ასევე საფინანსო რევიზორები, გენერალური კონტროლიორები, შეიარაღებულ ძალებში კანონიერების დაცვაზე კონტროლისა და სხვა კომისიები.

აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც თავდაპირველად შევედეთში შეიქმნა. ომბუდსმენის უფლე-ბამოსილება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგარია, ზოგგან კი იგი მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას საერთო კონტროლს უწევს. იურიდიული საპარლამენტო გამოძიე-ბისათვის პარლამენტის სპეციალურ საგამოძიებო კომისიას ქმნის, რომელსაც ხელი მიუწვდება ყველა საიდუმლო დოკუმენტაციაზე. ყველა თანამდებობის პირი და მოქალაქე ვალდებულია გა-მოცხადდეს ამ კომისიის შეტყობინებისას და მისცეს ჩვენება.

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი მჭიდრო კავშირშია მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტთან პარლამენტის წინაშე. საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში პარლამენტი, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, მთავრობაზე კონტროლის განხორციელების მძლავრ ბერ-კეტს ფრობს.

საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში ხელისუფლების მთავარი წყარო – ხალხი, მონაწილეობს არა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ხელისუფლებრივი იურისდიქციით აღ-ჭურვის პროცესში, არამედ საკუთარი წარმომადგენლების პარლამენტარების მეშვეობით აკონ-ტროლებს და შესაძლებლობა აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის პასუხიც მოსთხოვოს ხალხის წარმომადგენლების მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობას. მეცნიერებს სწორედ ეს მექანიზმი მიაჩინიათ საპარლამენტო სისტემის ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დემოკრატიულობის მაღალი ხარისხის მაჩვენებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. კონსტიტუციური სამართალი, ა.დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, თბ., 2010.
3. გ. გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2014.
4. კონსტიტუციური სამართალი, ავტორთა კოლეგია, ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტ-რაშვილი, თბ., 2005.
5. მ. ლორთქიფანიძე (მთ. რედაქტორი) საქართველოს ისტორია, ტომი II, თბ., 2012, გვ. 417.
6. ი. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, რედ. დ. ჩხიკვიშვილი, ტომი II, თბ., 2012, გვ. 235.
7. Парламентаризм. Проблемы теории, истории, практики. Редакторы Юрий Арзамасов, Евгений Салыгин, Анастасия Туманова, А. Сафонов 2010.

Ketevan Zakareishvili  
PHD Student,  
East European University

## Law of Georgia on Labour Migration – Mechanism to Process Management or Regulation Attempts

### Abstract

Labour migration management is one of the serious challenges for Georgia, moreover, taking into account its geopolitical location and in the light of its international obligations.

Law of Georgia on Labour Migration regulates relations falling within the field of labour migration which are related to the provision of employment for persons and to their paid labour activities outside Georgia. In fact, the title does not respond to its contents. At the same time, it is not regulated existing relationships in the field of migration at the state level that is expressed to protect the interests of immigrants during the employment process in the foreign country.

Although the law is one of the first steps and is still far from perfection, the fact is that only technical and organizational provisions can't be used as an effective mechanism of management and it must be regulated on the institutional level.

ქეთევან ზაქარეიშვილი  
აღმოსავლეთ ევროპის  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

### საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ – პროცესის მართვის მექანიზმი თუ რეგულირების მცდელობა

#### რეზიუმე

საქართველოსთვის შრომითი მიგრაციის მართვა ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა, მით უფრო, გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებითა და აღებული საერთაშორისო ვალდებულებების ფონზე.

საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ ეხება მხოლოდ შრომითი ემიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ ურთიერთობებს, რაც პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება. ფაქტობრივად კანონის სათაური არ პასუხობს მის შინაარსს. ამასთანავე, რეალურად არ არის რეგულირებული მიგრაციის სფეროში წარმოქნილი ურთიერთობები სახელმწიფო დონეზე, რაც უცხო ქვეყანაში დასაქმებისას ემიგრანტთა ინტერესების დაცვაში გამოიხატება.

მართალია, კანონი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია და ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისგან, თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ ტექნიკურ-ორგანიზაციული დებულებები პროცესის მართვის ეფექტურ მექანიზმად არ გამოდგება და აუცილებელია საკითხის ინსტიტუციურ დონეზე მოწესრიგება.



ქეთევან ზაქარეიშვილი  
აღმოსავლეთ ეკროპის უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

## საქართველოს კანონი „შრომითი მიზრაციის შესახებ“ – პროცესის მართვის მექანიზმი თუ რეგულირების მცდელობა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ფართო სფეროში მიგრაციას ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უჭირავს,<sup>1</sup> რაც განპირობებულია თავად მიგრაციის ფენომენის მასშტაბითა და მნიშვნელობით. იგი გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. შესაბამისად, პროცესის მართვა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.<sup>2</sup>

ზოგადად, მიგრაციის მართვის მთლიან პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომითი მიგრაციის მართვას – სახელმწიფოს ვალდებულებაა, თანაბრად იზრუნოს როგორც საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე შრომითი მოწყობისას, ასე-ვე უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტერესებზე ქვეყნის შიგნით დასაქმებისას.

საკითხის მოწესრიგების აუცილებლობამ განაპირობა სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი მი-მართულებების განსაზღვრა, რაც პირველ რიგში გამოიხატა მიგრაციის სამთავრობო კომისიის<sup>3</sup> შექმნითა და საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის<sup>4</sup> დამტკიცებით.

დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები არ იძლევა მიგრაციული პროცესების ცენტრალიზებული მართვის შესაძლებლობას, რადგან მარეგულირებელი დებულებები გაფანტულია სხვადასხვა აქტებში<sup>5</sup> და მართვის უფლებამოსილებები გადანაწილებულია სხვადასხვა უწყებას შორის. მაგალითად, შრომითი მიგრაციის მართვის უფლებამოსილება მთლიანად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა.

ამასთანავე, საქართველოში რეალურად, ოფიციალური სტატისტიკა დასაქმებული მიგრანტების შესახებ არ არსებობს. თუმცა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს ჩატარებულმა „შრომის ბაზრის კომპონენტის კვლევამ“ აჩვენა, რომ საქართველოში უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა 5 578 კაცი, რომელთა დასაქმების ძირითად მიზეზად მოყვანილია შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე ადგილობრივი კადრების არ არსებობა და თავად უცხოელთა მიერ შექნილი სამუშაო ადგილები.<sup>6</sup>

რაც შეეხება მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულია, რომ „ საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.“<sup>7</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, იზრუნოს საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე საზღვარგარეთაც. სწორედ ამის გარანტიაა 30-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.<sup>8</sup> ამასთანავე, საქართველოს რატიფიცირებული აქვს ევროპის სოციალური ქარტის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი<sup>9</sup>, რომელიც განსაზღვრავს, რომ „სხვა მხარეთა ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელების უფლების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ: .... აღიარონ, თავიანთ მოქალაქეთა მიერ ქვეყნის დატოვების უფლება სხვა მხარეთა ტერიტორიაზე შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელების მიზნით.“<sup>10</sup>

ზოგადი რეგულაციების გარდა, შრომითი მიგრაციის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმატიული აქტია საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“.<sup>11</sup> ინიცირებული კანონის პროექტის მიზანი<sup>12</sup> იყო, საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობის და საქართველოში მყოფი ან მცხოვრები მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის საქართველოში შრომითი მოწყობის და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების, ასევე, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის რეგულირება. კანონის პროექტი განსაზღვრავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განხორციელება; პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობა; საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების პირობები; პასუხისმგებლობა შრომითი მიგრაციის სფეროში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის და სხვა.

თუმცა, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი<sup>13</sup> აწესრიგებს მხოლოდ შრომითი ემიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ ურთიერთობებს, რაც პირის საქართველოს ფარგლების გარეთ შრომით მოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება. ფაქტობრივად კანონის სათაური არ პასუხობს მის შინაარსს, რაც სავარაუდოდ, განპირობებულია თავდაპირველად ინიცირებული პროექტის შინაარსის შეკვეცით.

მოქმედი კანონის მე-2 მუხლი გვთავაზობს ტერმინთა განმარტებას, რაც შესაძლოა წინგადად-გმულ ნაბიჯადაც ჩაითვალოს, რადგან აქადე არც ერთი მოქმედი ნორმატიული აქტი არ გვთავაზობდა ისეთი ტერმინების განმარტებას როგორიცაა, მაგალითად: შრომითი ემიგრანტი<sup>14</sup> და შრომითი მიგრაცია<sup>15</sup>. თუმცა, გაუგებარია რატომ გვხვდება კანონში შრომითი იმიგრანტის<sup>16</sup> განმარტება, მაშინ როცა მისი რეგულირების სფეროს არ წარმოადგენს უცხოელთა დასაქმების საკითხები.

გარდა შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობების განსაზღვრისა,<sup>17</sup> კანონის მე-3 თავი მთლიანად ეთმობა პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობის საკითხებს, კერძოდ: „პირის საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობა ხორციელდება: საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირის, ინდივიდუალური მენარმის, ან უცხო ქვეყნის საწარმოს, ან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) დახმარებით, ან ამ პირის მიერ დამოუკიდებლად“<sup>18</sup> დაახლოებით იგივე მიდგომას გვთავაზობს ბელორუსის კანონი „საგარეო შრომითი მიგრაციის შესახებ“<sup>19</sup>, აზერბაიჯანის „მიგრაციის კოდექსი“<sup>20</sup> და მოლდოვას კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“.<sup>21</sup>

კანონი ასევე განსაზღვრავს საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირის ვალდებულებების ჩამონათვალს<sup>22</sup> და იმ ხელშეკრულებების სავალდებულო რეკვიზიტებს, რომლებიც ეხება შრომით მოწყობას, შრომით მოწყობაში დახმარებას, შრომით ემიგრანტსა და უცხოელ დამსაქმებელს შორის შრომით ურთიერთობებს,<sup>23</sup> რაც კანონის ნაკლად შეიძლება იქნეს მიჩნეული; რადგან, ერთი მხრივ, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და პირობების განსაზღვრის კანონმდებლობით მოწესრიგება ყოველი ქვეყნის სუვერენული უფლებაა, ხოლო, მეორე მხრივ, კანონის რეგულირების საგანი უნდა იყოს შრომითი მიგრაციის სფეროში წარმოქნილი ურთიერთობების მოწესრიგება სახელმწიფო დონეზე, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ემიგრანტთა ინტერესების დაცვაზე უცხო ქვეყანაში დასაქმების დროს და არა ტექნიკური საკითხების მოწესრიგების ამგვარი მცდელობა.

რაც შეეხება პირის მიერ შრომითი მოწყობის მიზნით, დამოუკიდებლად გასვლას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მოქმედი კანონი აწესებს მხოლოდ მის უფლებებს აცნობოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ ადმინისტრაცი-



ულ ორგანოს თავისი განზრახვის შესახებ და წარუდგინოს უცხოელ დამსაქმებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ასლი; ასევე, მიიღოს შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი ორგანოების მისამართები და საკონტაქტო ინფორმაცია.<sup>24</sup> შესაბამისად, ფაქტია, რომ სახელმწიფოს დღეს არ გააჩნია უფექტური მექანიზმი პირის ინდივიდულაური შრომითი ემიგრაციის მართვისთვის, რადგან კანონით მხოლოდ პირის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული აცნობებს თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთარი განზრახვის შესახებ.

საინტერესოა კანონის მიდგომა პასუხისმგებლობის საკითხისადმი – კანონმდებელმა შემოგვთავაზა იურიდიული პირის პასუხისმგებლობა საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობის ან/და შრომით მოწყობაში დახმარების განმახორციელებელ სუბიექტად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის – ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით იგივე ქმედებისთვის – 1 000 ლარი<sup>25</sup>. ასევე, ამავე იურიდიული პირის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის კანონის საფუძველზე, ინფორმაციის მიუწოდებლობა/ანგარიშის წარუდგენლობისათვის – ჯარიმა 300 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით იმავე ქმედებისთვის – 600 ლარის ოდენობით<sup>26</sup>. თუმცა, რეგულირების მიღმა დარჩა საკითხი, თუ ვინ და რა სიხშირით უნდა აკონტროლოს ზემოხსენებული ვალდებულების შესრულება იმ პირობებში, როცა სახელმწიფოში რეალურად არ არსებობს გამართული შრომის ინსპექციის ინსტიტუტი.<sup>27</sup>

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფაქტია, რომ კანონი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან. მართალია, შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში ის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია, თუმცა ნაკლებად სავარაუდო შემოთავაზებული ლიბერალური მიდგომა პროცესის მართვის ეფექტურ მექანიზმად ჩამოყალიბდეს. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი 546 სუბიექტი, რომელთაგან 129– ის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობით, 82-ის შრომით მოწყობაში დახმარებით, ხოლო 335 სუბიექტს საქმიანობის განხორცილების ფორმებში მითითებული აქვს ორივე აქტივობა.

როგორც ვხედავთ, მსჯელობა დღეს მოქმედი რეგულაციების ეფექტურობაზე ნაადრევია, მაგრამ ფაქტია, კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ არ გვთავაზობს პროცესების მართვის რეალურ და ქმედით ინსტრუმენტებს. საკითხის რეგულირებისთვის მიზანშეწონილია, აპრობირებული გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირის ჩარჩო დოკუმენტების პრინციპების დანერგვა. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში თავად მიგრანტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც მძიმე მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რატიფიცირებული აქვს ევროპის სოციალური ქარტიის მე-18 და მე-19 მუხლები,<sup>28</sup> რომლებიც ეხება როგორც ემიგრანტების, ისე იმიგრანტთა ინტერესების დაცვას, მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ ზოგად ჩარჩოს გვთავაზობს და რეალურად არ იძლევა საყოველთაო, საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებებით სარგებლობის საშუალებას.

#### შენიშვნები:

<sup>1</sup> „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ European Commission, Partnership and Cooperation Agreement (PCA). <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV%3Ar17002>; „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/neighborhood-policy>; „ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა“ [http://migrationcommission.ge/index.php?article\\_id=17](http://migrationcommission.ge/index.php?article_id=17); „პარტნიორობა მობილურობისთვის“ <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/mobility-partnership>

<sup>2</sup> საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის დადგენილება N 59 „საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <http://migrationcommission.ge/files/migration-strategy-geo.pdf>

<sup>3</sup> საქართველოს მთავრობის N314-ე დადგენილება „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1049764>

- 4 саქართველოს მთავრობის N59-ე დადგენილება „საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1874689>

5 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქეის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემსვლის წესების შესახებ“, საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არქონებირთა სამართლებრივი მდგრამარეობის შესახებ“, საქართველოს კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიცინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ და მათ საფუძველზე შემუშავებული მოელი რიგი კანონმცვემდებარე ხორმატიულ აქტები (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და საქართველოს მთავრობის დადგენილები). ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge>

6 „შრომის ბაზრის კომპონენტის კვლევა“ 2015 გვ 27. ხელმისაწვდომია: <http://www.moh.gov.ge/files/01-GEO/Shroma/kvleva/33.pdf>

7 ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

8 ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>

9 რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის N 1876 – რს დადგენილებით, <https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rj&a&uact=8&ved=0ahUKEwirvnHckNXMAhWDC5oKHasYBJ4QFggaMAA&url=http%3A%2F%2Fwww.parliament.ge%2Ffiles%2Finternational-acts%2Fconventions%2F2005%2F1876-rs-01-07-2005.doc&usg=AFQjCNG-fB3MiVKvhsls-9iWplwkP6FgvA&sig2=dp3VQ-0WwxYOAPmFAE4NPw>

10 „ევროპის სოციალური ქარტია“ ( შესწორებული), სტრასბურგი, 3.V.1996, მე-18 მუხლი. 11 მიღებულია 2015 წლის I აპრილს. ხელმისაწვდომია: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/62634>?

12 იხ. საქართველოს კანონის „შრომითი მიგრაციის შესახებ“ ინიცირებული პროექტი 2014 წ. დეკემბერი <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/57811>?

13 ხელმისაწვდომია: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/72661>?

14 საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მე-2 მუხლი, „ზ“ პუნქტი: “ შრომითი ემიგრანტი – პირი, რომელიც გადის ან გასულია საქართველოდან შრომითი მოწყობის სახელმწიფოში უცხოელის უცხოელის უცხოელითან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით; ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის სხვა სახელმწიფოდან საქართველოში შემოსვლა ადგილობრივ დამსაქმებელთ შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით“;

15 საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მე-2 მუხლი, „ი“ პუნქტი: „ შრომითი მიგრაცია – პირის საქართველოდან შრომითი მოწყობის სახელმწიფოში გასვლა უცხოელ დამსაქმებელთ შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის სხვა სახელმწიფოდან საქართველოში შემოსვლა ადგილობრივ დამსაქმებელთ შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით“;

16 საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მე-2 მუხლი, „თ“ პუნქტი: „ შრომითი იმიგრანტი – საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი, რომელიც საქართველოში შემოდის ადგილობრივ დამსაქმებელთ შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით“;

17 საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მე-5 და მე-6 მუხლები;

18 საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მე-8 მუხლი.

19 Закон Республики Беларусь «О внешней трудовой миграции», Статья 11. Порядок трудоустройства за пределами Республики Беларусь граждан и иностранцев, постоянно проживающих в Республике Беларусь: Трудоустройство за пределами Республики Беларусь граждан и иностранцев, постоянно проживающих в Республике Беларусь, может осуществляться: при содействии юридических лиц или индивидуальных предпринимателей, имеющих специальное разрешение (лицензию) на осуществление деятельности, связанной с трудоустройством за пределами Республики Беларусь; самостоятельно, то есть без содействия юридических лиц или индивидуальных предпринимателей, указанных в абзаце втором настоящей статьи. ხელმისაწვდომია: <http://demoscope.ru/weekly/knigi/zakon/zakon094.html>

20 Migration Code of the Republic of Azerbaijan, Article 58. Labour activity of the Republic of Azerbaijan in foreign countries : “1. Citizens of the Republic of Azerbaijan over 18 years old can carry out paid labour activity in foreign countries. 2. Citizens of the Republic of Azerbaijan can get employed in foreign countries with direct invitation of foreign judicial or physical, through mediation of juridical persons officially registered in the Republic of Azerbaijan or individually.”



- бюджетом: <http://cs.mfa.gov.cn/zggmcg/ljmdd/yz-645708/asbj-645896/rjjl-645906/jlrj-645912/W020140827524286150309.pdf>
- 2 LAW on Labor Migration of the Republic of Moldova, Article 15. Procedures for Temporary Employment Abroad of Moldovan Citizens : "Temporary employment abroad of Moldovan citizens shall be carried out independently on the basis of the individual employment contract concluded with the employer before departure from the Republic of Moldova, via private employment agencies that hold a relevant license or in accordance with bilateral agreements."
- бюджетом: <http://www.carim-east.eu/media/legal%20module/natfr/MD%20LM%20EN.pdf>
- 22 Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Шинжилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
- 23 Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Шинжилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
- 24 Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Шинжилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
- 25 Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Шинжилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
- 26 Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Шинжилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
- 27 Ихэвчлийн төслийн төслийн шийдвэрээр 2016 онд 18-ицадаас N19 дэвсгэрийн төслийн шийдвэрээр 2005 онд 1 ижилдээс N 1876 – нь дэвсгэрийн төслийн шийдвэрээр.
- 28 Европын төслийн санчайлын глаштийн санчайлын бүрэгийн 1996-ийн тогтолцоогийн төслийн шийдвэрээр.

### ГАМОРЫНДОХ МАССААЛЫН ТӨВИЙН ТӨСЛИЙН ШИҮҮЛЭЛТ

(Бий болсон төслийн шийдвэрээр)

1. Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр.
2. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр“.
3. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Шинжилгээний төслийн шийдвэр“.
4. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
5. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
6. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр“ мэдэгдэл.
7. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр“.
8. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр“.
9. Сафарийнээлэлтэй яланхилээний „Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр“.
10. Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр.
11. Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр.
12. Сафарийнээлэлтэй яланхилгээний төслийн шийдвэр.
13. „Европын төслийн санчайлын глаштийн санчайлын бүрэгийн төслийн шийдвэр“.
14. „Карагднинийн мөнхийн төслийн шийдвэр“ European Commission, Partnership and Cooperation Agreement (PCA).  
<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV%3Ar17002>
15. „Европын төслийн шийдвэр“  
<http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/neighbourhood-policy>
16. „Европын төслийн шийдвэр“  
[http://migrationcommission.ge/index.php?article\\_id=17](http://migrationcommission.ge/index.php?article_id=17)
17. „Карагднинийн мөнхийн төслийн шийдвэр“  
<http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/mobility-partnership>
18. „Шинжилгээний төслийн шийдвэр“ 2015-ийн тогтолцоогийн төслийн шийдвэр.
19. „Migration Code of the Republic of Azerbaijan“ <http://cs.mfa.gov.cn/zggmcg/ljmdd/yz-645708/asbj-645896/rjjl-645906/jlrj-645912/W020140827524286150309.pdf>
20. LAW on „Labor Migration of the Republic of Moldova“ <http://www.carim-east.eu/media/legal%20module/natfr/MD%20LM%20EN.pdf>
21. Закон Республики Беларусь “О внешней трудовой миграции” <http://demoscope.ru/weekly/knigi/zakon/zakon094.html>

## სოციალური გაცნობებების მიმართულება

Giorgi Chkhikvishvili  
Doctor of Social Sciences  
Associate Professor of New Higher  
Education Institute

### Protection of Ethnic, Racial and Religious Minorities Rights in Niko Nikoladze's Considerations

#### Abstract

The article discusses Niko Nikoladze's point of views about protection of Georgians and ethnic minorities' human rights, which he viewed from the position of liberal Nationalism and considered it as an issue of nationality.

The article analyzes Nikoladze's concept of regulating the relations of nations, by which he sought to regulate issues arising not only from the municipal elections inside the country and the mutual struggle, related not only to Armenians and Georgians, but to define appropriate forms of rights and responsibilities distribution of all nations living there.

The article highlights Nikoladze's not only regional but also global views, he described all the global processes of the Western Europe. He publicly condemned colonial act. He Considered that the national issues should have been resolved only by the principles of "Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen" declaration which was approved in 1789 during the French revolution.

Nikoladze also condemned „White race civilizing mission“ for black and coloured population. That is respect for human rights and a humane principles of fraternity and friendship among nations based on the pooling of regulation of relations not only in Georgia but in the multiethnic Caucasus and Europe.



გიორგი ჩხილავიშვილი  
სოციალური მეცნიერებების დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

**ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური უმცირესობების უფლებების  
დაცვა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებში**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები ქართველებისა და ეთნიკური რელიგიური უმცირესობების უფლებების შესახებ, რასაც იგი ლიბერალური ნაციონალიზმის პოზიციი-დან განიხილავდა და ეროვნული საკითხის ნაწილად მიაჩნდა.

სტატიაში გაანალიზებულია მისი კონცეფცია ერთა ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ, რომელითაც იგი ცდილობდა არა მარტო მოეწესრიგებინა ქვეყნის შიგნით საქალაქო არჩევნებისა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთბრძოლის საკითხები, არამედ განესაზღვრა არა მარტო სომხებისა და ქართველების, არამედ აქ მცხოვრები ყველა ერის უფლებებისა და მოვალეობების განაწილების შესაფერისი ფორმები. ამ მიზნით, მას სურდა მუნიციპალური არჩევნების დროს გამოყენოთ ეროვნული საარჩევნო უბნები და ამ გზით გატარებული ყოფილიყო ეროვნული პროპორციული პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, თითოეული ერი თავის წრიდან აირჩევდა საბჭოში ხმოსანთა იმგვარსავე პროცენტს, რა პროცენტსაც შეადგენდა იგი სხვა ერთა შორის. აღსანიშნავია, რომ ნ. ნიკოლაძის მუნიციპალური პროგრამის პროპორციონალური წარმომადგენლობის ზოგიერთი მუხლი სავსებით გაიმეორა არჩილ ჯორჯაძემ 1911 წელს საქალაქო არჩევნებში კამათის დროს. სწორედ ადამიანის უფლებების პატივისცემა, მათ შორის ძმობისა და მეგობრობის ჰუმანური პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად ერთა ურთიერთობის დარეგულირებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად მრავალეროვან კავკასიასა და ევროპაში.

სტატიაში წარმოჩენილია ნიკოლაძის პიროვნების მასშტაბურობა, როდესაც იგი აფასებდა დასავლეთ ევროპაში იმ დროს მომხდარ ყველა გლობალური პროცესს. მან საჯაროდ დაგმო ყოველ-გვარი კოლონიური აქტი. მიიჩნია, რომ ეროვნული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ და მხოლოდ 1789 წლის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ პრინციპების მიხედვით. ნ. ნიკოლაძემ სასაცილოდ აიგდო „თეთრი რასის ცივილიზატორული მისია“ შავკანიანი და ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ.

სტატიაში ხაზგასმულია რომ ნიკოლაძემ ამ განცხადებით გადაუსწრო დროს, რადგანაც აღნიშნულმა დეკლარაციამ მხოლოდ საფრანგეთი, უფრო გვიან დანარჩენი ევროპის მეზობელი ქვეყნები შემოზღუდა და საჭიროდ არ ცნო, იგი საფრანგეთის კოლონიების „ფერადკანიან“ მოსახლეობაზე გაევრცელებინა.

გიორგი ჩხიცვიშვილი

სოციალური მეცნიერებების დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცი-  
რებული პროფესორი

## ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა ნიკო ნიკოლაძის შეხედულები

ნიკო ნიკოლაძეს უმცირესობის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის პრობლემისადმი სპე-  
ციალური ნაშრომი არ მიუძღვნია, მაგრამ თავის მრავალრიცხოვან წერილებში არაერთხელ შეეხო  
ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს საქართველოსა თუ ამიერკავკასიაში და მისი გადაწყვე-  
ტის პერსპექტივებს. კერძოდ: გერცენის „კოლოკოლში“ 1865 წელს მოთავსებულ წერილში „გლეხ-  
თა გათავისუფლება საქართველოში“ [4. 364-368], 70-იანი წლების დასაწყისში გაზეთ „დროების“  
ფურცლებზე, 1873 წელს პარიზში დ. მიქელაძესთან და იზმაილოვთან ერთად ნ. ნიკოლაძის მიერ  
პექტოგრაფიულად დაბეჭდილ არალეგალურ გაზეთ „დროშაში“ თუ რუსულ „ტიფლისკი ვესტნიკ-  
ში“ (ვიდრე მასში ნიკო ნიკოლაძე მოღვაწეობდა, ე. ი. 1878 წლამდე) იგი მტკუცედ იდგა პიროვნები-  
სა და ხალხის ეროვნული მოქალაქეობრივი ინტერესების, მათი ადამიანური ღირსების, ადამიანის  
უფლებათა დაცვის სადარაჯოზე. ამას აღიარებდნენ თვით რუსებიც, რისი დამადასტურებელიცაა  
გაზ.: „კიევსკი ტელეგრაფის“ რედაქტორის გ. ს. გალისკის წერილი ნიკოლაძისადმი, რომელშიც  
განაცხადებს: „ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი ულრმესი სიმპათია თქვენდამი თქვენი სტატიის გა-  
მო... სწორედ, თქვენ დაგაწვათ კიდევ უფრო დიდი მოვალეობა, რათა დაიცვათ ჩვენი საქმე, რად-  
გან თქვენი ხმა თითქმის ერთილა ისმის საქვეყნოდ. დანარჩენ პროვინციულ გაზეთებს სულაც არ  
გააჩნიათ ისეთი ძალა, როგორც „ტიფლისკი ვესტნიკს“. ზოგიერთები კი ძალიან მიამიტურად ეკი-  
დებიან საქმეს“ [27. 102].

მართლაც, საქართველოს მდგომარეობის მართებული გაშუქება პეტროგრადის პრესაში სა-  
სარგებლო და მეტად მნიშვნელოვანი საქმე იყო. ცნობილია, რომ რუსული პრესა კავკასიის საკით-  
ხების გაშუქებისას ტენდენციურობას იჩენდა. სომხებს უსამართლოდ ექომაგებოდა ქართველები-  
სა და აზერბაიჯანელების საპირისპიროდ. ნ. ნიკოლაძე ცდილობს აღადგინოს სამართლიანობა. მან  
დაიყოლია „რუსსკაია ვოლიას“-ს გამომცემლები კავკასიის ამბები და მოვლენები ობიექტურად  
რომ გაეშუქებინა. ეს ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს, რომელიც გავლენიანი სომხური წრეები-  
სათვის რუსეთში მიუღებელი აღმოჩნდა. „ვერ წარმოიდგინოთ რამდენი კაცი, დეპეშა, წინადადება,  
სტატია და პასუხი მოსდის რედაქციას და ჩვენი გაზეთის „პრავლენიეს“ ჩემი თანამშრომლობის  
წინააღმდეგ სომხებისაგან“, – აცნობებდა ნ. ნიკოლაძე კიტა აბაშიძეს და დასძენდა: „სომხების  
პროტესტები, ინტრიგები და თხოვნები ჩემი თანამშრომლობის წინააღმდეგ რედაქციას თოვლი-  
ვით ფინავს... აქაური ბანკებიდან და სავაჭრო-სამრეწველო ფირმებიდან პირდაპირ მუქარები და  
ნაქეზება მოდის, განცხადებებს არ მოგცემთ, თქვენს გაზეთს არ ვიყიდით, ჩვენ პაიტს უკან მო-  
ვითხოვთო და სხვა“ [40].

ნიკო ნიკოლაძე არ შეუშინდა ამგვარ მუქარას. იგი ცდილობდა ჭეშმარიტება შეულამაზებლად  
წარმოეჩინა და მხოლოდ ამის შემდეგ აეგო ერებს შორის ურთიერთობა თანასწორობის, სოლიდა-  
რობისა და ერთობის საფუძველზე. ეს პრინციპები აისახა მის ხანგრძლივ პუბლიცისტურ-ურნა-  
ლისტურ მოღვაწეობაში ქართულ, რუსულ და უცხოურ პრესაში.

„მე არასოდეს ვყოფილვარ ნაციონალისტურ ვწებათა აღმძვრელი – წერდა ის – ჩემს ნაწერებში ვერავინ იპოვნის იმის საწინააღმდეგო ერთ პწკარსაც. ჩემი მოღვაწეობა ყოველთვის იქითვენაა მიმართული, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ 36 ეროვნებას შორის სწორი, ადამიანური ურთიერთობა დამყარდეს... მათ შორის... თანხმობისა და სამართლიანობის ქადაგება მუდამ ყოფილა და იქნება ჩემი დევიზი [7]. იგივე გაიმეორა მან უფრო გვიან თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში [41].

აქვე მინდა შევნიშნო, რომ სიტყვა „ნაციონალისტური“ ნიკოს მოხსენიებული აქვს ტერმინის უარყოფითი მნიშვნელობით, რომელიც ნაციზმისა და ქსენოფობის შინაარსობრივი დატვირთვის იდენტურია. ამ შენიშვნის საფუძველს მაძლევს როგორც თავად „ნაციონალიზმის“ ორგვაროვანი ბუნება, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოცვაში იგი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკურ და შინაარსობრივ დატვირთვას ღებულობს, აგრეთვე, ნიკო ნიკოლაძის მიერ სხვა დროს გამოთქმული მოსაზრებანი ნაციონალიზმთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნულ ამონარიდში მოცემული კონტექსტიდან აბსოლუტურად განსხვავებულია. ეს საკითხი ვრცლად გვაქვს გაშუქებული შემდეგ თავში.

1871 წელს გაზეთ „დროების“ მეორე ნომერში ნ. ნიკოლაძემ ნ. სკანდელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია „ურიების მდგომარეობა საქართველოში“, სადაც იგი წერს, რომ ებრაელებსაც ისეთივე უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორიც სხვებს, რადგანაც ისინი ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორც ქრისტიანები, მუსლიმანები და სხვ. [42].

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მასშტაბით, სადაც ებრაელების უფლებრივი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო. ჩვენთან არასოდეს ყოფილა მასობრივი ანტისემიტიზმი, ებრაელთა დისკრიმინაცია და რბევა, მაგრამ კოლონიური ხელისუფლება კავკასიაში შოვინიზმის შხამით გაუდენთილი მოხელეების მეშვეობით ცდილობდა ადგილობრივ მოსახლეობაში ხელოვნურად გაეღვივებინა ანტიებრაული სულისკვეთება. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ნიკოს, როდესაც გამოექმაგა „ჩვენი მხარის“ ებრაელებს და მკაცრად დაგმო მათ საწინააღმდეგო სიტყვიერი გამოხდომები თუ სხვა სახის აქციები.

ნიკო ნიკოლაძე ასევე შეუპოვრად იცავს აფხაზი ერის ინტერესებსა და უფლებებსაც. იგი ილაშქრებს დამკვიდრებული მოსაზრების წინააღმდეგ, რის მიხედვითაც, გარკვეული ერები არიან დამნაშავეობისაკენ მიდრეკილნი. კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი იყო აფხაზი ერის უფლებებზე. სკანდალი ატყდა ერთ-ერთი აფხაზის, კერძოდ, დავით ჩქოტუას მიერ ჩადენილ დანაშაულზე, – მან მოკლა ანდრეევსკაიას ქალი. იურისტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ დანაშაულის მიზეზი იყო ის, რომ ბრალდებული ჩამორჩენილი ერის წარმომადენელი იყო, და მასზე განათლებაც კი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა (ჩქოტუას საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა მიღებული). ნიკო ნიკალაძე აღშფოთებით მიუთითებდა, რომ დანაშაულის მიზეზი არის არა ეთნიკური კუთვნილება ან განათლების გარკვეული დონე, არამედ პიროვნების ინდივიდუალური თვისებები, რომლებიც ცხოვრების ობიექტური პირობების გამო ყალიბდებან, რომ აფხაზისაც ისეთივე უფლებები გააჩნია, როგორც ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენელს. მან პასუხის უნდა აგოს კანონის წინაშე, როგორც დამნაშავემ. დანაშაულის მიზეზი არ შეიძლება ვეძებოთ მის ეთნიკურ წარმომავლობაში და არც ეთნიკურ წარმომავლობასა და განათლებას შერის შეიძლება პროპორციების გავლება. იურისტების წარილი „მიუთითებენ იმაზე, რომ ჩქოტუაზე ვერ მოახდენდა ზეგავლენას განათლება, რადგან აფხაზია, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – ბატონებს ვერ გაუგიათ, რომ განათლება და ეროვნება აქ არაფერ შუაშია. მეცნიერება დანაშაულის მეხამრიდი არაა. იგი არბილებს ადამიანის ბუნებას, მაგრამ არ აუქმებს ვწებათალელვას. უამრავი მეცნიერი, ექიმი, პროფესორი, ღვთისმეტყველი და-

# დიკლომატია და სამართლებრივი სისტემები

მორჩილებიან ანგარებისა და შურისძიების მდაბალ ვწებებს და დანაშაულის ჩადენა სიცოცხლის ფასად დაჯდომათ. მიუხედავად ამისა, ევროპაში დოქტორ ლამოპრეს სიკვდილით დასჯის შემდეგაც კი არავის უარყვია მეცნიერების მნიშვნელობა....

ბრალდებულის ეროვნება მეცნიერებაზე მეტ გავლენას არ ახდენს მის დანაშაულზე. სტუდენტი დანილოვი, რომელმაც მოსკოვში მევახშე მოკლა, სრულიად არ ყოფილა აფხაზი, ხოლო სენატორ ბეზობრაზოვის შვილი, რომელმაც ამას წინათ ქურდულად მოჰკლა ხარკოვში ექიმი კოგალჩიკოვი, დაიბადა ნევისა და არა ენგურის ნაპირებზე. აქედან იმის დასკვნა, ვერც ფრანგს და ვერც რუსს ვერასოდეს ვერ გააკეთილშობილებს მეცნიერება, აბსურდი იქნებოდა“ [43. 121].

ნიკოლაძის არქივში ინახება საბუთი №1-48, რომელშიც 6. ნიკოლაძე ეხება რა მუსლიმი მოსახლეობის უფლებების დაცვის საკითხებს, ითხოვს „მათ ჩარიცხვას მოქალაქეებად“, მათში განათლების დანერგვასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სწორედ, ამ უკანასკნელი ფაქტორით ხსნის იგი მუსლიმების მხრიდან დანაშაულის გაზრდის ფაქტებსაც. ამ აზრის დასასაბუთებლად ნიკოლაძე მიმოიხილავს მუსლიმების მდგომარეობას საქართველოში წარსული პერიოდიდან, როდესაც ქრისტიანებისა და მუსლიმების ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის ერთნაირი იყო. მაგრამ თანდათან უმჯობესდებოდა ქრისტიანების ეკონომიკური მდგომარეობა, მუსლიმებისა კი იგივე რჩებოდა. თუ მომავალში უფრო მეტად გაუმჯობესდა ქრისტიანთა მდგომარეობა მუსლიმებთან შედარებით, ეს გარემოება ამ უკანასკნელების მხრიდან დანაშაულის მატებას გამოიწვევს, – ვარაუდობდა ნიკოლაძე და მიუთითებდა, რომ ცივილიზაცია და ჩამორჩენილობა ერთმანეთს ვერ ეწყობა, ამიტომ გამოსავალი მხოლოდ ერთია – მუსლიმანი მოსახლეობის უფლებების დაცვა განათლებაზე, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, ერთი სიტყვით, მათი ცივილიზირება [44].

ნიკო ნიკოლაძე იცავდა ეთნიკური უმცირესობების უფლებებს, როდესაც ისინი დისკრიმინაციას განიცდიდნენ. იგი არც მაშინ აჰყვა ქართველთა ერთ ნაწილს და ქართული ნაციონალიზმის დროშით თავს არ დაესხა სომხებს, როცა თავად ქართველები გახდნენ დასაცავი თავიანთ ტერიტორიაზე. საქმე შემდეგში იყო: XIX ს-ის დასასრულს თბილისის ვაჭრობასა და საწარმოო საქმიანობაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა სომხურმა სავაჭრო-სავახშო და სამრეწველო ბურუუაზიამ. ისინი სომხეთი ერის მედროშის როლში გამოიღოდნენ, ცდილობდნენ ხელთ ეგდოთვითმმართველობის ორგანოები და იგი საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენებინათ. მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა 1893 წლის არჩევნების შემდეგ, რომელშიც სომხურმა ბურუუაზიამ დიდ წარმატებას მიაღწია. ამ ფაქტმა ძალიან დაძაბა ქართველების ურთიერთობა სომხებთან. ნიკო ნიკოლაძემ ამ გარემოებას „საქართველოში ანტისომხური ნაციონალიზმი“ უწოდა. იგი შეცადა ეროვნულ შურისგებაზე უფრო მაღლა დამდგარიყო, ვინაიდან შუღლს ორივე მხარისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლო და მოუწოდა ორივე ეროვნული დაჯგუფების თავკაცობას ხელი აელოთ ურთიერთბრძოლაზე და საერთო ენა გამოენახათ. სომხეთ-ქართველთა თავკაცების ბრძოლის მიზეზებს, მისი ისტორიული ფესვების ანალიზს და მათ მიუძღვნა ნიკომ წერილების სერია: *Как прекратить племенные распри?*, [45] «Органические пороки городского самоуправления» [46], «Армяно-грузинские отношения». სომხურ-ქართული ურთიერთობაზი ცალკე წიგნად გამოვიდა 1920 წელს, რომელშიც ნიკოლაძე შეეცადა ნარმოედგინა ერთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად რეალური გეგმები. მის პოზიციას იზიარებდა სომხური და ქართული ინტელიგენციის ნაწილი: გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. იზმალოვი და სხვ.

ნიკო ნიკოლაძე ცდილობდა პრაგმატულად მიდგომოდა ამ საკითხს, არ აყოლილიყო ემოციებს, რათა არ გამხდარიყო ცარიზმის გამთიშველური პოლიტიკის ბრმა იარაღი. რამდენადაც უფრო



მჭიდრო კავშირს დაამყარებთ ურთიერთშორის, – მიმართავდა ქართველებსა და სომხებს ნიკო ნიკოლაძე, – იმდენად უფრო გაუჭირდება ცარიზმს თავისი ბნელი საქმეების კეთება და იმდენად უფრო წარმატებითი იქნებოდა მათი ბრძოლა ამ ასიმილაციორული პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი ცდილობს ეს პრობლემა სამართლებრივი კუთხით მოაგვაროს და ერთა უთანხმოების საკითხები უფლებებისა და მოვალეობების ჩარჩოებით განსაზღვროს. „თვითონეული ერის უფლებანი და ინტერესები, – წერს იგი, – ისე როგორც თვითონეული ფიზიკური და იურიდიული პიროვნების ინტერესები პატივსადები და რეალური არის იმდენად, რამდენადაც არ შეეხება და არ აზიანებს დანარჩენ ერთა და პიროვნებათა უფლებებს. აქ არის საზღვარი უფლებათა და დანაშაულობას შორის“ [30. 117].

მან ქართულ საზოგადოებას ერთა ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით შესთავაზა რეალური პროგრამა, რომლითაც იგი ცდილობდა არა მარტო მოეწესრიგებინა ქვეყნის შიგნით საქალაქო არჩევნებისა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთბრძოლის საკითხები, არამედ განესაზღვრა არა მარტო სომხებისა და ქართველების, არამედ აქ მცხოვრები ყველა ერის უფლებებისა და მოვალეობების განაწილების შესაფერისი ფორმები. ამ მიზნით, მას სურდა მუნიციპალური არჩევნების დროს გამოეყოთ ეროვნული საარჩევნო უბნები და ამ გზით გატარებული ყოფილიყო ეროვნული პროპორციული პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, თითოეული ერი თავის წრიდან აირჩევდა საბჭოში ხმოსანთა იმგვარსავე პროცენტს, რა პროცენტსაც შეადგენდა იგი სხვა ერთა შორის. აღსანიშნავია, რომ 6. ნიკოლაძის მუნიციპალური პროგრამის პროპორციონალური წარმომადგენლობის ზოგიერთი მუხლი სავსებით გაიმეორა არჩილ ჯორჯაძემ 1911 წელს საქალაქო არჩევნებში კამათის დროს [18. 217-226].

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ ყველა ქართველის წნიმდათანმინდა მოვალეობაა ყოფილიყო საკუთარი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, მტკიცედ დაეცვა მისი თვითმყოფადი კულტურა, მაგრამ ამავე დროს პატივი ეცა მეზობელი ხალხების ცხოვრების წესის, კულტურისა და ტრადიციებისათვის, რომ ყველა ერი განუმეორებელია და თითოეულს გარკვეული ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ქართველი ხალხი მხოლოდ მაშინ შეძლებდა „მამულის სიყვარულსა და მსახურებას“, მაშინ მიაღწევდა წარმატებას და თავის წვლილს შეიტანდა პროგრესის საქმეში, როდესაც სხვა ეროვნებებთან ერთად მეგობრულ კავშირში ერთად იბრძოლებდა მის წინაშე მდგომი საერთო სოციალურ-კულტურული ამოცანების გადასაწყვეტად.

„ჩვენ ყველას, – წერს იგი, – ქართველები ვიყოთ, გინდ სომხები, ლეკები თუ ოსები, უფლება გვაქვს ვიღვანოთ საზოგადო, საყოველთაო, კაცობრიული წარმატების სასარგებლოდ. მარტო ამ ღვანლს, ამ საგანს ვერავინ ვერც ავს შესწამებს, ვერც ხელს შეუშლის და რაკი საყოველთაო წარმატება თვითონეული კერძო ერის სიკეთესაც შეიცავს, ცხადია, რომ ვინც ჩვენში საზოგადო საგანს ემსახურება, ის თავის საკუთარ ერსაც არგებს“ [47. 131].

ამრიგად, სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის მქონე მოსახლეობას ურთიერთუფლებებისა და მოვალეობის პატივისცემის გარდა აუცილებლად უნდა ჰქონოდა საერთო ინტერესი – ერთიანი უკეთესი მომავლის შექმნა. ამიტომაც „რუსი, თათარი, ფრანგი, სომები, ქართველი, ურია, ლეკი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, მდიდარი და ლარიბი, ნასწავლი და უმეცარი უნდა შეერთებულიყვნენ თვითმმართველობის დროშის ქვეშ [48. 5].

სწორედ, ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა ჭრელი ეროვნული და რელიგიური შემადგენლობის მიუხედავად მათ შორის ჰუმანური და გონივრული ურთიერთობის ჩამოყალიბება. ამის მაგალითად მიიჩნევს შვეიცარიას, სადაც „განხორციელებულია გერმანული, ფრანგული და იტალიური ერების, სხვადასხვა სარწმუნოების თანასწორობა. ამ პრინციპებმა ცემენტის სიმტკიცე მისცა შვეიცარიის სახელმწიფოებრივ შენობას. ამის გამო იყო, რომ ამ შენობას ვერაფერი დააკლეს ნაპოლე-

ონ დიდმა... და პისმარკმა“ [49. 166-167], – წერდა ნ. ნიკოლაძე.

ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს ნიკო ეროვნული საკითხის ფორმატში მოიაზრებდა და თვლიდა, რომ სწორედ ადამიანის უფლებების პატივისცემა და მათ შორის ძმობისა და მეგობრობის ჰუმანური პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად ერთა ურთიერთობის დარეგულირებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად მრავალეროვან კავკასიაში.

სხვადასხვა ერთა შორის სრული სოლიდარობის დამყარების ერთადერთ რეალურ საშუალებად იგი მიიჩნევდა ფედერალიზმის პრინციპს, რომელზედაც ცალკე გვექნება საუბარი.

ნიკო ნიკოლაძეს სხვა ბუმბერაზი ქართველი პოლიტიკოსებისაგან განასხვავებდა მისი პიროვნების მასშტაბურობა. იგი მუდმივად საქმის კურსში იყო და აფასებდა დასავლეთ ევროპაში იმ დროს მომხდარ ყველა გლობალურ პოლიტიკურ პროცესს. მის აზრსაც იცნობდნენ იმ დროის მსოფლიო მოაზროვნები და პატივს სცემდნენ.

ნიკომ უამრავი სტატია მიუძღვნა ევროპაში მიმდინარე პროცესებს და საჯაროდ დაგმო ყოველგვარი კოლონიური აქტი. მიიჩნია, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამხოლოდ 1789 წლის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ პრინციპების მიხედვით. ნ. ნიკოლაძემ სასაცილოდ აიგდო „თეთრი რასის ცივილიზატორული მისია“ შავკანიანი და ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით პროფ. ვ. დონაძეს, რომ ნიკოლაძემ ამ განცხადებით გადაუსწრო დროს, რადგანაც აღნიშნულმა დეკლარაციამ მხოლოდ საფრანგეთი, უფრო გვიან დანარჩენი ევროპის მეზობელი ქვეყნები შემოზღუდდა და საჭიროდ არ ცნო, იგი საფრანგეთის კოლონიების „ფერადკანიან“ მოსახლეობაზე გაევრცელებინა. მან ხელუხლებლად დატოვა მემკვიდრეობით მიღებული კოლონიური პოლიტიკა, კოლონიებში გაბატონებული კოლონიური ჩაგვრა, იქ გამოყენებული ზანგთა მონური შრომა. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიამ, როდესაც რევოლუციის შედეგად ხელისუფლებას დაეუფლა, ეროვნული თვითგამორკვევისა და თავისუფლების პრინციპები მარტო „ცივილიზებული ქვეყნების“ ხალხების პრივილეგიად გამოაცხადა და შეუბრალებლად ჩაახშო კუნძულ ჰაიტის (საფ-ის ვესტ-ინდოეთში) ზანგი მოსახლეობის განმათავისუფლებელი მოძრაობა და იქ ძველი მონათმფლობელური მდგომარეობა აღადგინა.

ნ. ნიკოლაძემ კი ამ დეკლარაციას უფრო ფართო ინტერპრეტაცია მისცა, ვიდრე მისმა ფრანგმა ავტორებმა. მას სურდა, მისი პრინციპების ნაყოფით ესარგებლა ყველა ხალხს და მის საფუძველზე გადაწყვეტილიყო ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემისა და პრაქტიკაში დანერგვის საკითხი განურჩევლად იმისა, „ცივილიზებული“ იყო ესა თუ ის ხალხი თუ არა „ცივილიზებული“, განურჩევლად „რასისა“ და კანის ფერისა. ამით მან ბევრად წინ გაუსწრო საფრანგეთის ამომავალი ბურჟუაზიის დიდ იდეოლოგებს [50. 352].

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. 6. ნიკოლაძე. თხზ., თბ., ტ. I, 1931.
2. 6. ნიკოლაძე «150 საიუბილეო კრებული». თბ., 1998.
3. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი, ანანერი №51-73.
4. ო. ჯანელიძე. ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1998.
5. (6. ნიკოლაძის პირადი არქივი, საქალალდე №15(39)
6. სკანდელი, ურიების მდგომარეობა საქართველოში, გაზ.: „დროება“, №2, 1871.
7. 6. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 5, 1966.



8. ნიკო ნიკოლაძის პირადი არქივი, ჩანაწერი №1-48.
9. «Новое обозрение», 1889, №32, №33.
10. სიმონ ხუნდაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1996.
11. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე, ტფ., 1914.
12. 6. ნიკოლაძე, შარმანდელი ქალაქის არჩევნები, ჟურნ.: „მოამბე”, 1984, №1.
13. ჟურნ.: „პლატ”, 37, 1913 წლის გიორგობისთვე.
14. 6. ნიკოლაძე, შინაური მიმოხილვა ბათუმის არჩევნები, ჟურნ.: „მოამბე”, 1895, №3.
15. ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებები, თბ., 1987.

**Sopo Chkopoia**

*Associate Professor of  
New Higher Education Institute*

### **Role of Religions in International Relations**

#### **Abstract**

Religions in international relations play one of the leading roles. They are seen as a problem of starting conflicts and also a solution to neutralize them. However, it is difficult to find where the line is between these two extreme differences. Religion is infinite and always passes beyond own borders, moving towards areas where it finds the right place. It does not consider the results which afterwards becomes the subject matter of a conflict. Most of the religion conflicts in the world were the reason of the clash, which sacrificed the lives of innocent people and it also continues today.

Any kind of religious fanaticism which is based on extremism and threatens humanity is unacceptable. Despite the fact that all the religions respect norms of liberty, mutual respect and tolerance there still are differences between them, which will not allow them to agree easily with opposite sides. Religions have a leading role in international relations and they determine the connections between countries and also the conflicts between them. Religion unnecessarily interferes with the secular power, it is necessary to separate it from the government in order to avoid unnecessary problems and conflicts in the local and international areas.

Religion leads to conflicts between various religions and in result it breaks down society in to internal and external groups, which causes conflict between different religions.



სოფო ჩქოფოია  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

## რელიგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

### რეზიუმე

რელიგიებს საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრიათ. ისინი განიხილება, როგორც პრობლემა კონფლიქტების წარმოქმნაში და ასევე ხსნად მათ განეიტრალებაში. თუმცა რთულია ვიპოვოთ სად გადის ზღვარი ამ ორ უკიდურეს სხვაობას შორის. რელიგია უსაზღვროა და ყოველთვის სცდება საკუთარ საზღვრებს, მიინევს იმ სივრცითი არეალებისკენ, სადაც პოულობს ნავსაყუდელს. თუმცა არ ითვალისწინებს, შედეგებს რაც შემდეგ დავის საგანს წარმოადგენს. მსოფლიოში არსებული რელიგიური კონფლიქტების უმრავლესობა მწვავე დაპირისპირების თემას წარმოადგენდა, რასაც ენირებოდა უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე და ასე გრძელდება დღესაც.

მიუღებელია ყველანაირი რელიგიური ფანატიზმი, რომელიც ექსტრემიზმზეა დაფუძნებული და საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა რელიგია ითვალისწინებს თავისუფლების, ურთიერთპატივისცემისა და შემწყნარებლობის ნორმებს, მაინც არსებობს მათ შორის ისეთი განსხვავებები, რომელიც არ მისცემს საშუალებას დაპირისპირებულ მხარეებს მორიგდნენ მარტივად. რელიგიებს საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვანი როლი აკისრიათ და ისინი განსაზღვრავენ ქვეყნებს შორის კავშირებს და თანამშრომლობას, ასევე დაპირისპირებასა და კონფლიქტებს. რელიგია ზედმეტად ერევა საერო ხელისუფლებაში, აუცილებლია მისი გამიჯვნა ხელისუფლებისგან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი პრობლემები და კონფლიქტები ლოკალურ თუ საერთაშორისო სივრცეში.

რელიგია იწვევს კონფლიქტებს, რაც სხვადასხვა რელიგიებს შორის აღინიშნება და განაპირობებს საზოგადოების გახლეჩას შიდა და გარე ჯგუფებად, რაც კონფლიქტების გამომწვევია სხვა-დასხვა რელიგიებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვთ და შეუძლიათ ერთად გაუმკლავდნენ მსოფლიოში წამოჭრილ პრობლემებს, ურთიერთპატივისცემა ჩამოაყალიბონ ერთმანეთის სარწმუნოების მიმართ და ამით ბოლო მოუღონ კონფლიქტებს, სხვადასხვა აღმსარებლობებს შორის დაპირისპირება და ანტაგონიზმი მაინც იჩინს თავს.

სოფო ჩქოფოია

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასო-  
ცირებული პროფესორი

## რელიგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

რელიგიების გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ეტაპზე, ისევე როგორც წარსულში, საკმაოდ დიდია. რელიგიებმა საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და შემეცნების ჩამოყალიბების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია ადა-მიანის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს, ის დიდ როლს თამაშობს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია რელიგიის როლი და ფაქტორები ჩვენს რეალობაში მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული დაპირისპირებების ფონზე. რელიგი-ურ ნიადაგზე არსებული დაპირისპირებები იძენენ საერთაშორისო კონფლიქტების სტატუსს.

მნიშვნელოვანია, რომ რელიგიები თანამედროვე ეტაპზე აქტიურ როლს თამაშობს სახელ-მწიფოთა პოლიტიკაში, მათი უადგილო ჩართულობა კი ხშირად იწვევს რელიგიურ თემთა შორის დაპირისპირებას და საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. თუმცა წარსულში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც რელიგია გამოიყენებოდა, როგორც კონფლიქტების დარეგულირების სა-უკეთესო საშუალება. თუმცა დღეს ძალიან იშვიათად ხდება რელიგიის, როგორც დამზადებლის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში.

თანამედროვე ეტაპზე არსებული რელიგიური კონფლიქტებიდან შეიძლება გამოვყოთ კოსოვო, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ლიდერები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომად-გენლები უარყოფდნენ რელიგიის გავლენას. საინტერესოა ჩრდილოეთ ირლანდიაში კათოლიკებ-სა და პროტესტანტებს შორის მომხდარი ინციდენტი, რომელმაც საფრთხე შეუქმნა სამშვიდობო პროცესს. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები, რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპი-რისპირებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოსათვის.

ხშირად რელიგიურ დაპირისპირებებს პოლიტიკური მოტივებიც უდევს საფუძვლად. ეს ხდება მაშინ, როდესაც ამა თუ იმ რელიგიის აღმსარებელი ხალხი კარგავს ან ვერ მოიპოვებს პოლიტიკურ სტატუსს და მოწინააღმდეგებზე ძალადობით ცდილობს მიზნის მიღწევას. მაგალითად, ისრაელში პალესტინელი არაბებისა და ებრაელების დაპირისპირება რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათისაა.

რელიგიურ კონფლიქტებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვისაუბროთ რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილ ტერორიზმზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე სამყაროს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. უკანასკნელ წლებში რელიგიურმა დაჯგუფებებმა დი-დი გავლენა იქონიეს ტერორიზმის განვითარებაზე. რელიგია ნოუიერ ნიადაგს ქმნის ტერორიზმის გასავალებლად. ასეთი ტერორისტული დაჯგუფებები მიიჩნევენ, რომ მათ აქვთ უფლება ხელი აღმართონ ადამიანებზე, რათა განმინდონ მსოფლიო ახალი მუსლიმანური წესრიგისათვის. ასეთი მიდგომა სახიფათოა და მას ძალადობრივ შეუწყნარებლობასა და რელიგიურ ომამდე მივყავართ.

რელიგიური ტერორისტული დაჯგუფებები თავიანთ ქმედებებს ამართლებენ იმით, რომ ისინი



არიან მხსნელები და რჩეულები, ისინი ფართოდ იყენებენ ძალადობას, ასეთი სახის ტერორიზმი ვითარდება და ვრცელდება ძალიან სწრაფად.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება რელიგიური ტერორიზმის ჩამოყალიბების ხანა. ყველაზე შოკისმომგვრელი და მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ჯაიდას მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტი აშშ-ის წინააღმდეგ, რამაც ტერორიზმს გლობალური ხასიათი შესძინა და მსოფლიო დააფიქრა იმაზე, თუ რამდენად სახიფათო და საყურადღებოა ტერორიზმი. ამ მოვლენების შემდეგ აქტიურად დაიწყო მსოფლიომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ჩამოყალიბდა ანტიტერორისტული ორგანიზაციები, გაიზარდა ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა ამ სფეროში, რაც ხელს უწყობს ტერორისტული ორგანიზაციების გამოაშკარავებას, ტერორისტების მიერ კარგად შემუშავებული გეგმების ხელის შეშლასა და ჩაშლას, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერორისტული დაჯგუფებების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

დღეს რელიგიას ყველაზე ხშირად უკავშირებენ ფუნდამენტალიზმს, ექსტრემიზმს, რადიკალიზმს. აქტიურად საუბრობენ ისლამურ ფუნდამენტალიზმზე, რომელსაც უკავშირებენ ტერორიზმს. ფუნდამენტალიზმის სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ საფუძველზე წარმოქმნილი ისლამური ტერორიზმი ებრძვის არა იმდენად იმპერიალიზმს, რამდენადაც მოსახლეობასა და დასავლურ ცივილიზაციას.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი XXI საუკუნეში მზარდ საფრთხეს წარმოადგენს, ეს არ არის საფრთხე რომელიმე ქვეყნის მიმართულებით, ეს არის საფრთხე მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის.

რელიგიურ ფუნდამენტალიზმის თავისუფლად შეიძლება უწნოდოთ მსოფლიო წესრიგის მტერი. რელიგიური ფუნდამენტალიზმი ეს არის რელიგიური პოზიცია, რომელიც მოცემული რელიგიის ბაზისური მცნებების უპირობო მხარდაჭერას მოითხოვს და მათ პირდაპირ რეალიზაციას ისახავს მიზნად. ისლამური ფუნდამენტალიზმის ძირითადი ამოცანაა ისლამის დაცვა ნებისმიერი სახის მოდერნიზაციისაგან.

ფუნდამენტალიზმი, ამ ტერმინის ყველაზე უფრო გავრცელებული გაგებით, ასოცირდება ავტორიტარიზმთან, სიხისტესთან და დოგმატიზმთან. მის განვითარებას ხელი შეუწყო გლობალიზაციის პროცესმა. მისთვის დამახასიათებელია რელიგიური დოგმების უდავო ჭეშმარიტების პრეზუმუცია. რელიგიურ ფუნდამენტალიზმს აქვს ტოტალიტარისტული ბუნება, მას აქვს მისწრაფება მოიცვას საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ყველა სფერო.

მუსლიმთა რელიგიური ფუნდამენტალიზმის ამოსავალი წერტილი ყურანია, ტერორისტები გამუდმებით ახდენენ მის ინტერპრეტირებას. ხშირად არასწორად, რადგან ყურანი არ ქადაგებს ტერორიზმს ან თვითმკვლელობას, არამედ პირიქით, გმობს ასეთ მოქმედებებს.

საომარი სულისკვეთება რელიგიური ფუნდამენტალიზმის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვითებაა. როგორც ტერორისტები აცხადებენ, ისინი იბრძვიან რელიგიის ძალმოსილების ზრდისათვის და საკუთარ თავს უწნოდებენ მეომრებს. მათთვის სხვა რელიგიის მიმდევრები არიან უცხოები, მტრები. მიაჩნიათ, რომ მოქმედებენ სიკეთის სახელით, მათი მთავარი მიზანი თვითდამკვიდრებაა.

ფუნდამენტალისტები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათ აგრესორებად ვერ მივიჩნევთ, საშიშნი

# დიალოგიური და სამართლი

არიან. მიუხედავად იმისა, თუ რომელი რელიგიის წარმომადგენლები არიან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანი არ აღიარებს, რომ ის ფუნდამენტალისტია, ის უფრო მოქნილ, ლიბერალურ ტრადიციას მისდევს. მაჰმადიანი კი აღიარებს, რომ საკუთარი რელიგიის ფუნდამენტს ეყრდნობა და ამიტომაც არის ფუნდამენტალისტი.

მკვლევართა მიხედვით, ფუნდამენტალიზმი ეს არის აზროვნების სახე, რომელიც გარკვეულ პრინციპებს ძირეულ ჭეშმარიტებად მიიჩნევს. მათი ავტორიტეტი შეუვალია, შინაარსის მიუხედავად.

ისლამური ფუნდამენტალიზმი გამოირჩევა სხვა რელიგიებისაგან, რადგან ის არის არა რელიგიური, არამედ რელიგიურ-პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც მთლიანად უარყოფს დასავლური დემოკრატის პრინციპებსა და იდეალებს და მათ განიხილავს საღვთისმეტყველო პოზიციიდან. ისლამისათვის დამახასიათებელია, პოლიტიკური საკითხის რელიგიურად გარდაქმნა.

აუცილებელია, რომ რელიგიურ ტერორიზმზე საუბრისას არ წარმოვიდგინოთ მთელი მუსლიმური სამყარო, ასევე არც ტერორისტებს აქვთ უფლება ისაუბრონ მუსლიმური სამყაროს სახელით.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი უდევს საფუძლად ტერორისტულ ქმედებებს, რელიგიურ კონფლიქტებს. XXI საუკუნის დასაწყისი კი გამოირჩევა განვითარებული და გამძაფრებული კონფლიქტებით ორ ისტორიულად დაპირისპირებულ რელიგიებს – ქრისტიანულსა და მუსლიმურს შორის. ჩვენ თვალწინ განვითარებული არაერთი მოვლენა ცხადყოფს, რომ დღეს ბევრი მუსლიმი ფუნდამენტალისტ-რადიკალია. ამის ნათელი მაგალითია მუსლიმთა პასუხი ფილმ „მუსლიმთა უმანკოება“-ზე, როდესაც მუსლიმური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა რელიგიის დასაცავად. მათი ყველა ეს ქმედება მიგვანიშნებს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ და ყველაფერზე წავლენ (მათ შორის ტერორიზმზეც) თავიანთი რელიგიის დასაცავად. მათი ეს ქმედება არის ერთგვარი გაფრთხილება იმისა, რომ ჩირქი ვერ მოსცხოს ვერავინ ისლამს, რადგან ისინი მის დასაცავად მზად არიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ.

აღმოსავლური რელიგიური ფუნდამენტალისტური მოძრაობები კარგად გვიჩვენებს იმას, თუ რამდენად ძლიერი ფენომენია დასავლური ცივილიზაცია, რომელიც აღმოსავლეთთან მშვიდობიანი შეხების შემთხვევაშიც კი ამ უკანასკნელზე უდიდეს ცვლილებებს ახდენს, აღმოსავლეთი კი ასეთ შემთხვევაში მუდმივად მზად არის მიმართოს უკიდურეს ზომებს.

ერთ-ერთ ცხელ წერტილად ითვლება ასევე სირიაც, რომლის ტერორისტორიის დიდი ნაწილი დღეს ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“ აქვს დაკავებული. მილიონობით ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა ქვეყანა, ლტოლვილთა დიდი ნაწილი დღესაც თურქეთს აფარებს თავს.

აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია თვით თურქეთისთვისაც, მიმდინარე მოვლენები საფრთხეს უქმნის თურქეთის წარმატებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქურთების საკითხიც, რომლებიც თურქეთის მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. ქურთები ასევე ცხოვრობენ სირიაშიც, მიმდინარე მოვლენების შემდეგ ათასობით ქურთი მიაწყდა თურქეთის საზღვრებს.

სირიის სამოქალაქო ომში დიდი როლი ითამაშა უცხოური ძალების მხარდაჭერამ და ინტერვენციამ. 2015 წლამდე, დასავლეთის სახელმწიფოები ომში ღიად ჩართვას თავიდან ირიდებდნენ, რუსეთმა და ირანმა კი ასადის რეზიმის მხარდაჭერა განაგრძო. საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად, რუსეთმა ასადი ფულითა და სამხედრო აღჭურვილობით მოამარაგა.

სირიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ირანის ისლამურ რესპუბლიკას მკვეთრად



გამოხატული პოზიცია აქვს: ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს, სი-რიელ ხალხს და მიიჩნევს, რომ სირიაში მიმდინარე მოვლენები უნდა მოგვარდეს გარე ძალების ჩარევის გარეშე, პოლიტიკური გზებით.

სირიის კონფლიქტთან მიმართებაში საინტერესოა რუსეთის პოზიციაც, რუსეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ასადს, განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა მისი მხარდაჭერა, როცა ასადი სამხედრო და ეკონომიკური კუთხით დასუსტდა. თავდასხმები რუსეთის მხრიდან ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ გარდა ხორციელდება დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ სირიის თავისუფალ არმიასა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა რუსეთსა და თურქეთს შორის თურქეთის მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ.

გაეროს 2016 წლის აპრილის მონაცემებით, სირიის ომში დაღუპულთა რიცხვმა 400 ათასს მიაღწია, ხოლო ხუთ მილიონზე მეტი სირიელი მიგრირებულია თურქეთის, ლიბის, ერაყსა და სხვა ქვეყნებში, ამათგან 2.7 მილიონი ადამიანი თურქეთს აფარებს თავს, რითაც იგი ყველაზე მეტი მიგრანტის შემფარველი ქვეყნის პოზიციას ინარჩუნებს.

არსებული მდგომარეობიდან ნათლად ჩანს, რომ რელიგიებს თანამედროვე ეტაპზეც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რელიგია განიხილება, როგორც პრობლემა კონფლიქტების წარმოქმნაში და ასევე ხსნად მის განეიტრალებაში. თუმცა რთულია ვიპოვოთ სად გადის ზღვარი ამ ორ უკიდურეს სხვაობას შორის. რელიგიას არ გააჩნია საზღვრები, ის ეძებს ნავსაყუდელს ყველგან.

რელიგიური კონფლიქტები გამოიჩინება განსაკუთრებული სიმწვავით, რომელსაც ეწირება უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე და საფრთხეს უქმნის მსოფლიო სტაბილურობას.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ რელიგიებს საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი როლი აკისრიათ. მეტიც, რელიგია განსაზღვრავს ქვეყნებს შორის კავშირებსა და თანამშრომლობას, ასევე დაპირისპირებასა და კონფლიქტებს. რელიგია ხლებს საზოგადოებას შიდა და გარე ჯგუფებად, რაც მათ შორის იწვევს კონფლიქტების გამომწვევი მიზეზია. აუცილებელია საერო და სასულიერო ცხოვრება გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, რათა მსოფლიომ შეძლოს თავიდან აირიდოს ზედმეტი პრობლემები, კონფლიქტები ლოკალურ და საერთაშორისო სივრცეში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.grassroots.ge/doc/NiniOkopiridze.pdf>
1. <http://irtoday.ge/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83-%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D/>
2. ბ. ჰოფმანი, საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, თბ., 2011.
3. „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, 2013.

**Ivane Sekhniashvili**  
*Doctor of Philology,  
Professor*

### **The Role of Television in the US 2016 Presidential Election Coverage**

#### **Abstract**

The article discusses the role of television not only in covering the US 2016 presidential elections but also in different social systems.

It is natural that the role of television in different social systems is diverse. Television is a very strong weapon in the ideological battle. It is the effective means of propaganda. Its influence on people is direct. TV viewers have to percept its visual form, movement, speaking, music and noise.

2016 was a very important year for the USA. The Americans elected the 45th president. The 2016 election was the battle between the Democrats and the Republicans.

The article concludes that in general, the study of the television fundamentals is one of the urgent issues on the way of social sciences development, as it is related to the analysis of the most perspective medium of mass media.



ივანე სეხნიაშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი

## ტელევიზიის როლი ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებისას

### რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში „ტელევიზიის როლი ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებისას“, ტელევიზიის როლი მხოლოდ არჩევნების გაშუქებისას კი არ განიხილება, არამედ სხვადასხვა სოციალურ სისტემაში.

ბუნებრივია, ტელევიზიის როლი სხვადასხვა სოციალურ სისტემაში ერთგვაროვანი არ არის. ტელევიზია საკმაოდ მძლავრი იარაღია იდეოლოგიურ ბრძოლაში. იგი არის პროპაგანდის ეფექტური საშუალება. მისი ზემოქმედება ადამიანზე უშუალოა. ტელემაყურებელს ძალაუნებურად უხდება აღიქვას ხედვითი სახეც, მოძრაობაც, ლაპარაკიც, მუსიკაც და ხმაურიც.

2016 წელი აშშ-სთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სწორედ ამ წლის 8 ნოემბერს ამერიკელმა ხალხმა რიგით 45-ე პრეზიდენტი აირჩია. 2016 წლის არჩევნები იყო ბრძოლა დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ტელევიზიის საფუძვლების შესწავლა არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების გზაზე, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიული საშუალების ანალიზთან.

## ტელევიზიონის როლი ამარიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებისას

უურნალისტიკა მოიცავს სამ ქვესისტემას – მასობრივი ინფორმაციის სამ საშუალებას: 1. პრე-სას, 2. რადიოს და 3. ტელევიზიას, რომელთა ერთიანობასაც განაპირობებს ის, რომ ისინი მოქმედებენ საერთო სოციალურ გარემოში, ჰყავთ ერთი აუდიტორია და აქვთ საერთო სოციალური ფუნქციები.

სატელევიზიო უურნალისტიკა, ისევე როგორც რადიოურნალისტიკა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ მოვლენებთან. მისი პრინციპია – რეალურობა რეალობაში. სატელევიზიო უურნალისტიკის მიერ წამოყენებული საკითხების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, ხელს უშენობს მასებზე ტელევიზიის ზემოქმედებას.

ბუნებრივია, ტელევიზიის როლი სხვადასხვა სოციალურ სისტემაში ერთგვაროვანი არ არის. იგი განისაზღვრება იმით, თუ რომელი საზოგადოებრივი ფორმაციის ინტერესებს გამოხატავს. ტელევიზია საკმაოდ მძლავრი იარაღია იდეოლოგიურ ბრძოლაში. იგი არის პროპაგანდის ეფექტური საშუალება. მისი ზემოქმედება ადამიანზე უშუალოა. მაგალითად, წიგნის ან გაზეთის კითხვის დროს ინფორმაციის აღქმის პროცესი მიმართულია ადამიანის აზროვნებაზე, რომელიც გადამუშავებს მას და აღძრავს თანადგომას ან ანტიპათიას. რადიოგადაცემა მიმართულია მხოლოდ სმენის ორგანოებისაკენ, ხოლო ტელევიზიას ერთდროულად მიაქვს იერიში ადამიანის ყველა გრძნობაზე და ზეგავლენას ახდენს მათზე. ტელემაყურებელს ძალაუნებურად უხდება აღიქვას ხედვითი სახეც, მოძრაობაც, ლაპარაკიც, მუსიკაც და ხმაურიც. ამასთან ერთად მონტაჟი და მისი მეთოდები მეტ ყურადღებას და გაშიფრას იმსახურებს.

მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ “სატელევიზიო უურნალისტიკაში” აღნიშნულია, რომ 1990 წელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ეპროპული ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოაცხადეს: “მაუწყებლობა ეს საზოგადოებრივი საკუთრებაა, რომელიც გამოიყენება არა მარტო ცალკეული ჯგუფების, არამედ მთელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ და ამდენად საზოგადოებრივი ინტერესების კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს”. („სატელევიზიო უურნალისტიკა“, 1998. 50).

2016 წელი აშშ-სთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სწორედ ამ წლის 8 ნოემბერს ამერიკელმა ხალხმა რიგით 45-ე პრეზიდენტი აირჩია. 2016 წლის არჩევნები იყო ბრძოლა დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის. ამ წელს საპრეზიდენტო მარათონში ამ პარტიების კანდიდატები იპროდნენ.

დემოკრატების კანდიდატი ჰილარი კლინტონი იყო, ხოლო ამერიკის მოსახლეობისა და მთელი მსოფლიოს ყველაზე დიდი, თუმცა ნეგატიური ყურადღება რესუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატმა, ექსცენტრიკულმა მიღიარდერმა დონალდ ტრამპმა მიიპყრო.

წინასწარი გამოკითხებით, მათ შორის ამერიკის ყოფილი პირველი ლედი და ყოფილი სახელწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ლიდერობდა. ის დემოკრატიულმა პარტიამ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისასაც წარადგინა კანდიდატად, თუმცა ბარაკ ობამამ დაამარცხა. მიუხედავად



ამისა, ჰილარი კლინტონი პირველი ქალია აშშ-ის ისტორიაში, რომელსაც პრეზიდენტად არჩევის ასეთი მაღალი შანსი ჰქონდა.

დონალდ ტრამპის გამოსვლებმა, რომლებშიც მრავლად იყო რასისტული, ჰომოფობიური, ის-ლამოპობიური, ანტიფემინისტური მესიჯები, მასზე მსოფლიო მედია აალაპარაკა, თუმცა მისი წინაარი რეიტინგი 36%-ს შეადგენდა, მილიარდერი ერთ-ერთ აუთსაიდერ კანდიდატად ითვლებოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატთა დებატები 2015 წლის აგვისტოდან მიმდინარეობდა. დებატები და პრაიმერები სხვადასხვა შტატში ნოემბრამდე გაგრძელდა.

NBC -ის, შურვეყ მონკეყ-სა და ესქუირე-ს ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომლის შედეგებიც 3 იანვარს გამოქვეყნდა, აჩვენა, რომ გამოკითხულ ამერიკელთა ნახევარი წელს უფრო აღშფოთებულია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, ვიდრე შარშან. ინტერნეტ-გამოკითხვამ გამოავლინა, რომ თეთრკანიანთა შორის ეს რიცხვი 54%-მდე გაიზარდა, უკმაყოფილოა აგრეთვე ამერიკის ესპანურენოვანი მოსახლეობის 43 და შავკანიანთა 33%.

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა ისიც, რომ რესპუბლიკელები უფრო მეტად განიცდიან უკმაყოფილებას, ვიდრე დემოკრატები. ასე რომ, ამერიკის ახალარჩეულ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს საკმაოდ ბევრი მუშაობა მოუწევს ამომრჩევლის კმაყოფილების გასაზრდელად.

თანამედრვე ტელევიზიასთან დაკავშირებულ პრობლემათა ფართო კომპლექსში დიდ მნიშვნელობას იძენს სიტყვა, რომელიც ისმის ეკრანიდან და მიმართულია მრავალმილიონიანი აუდიტორიისკენ. ტელეეკრანზე სიტყვის ხასიათი და ფუნქციონირება საინტერესოა პროპაგანდის მეცნიერული თეორიის მხრივ, რომელსაც შემდგომი განვითარება ესაჭიროება.

ახალი წლის დასაწყისში მთელი ყურადღება ორ დაპირისპირებულ ლიდერ კანდიდატზე, დონალდ ტრამპსა და ჰილარი კლინტონზე იყო. სწორედ ტრამპმა გამოუშვა პირველი წინასაარჩევნო ვიდეორგოლი, ამ დროს კი დემოკრატების ფავორიტს მისი მეუღლის, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის სექსუალურ სკანდალთან დაკავშირებით შეკითხვების მოგერიება უწევდა.

დონალდ ტრამპის ვიდეორგოლში კვლავ გაუდერდა სადაც იდები, მაგალითად, ამერიკაში მუსლიმების შესვლის დროებით აკრძალვა, ასევე მექსიკის საზღვარზე კედლის აღმართვა, თუმცა არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა დონალდ ტრამპს გაპრეზიდენტება სწორედ მექსიკის პრეზიდენტმა მიუღლოცა.

საინტერესოდ მიგვაჩნია ვ. ჰავეს სტატიაში მრავალი წლის წინ გამოთქმული ეს აზრი: „მას, ვინც საჭირო მომენტში იპოვის საჭირო სიტყვას, გამოიყენებს მასობრივი კომუნიკაციის საჭირო არხს და იხმარს სიტყვას აქტიურ, გამოხატულ ფორმაში პროპაგანდისტულად მომზადებული აუდიტორიის წინაშე, მას ეკუთვნის სამყარო“. (ჰავე, 1962).

გავლენიანმა ბრიტანულმა გამოცემა „The Economist“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც განხილულია, თუ რას ნიშნავს მსოფლიოსათვის აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვება. საინფორმაციო პორტალი News.ge აქვეყნებს ამ სტატიის თარგმანს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ევროპაში ტრამპის გამარჯვებით პოპულისტებმა გაიხარეს, როგორც ვიქტორ ორბანია, უნგრეთის მავნე პრემიერი და საფრანგეთის ულტრანაციონალისტი მარინ ლე პენი, რომელსაც მომავალ გაზაფხულზე გამარჯვების შანსი აქვს („მათი მსოფლიო ინგრევა და ჩვენი შენდება“ – დაწერა „ტვიტერზე“ მისმა სტრატეგმა). თუმცა ტრამპის დამოკიდებულებამ უსაფრთხოების მიმართ ნატოელი მოკავშირეები დააფრთხო და გაახარა ბატონი პუტინი. მისმა ზერელე დამოკიდებულებამ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის მიმართ, მოსაზღვრე ქვეყნები აანერვიულა. ესტონეთმა, რომელსაც რუსეთის შეჭრის ეშინია, მოქალაქეების პარტიზანულ ბრძოლაში მომზადება დაიწყო და მოქალაქეებს იარაღის სახლებში შენახვისაკენ მოუწოდა. რუსეთი ამ დროს ძა-

ლიან გახარებულია არა იმის გამო, რომ პუტინი ტრამპს ხედავს საკუთარ თავთან მიმსგავსებულ (თუმცა უფრო სუსტ) ლიდერად, არამედ, იმიტომ, რომ მან გამარჯვება მოიპოვა დემოკრატიისა და პუტინის ყველაზე დიდი მტრის – რეალურად კონკურენტული არჩევნების წინაღმდეგ.

ჩინეთსაც იგივე მიზეზით უხარია. მისი მერიტოკრატიული მმართველობა ნათელი წერტილია არაკვალიფიციური ხეპრეს გამარჯვების შემდეგ.

ტრამპის გამარჯვებამ იაპონია – აშშ-ს ყველაზე დიდი მეგობარი აზიაში ძალიან აანერვიულა. საარჩევნო კამპანიის დროს, „რესპუბლიკელმა“ კანდიდატმა იაპონია ამერიკული უსაფრთხოების უფასო მოხმარებაში დაადანაშაულა და გამოვიდა ინიციატივით, რომ იაპონიამ და სამხრეთ კორეამ ამერიკული უსაფრთხოების ქოლგის ნაცვლად საკუთარი ბირთვული იარაღები შექმნან. ეს რეგიონული არასტაბილურობის რეცეპტია.

ახლო აღმოსავლეთის ლიდერებიც იგივეს შეშობენ. ტრამპი ალბათ საშუალებას მისცემს პენტაგონს, დაასრულოს მოსულის „ისლამური სახელმწიფოსაგან“ გათავისუფლების კამპანია, თუ ის 20 იანვრამდე გასტანს, როდესაც მისი ინაუგურაცია მოხდება. ტრამპი ინტერვენციას იდეოლოგიური მიზნების გამო ვერ იტანს და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ერაყში ამერიკელი სამხედროები დატოვოს.

კომპრომისების მოწინააღმდეგები ისრაელსა და ირანში ტრამპის გამარჯვებას ზეიმობენ: ისრაელში იმიტომ, რომ ტრამპი არ წავა პალესტინასთან დათმობებზე, ირანში კი უხარიათ ბირთვული შეთანხმების შესაძლო გაუქმება, რომელსაც უყურებენ როგორც აშშ-ს შეთქმულებას მათ ქვეყანაზე კონტროლის მოპოვებისათვის.

ტელევიზიისაგან განსხვავებით ონლაინ მედიის მეტყველებას ახასიათებს იმპერატიულობა და გაზრდილი ემოციურობა. ორიენტაცია ფართო მკითხველზე იწვევს საყოველთაოდ გასაგები ენობრივი ერთეულების შერჩევას. უშუალობისა და მკითხველთან კონტაქტის ადვილად დასამყარებლად ონლაინ მედია, ისევე როგორც გაზეთი, ხშირად მიმართავს სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ ენობრივ ელემენტებს, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ამა თუ იმ სტატიის სათაურებში.

მასობრივი კომუნიკაციის ტექსტთა ლინგვისტური კვლევის ამოცანა მით უფრო აქტუალური ხდება, რადგან, როგორც ვხედავთ, სწორედ მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციურ სფეროში ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ლიტერატურული ენის ცვლის პროცესი.

დონალდ ტრამპმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დააგროვა გამარჯვებისათვის საჭირო საარჩევნო კოლეგიის 270 ხმაზე მეტი. შესაბამისად, 70 წლის ტრამპი ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტი გახდა.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ტელევიზიის საფუძვლების შესწავლა არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების გზაზე, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიული საშუალების ანალიზთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. იხ. <http://www.presa.ge>
2. იხ. <http://www.news.ge>
3. სატელევიზიო ურნალისტიკა, სატელევიზიო ურნალისტიკა, მ. ვ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1998, გვ. 50.
4. hake, Haacke W. Die Sprache der Massenmedien, Publizistik, Bremen, 1962, Jg. 7, H.



**Baqar Gvazava**

*Undergraduate of Georgian Technical University  
Faculty of Law and International Relations*

**Nino Tservadze**

*Doctor of Psychological Sciences  
Associate Professor of New Higher  
Education Institute*

## **Psychological Mechanisms of Juvenile Crimes**

### **Abstract**

The article discusses the effects of the underage psychological factors during their development and formation. Teenagers' physical changes are connected to their psychical development. During the transitional period adolescents seem to be more energized, which sometimes takes place without corresponding to any norms. This period is featured with frequent spinelessness, rapid mood swings, versatility of demands, excessive emotionality, non-serious attitude to work, forgetfulness, improvidence, decision making difficulties, imagination, and as mentioned above, excessive energy.

Two processes are going simultaneously in transitional age: socialisation, acquiring social experience and self-affirmation, recognition by others. It is known, that difficult teenagers are the "basis" of juvenile criminals. All of the problematic children are characterized by "active counteraction to upbringing", abnormal attitude to surrounding people, meaning socially unacceptable activities. Difficult teenagers, who often break discipline and do not maintain elementary behavioral norms, can easily be considered as socially unacceptable persons. Their socialization do needs systematic and intensive work. Significant effort is required in order to make them deserving members of the society.

პაქარ გვაზავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის პაკალავრი

ნინო ცერცვაძე

ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორი  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

არასრულწლოვანთა დანაშაულობების ფსიქოლოგიური მექანიზმები

## რეზიუმე

თანამედროვე ეპოქაში მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებები და მისი გამომწვევი მიზეზები, ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია არასრულწლოვანთა ფსიქო-საციალური ფაქტორების გავლენაზე, მათი განვითარებისა და ჩამოყალიბების პერიოდში. მოზარდის ფიზიკური ცვლილებები დაკავშირებულია მის ფსიქიკურ განვითრებასთან. გარდატეხის პერიოდში მოზარდში შეინიშნება ენერგიის მოზღვავება, რომელიც ზოგჯერ ყოველგვარი ნორმების გათვალისწინების გარეშე იჩენს თავს. როგორც აღვნიშნეთ, მოზარდის ორგანიზმი გარდატეხის პერიოდში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამ პერიოდში აღვნიშნება ხშირი უხასიათობა, განწყობის სწრაფი (უმიზეზოდ) ცვალებადობა, მოთხოვნილებათა მრავალფეროვნება, ზედმეტი ემოციურობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, გულმავინყობა, წინდაუხედაობა, გადაწყვეტილების მიღების გაძნელება, ფანტაზიორობა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოზღვავებული ენერგია. მოზარდები ამ პერიოდში იმპულსურები არიან და ვერ აკონტროლებენ ემოციებს, ანუ არ შეუძლიათ საკუთარი მოქმედებით გამოწვეული შედეგების გათვალისწინება. მოზარდები ცდილობენ საკუთარი “ მე“-ს წარმოჩენას, ზეწოლად აღიქვამენ ყოველგვარ საწინააღმდეგო აზრს.

მოზარდის ასაკობრივი თავისებურებები რთულ სიტუაციებში უარყოფითად მოქმედებენ მის ქცევაზე, ინვევენ კონფლიქტებს, შეჯახებებსა და ნინაალმდებობებს გარშემომყოფებთან. ასეთი მოზარდების სპეციფიკური ფსიქოლოგიური თავისებურებებია: ემოციური აღგზნებულობა, გაღიზიანებადობა, გუნება-განწყობილების სწრაფი ცვლა, აფექტები, კოფლიქტები, თვითშეფასების პრეტენზიების აწეული დონე, რაც მოზარდში ინვევს აგრესიულობას, უხეშობასა და ნეგატივიზმს.

გარდამავალ ასაკში ერთდროულად მიმდინარეობს ორი პროცესი. ესაა სოციალიზაცია, სოციალური გამოცდილების ათვისება და თვითდამკვიდრება. გარშემომყოფა მიერ მისი აღიარება. როგორც ცნობილია არასრულწლოვან დამნაშავეთა ძირითად „ბაზას“ შეადგენენ ძნელი მოზარდები, ყველა ძნელი ბავშვისათვის დამახასიათებელია „აღზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა“ გარშემომყოფი ადამიანებისადმი არანორმალური დამოკიდებულება, იგულისხმება საზოგადოებისათვის მიუღებელი საქმიანობები. ის რომ ძნელი მოზარდი ხშირად არღვევს დისციპლინას, არ ასრულებს ქცევის ელემენტარულ ნორმებს, მარტივად წარმოსადგენია, რომ ის სოციუმისათვის მიუღებელ პიროვნებად მიიჩნეოდეს. ასეთ მოზარდებს ნამდვილად სჭირდებათ სისტემური და ინტენსიური მუშაობა, რადგან მათი სოციალიზაცია მეტად დიდ ძალისხმევას მოითხოვს, საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები რომ გახდნენ.

**ბაქარ გვაზავა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ბაკალავრი

**ნინო ცერცვაძე**

ფსიქოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი

## არასრულწლოვანთა დანაშაულობრივის ფსიქოლოგიური მექანიზმები

ადამიანის ქცევა უპირველესად განპირობებულია პიროვნულად და არა სიტუაციურად, რითაც ადამიანური საქციელი განსხვავდება ცხოველურისაგან. პიროვნებაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ასახავს ის სიტუაციას და როგორ მოქმედებებს შეასრულებს. სიტუაციის კრიმინოგენური ელფერი, მისი მაპროვოცირებელი და დანაშაულისადმი ხელშემწყობი ხასიათი ობიექტურად ინვევს პიროვნების პასუხისმგებლობის შემცირებას საკუთარ ქცევაზე.

დანაშაული არის აქტი, რომელშიც ვლინდება ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სხვა ფაქტორთა რთული ურთიერთქმედება თუ ურთიერთდამოკიდებულება. პიროვნება სოციალიზაციის პროცესში ავლენს გადახრებსა და დეფექტებს, რომელთა მიზეზია საზოგადოებრივი გამოცდილების დამახინჯებული აღქმა, ანტისაზოგადოებრივი განწყობები, პიროვნების ასოციალური მიმართულება. ეს გადახრები ზემოქმედებენ პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზეც, რაც კანონსაწინააღმდეგო ქცევებში აისახება და ვლინდება.

არასრულწლოვნობის ან მოზარდობის პერიოდი ადამიანის ცხოვრების უაღრესად საპასუხისმგებლო, ყველაზე მხურვალე და დინამიკური პერიოდია. ეს არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, როდესაც უნდა დაიძლიოს ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა. მოზარდი თაობის მორალურ-ფსიქოლოგიური იერის დამახასიათებელი თვისებაა აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირება და მომავალი საქმიანობის განსაზღვრა.

თითოეული ასაკი თავისთავად ფსიქიკური განვითარების თვისობრივად განსხვავებული ეტაპია და ხასიათდება მრავალი ცვლილებით, რომელიც ერთობლივად ქმნის მოზარდი პიროვნების სტრუქტურის თავისებურებას მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე.

# დიალოგი და სამართლი

ასაკის თავისებურებებისა და სპეციფიკის განმსაზრელი გარე ფაქტორები ბავშვზე უშუალოდ არ მოქმედებენ. ასაკის სპეციფიკას განსაზღვრავს გარეგან და შინაგან პირობათა ერთობლიობა, ხოლო მათ შორის არსებული მიმართების შეცვლა განაპირობებს შემდეგ ასაკობრივ საფეხურზე გადასვლის აუცილებლობას. ასაკი ხასიათდება ცხოვრების პირობების თავისებურებებით, გარშემომყოფ ადამიანებთან მისი დამოკიდებულების გააზრებით. მოზარდის განვითარების მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილი მოთხოვნილებები დაკავშირებულია გარშემომყოფ ადამიანებთან მისი დამოკიდებულებების თავისებურებებით, პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის განვითარების დონით, მისი ცოდნისა და აზროვნების საფეხურებით, და განსაზღვრულ ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ერთობლიობით.

მეტად საყურადღებოა პრობლემა, რომელსაც არასრულნლოვანთა გახშირებული დანაშაულებრივი ქმედებები წარმოადგენს. შესაბამისად აუცილებელია მოზარდთა შორის კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა, ვინაიდან არასრულნლოვანთა დანაშაულებრივ ქცევასთან ბრძოლა გულისხმობს არა სასჯელის გამკაცრებას, არამედ პროფესიული, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების გაწევას, ორიენტირებულს პიროვნების შინაგანი პოტენციალის აქტუალიზაციასა და თვითრეგულაციაზე, პოზიტიური ქცევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზარდობა ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია, როცა იცვლება ძირეულად არა მარტო ფსიქოლოგიური სტრუქტურები, არამედ ყალიბდება მორალური ღირებულებები და სოციალური განწყობები. ამ რთული ეტაპისათვის დამახასიათებელია ნეგატივიზმი, პროტესტი უფროსების მიმართ. მეორეს მხრივ, ამ ასაკისათვის მნიშვნელოვანია პოზიტიური ტენდენციებიც, კერძოდ, იზრდება დამოკიდებულება პასუხისმგებლობა, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, ურთიერთობა უფროსებსა და თანატოლებთან, მრავალმხრივ ხასიათს იძენს. ამასთანავე მოზარდობის პერიოდი ადამიანის ცხოვრების გადამწყვეტი ეტაპია, როგორც გარდამავალი ეტაპი ბავშვობიდან მონიფულობისაკენ. ამ სტადიაზე ერთ მთლიანად ინტეგრირება შეძენილი გამოცდილება. თუ მოზარდი ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი კრიზისის, ფსიქოლოგიური კონფლიქტის გადაწყვეტას ვერ ახერხებს, ვითარდება „არსებითი პათოლოგია“, „საბაზისო ანტიპათია“.

დანაშაულებრივი ქმედება კონფლიქტური ქცევაა. იგი ყოველთვის ეფუძნება საზოგადოებაში, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში, ჯგუფსა და პიროვნებას, ცალკეულ პიროვნებებს შორის და ბოლოს თვით პიროვნებაში არსებულ კონფლიქტებს. დანაშაულის მოტივაცია ყალიბდება დამნაშავის ნეგატიური ნიშან-თვისებებით. დამნაშავეთა უმრავლესობის მოთხოვნილებები უკიდურესად პრიმიტიულია, გამოირჩევა შეზღუდულობით სივიწროვით, სოციალურად დადებითი სახეების განუვითარებლობით. მათი ქმედებები ხორციელდება რეგულაციის დაბალ იმპულსურ დონეზე.

არასრულნლოვნის ან მოზარდის ზუსტი ცნება არ არსებობს. მოზარდობის, ანუ არასრულნლოვნის ასაკი არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. არასრულნლოვნის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ის მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია. „გარდატეხის“ პერიოდი პირველად მე-16 საუკუნის ბოლოს გამოიყენეს. ლათინურად „პუბერტად, პუბერტას“, ანუ პუბერტატული პერიოდი ნიშანებს ადამიანის სექსუალურ მომწიფებას, ჩამოყალიბებას. მე-19 საუკუნეში მოზარდების გარდატეხის პერიოდი დაახლოებით 17 წლის ასაკიდან იწყებოდა. ამჟამად სქესობრივი მომწიფების პერიოდს გოგონები 10-18 წლის ასაკში, ხოლო ვაჟები 12-20 წლის ასაკში გადიან. ადამიანში გარდატეხის პერიოდი გამოირჩევა ბიოლოგიური და ფსიქური განვითარების მნიშვნელოვანი თავისებურებებითა და ცვლილებებით. გარდატეხის პერიოდი და (ამ პერიოდის) სოცი-



ალიზაცია მკაცრად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებას. ადამიანში ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური დამუშავება მთლიანი ძალით მიმდინარეობს.

მოზარდის ფიზიკური ცვლილებები დაკავშირებულია მის ფსიქიკურ განვითარებასთან. გარდატების პერიოდში მოზარდში შეინიშნება ენერგიის მოზღვავება, რომელიც ზოგჯერ ყოველგვარი ნორმების გათვალისწინების გარეშე ჩერიოდში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ამ პერიოდში აღენიშნება ხშირი უხასიათობა, განწყობის სწრაფი (უმიზეზოდ ცვალებადობა, მოთხოვნილებათა მრავალფეროვნება, ზემოთ აღნიშნული ემოციურობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, გულმავინყობა, ნინდაუხედაობა, გადაწყვეტილების მიღების გაძნელება, ფანტაზიორობა და, როგორც ზემოთ აღნიშნული, მოზღვავებული ენერგია. მოზარდები ამ პერიოდში იმპულსურები არიან და ვერ აკონტროლებენ ემოციებს, ანუ არ შეუძლიათ საკუთარი მოქმედებით გამოწვეული შედეგების გათვალისწინება. მოზარდები ცდილობენ საკუთარი “მე“-ს წარმოჩენას, ზეწოლად აღიქვამენ ყოველგვარ საწინააღმდეგო აზრს.

არასრულნლოვანთა დანაშაული ზოგადად საზოგადოებაში არსებული დანაშაულობის ნაწილია, რომლის აღმოცენებაზე გარკვეული ფაქტორები ზემოქმედებენ. 14 წლიდან 18 წლამდე პირთა დანაშაულობის შესწავლისას გამოიყენება სოციალ-ფსიქოლოგიური და ზოგადეკრიმინოლოგიური მაჩვენებლები. არასრულნლოვანთა დანაშაულის ძირითდი მიზეზია მათი პიროვნული დეფექტები და გარესამყაროს უარყოფითი ფაქტორების გავლენა. არასრულნლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული უმეტესწილად დაკავშირებულია მათი მოტივაციური სფეროს არამდგრადობასთან და არა განსაზღვრული მყარი სოციალურად უარყოფითი მიმართულების სიჭარბესთან.

არასრულნლოვნების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების უმრავლესობა დაკავშირებულია იმპულსურ აგრესიულობასთან. მათი აღმოცენება სიტუაციურად განპირობებულია და უკავშირდება შეფასებას. არასრულნლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ქვეშ იგულისხმება 14-დან 17 წლამდე მოზარდების მიერ განხორციელებული ასოციალური ქმედებები, რომელიც ზიანს აყენებს მათ პიროვნულ, ღირსეულ, ფასეულობათა ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, საზოგადოებისა და სოციუმის იმ ნაწილისათვის მიუღებელ პიროვნებებად იქცევიან .

მეცნიერული კვლევის უახლესი ტექნიკური მეთოდების განვითარებამ აჩვენა, რომ მოზარდებში და ზრდასრულ ადამიანებში ემოციები გადამუშავდება ტვინის სხვადასხვა სფეროში. მოზარდის ფიზიკური ცვლილებები დაკავშირებულია მის ფსიქიკურ განვითარებასთან. გარდატების პერიოდში მოზარდში შეინიშნება ენერგიის მოზღვავება.

გარდა იმისა, რომ დამნაშავე პირთა ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით არასრულნლოვანთა დანაშაული გავრცელებულია საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში და ის ნორმალური მოვლენაა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, არასრულნლოვანთა დანაშაული ყველგან და ყველა დროში გავრცელებული. არასრულნლოვანთა დანაშაულობის ეს ორი თვისება, მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ ერთსა და იმავე კონტექსტში განიხილება. სინამდვილეში, ვფიქრობთ, რომ მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ნორმალურობა მიუთითებს, რომ დანაშაული განპირობებულია დამნაშავის ასაკით, ხოლო ყველგან და ყველა დროში გავრცელებულობა კი იმას, რომ დანაშაულის ჩამდენი არასრულნლოვანი შეიძლება მიეკუთვნებოდეს ნებისმიერ სოციალურ ფენას. არასრულნლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა, ანუ მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია დაიწყოს გარდატების პერიოდიდან და დასრულდეს მის დასრულებასთან ერთად. გარდატების პერიოდში ასევე თავს იჩენს მოზარდის

# დიალოგიზის და სამართლი

სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები. ამ დროს ის შეიძლება ჩადიოდეს დანაშაულს, ხოლო სოციალიზაციის დამთავრების შემდგომ, მოზარდმა შეიძლება დანაშაული აღარ ჩაიდიონს.

დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივი ქმედებები 14-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში მომეტებული ხასიათისაა, რაც ამ პერიოდში სირთულეებით აღსავსე გარდატეხისა და სოციალიზაციის პროცესებით აიხსნება. დანაშაულებრივი ქმედებები უმაღლეს ზღვარს აღწევს 16-დან 18 წლამდე ასაკში. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს მოზარდთა მცირე ჯგუფთან, რომელიც კრიმინალური „კარიერის“ გზას დაადგა, ან იმ პირებთან, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული. როგორც წესი, ადამიანის ჩამოყალიბება მთავრდება 25-30 წლის ასაკში. თუ ადამიანმა ამ ასაკს ისე მიაღწია, რომ არ ჩაუდენია დანაშაული, შანსი იმისა, რომ ის დამნაშავე გახდეს ძალიან მცირეა. ადამიანებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სოციალიზაცია, ახასიათებთ რაციონალური მიდგომა დანაშაულის ჩადენისადმი და ეშინიათ არ დაკარგონ მიღწეული სოციალური მდგომარეობა.

არასრულნლოვანი დამნაშავენი, როგორც კვლევებმა აჩვენა, ხელახალი აღზრდისათვის საკმაოდ რთული ობიექტინ არიან, მათვის დამახასიათებელია დამკვიდრებული უარყოფითი შეხედულებები, წარმოდგენები, ისინი ყველანაირად ეწინააღმდეგებიან აღმზრდელობით გავლენებს, აღმართავს რა უნდობლობისა და განდგომის პარიერს აღმზრდელსა და თავის თავს შორის. და რაც უფრო ძიერ გადაიხრება მოზარდის ქცევა საყოველობრივ მიღებული სოციალური ნორმიდან, მით უფრო ძნელია მათთან ასეთი მუშაობის ჩატარება. ხასიათის თვისებების დეფორმაცია, ასეთ შემთხვევებში მოითხოვს პიროვნების ძირფესვიან გარდაქმნასა და ხელახლა აღზრდას, რადგანაც მისთვის დამახასიათებელია სოციალიზაციის დაბალი დონე, ეს კი გამოიხატება იმ დადებითისა და სოციალურად ფასეულის მაქსიმუმის აღქმის უუნარობაში, რაც შეუძლია მისცეს მას საზოგადოებამ.

ზომებს, რომელიც გულისხმობს პროფილაქტიკური ზემოქმედების ობიექტის თვისებრივ ცვლილებას, უნდა გააჩნდეს გარკვეული თანმიმდევრობა, შეთანხმებულობა, კოორდინირება, მონაცემება. ამიტომ, ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მოზარდის პიროვნების კრიმინალიზაციის განმაპირობებელი ფსიქო-სოციალური ფაქტორების კომპლექსის განსაზღვრა და ნეიტრალიზაცია. აქ ორიენტირი უნდა გახდეს არასრულნლოვანთა დამნაშავეობის თავიდან აცილების პროცესების დონეები, რომლებიც, თავის მხრივ, დეტერმინირებულია მოზარდთა პიროვნული თავისებურებებით, სოციალური გარემოცვის უარყოფითი გავლენის ხასიათით.

არასრულნლოვანთა დანაშაულობების თავიდან აცილებისათვის ძირითად კონცეფციად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი დებულებები:

სახელმწიფოებრივი საწყისების შეთვისება საზოგადოების მონაწილეობასთან პროფილაქტიკური მუშაობისა და მისი ეფექტიანობის მიმართ ორგანიზაციაში;

ბავშვთა აღზრდის, სოციალურ-სამართლებრივი დაცვისა და არასრულნლოვანთა პიროვნული დეფორმაციების თავიდან აცილების პროცესების ურთიერთგანპირობებულობა, ურთიერთმოქმედება და სისტემური კავშირი;

პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარების მიმართ პიროვნული მიდგომა;

ზოგადი კონკრეტული სიტუაციის განვითარების პროგნოზირების საფუძველზე გამაფრთხილებელ-წინმსწრებ ზემოქმედებაზე ყურადღების გამახვილება;

არასრულნლოვანთა ფსიქო-სოციალურ ქცევებში გადახრების თავიდან აცილების სისტემის დეტერმინაცია კრიმინალურ მოზარდთა ტიპოლოგიური თავისებურებებით, აგრეთვე მათზე პირდაპირი და ირიბი კრიმინალიზირებული ზემოქმედებით.



არასრულნლოვანთა დანაშაულის ადრეული პროფილაქტიკა არის სპეციალური მოქმედება არასრულნლოვანის პიროვნების გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისა, რომლის ქცევა გადახრილია საზოგადოებრივი, მორალური და სამართლებრივი ნორმებიდან, მაგრამ ჯერ არ გადაქცეულა დანაშაულად, იგი წარმოადგენს პიროვნების სუსტ ასოციალურ დეფორმირებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ამინოვი, იურიდიული ფსიქოლოგია, სამართლიანი საქართველო, თბ., 2008.
2. არასრულნლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2009.
3. არასრულნლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები, რედ. ნ. როგავა, თბ., 1983.
4. ნ. ახალაშვილი, იურიდიული ფსიქოლოგის საფუძვლები, გამოცემლობა უნივერსალი, 2006.
5. ნ. ახალაშვილი, იურიდიული ფსიქოლოგის საფუძვლები, გამოცემლობა უნივერსალი, 2006.
6. თ. გოგიჩაიშვილი, იურიდიული ფსიქოლოგის საკითხები, თბ., 1994.
7. გ. გერიგი, ფ. ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება, მე-16 გამოცემა, თბ., 2009.
8. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულნლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, თბ., 2011.

Nino Tservadze

*Doctor of Psychological Sciences  
Associated Professor of New Higher  
Education Institute*

## **Leadership in Relation to Psychological Types and their Review**

### **Abstract**

In these modern times, opinions about leadership, along with other issues, continues to be actually debated. Many scientists and scientific fields spend quite a long time on leadership studies and related materials. Leadership is an especially valuable and rare characteristic and there are various opinions about it. It is very interesting that society has a specific perception of leadership skills. There often raises a question among people: what makes a person a good leader? How did they become effective leaders? There are lots of opinions about an effective leader.

Organizations are looking for the employees, gifted with good leadership skills, because they believe, that leaders can bring special success and achievements for their organization. The current study provides some data, which reveal tight connection between psychological types and leadership features. Researches have shown that if the leader is extrovert and has an introvert collaborator, relationship between these two is very attractive.

The following extrovert features should be noted: extraversion prefers taking information, inspiration and energy from outside. The main characteristics of extraverts are being very active, communicable and energetic. They always look good and powerful and make themselves the center of attention. If the leader is extravert, he typically speaks actively and often deals with the issues, which he may has not fully understood. Introvert relies on considerations and ideas and doesn't need outer stimulations. Such people prefer listening to speaking. They incline towards taking information by reading or by news. Sometimes introverts want to stay alone with themselves, as they feel exhausted due to constant social interaction with other people. According to this data analysis, if the leader is extrovert and employee is introvert, the last one needs some time to share his opinion with the leader about the particular issue. In our work we tried to define how leadership features are connected with psychological types.

Though, we can clearly say that the subject is widely discussed and the survey related to leadership will be debated for a long time. Modern challenges have indicated the significance of effective leader characteristics for an organization, as decisions of the leader play essential role on the way to success.



ნინო ცერცვაძე  
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

## ლიდერობა – ფსიქოლოგიურ ტიპებთან მიმართებაში და მათი მიმოხილვა

### რეზიუმე

თანამედროვე ეპოქაში რიგ საკითხებთან ერთად აქტუალურად განიხილება ლიდერობის შესახებ მოსაზრებები. უამრავი მეცნიერი თუ სამეცნიერო სფერო დიდ დროს უთმობს ლიდერობის შესახებ გარკვეულ მოცემულობათა კვლევებს. ლიდერობა განსაკუთრებით ლირებული და იშვიათი თვისებაა, რომლის შესახებ მოსაზრებები მრავალფეროვანია. საინტერესოა საზოგადოების განსაკუთრებული დამოკიდებულება ლიდერობის თვისებების შესახებ. ადამიანებში ხშირად ჩნდება კითხვა: რა აქცევს პიროვნებას კარგ ლიდერად? როგორ გახდნენ ეფექტური ლიდერები? მრავლად მოიპოვება მოსაზრებები ეფექტური ლიდერის შესახებ. ორგანიზაციები ეძებენ ისეთ კადრს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ლიდერობის უნარ-თვისებებით, რადგან სჯერათ, რომ მათ ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებული წარმატება და წინსვლა მოაქვთ.

ნაშრომში გადმოცემულია კვლევის გარკვეული შედეგები, რომლებიც მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან კავშირშია ფსიქოლოგიურ ტიპები ლიდერის ნიშან-თვისებებთან მიმართებაში.

კვლევებმა აჩვენა, თუ ლიდერი ექსტრავერტია და მუშაობს ინტროვერტ თანამშრომელთან, ამ შემთხვევაში საინტერესოა მათ შორის ურთიერთობის სტილი, აღსანიშნავია ექსტრავერტების შემდეგი თვისებები: ექსტრავერსია ინფორმაციის, შთაგონების და ენერგიის გარედან მიღებას ანიჭებს უპირატესობას. ექსტრავერტების მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ მათ ძალან უყვართ აქტიურობა, საუბარი. ასეთ ადამიანებს მოსწონთ სხვა ადამიანებთან კონტაქტი, არიან კომუნიკაციებულნი, ენერგიულები. ისინი მუდამ კარგად და ენერგიულად გამოიყურებიან, ისინი მუდამ საზოგადოების ცენტრში იმყოფებიან.

თუ ლიდერი ექსტრავერტია მისთვის დამახასიათებელია აქტიური საუბარი და ხშირად ისეთ საკითხებსაც ეხება, რომლებიც შესაძლოა ბოლომდე გააზრებულიც არ აქვთ.

ინტროვერტი მოსაზრებებს და იდეებს ეყრდნობა და გარე სტიმულაციებს არ საჭიროებს. ასეთ ადამიანებს მოსმენა უფრო უყვართ, ვიდრე საუბარი. მათ ინფორმაციის მიღება კითხვით, ან საინფორმაციო საშუალებებით მიღება ურჩევნიათ, ინტროვერტებს პერიოდულად საკუთარ თავთან მარტო დარჩენის სურვილი აქვთ, სხვა ადამიანებთან მუდმივი კონტაქტი მათ ძალას აცლის.

ამ მონაცემთა ანალიზის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ლიდერი ექსტრავერტია და თანამშრომელი ინტროვერტი, გარკვეული დრო სჭირდება იმისათვის, რომ ლიდერს ზუსტად მიაწოდოს თემის ირგვლის თავისი შეხედულება.

ნაშრომში შევეცადეთ გადმოვვეცა ზოგადი მონაცემი, თუ რა კავშირშია ლიდერის ნიშან-თვისებები ფსიქოლოგიურ ტიპებთან. თუმცადა მკაფიოდ შეგვიძლია დავძინოთ, რომ თემა მეტად აქტუალურია, და კვლევა ლიდერობასთან დაკავშირებით კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი. რადგან თანამედროვე გამოწვევებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის ეფექტური ლიდერის თვისებები და შესაძლებლობები, ამიტომ ლიდერის გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება წარმატებისაკენ სავალ გზაზე.

## ნინო ცერცვაძე

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცი-  
რებული პროფესორი

## ლიდერობა – ფსიქოლოგიურ ტიპებთან მი- მართებაში და მათი მიმოხილვა

სამყაროს სწრაფი განვითარების ტემპი თითეული ჩვენგანისათვის შესამჩნევი და მნიშვნელოვანია. მსოფლიო ელვის სისწრაფით განიცდის ცვალებადობას. ასეთივე ტემპით იზრდება ადამიანთა დამოკიდებულება და დიდი ინტერესი ლიდერის თვისებათა შესახებ. ნებისმიერ ადამიანს საკუთარი შეხედულება გააჩნია ლიდერის შესახებ, თუმცა არსებობს სიძნელეები ამ ტერმინის სრული განმარტებისათვის. უამრავი სამეცნიერო სფერო თავის შეხედულებებმა მრავალმხრივად განიხილავს ლიდერს და მის უნარ-თვისებებს, რაც მეტად აძნელებს საერთო ხედვას ლიდერის იმ თვისებების შესახებ, როთაც ის გამოკვეთილად განსხვავდება, საერთოდ ინდივიდთა მთლიანი ჯგუფისაგან.

ლიდერობის ცნობილმა მკვლევრებმა, რომლებთაც სამეცნიერო წრეები კარგად იცნობენ, მრავალი განმარტება და შეხედულება წარმოაჩინეს ლიდერის განსაკუთრებულ თვისებათა მიმართ. ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ლიდერობა წარმატებული ორგანიზებული ჯგუფის დინამიური და დაულალავი შრომის შედეგია. ზოგი მეცნიერი კი თვლის, რომ ლიდერობას ადამიანის საქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება განაპირობებს. მიიჩნევენ, რომ ლიდერს გარემოებები და აუცილებლობა ქმნის, თუმცა სხვა მოსაზრების მიხედვით ინდივიდის თანდაყოლილი ძლიერი თვისებების თანახმად ის უცილობელ ლიდერად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

უმნიშვნელოვანესია გავითვალისწინოთ ის გარემოებები, რომ ყოველ პიროვნებას გააჩნია ლიდერობის პოტენციალი, ლიდერობის თვისებათა შესწავლა შესაძლებელია, ლიდერული ჩვევების ათვისებასა და მათი გამოყენებისათვის აუცილებელია პიროვნების ფსიქოლოგიური მექანიზმების ჩართვა და განვითარება. სხვა მხრივ ლიდერობა შეიძლება ხელოვნებადაც კი მივიჩნიოთ. გარდა თანდაყოლილი თვისებებისა ეფექტური ლიდერობის ნიშან-თვისებებს ხშირად სწავლობენ და ავითარებენ.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ შეიძლება დავახასიათოთ გამორჩეული ლიდერების გარკვეული საერთო თვისებები, რომლებიც მეტწილად განაპირობებენ წარამტების ფორმულირებას.

როგორც აღვნიშნეთ: ლიდერობა განსაკუთრებით ღირებული და იშვიათი თვისებაა, რომლის შესახებ მოსაზრებები მრავალფეროვანია. საინტერესოა საზოგადოების განსაკუთრებული დამოკიდებულება ლიდერობის თვისებების შესახებ. ადამიანებში ხშირად ჩნდება კითხვა: რა აქცევს



პიროვნებას კარგ ლიდერად? როგორ გახდნენ ეფექტური ლიდერები? დღემდე ბევრი ნაშრომი დაწერილა და კვლევა ჩატარებულა ეფექტური ლიდერობის შესახებ გარკვეული მოცემულობის მისაღებად. მრავლად მოიპოვება მოსაზრებები ეფექტური ლიდერის შესახებ. გვთავაზობენ რჩევებს, თუ როგორ გავხდეთ კარგი ლიდერი. ორგანიზაციები ეძებენ ისეთ კადრს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ლიდერობის უნარ-თვისებებით, რადგან სჯერათ, რომ მათ ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებული წარმატება და წინსვლა მოაქვთ. ყოველივე ამის შედეგად, აკადემიურმა წრეებმა ლიდერობის შემსწავლელი პროგრამების შექმნა დაიწყეს, რამაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მკვლევრების მხრიდან. ლიდერობა ბევრ სხვადასხვა კონტექსტში არის შესწავლილი, პატარა ჯგუფებში თუ დიდ ორგანიზაციებში, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

„ლიდერობა“ – ეს არის პიროვნების ისეთი თვისება, რომლის განმარტება სხავადასხვანაირად არის შესაძლებელი, როგორც ერთ-ერთი ავტორი Stogdill (1974) აღწერს, ლიდერობის კვლევის მიმოხილვაში, დემოკრატიის, სიყვარულის თუ მშვიდობის განმარტების მსგავსად, ლიდერობის იმდენივე განმარტება არსებობს რამდენ ადამიანსაც უცდია მისი განსაზღვრების შემოთავაზება. მიუხედავად იმისა, რომ თითეულმა ჩვენგანმა ინტუიციურად იცის, თუ რა დგას ამ სიტყვის უკან. განსხვავებული აზროვნების მქონე ადამიანებისათვის სიტყვებს, როგორც წესი განსახვავებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საკმარისია ვახსენოთ ტერმინი ლიდერობა, აღმოვაჩინთ, რომ ლიდერობას ძალიან ბევრი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად მრავალი განმარტებისა, შეიძლება გამოვყოთ კონკრეტული კომპონენტები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ლიდერობისთვის: ლიდერობა ეს პროცესია, ლიდერობა მოიცავს გავლენას, ლიდერობა თავს იჩენს ჯგუფში, ლიდერობა მოიცავს საერთო მიზნებს და კიდევ სხვა მრავალი.

პროცესი გულისხმობს, რომ ლიდერი გავლენას ახდენს მის მიმდევრებზე და ამასთანავე ითვალისწინებს მისი მიმდევრების მოსაზრებებს. ლიდერობა არის არა ცალმხრივი, არამედ ინტერაქციული მოვლენა. როდესაც ლიდერობა ამგვარადაა განსაზღვრული, ის ყველასთვის საინტერესო ხდება. ლიდერობა მოიცავს გავლენას. აქ იგულისხმება თუ როგორ ახდენს ლიდერი გავლენას მის მიმდევრებზე. მარტივად რომ წარმოვადგინოთ ის ადამიანები, რომლებიც ლიდერობენ, იწოდებიან ლიდერებად, ხოლო ის ადამიანები ვისკენაც მიმართულია ლიდერობა, იწოდებიან მიმდევრებად. ლიდერებიც და მიმდევრებიც ლიდერობის პროცესში არიან ჩართული, ლიდერებს თავიანთი საქმიანობის შესასრულებლად სჭირდებათ მიმდევრები, მიმდევრებს კი ლიდერები. მიუხედავად იმისა, რომ ლიდერებს და მიმდევრებს მჭიდრო კავშირი აერთიანებთ, სწორედ ლიდერი გახლავთ ამ კავშირის დამყარების ინიციატივით, იგი საფუძველს უდებს საერთო კომუნიკაციას და ზოგადად, ის ხელს უწყობს ურთიერთობას.

ფსიქოლოგიური და სიტუაციური გავლენა ლიდერების განუყოფელი ნაწილია. ამის გარეშე ლიდერობა არ არსებობს, რადგანაც ლიდერობა თავს იჩენს ძირითადად ჯგუფში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ლიდერობა მეტად ლირებული და ამასთან კომპლექსური მოვლენაა. წლების განმავლობაში ლიდერობა ბევრნაირად ყოფილა განმარტებული. თითქმის ყველა განმარტებაში ნახსენებია, რომ ლიდერობა არის გავლენის მოხდენის პროცესი, რომელიც ინდივიდთა ჯგუფს ეხმარება საერთო მიზნის მიღწევაში. ლიდერობა განხილულია, როგორც პროცესი, სადაც ინდივიდი გავლენას ახდენს ინდივიდთა ჯგუფებზე საერთო მიზნის მისაღწევად. ფსიქოლოგიაში ლიდერობას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ხასიათის თვისებას. ამ მიდგომის მიხედვით, ზოგიერთ ადამიანს აქვს თანდაყოლილი თვისებები, რაც მათ ლიდერებად აქცევს. ასეთი ხედვით ლიდერობა მხოლოდ გამორჩეული, განსაკუთრებული ადამიანების ხვედრია. თუმცადა ამ მოსაზრების საპირისპიროდ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ლიდერობა შეიძლება ისწავლოს ნებისმიერმა ადამიანმა. არსებობს ლიდერობის ორი გავრცელებული ფორმა, თანამდებობრივი და აღიარებული ლიდერობა. თანამდებობრივი ლიდერობა, ორგანიზაციაში ოფიციალური სტატუსიდან ან პოზიციიდან

# დიალოგიური და სამართლი

გამომდინარეობს, მაშინ როცა აღიარებული ლიდერობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იძენს ადამიანი სხვათა მხარდაჭერას. ლიდერობასთანაა დაკავშირებული ძალაუფლების ცნება, გავლენის მოხდენის პოტენციალი. ძალაუფლებასაც განასხვავებენ: არსებობს ძალაუფლება პოზიციური და ძალაუფლება პიროვნული. პოზიციური ძალაუფლების გამოვლენის ადგილი თანამდებობრივი ხასიათისაა. ის ადამიანს ოფიციალური პოზიციიდან გამომდინარე აქვს და მიაზრება, როგორც დასჯისა და დაჯილდოების ლეგიტიმურ უფლებებში. პიროვნული ძალაუფლებას კი ჯგუფში, როგორც ლიდერების სასარგებლოდ გამოიყენებენ, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ლიდერები ამ საქმიანობის დროს, რაღაც მნიშვნელოვანისა და ლირებულისთვის იბრძვიან. ძალაუფლების, როგორც ერთობლივი რესურსის აღქმა მნიშვნელოვანია, რადგან ის აჩვენებს, რომ მხოლოდ ლიდერები არ არიან ძალაუფლების ერთპიროვნული მფლობელები.

ფინერლოგიური ტიპების დახმარებით ლიდერობის აღწერას არაერთხელ შეეცადნენ (Barens et al., 2001; Kroeger & Theusen, 2002). ეს ორი წყარო თანხმდება იმაზე, რომ ლიდერობა წინასწარ განზრახული ქმედებების ერთობლიობაა, ის მისდევს კონკრეტულ ხედვას ან მიზანს და ამ პროცესში ლიდერის გარდა, მონაწილე ადამიანებიც საკმარისად მოტივირებულნი უნდა იყვნენ დასახული მიზნის და საბოლოო შედეგის მისაღწევად. Kroeger & Theusen-is თანახმად ლიდერობა მოიცავს პირადი, ასევე ორგანიზაციული ძალაუფლების გამოყენებას. Paerman-ma (Barnes et al. 2001) აღწერა, უფრო თანამედროვე მოთხოვნები, რომლებიც მომავალში ლიდერობის პრაქტიკის განვითარების პროცესს უკავშირდება. Kroeger da Thensen-ma (2002) წარმოგვიდგინა Myers-Briggs ტიპის კითხვარზე დაყრდნობით (MBTI), 20 ათასი ადამიანის გამოკითხვის შედეგად მიღებული კვლევა. ამ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ადამიანებმა სახვადასხვა სახის ორგანიზაციებიდან, რომლებიც მოიცავდა კერძო სექტორს, სამთავრობო ორგანიზაციებს, სამხედრო სფეროსა და საბუღალტრო ფირმებს. კვლევამ შემდეგი სურათი აჩვენა:

პრეფერენციები და ლიდერობა	ლიდერობის დადებითი მხარეები	ლიდერობის უარყოფითი მხარეები
მოაზროვნე	ობიექტური, რაციონალური, პრობლემების მომგვარებელი, ემპათიური, თანამშრომლობითი (კოლეგიალური), ლი-ალური.	კრიტიკული, სხვებზე დამოკიდებული, არამგრძნობიარება და არამქონე, ცვალებადი.
მგრძნობიარე	ენერგიული, კომუნიკატებული, გახსნილი.	ზედმეტად კომუნიკაბელური.
ექსტრავერტი	ენერგიული, კომუნიკატებული, გახსნილი.	ნელი, გადაწყვეტილებაზე ყოყმანი.
ინტროვერტი	წყნარი. რეფლექსურად მოაზროვნე.	ბუნდოვანი, გაურკვეველი.
ინტუიციური	სტრატეგიულად მოაზროვნე, მომავალზე ორიენტირებული.	
შეგრძნებისმიერი	პრაქტიკული, ქმედებაზე ორიენტირებული.	წარმოსახვას მოკლებული, მკაცრი, მოუქნელი.
განსჯის მოყვარული, აღქმის-მიერი	გადაწყვეტილების უნარის მქონე, გეგმის ერთგული, მოქნილი, ცნობისმოყვარე, ინფორმირებული.	გაფანტული, არაფოკუსირებული.



საზოგადოდ მოცემულობა ლიდერობის შესახებ, ზუსტი ხედვა არ შეიძლება ერთბაშად ჩამოყალიბდეს, ხედვის ჩამოყალიბება ხშირ შემთხვევაში განყენებული აქტივობის შედეგია, რომელიც ბევრ სხვადასხვა განზომილებაში უნდა იყოს შესწავლილი. დამტკიცებულია, თუ ლიდერი ექსტრავერტია და მუშაობს ინტროვერტ თანამშრომელთან ამ შემთხვევაში საინტერესოა მათ შორის ურთიერთობის სტილი. აღსანიშნავია ექსტრავერტების შემდეგი თვისებები: ექსტრავერსია ინფორმაციის, შთაგონების და ენერგიის გარედან მიღებას ანიჭებს უპირატესობას. ექსტრავერტების მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ მათ ძალიან უყვართ აქტიურობა, საუბარი. ასეთ ადამიანებს მოსწონთ სხვა ადამიანებთან კონტაქტი, არიან კომუნიკაციურნი, ენერგიულები. ისინი მუდამ კარგად და ენერგიულად გამოიყურებიან, ისინი მუდამ საზოგადოების ცენტრში იმყოფებიან.

თუ ლიდერი ექსტრავერტია, მისთვის დამახასიათებელია აქტიური საუბარი და ხშირად ისეთ საკითხებსაც ეხება, რომელიც შესაძლოა ბოლომდე გააზრებულიც არ აქვს.

ინტროვერტი მოსაზრებებს და იდეებს ეყრდნობა და გარე სტიმულაციებს არ საჭიროებს. ასეთ ადამიანებს მოსმენა უფრო უყვართ, ვიდრე საუბარი. მათ ინფორმაციის მიღება კითხვით, ან საინფორმაციო საშუალებებით მიღება ურჩევნიათ, ინტროვერტების ერთ-ერთ ნიშან-თვისებას წარმოადგენს ფიქრისა და ენერგიის გამომუშავებისათვის პერიოდულად საკუთარ თავთან მარტო დარჩენის სურვილი, სხვა ადამიანებთან მუდმივი კონტაქტი მათ ძალას აცლის.

ამ მონაცემთა ანალიზის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ლიდერი ექსტრავერტია და თანამშრომელი ინტროვერტი გარკვეული დრო სჭირდება იმისათვის, რომ ლიდერს პასუხი გასცეს, კარგად გაიაზროს საუბრის საგანი და ლიდერის ნათქვამი კარგად გაანალიზოს ისე, რომ მოსაუბრეს თხრობა არ შეაწყვეტინოს.

ექსტრავერტისა და ინტროვერტის კომბინაციამ შეიძლება პრობლემები წარმოშვას. თანამშრომლობის მხრიდან დუმილი ან პასუხის დაგვიანება შეიძლება თანხმობის ნიშანდ მიიღოს ექსტრავერტ-ლიდერმა მაშინ, როდესაც მისდამი დაქვემდებარებული ადამიანი სინამდვილეში ნათქვამის გააზრებას ცდილობდა.

როდესაც საუბარი კონკრეტულ დავალებას ეხება, ლიდერმა შეიძლება იფიქროს, რომ თანამშრომელმა დავალება გაიგო და ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა. მაშინ, როდესაც თანამშრომელი ამ დროს შეიძლება შეპასუხების ფორმის მოძებნას ცდილობს. ამის შემდეგ ლიდერს შეიძლება თანამშრომლის უმოქმედობამ იმედი გაუცრუოს, ხოლო თანამშრომელი წაწყენი დარჩეს, იმის გამო, რომ არ მოუსმინეს, ასეთ სიტუაციაში ლიდერი უნდა დაუბრუნდეს ძველ საუბარს, ან შესთავაზოს თანამოსაუბრეს, რომ რამდენიმე საათი დაუთმოს დავალების გააზრებას კონკრეტული ქმედებების დაგეგმვას. თუ ინტროვერტი თანამშრომელი ამასთანავე ინტუიტურ ტიპს მიეკუთვნება, მან შეიძლება დავალების შესრულების უკეთესი გზაც კი იპოვოს.

აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა ჯგუფურ მუშაობაში, როდესაც ლიდერი ინტუიტურ ტიპს განეკუთვნება, ხოლო მისი მიმდევარი – მოაზროვნე ტიპს. ინტუიტურ ლიდერს შეუძლია მასშტაბური სურათის, გრძელვადიანი სტრატეგიისა და შესაძლებლობების დანახვა. ეს ყოველივე ლიდერის მთლიან ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, მის მნიშვნელოვან დადებით თვისებებს წარმოადგენს. ამ თვისებებს შეუძლიათ წინსვლასა და დადებით ცვლილებებს შეუწყონ ხელი, თუმცა ინტუიტურ ლიდერს, ასევე შეუძლია იმ დროს შეცვალოს მიზნები და სტრატეგიები, როდესაც თანამშრომლები არსებული სტრატეგიის განხორციელებას ცდილობენ. თუ ლიდერი აცნობიერებს საკუთარ და თანამშრომლის პრეფერენციებს, მან უნდა იზრუნოს, რომ ორივენი მყარად აცნობიერებდნენ რეალობას და სანამ ახალ პროექტზე გადავლენ, კერ მიმდინარე პროექტი მიიყვანონ ბოლომდე.

ფსიქოლოგიური პრეფერენციების და ტიპების გაგება, გაცნობიერება მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციისა და სამუშაოს შესრულებისათვის. ტიპებს შორის განსხვავებამ შეიძლება იმედგაცრუება და ზოგჯერ ანტაგონიზმიც კი გამოიწვიოს.

ნაშრომში შევეცადეთ გადმოგვეცა ზოგადი მონაცემი, თუ რა კავშირშია ლიდერის ნიშან-თვი-სებები ფსიქოლოგიურ ტიპებთან. თუმცალა დასასრულს მკაფიოდ შეგვიძლია დავძინოთ, რომ თე-მა მეტად აქტუალირია და კვლევა ლიდერობასთან დაკავშირებით კიდევ დიდხანს იქნება განსჯისა და კვლევის საგანი. რადგან თანამედროვე გამოწვევებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის ეფექტური ლიდერის თვისებები და შესაძლებლობები, ამიტომ ლიდერის გა-დაწყვეტილებებს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება წარმატებისაკენ სავალ გზა-ზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. 6. ახალაშვილი, ფსიქოლოგის საფუძვლები, თბ., 2013.
2. ი. უვანია, გ. კიენაძე, „ლიდერი და ლიდერობა“, თბ., 2006,
3. Berens,L.V., COOPER,S.A., ERNS,L.K., MARTIN,C.R., MYERS,S.,(2001) QUICK GUEIDE to the 16 personality types in organizations. Huntington beach, ca:tolos.
4. Berne,e.(1964)camepeople.,New York.ballantine.
5. Kroeger,o. theusen.s.m. 2002. Typelk.atwork.new York.dell.



# გორის ადმინისტრირებული მიმართულებები

Manana Nanitashvili

*Professor of Gori State Teaching University  
and New Higher Education Institution*

## The Methodology of the Competition Diagnostics in the Retail Trade

### Abstract

The Retail trade enterprises/firms operate in the environment, that is distinguished by the complexity and dynamic characteristics, by the competitive battle. Therefore, for the retail enterprises the study of the competition represents the determinant in their successful endeavors –in a market.

The level of a competition in the retail trade is dynamic, since the values of the criteria that define it and their ratio in time is not constant. This figure is differentiated by the attitude of the market too, on which appropriate researches are conducted.

The field of science is being put into serious empirical problems by the complexity of the behavior of the retail trade enterprises in a competitive battle. The state is aggravated by the fact that in our country the theoretical problem of the analysis of the enterprises' competitive battle has not been the subject of the studies until recently.

Concerning this, for the analyses of the level of competition in a retail trade, the methodology, which allows for the possibility of an action in the conditions of the problem of the weak structure, is necessary. The methodology should provide synthesis of the impact of criteria, which have qualitatively different meanings, taking into account the new feature of synergy effect obtained as a result of the interaction of the criteria.

In retail trade to solve such a difficult problem, such as the determination of the level of competition cannot be successfully implemented by separating its individual constituent issues, by their resolution and by the aggregation of the results, because in this case it is possible to generate "Eros Paradox" type of a situation. Considering this, in order to examine the level of the competition in the retail trade, we used the method of hierarchical analysis, which is the most preferred systematic approach for the study of the competitive relations in the retail trade.

მანანა ნანიტაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა  
და ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი

## კონკურენციის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია საცალო ვაჭრობაში

### რეზიუმე

საცალო ვაჭრობის საწარმოები (ფირმები ფუნქციირებენ გარემოში, რომელიც გამოირჩევა სირთულითა და დინამიკურობით, კონკურენტული ბრძოლით, ამიტომ კონკურენციის დიაგნოსტიკა საცალო საწარმოებისათვის წარმოადგენს განსმაზღვრელს მათ წარმატებულ საქმიანობაში – ბაზარზე).

კონკურენტული ბრძოლის დონე საცალო ვაჭრობაში დინამიკურია, ვინაიდან კრიტერიუმების მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ მას და მათი თანაფარდობა დროში არ არის მუდმივი. ეს მაჩვენებელი დიფერენციულია ბაზრისაგან დამოკიდებულებითაც, რომელზეც ტარდება შესაბამისი გამოკვლევები.

საცალო ვაჭრობის საწარმოთა ქცევის სირთულე კონკურენტულ ბრძოლაში დარგობრივ მეცნიერებას აყენებს სერიოზული ემპირიული პრობლემის წინაშე. მდგომარეობას ამნვავებს ისიც, რომ საწარმოთა კონკურენტული ურთიერთობების ანალიზის თეორიული პრობლემა ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არ გამხდარა ბოლო დრომდე კვლევის საგანი.

ამასთან დაკავშირებით, კონკურენტული ბრძოლის დონის ანალიზისათვის საცალო ვაჭრობაში, აუცილებელია მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა მოქმედების შესაძლებლობას სუსტი სტრუქტურის პრობლემის პირობებში. ამ მეთოდოლოგიამ, უნდა უზრუნველყოს კრიტერიუმთა გავლენის სინთეზირება, რომლებსაც გააჩნიათ თვისებრივად სხვადასხვა მნიშვნელობა, კრიტერიუმების ურთიერთქმედების შედეგად მიღებული სინერგიული ეფექტის ახალი თვისებების გათვალისწინება.

საცალო ვაჭრობაში ისეთი რთული პრობლემის გადაწყვეტა, როგორიცაა კონკურენციის დონის განსაზღვრა არ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მისი ცალკეული შემადგენელი საკითხების გამოყოფით, მათი გადაწყვეტითა და მიღებული შედეგების აგრეგირებით, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია „ეროუს პარადოქსის“ ტიპის სიტუაციის წარმოშობა. ამის გათვალისწინებით საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის დონის გამოკვლევისათვის ჩვენ გამოვიყენეთ იერარქიების ანალიზის მეთოდი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მისაღებ სისტემურ მიდგომას საცალო ვაჭრობაში კონკურენტულ ურთიერთობათა გამოკვლევისთვის.

**მანანა ნანიტაშვილი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ახალი უმაღლესი სასწავლებლის პროფესიონალური

## კონკურენციის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია საცალო ვაჭრობაში

კონკურენცია საპაზრო ეკონომიკის საფუძველია. კონკურენციის პრინციპი ფუნდამენტურია საცალო ვაჭრობისათვისაც. იმ პირობებში, როდესაც საცალო ვაჭრობის საწარმოები მომხმარებლებს სთავაზობენ ანალოგიურ საქონელსა და მომსახურებას, მომხმარებლები ბუნებრივია, პირველ რიგში, შეიძენენ მათ იქ, სადაც ფასები უფრო დაბალია ან არ არის მაღალი, ხოლო შეთავაზებული საქონელი და მომსახურება უფრო ხარისხიანია. კონკურენცია აიძულებს სხვა საწარმოებს მიიღონ ქმედითი ზომები ფასების კორექტირებისა და საქონლის (მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის პრობლემები საცალო ვაჭრობაში პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში არ გამოკვლეულა. საზღვარგარეთელი ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში ეს პრობლემები ფრაგმენტულად განიხილეს ფ. კოტლერმა, რ. მარკინმა, კ. კ. ციზემ.

საერთო თეორიული პოზიციიდან კონკურენტული ურთიერთობები დაწვრილებით გამოიკვლია მ. პორტერმა [6]. მაგალითად, იგი მიიჩნევს, რომ კონკურენტული ბრძოლის მდგომარეობა და მოგებიანობის დონე ნებისმიერ დარგში განისაზღვრება კონკურენციის ხუთი ფაქტორის ზემოქმედებით, რომლებსაც იგი უწოდებს კონკურენციის ძალებს; ახალი კონკურენტების გამოჩენის შესაძლებლობა; საქონელი-სუბსიტუტების გამოჩენის შესაძლებლობა; მიმწოდებლების გავლენა; მომხმარებლების გავლენა; ფირმების კონკურენცია დარგის შიგნით. ამ ძალების გავლენა კონკურენტულ ბრძოლაზე, მ. პორტერის აზრით, განისაზღვრება კონკურენტული სიტუაციით. ერთი ან რამდენიმე ამ ძალებიდან (ფაქტორებიდან) შეიძლება დომინირებდეს და გადამწყვეტ გავლენას ახდენდეს მისაღები მოგების სიდიდეზე. ასეთ პირობებში აუცილებელია ფირმამ განსაზღვროს და დაიკავოს ისეთი მდგომარეობა დარგში, რომლის დროსაც ფირმა მაქსიმალურად იქნება დაცული კონკურენტული ბრძოლისათვის დამახასიათებელი ძალების ზემოქმედებისაგან, ან მან შეძლოს გავლენა მოახდინოს ამ ძალებზე თავის სასარგებლოდ.

საცალო ვაჭრობაში ახალი კონკურენტების დადგენა ძნელია, ვინაიდან ე. ნ. შემოსასვლელი ბარიერები საკმაოდ დაბალია. მ. პორტერი გამოყოფს ექვს ასეთ ბარიერს პოტენციური კონკურენტებისათვის; ეკონომიკა წარმოების მასშტაბებზე; პროდუქციის დიფერენციაცია; მოთხოვნილება მნიშვნელოვან კაპიტალზე; კონვერსიის ხარჯები; განაწილების არხების უკმარისობა; განსაზღვრული უპირატესობების არსებობა. საცალო ვაჭრობას მათი უმრავლესობა არ მიესადაგება. მაგალითად, მასშტაბის ეფექტი არ არის დამახასიათებელი საცალო ვაჭრობის საწარმოებისათვის. აქედან ჩანს კაპიტალის ერთდროული დიდი დანახარჯების მიზანშეუწონლობა კონკრეტულ ბაზარზე შეღწევისათვის. საცალო საწარმოთა სპეციალიზაციის ცვლილება უმრავლეს შემთხვევაში აგრეთვე არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს. რაც შეეხება განაწილების არხების უკმარისობას, ეს საერთოდ მიუღებელია საცალო ვაჭრობისათვის, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მომხმარებლებთან.

საცალო ვაჭრობისათვის გამოუსადეგარია მ. პორტერის მიერ გამოყოფილი კონკურენციის ისეთი ძალა, როგორიცაა ბაზარზე საქონელი-სუბსიტუტების, ე. ი. ისეთი საქონლის გამოჩენა, რო-

## დიალოგიური და სამართლი

მელიც წარმოებულია არატრადიციული დარგების საწარმო-მიმწოდებლების მიერ და, რომელსაც გააჩნია ბაზარზე სარეალიზაციო ანალოგიური საქონლის სამომხმარებლო თვისებები. ეს განპირობებულია იმით, რომ საქონელი-სუბსიტუტები გაიყიდება აგრეთვე საცალო ქსელის მეშვეობით. ამრიგად, საცალო საწარმოთა პოზიციიდან მოცემული პრობლემა არსებითად დაიყვანება მიმწოდებლების შეცვლამდე.

ბუნებრივია, რომ საქონლის მიმწოდებლები გავლენას ახდენენ საცალო ვაჭრობის საწარმოებზე მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტის, მისი ხარისხის და ფასის დიფერენციაციის გზით. მაგრამ საბაზრო პირობებში ეს პრობლემა წყდება საცალო საწარმოების მიერ საჭირო მიმწოდებლების არჩევისა და საქონლის აუცილებელი რაოდენობის შესყიდვის გზით. საერთოდ სამრეწველო საწარმოები – მიმწოდებლები არც ისახავდნენ მიზნად შეცვალათ კონკურენციის მდგომარეობა საცალო ვაჭრობაში, რომელიც წარიმართება მომხმარებელთა მოსაზიდად სავაჭრო საწარმოებში.

უდავოა, რომ მომხმარებლები გავლენას ახდენენ კონკურენტულ ბრძოლაზე საცალო ვაჭრობაში. საცალო საწარმოების (ფირმების) მთელი საქმიანობა განისაზღვრება მომხმარებელთა მოთხოვნის გამოვლინებითა და მისი დაკმაყოფილებით. მომხმარებლები მიისწრაფვიან შეიძინონ ფართო ასორტიმენტის, მაღალი ხარისხის საქონელი მინიმალურ ფასად და ამჯობინებენ საცალო ვაჭრობის იმ საწარმოებს, სადაც, მათი აზრით, შეიძლება ყველაზე სრულად დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნილებები.

ამასთან ერთდ, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ საცალო ვაჭრობის საწარმოები (ფირმები) ეწევიან კონკურენტულ ბრძოლას ერთმანეთს შორის მომხმარებელთა მოპოვებისა და მოზიდვისათვის. მომხმარებლები წარმოადგენენ საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის მიზანს, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ მის საშუალებას.

ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიურად მცდარია საცალო ვაჭრობის საწარმოებს შორის კონკურენციის აღიარება მხოლოდ ერთ-ერთ ძალად (ფაქტორად) კონკურენციის 5 ძალიდან, რომელიც განსაზღვრას კონკურენტული ბრძოლის მდგომარეობას დარგში. კონკურენცია საცალო ვაჭრობაში საბოლოოდ განისაზღვრება სწორედ კონკურენტული ბრძოლით საცალო საწარმოებს შორის.

საქონლის მიმწოდებლები და მომხმარებლები არიან არა კონკურენციის ძალები, არამედ გარე ფაქტორები, მაგალითად, ისეთ ფაქტორებთან ერთად როგორიცაა: სახელმწიფო ორგანოები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, კანონები და სხვ.

საქმე ის არის, რომ მ. პორტერის მიერ კონკურენტული ბრძოლის ანალიზისათვის შემოთავაზებული კონკურენციის ძალები განისაზღვრება საწარმოო დარგების მიმართ. ამ ავტორის მიერ მოტანილი მაჩვენებლები პირველ რიგში დამახასიათებელია საწარმოო დარგებისათვის და ვერ ხსნიან კონკურენციის შინაარსს საცალო ვაჭრობაში.

მ. პორტერის აზრით, კონკურენცია წარმოიშობა მაშინ, როცა ერთი ან რამდენიმე კონკურენტი იმყოფება მძიმე მდგომარეობაში ან ჩანს მისი გაუმჯობესების გზები. საცალო ვაჭრობის საწარმოებისათვის კონკურენტული ბრძოლის მდგომარეობა მრავალფეროვან ფირმაში წარმოადგენს მუდმივ ფაქტორს.

კონკურენცია საცალო ვაჭრობაში – ესაა მეტოქეთა ბრძოლა მომხმარებლებისა და ბაზრის თავისი წილის გაზრდის ან შენარჩუნებისათვის. თითოეული ბაზარი ხასიათდება სამომხმარებლო დოვლათის (საქონლის) სავსებით განსაზღვრული ტევადობით. ამასთან დაკავშირებით საცალო საწარმოთა ერთობლიობა ბაზარზე შეიძლება წარმოგვიდგეს სისტემის პარეტო-ოპტიმალური მდგომარეობის სახით, როდესაც ერთი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება მიიღწევა სხვათა მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. ამიტომ კონკურენტული ბრძოლის გამოკვლევისას, პირველ რიგში აქცენტი უნდა გაკეთდეს, ჩვენი აზრით, ბრძოლასა და მეტოქეობაზე. მაგრამ ზოგიერთი ავტორი აანალიზებს კონკურენტულ ურთიერთობებს და ყურადღების გარეშე ტოვებს ამ



მახასიათებელს.

მაგალითად, კ. მაკონელი და ს. ბრიუ კონკურენციის ცნებაში გულისხმობენ მხოლოდ დამოუკიდებელ მყიდველთა და გამყიდველთა დიდ რიცხვს პაზარზე და მათვის პაზარზე თავისუფლად გამოსვლისა და მისი დატოვების შესაძლებლობას [3, გვ. 389]. ასეთი განსაზღვრა მხოლოდ კონკურენციის შესაძლებლობას ვარაუდობს. იგი სრულიად შეესაბამება, მაგალითად, წმინდა კონკურენციის ტიპის საბაზრო სიტუაციას, მაგრამ ამ სიტუაციაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ამას თვით ავტორები, ფირმებს შორის არ არსებობს არც ფასისმიერი და არც არაფასისმიერი კონკურენცია [3, გვ. 66].

კონკურენტული ურთიერთობების თავისებურება საცალო ვაჭრობაში განპირობებულია იმით, რომ საცალო სანარმოები მომხმარებლებზე ყიდიან სამომხმარებლო მომსახურებას. ეს მოიცავს არჩევანის შესაძლებლობას საქონლის მომსახურების, მოხერხებულობისა და შეღავათის საკმაოდ ფართო ასორტიმენტიდან. ასეთი გარემოება ხელს უწყობს მომხმარებელთა მოზიდვას, შესაბამისად საქონელბრუნვისა და მოგების გადიდებას, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს საცალო სანარმოთა საბაზრო პოზიციას.

მაშასადამე, კონკურენცია საცალო ვაჭრობაში რთული პროცესია, რომლის შინაარსი განისაზღვრება მრავალი ფაქტორით. თავის მხრივ, ეს განაპირობებს მრავალფეროვან მეთოდოლოგიურ მიდგომებს კონკურენციის ელემენტების კლასიფიკაციისა და მათი შინაარსის განსაზღვრისადმი.

ფ. კოტლერი გამოყოფს კონკურენციის სამ ფორმას: 1) ფუნქციური – წარმოიშობა სხვა საქონლის არსებობისას, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებელთა ანალოგიურ მოთხოვნილებებს; 2) სახეობითი – შეეხება საქონლის სხვადასხვა ნაირსახეობას, რომელთაც შეუძლიათ კონკურენტა ერთმანეთს შორის; 3) ფირმათაშორისი – დამახასიათებელია სანარმოებისათვის (ფირმებისათვის), რომლებიც ანარმობენ, ან ეწევიან ანალოგოურ საქონელსა და მომსახურებას [2, გვ. 34-35]. ამრიგად, ამ შემთხვევაში გაითვალისწინება მხოლოდ შესათავაზებელი საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის შედარებითობა.

ოვ. ამურჟევი და სხვა ავტორები ასხვავებენ ლია, არაკეთილსინდისიერ, არასრულყოფილ და წმინდა კონკურენციას [1, გვ. 89]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კლასიფიკაცია ერთდროულად ასახავს კონკურენტების საბაზრო ქცევას და საქონლის თავისებურებებს. მაგალითად, ლია და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დამოკიდებულია მეტოქეთა საბაზრო ქცევაზე.

არასრულყოფილი და წმინდა კონკურენცია განისაზღვრება საქონლის თვისებებით. მაგალითად, წმინდა კონკურენცია, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო სიტუაციისათვის სტანდარტიზებული საქონლით, გულისხმობას ამ საქონლის გამყიდველთა დიდ რაოდენობას, საბაზრო სიტუაციაზე მათი გავლენის არარსებობას, მთელი ბაზრის თვალმისაწვდომობას, დიფერენციული საქონელი განაპირობებს პაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის არსებობას.

კონკურენტული ბრძოლა საცალო ვაჭრობაში სპეციფიკურია. მაგალითად, საბოლოო ჯამში იგი ხორციელდება არა საცალო ორგანიზაციების (ე. ნ. ვაჭრობების, გაერთიანებების) დონეზე, არამედ სავაჭრო ერთეულებს (მაღაზიებს, ჯიხურებს და სხვ.) შორის, რომლებიც შედიან მათ შედგენილობაში. ამასთანავე, ერთმანეთთან კონკურირებენ ერთი პროფილის სპეციალიზებული სავაჭრო ერთეულები. სამრეწველო დარგებში, პრიქით, კონკურენცია წარმოებს არა სამეურნეო ერთეულების დონეზე, არამედ მათი გამაერთიანებელი ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, საავტომობილო ძრავების წარმოების მინარმოებელი ქარხანა, რომელიც შედის „ფორდის“ კომპანიაში, უშუალოდ არ კონკურირებს ანალოგოურ სანარმოსთან, რომელიც შედის „კრაისლერის“ კომპანიაში.

კონკურენცია საცალო ვაჭრობაში დამოკიდებულია სანარმოთა ტერიტორიულ განლაგებასთან. კონკურენტული ბრძოლა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც პოტენციური მეტოქების საქმიანობის ზონები გადაიკვეთება.

# დიალოგის და სამართლი

საცალო ვაჭრობა კონკურენტული ურთიერთობების ანალიზისას განასხვავებენ კონკურენტული ბრძოლის სახეს, ფორმას და ტიპს.

სახეობითი კონკურენცია საცალო ვაჭრობაში თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ კონკურენტული ურთიერთობანი წარმოიშობა საწარმოებს შორის, რომლებიც ყიდიან ერთი ფუნქციური დანიშნულების საქონელს. ამასთან დაკავშირებით განასხვავებენ შიგასახეობით და სახეობათაშორის კონკურენციებს. თუ იკვლევენ კონკურენტულ ურთიერთობებს კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე, მაშინ, შიგასახეობით კონკურენციას უნდა მიეკუთვნოს ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ერთი საასორტიმენტო პროფილის ვიწროსპეციალიზებულ და სპეციალიზებული სავაჭრო საწარმოების გამაერთიანებელ ჯგუფში. კონკურენტული ურთიერთობანი ამ სავაჭრო საწარმოებს, ერთი მხრივ, და დანარჩენ სავაჭრო საწარმოებს შორის, რომლებიც ყიდიან რამდენიმე სასაქონლო ჯგუფს, მათ შორის, რაც დამახასიათებელია ვიწრო სპეციალიზებული და სპეციალიზებული სავაჭრო საწარმოებისთვის, შეიძლება ჩაითვალოს სახეობათაშორის კონკურენციად.

საცალო ვაჭრობაში ბოლო დროს შეიმჩნევა საცალო ქსელის უნივერსალიზაციის ტენდენცია. ამიტომ სახეობითი კონკურენციის ანალიზისას საცალო საწარმოთა პოზიციიდან, რომლებიც ვაჭრობენ საქონლის უნივერსალური ასორტიმენტით, შიგასახეობით კონკურენციად შეიძლება ჩაითვალოს კონკურენტული ურთიერთობანი უნივერსალურ, კომპლექსურ, არასპეციალიზებულ, შერეულ და კომბინირებულ სავაჭრო საწარმოებს შორის, ხოლო სახეობათაშორის კონკურენციად – მათი მეტოქეობა იმ სპეციალიზებული და ვიწროსპეციალიზებული სავაჭრო საწარმოების მიერ, რომლებიც ვაჭრობენ უნივერსალური სავაჭრო საწარმოების საქონელბრუნვის სტრუქტურაში შემავალი სასაქონლო ჯგუფებით.

საცალო ვაჭრობაში უნდა განვასხვაოთ კონკურენციის ფორმებიც. ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში სავაჭრო საწარმოებს ყოფენ ორ ჯგუფად – საქალაქო დანიშნულებისა და საცხოვრებელი ზონის სავაჭრო საწარმოებად. ჰირველ ჯგუფს განეკუთვნება სავაჭრო საწარმოები, რომლებიც ემსახურება მთლიანად ქალაქის მოსახლეობას. ესენია: სავაჭრო ცენტრები, ჰიპერმარკეტები, სუპერმარკეტები, სპეციალიზებული მაღაზიები, რომლებიც მოსახლეობა ნაწილობრივ სტანდარტულ და არჩევით ემსახურებიან. მეორე ჯგუფს განეკუთვნება სავაჭრო საწარმოები, რომელთა ასორტიმენტი მოიცავს მასობრივი, ყოველდღიური მოთხოვნის საქონელს, საცხოვრებელი ზონის საწარმოს ყველაზე დამახასიათებელი ტიპია მაღაზია „უნივერსამი“.

ამის გათვალისწინებით უნდა განვასხვაოთ კონკურენციის პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) ფორმები. კონკურენციის პირდაპირი ფორმა, ჩვენი აზრით, არის ისეთი კონკურენტული სიტუაცია, როდესაც ერთი ფუნქციური დანიშნულების სავაჭრო საწარმოების მომსახურების ზონები გადაიკვეთება. კონკურენციის ირიბი ფორმის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ კონკურენტული ურთიერთობანი სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების სავაჭრო საწარმოებს შორის. მაგალითად, კონკურენცია ქალაქში ორ უნივერსამს შორის კონკურენტული ბრძოლის პირდაპირი ფორმის მაგალითია. მეორე მხრივ, ბოსტონეულის მაღაზია, რომელიც განლაგებულია ამ ქალაქის მიკრორაიონში, უშუალოდ არ კონკურირებს ქალაქის სასურსათო ბაზართან. მაგრამ ირიბ კონკურენციას ამ შემთხვევაში უეჭველად აქვას ადგილი. ვინაიდან ამ მიკრორაიონის მცხოვრებთ არ ანყობთ მაღაზია სილ-ბოსტონეულის პროდუქციის ასორტიმენტი, ხარისხი ან ფასი, მაშინ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი პროდუქტებს შეისყიდის საქალაქო სასურსათო ბაზარზე (აგრარულ ბაზარზე).

საცალო ვაჭრობაში კონკურენციის ტიპი განისაზღვრება კონკურენტული ბრძოლისადმი კონცეპტუალური მიდგომით. აქ უნდა იქნეს გამიჯნული კომერციული, შეჯიბრებითი და წარმომადგენლობითი კონკურენცია.

კომერციული კონკურენციის შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა კონკურენტულ გარემოსთან



ბრძოლაზე, არამედ სამომხმარებლო მოთხოვნის რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილების ეფექტუანი ხერხის გამოვლინებასა და გამოყენებაზე. ამ ტიპის კონკურენტული ბრძოლის წარმატებით გამოყენების მაგალითად აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ორგანიზაცია – ინგლისური საცალო ფირმა „მარქს ენდ სპენსერი“.

შეჯიბრებითი კონკურენცია ემყარება დაინტერესებული მხარეების ინტერესთა შეუსაბამობას. იგი ითვალისწინებს მიზანმიმართულ ზემოქმედებას კონკურენტების თითოეულ ტაქტიკურ სვლაზე (მოძრაობაზე). მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ ამ შემთხვევაში ოპტიმალური გადაწყვეტილება შედარებით იოლად მიიღწევა ორ მონაწილეს შორის კონკურენტულ ურთიერთობათა ანალიზისას. მეტოქეთა რაოდენობის გაზრდის დროს წარმოიშობა „კომპინატორული აფეთქების“ სიტუაცია, რაც საკვლევი პრობლემის გადაწყვეტას ხდის საკმაოდ რთულს. ამრიგად, კონკურენციის შეჯიბრებითი ტიპი საცალო ვაჭრობაში მისაღებია ძირითადად სიტუაციებში, როდესაც კონკურენტული ბრძოლა წარმოებს ორ საცალო საწარმოს შორის.

საცალო ვაჭრობაში შესაძლებელია კონკურენტული ბრძოლის წარმომადგენლობითი ტიპიც, რომლის საფუძველი ხდება საწარმოების (ფირმების) ხელმძღვანელობის ამბიციური აზროვნება. კონკურენციის ასეთ ტიპს ადგილი აქვს კონკურენტულ გარემოზე ჭარბი უპირატესობების პირობებში. ამ შემთხვევაში საცალო საწარმოს ხელმძღვანელობა კონკურენტულ მოქმედებებს აწარმოებს არა იმდენად მოგების გადიდებისათვის, რამდენადაც პრესტიჟისა და წარმატებაში თავისი პატივმოყვარეობის ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

კონკურენტული ბრძოლის კონკურენციის პროცესის სამი მახასიათებლის კომპონენტების ერთობლიობა განსაზღვრავს, ჩვენი აზრით, კონკურენციის შინაარსს საცალო ვაჭრობაში.

საცალო ვაჭრობის საწარმოები (ფირმები) ფუნქციონირებენ მსგავს გარემოში. ეს გარემო გამოიჩევა სირთულითა და დინამიკურობით, კონკურენტული ბრძოლით, ამიტომ კონკურენციის დიაგნოსტიკა საცალო საწარმოებისათვის წარმოადგენს განმსაზღვრელს მათ წარმატებულ საქმიანობაში ბაზარზე.

კონკურენციის ძალების გაანალიზებისას მ. პორტერი გამოყოფს ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენციის დონეს ბაზარზე მოქმედ კომპანიებს შორის: კონკურენტების დიდი რაოდენობა ან მათი ძალების დაახლოებითი თანასწორობა; დარგის ნელი ზრდა; მუდმივი ხარჯების მნიშვნელოვანი დონე; დიფერენციაციის არარსებობა; რაოდენობრივი ნახტომი სიმძლავრეებში; სხვადასხვა სახის კონკურენტები; დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა; მაღალი გამოსასვლელი ბარიერები. განვიხილოთ ეს ფაქტორები საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის ინტენსივობის მიმართ.

საცალო ვაჭრობის საწარმოების (ფირმების) როგორც კონკურენტების დიდ რაოდენობას ბაზარზე თავისთავად არ შეუძლია კონკურენციის მაღალი დონის ინსპირირება. კონკურენტული ბრძოლა შეიძლება განხორციელდეს ყველაზე მკაცრ ფორმებში ბაზარზე ორი მეტოქის არსებობისაც კი. ამავე დროს კონკურენცია შეიძლება იყოს საკმაოდ თავაზიანი, როდესაც კონკურენტი, მაგალითად, ათია.


საცალო ვაჭრობის კონკურენტ საწარმოთა ძალების თანასწორობა ამცირებს კონკურენციის დონეს და, პირიქით, ბაზარზე ძლიერი და სუსტი მეტოქების არსებობა ააქტიურებს კონკურენტულ ბრძოლას. დარგის ზრდის ტემპი საცალო საწარმოებისათვის აგრეთვე არ განსაზღვრავს კონკურენციის დონეს, ვინაიდან იგი ინდივიდუალურია თითოეული ბაზრის ან საწარმოს მომსახურების ზონისათვის. თუ სხვადასხვა სახის კონკურენტებში ვიგულისხმებთ ბაზარზე ერთდროულად შიგასახეობით და სახეობათაშორის კონკურენციას საცალო საწარმოებს შორის, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის დონე არსებითად იზრდება საბაზრო სიტუაციისათვის, რომლის-თვისაც დამახასიათებელია მხოლოდ შიგასახეობითი კონკურენცია.

# ბიუროების და სამართლი

ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: მუდმივი ხარჯების მნიშვნელოვანი დონე, რაოდენობრივი ნახტომი სიმძლავრეებში, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა, მაღალი გამოსასვლელი ბარიერები საცალო ვაჭრობასთან, არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება.

ამგვარად, საცალო ვაჭრობაში კონკურენციის დონის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზისას შეიძლება დავვთანხმოთ მ. პორტერს მხოლოდ ორ კრიტერიუმში, როგორიცაა, ბაზრის ნელი ზრდა და საცალო საწარმოებს შორის დიფერენციაცის არარსებობა -შესახებ. ამასთან ეს ფაქტორები არ ახასიათებს მიზეზობრივი პირობების ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავენ კონკურენციული ბრძოლის დონეს საცალო ვაჭრობაში, და არ წარმოადგენ გადამწყვეტ ფაქტორებს.

საცალო ვაწრობაში კონკურენციის დონე განისაზღვრება, ჩვენი აზრით, კონკურენციის ისეთი ფაქტორების მნიშვნელობითა და ურთიერთქმედებით, როგორიცაა: კონკურენტულ ურთიერთობათა სახე, ფორმა და ტიპი, საბაზრო სიტუაცია და საბაზრო ქცევა. სქემატურად ეს შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით (ნახაზი 1).



სინამდვილეში კონკურენტული ბრძოლის დონე საცალო ვაჭრობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკურენციის რომელი სახე ჭარბობს გამოსაკვლევ ბაზარზე – შიგასახეობითი თუ სახეობათაშორისი, პირდაპირია ეს კონკურენცია თუ არაპირდაპირი (ირიბი). კონკურენციის სიდიდეზე გავლენას ახდენს საბაზრო სიტუაცია. მაგალითად, წმინდა მონოპოლიის პირობებში კონკურენტული ბრძოლა საერთოდ არ არსებობს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, როგორიცაა, საცალო ვაჭრობის საწარმოების ერთობლიობა კონკურენტულ ბაზრებზე, კონკურენტული ბრძოლის დონე მნიშვნელოვანილად განისაზღვრება ადამიანისეული ფაქტორით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში გამოხატულებას პოულობს ბაზარზე გამოსაყენებელ კონკურენტულ ურთიერთობათა ტიპებსა (კომერციული, შეჯიბრებითი, წარმომადგენლობითი) და საბაზრო (მონოპოლიურ და კონკურენტულ) ქცევაში.

კონკურენტული ბრძოლის დონის გამოკვლევა საცალო ვაჭრობაში არ შეიძლება მეტოქეთა ქცევის გათვალისწინების გარეშე. ადამიანთა ქცევა ხშირად გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს კონკურენციის დონეზე. მაგრამ იგი ყოველთვის არ არის თანმიმდევრული და ზუსტი. ამის შედეგად ისეთი მიზანმიმართული სისტემის ქცევა, როგორიცაა საცალო საწარმოთა ერთობლიობა, ხდება ნაკლებად განჭვრეტადი (პროგნოზირებადი).

ყველა ჩამოთვლილი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს კონკურენტული ბრძოლის დონეს საცალო ვაჭრობაში, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია, რაც ითვალისწი-



ნებს სინერგიული ეფექტის არსებობას მათი ურთიერთქმედებისგან.

ვითარება რთულდება კიდევ იმით, რომ კონკურენტული ბრძოლის დონე საცალო ვაჭრობაში დინამიკურია, ვინაიდან კრიტერიუმების მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ მას და მათი თანაფარდობა დროში არ არის მუდმივი. ეს მაჩვენებელი დიფერენციულია ბაზრისაგან დამოკიდებულებითაც, რომელზეც ტარდება შესაბამისი გამოკვლევები.

საცალო ვაჭრობის საწარმოთა ქცევის სირთულე კონკურენტულ ბრძოლაში დარგობრივ მეცნიერებას აყენებს სერიოზული ემპირიული პრობლემის წინაშე. მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ საწარმოთა კონკურენტული ურთიერთობების ანალიზის თეორიული პრობლემა ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არ გამხდარა ბოლო დრომდე კვლევის საგანი.

ამასთან დაკავშირებით, კონკურენტული ბრძოლის დონის ანალიზისათვის საცალო ვაჭრობაში აუცილებელია მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა მოქმედების შესაძლებლობას სუსტი სტრუქტურის პრობლემის პირობებში. ამ მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს კრიტერიუმთა გავლენის სინთეზირება, რომლებსაც გააჩნიათ თვისებრივად სხვადასხვა მნიშვნელობა.

საჭიროა მეთოდოლოგია, რომელიც შეძლებს კრიტერიუმების ურთიერთქმედების შედეგად მიღებული სინერგიული ეფექტის ახალი თვისებების გათვალისწინებას. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ისეთი რთული პრობლემის გადაწყვეტა, როგორიცაა კონკურენციის დონის განსაზღვრა საცალო ვაჭრობაში, არ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს მისი ცალკეული შემადგენელი საკითხების გამოყოფით, მათი გადაწყვეტით და მიღებული შედეგების აგრეგირებით, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია „ეროუს პარადოქსის“ ტიპის სიტუაციის წარმოშობა. ამის გათვალისწინებით საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის დონის გამოკვლევისათვის ჩვენ გამოვიყენეთ იერარქიების ანალიზის მეთოდი [7].

იერარქიის ანალიზის მეთოდის აქსიომატიკა მოიცავს წყვილ შედარებებს, სკალის დამუშავების მსჯელობათა რიცხვით მნიშვნელობებში გარდაქმნისათვის, უკუსიმეტრიულ ურთიერთობათა გამოყენებას, იერარქიული დონეების ჰომოგენურ კლასტერიზაციას, პრობლემის იერარქიულ კომპოზიციას. ამ აქსიომათა საფუძველზე დასაბუთებულია რამდენიმე თეორემა, რომლის შედეგად იერარქიის ანალიზის მეთოდი წარმოადგენს მათემატიკურად დასაბუთებულ აპარატს ურთიერთობათა სკალების განსაზღვრისათვის რთულ მრავალგანზომილებიან პრობლემებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იერარქიის ანალიზის მეთოდი წარმოადგენს ყველაზე მისაღებ სისტემურ მიდგომას საცალო ვაჭრობაში კონკურენტულ ურთიერთობათა გამოკვლევისათვის.

ამ მიდგომის გამოყენებით კონკურენციის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია საცალო ვაჭრობაში უნდა დაეფუძნოს შემდეგ ეტაპებს: 1) იერარქიის აგება; 2) კრიტერიუმების პრიორიტეტთა დადგენა; 3) ლოკალური პრიორიტეტების შეთანხმებულობის განსაზღვრა; 4) იერარქიული სინთეზის განხორციელება.

პრობლემის იერარქიული კომპოზიცია აიგება შემდეგნაირად: განისაზღვრება ელემენტების დამოკიდებულება იერარქიის პირველ დონეზე. თითოეული ელემენტისათვის აიგება ელემენტების ვექტორი-სვეტების მატრიცა, რომლებიც იმყოფება იერარქიის შემდგომ დონეზე. ამ დონის ელემენტების დამოკიდებულების ვექტორები გამოიყენება საკუთარი ვექტორი-სვეტების დამოკიდებულების განსაზღვრისათვის. ვექტორების მატრიცის ვექტორ-სვეტზე გადამრავლების გზით გაიანგარიშება ქვედა დონის ელემენტების დამოკიდებულების საერთო ვექტორი.

საცალო ვაჭრობაში კონკურენტული ბრძოლის დონის განსაზღვრისათვის რეგიონულ და ლოკალურ პაზარზე მიზანშენილად მიგვაჩნია სამი საკვლევი სცენარის გამოყენება.

1. **კონკურენციის დაბალი დონე.** ამ შემთხვევაში ჭარბობს სახეთაშორისი კონკურენციის ელემენტები. მოცემული პროფილის სპეციალიზებული სავაჭრო საწარმოები არ არის ბევრი. კონკურენციის პირდაპირი ფორმა ბაზრისათვის არ არის დამახასიათებელი. საქონლის გაყიდვის ძირი-

# დიალოგიური და სამართლი

თადი მოცულობა მოდის საცხოვრებელი ზონის სავაჭრო საწარმოებზე. დამახასიათებელია კონკურენციის კომერციული ტიპი. საცალო ვაჭრობის საწარმოები ძირითადად ორიენტირებულია მყიდველთა ხარისხიან მომსახურებაზე. საბაზრო სიტუაცია მთლიანად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ოლიგოპოლია ბაზრის სტრუქტურის გამოხატული მონოპოლიური ელემენტებით მაღაზიების მომსახურების ზონების დონეზე. საბაზრო ქცევა ხასიათდება როგორც მონოპოლიური. საცალო ვაჭრობის საწარმოები, რომლებიც ეწევიან აქტიურ კონკურენტულ მოქმედებებს, პრაქტიკულად ბაზარზე არ არიან.

2. **კონკურენციის საშუალო დონე.** ბაზარზე იგრძნობა როგორც შიგასახეობითი, ასევე სახეობათაშორისი კონკურენციის ელემენტები. განსაკუთრებული კონკურენტული ბრძოლა საქალაქო დანიშნულების და საცხოვრებელი ზონის სავაჭრო საწარმოებს შორის არ არის. კონკურენციის ტიპი ვარირებს კომერციულსა და შეჯიბრებითს შორის. მეტოქები ყურადღებით ადევნებენ თვალყურეს ერთმანეთს, მაგრამ მცირეა აქტიური კონკურენტული მოქმედებები. საბაზრო სიტუაციის ტიპი ახლოსაა ოლიგოპოლიასთან. საბაზრო ქცევა არაერთგვაროვანია. არსებობს კონკურენტული ქცევა, მაგრამ იგი არ არის განმსაზღვრელი.

3. **კონკურენციის მაღალი დონე.** ამ შემთხვევაში ჭარბობს შიგასახეობითი კონკურენცია. ბაზარზე ბევრია ერთპროფილიანი სპეციალიზაციის, თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვილი სავაჭრო საწარმოები. დამახასიათებელია კონკურენციის პირდაპირი ფორმა, კონკურენციის ტიპი შეჯიბრებითია. საბაზრო სიტუაცია ხასიათდება, როგორც მონოპოლისტური კონკურენცია ძლიერი მეტოქების დიდი რაოდენობის და მცირერიცხოვანი სუსტი კონკურენტული გარემოცვის არსებობით. საბაზრო ქცევა ატარებს აშკარად გამოხატულ კონკურენტულ ხასიათს. საცალო ვაჭრობის საწარმოები ახორციელებენ აქტიურ კონკურენტულ (როგორც ფასისმიერ, ასევე, არაფასისმიერ) მოქმედებებს.

კონკურენტული ბრძოლის დონის განსაზღვრისათვის საცხოვრებელი დონის საცალო ვაჭრობის საწარმოს მომსახურების ზონაში შეიძლება შევთავაზოთ შემდეგი საკვლევი სცენარი.

1. **კონკურენციის დაბალი დონე.** მომსახურების ზონაში არსებობს სახეობათაშორისი კონკურენცია და ჭარბობს კონკურენტული ბრძოლის არაპირდაპირი ფორმა დამახასიათებელია კონკურენციის კომერციული ტიპი. მეტოქება, ძირითადად ორიენტირებული არიან მყიდველთა ხარისხიან მომსახურებაზე. საბაზრო სიტუაცია და ქცევა ხასიათდება როგორც მონოპოლიური.

2. **კონკურენციის საშუალო დონე.** მომსახურების ზონაში არის შიგასახეობითი და სახეობათაშორისი კონკურენციის ელემენტები, კონკურენტული ბრძოლის პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები. კონკურენციის ტიპი ვარირებს კომერციულსა და შეჯიბრებითს შორის. საბაზრო სიტუაცია შეიძლება დახასიათდეს როგორც ოლიგოპოლია. მცირეა აქტიური კონკურენტული მოქმედებები.

3. **კონკურენციის მაღალი დონე.** მომსახურების ზონისათვის დამახასიათებელია შიგასახეობითი კონკურენცია და კონკურენტული ბრძოლის პირდაპირი ფორმა. ჭარბობს კონკურენციის შეჯიბრებითი ტიპი. საბაზრო სიტუაცია ხასიათდება როგორც მონოპოლისტური კონკურენცია. საბაზრო ქცევა ატარებს აშკარად გამოხატულ კონკურენტულ ხასიათს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული კრიტიკიუმები კონკურენტული ბრძოლის დონის განსაზღვრისათვის წვრილად უნდა შედარდეს ამ მაჩვენებელზე მათი გავლენის გათვალისწინებით. გაანგარიშებები აუცილებელია ჩატარდეს მატრიცულ ფორმაში. ამასთან, უნდა იქნეს დაცული უკუსიმეტრიის თვისება.

მსჯელობათა გაერთიანებისათვის მიზანშენონილია გამოყენებული იქნეს საშუალო გეომეტრიული მნიშვნელობის პოვნის წესი, რომელიც გულისხმობს შესაბამის მსჯელობათა და მონაწილეთა რიცხვის შესაბამისი ხარისხის ფესვის ამოღების რიცხვითი მნიშვნელობების გამრავლებას.



საცალო ვაჭრობაში კონკურენციის დონის განსაზღვრა ჩვენ მიერ შემოთავაზებული მიდგომის საფუძველზე იძლევა საბოლოოდ შემდეგ სურათს, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ფაქტორისა და სიტუაციის გათვალისწინებით.

### საკვლევი სცენარების განზოგადებული პრიორიტეტები

სცენარები	სახელმათაშორისი კონკურენცია, 0,124	ირიბი კონკურენცია, 0,051	კომერციული კონკურენცია, 0,471	მონოპოლიური კონკურენცია, 0,230	მონოპოლიური ქცევა, 0,124	განზოგადობული პრიორიტეტები
კონკურენციის დაბალი დონე	0,731	0,649	0,715	0,068	0,715	0,566
კონკურენციის საშუალო დონე	0,188	0,279	0,217	0,217	0,217	0,216
კონკურენციის მაღალი დონე	0,081	0,072	0,068	0,715	0,068	0,218

ამგვარად, საცალო ვაჭრობაში კონკურენციის დონე გამოსაკვლევ ბაზარზე მოცემულ შემთხვევაში უფრო მეტად შეესაბამება სცენარს კონკურენციული ბრძოლის დაბალი დონით.

ანალოგიურად განისაზღვრება კონკურენციის დონე საცალო ვაჭრობის საწარმოთა მომსახურების ზონაშიც.

კონკურენციული ბრძოლის დონის შესახებ მიღებული მონაცემები უნდა გაითვალისწინონ საცალო ვაჭრობის საწარმოებმა (ფირმებმა) რაციონალური კონკურენციული სტრატეგიების შედგენისას მაღალი კონკურენციუნარიანობის მიღწევის ან შენარჩუნების მიზნით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ო. ვ. ამურჟევი, ა. ი. ბოლვაჩევი და სხვ. საქმიანი კაცის ლექსიკონი, მ., 1992 (რუს. ენაზე).
- ფ. კოტლერი, მარკეტინგის მართვა. თარგმ. ინგლ. მ., 1980 (რუს. ენაზე).
- კ. რ. მაკონელი, ს. ლ. ბრიუ, ეკონომიკსი, მ., 2003.
- მ. ნაიტაშვილი, კონკურენცუნარიანობის პრობლემები სამომხმარებლო ბაზარზე, მონოგრაფია, თბ., 2009.
- მ. პორტერი, კონკურენციული გარემო, დარგებისა და კონკურენციების ანალიზის მეთოდები, მ., 2006 (რუს. ენაზე).
- მ. პორტერი, მ. კონკურენცია, 2005 (რუს. ენაზე).
- თ. საატი, კ. კერნსი, ანალიტიკური დაგეგმვა, სისტემების ორგანიზაცია, მ., 2011 (რუს. ენაზე).
- ცზე კ. კ. ეფექტუანი ვაჭრობის მეთოდები, გამოცდილება „წლის საუკეთესო ფორმის“, მ., 2008 (რუს. ენაზე).

**Maia Chania**

*Doctor of Economic, Professor of  
New Higher Education Institution*

### **Problems and Solutions of Georgian Integration in the World Economy**

#### **Abstract**

In the light of modern integration and globalization, European and Euro-Atlantic integration process is important for Georgia, which is going through a critical phase.

The lack of social and intellectual development directly determines a low economic growth and its quality in Georgia. Georgia is characterized by world competitiveness, competitiveness of growth, and current competitiveness, product efficiency, including low level of territorial intensification of industry. Insufficient institutional and structural development, high level of shadow economy and corruption, significant disproportion between the factors of economic growth are obviously observed in the country.

In our opinion, it is necessary to assign highest priority of macroeconomic policy to the investments into the human capital, development of education, science, public health, increase of an index of technological achievements.

Joining The World Trading Organization gives Georgia a possibility of faster growth of export, which is one of the most important factors of economic development. This is giving us a possibility of growth with maximum preferential conditions. But it is important to provide The World Trading Organization with high quality and competitive products, expansion of export. Export's diversification is also very important for Georgia. But investment that Georgia can provide is low, that is why it is not possible to complement an effective monetary policy to make a scaling production, expand export with only Georgian investments. For this reasons, as I mentioned above, a lot of foreign investments are needed as they are always followed by newest technology and management.

**მათა ქანია**

ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის პროფესორი

**საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პრობლემები  
და მათი გადაწყვეტის გზები**

**რეზიუმე**

თანამედროვე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ფონზე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესები საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომელიც მეტად კრიტიკულად მიმდინარეობს. ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე განსაზღვრავს სოციალური და ინტელექტუალური განვითარების დაბალ დონეს. საქართველოს ეკონომიკა ხასითდება მაღალი შესაძლებლობებით მსოფლიო ბაზარზე, პროდუცქიის ეფექტიანობით, მიმდინარე ეფექტიანობით. ასევე ხასიათდება არახელსაყრელი ინსტიტუციური და სტრუქტურული განვითარებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონით. ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩინია ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭება, სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ადამიანური კაპიტალის განვითარება. წინა პლანზე უნდა გამოვიდეს ზრდის ხარისხის უზრუნველყოფი სოციალური, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური პოლიტიკა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტად უნდა მივიჩინოთ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროების განვითარება, ადამიანის განვითარების პოტენციალის ინდექსისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლება, რაც საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ჩამორჩენილობის დაძლევისათვის დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა.

ექსპორტის სწრაფი ზრდა ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. ამის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს განვითარიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც საერთაშორისო ბაზრებზე მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით ზრდის მიღწევის საშუალებას იძლევა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია მსოფლიოს ბაზრებზე მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მინოდება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება, ასევე საჭიროა ექსპორტის დივერსიფიკაცია. მაგრამ საქართველოს საკუთარი ინვესტიციური შესაძლებლობანი მოკრძალებულია, ამიტომ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასშტაბური წარმოება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება მხოლოდ საკუთარი ინვესტიციებით ვერ მოხერხდება. ამისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა აგრეთვე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფართოდ შემოსვლა, რომელსაც თან ახლავს ყოველთვის უახლესი ტექნოლოგიები და მენეჯმენტი.

მაია ჭანია

ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის პროფესორი

## საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პროგნოზები და მათი გადაწყვეტის გზები

სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ნაკლებობა პირდაპირ განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის და განვითარების დაბალ დონეს საქართველოში. ფიქსირდებოდა არა-საკმარისი სტრუქტურული და ინსტიტუციონალური განვითარება, მნიშვნელოვანი სხვაობა ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს შორის, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ინტეგრაციას მაღალანვითარებულ ქვეყნებთან. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მაკროეკონო-მიკურ პოლიტიკას, ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში, განათლების დონის ზრდაში, მეცნი-ერების განვითარებაში.

**საკანძო სიტყვები:** ინტეგრაცია, გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა, ინვესტიცია

ინტეგრაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორია, რომელიც აჩქარებს ადამიანებს, ასევე სახელ-მწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას, ერთიანი საინფორმაციო სივრცის, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, ეკოლოგიური და სოციალური პრობ-ლემების ინტერნაციონალიზაციას.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანნილად ინ-ტეგრაციის, საყოველთაო გლობალიზაციის პროცესებით განისაზღვრება. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. პროცესები სულ უფრო მეტად მოიცავს მთელ მსოფლიოს, მასში სულ უფ-რო მეტი ახალი სახელმწიფო ერთვება და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელე-ბით კიდევ უფრო აქტიური მონაწილე ხდება თანამედროვე გლობალიზაციური პროცესებისა. [1] ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

მსოფლიო საზოგადოება და მათ შორის ქართველი ერი იმყოფება პოსტინდუსტრიული განვი-თარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გლობა-ლური ინტეგრაციით. თანამედროვე პირობებში ძნელია ვიპოვოთ ისეთი ეროვნული მეურნეობა, რომელიც არაა ჩართული მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. გლობალიზაცია-ინტეგრაცია მსოფ-ლიო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა, რომელიც ხასიათდება ეროვნულ ეკო-ნომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ზრდის მარალი ხარისხით. ეს ურთიერთობები არის გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველი.

ინტეგრაციის პროცესში კავკასია აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერეს-თა გადაკვეთის გზაჯვარედინზე. ერთის მხრივ, „ნატოს“ წევრი ქვეყნები და ევროკავშირი, მეორეს მხრივ, რუსეთი, ირანი და ჩინეთი.

ამ ფონზე საკმაოდ რთულია, მაგრამ აუცილებელია გლობალიზაციის მეტწილად დადებითი მხარეების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი საწინდარია. გაზრდილი საგარეო ვაჭრობა; ინფორმაციის მოძრაობის მაღალი ტემპი; ახალი იდეების ტექნოლოგიების, „ნოუ-ჰეს“ თავისუფალი გადაადგილება; საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკასთან ინტეგრირების შესაძლებლობა; ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინება და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. საქართველო, ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა, ეროვნულ თვითმყოფადობას, თავისებურებებს, კულტურას, ტრადიციებს, გამორჩეულობას, ეკონომიკურ სიძლიერეს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს ვერ შეინარჩუნებს, თუ იგი გლობალიზაციის მიერ შექმნილი საკაცობრიო სიმდიდრის მხოლოდ პასიურ მომხმარებლად იქცა. საქართველო უნდა გახდეს შემქმნელი მსოფლიო მნიშვნელობის პროდუქტის, ინოვაციების, გამოგონებების, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იქნება მსოფლიო ბაზარზე. [1]

საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკური ზრდის ტემპების გასაზრდელად, მაგრამ ეს, ბუნებრივია, არაა საკმარისი იმისათვის, რომ საქართველომ თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას მსოფლიო ბაზარზე, დასძლიოს სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემები. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა წინააღმდეგობრივია, დაუბალანსებელია. მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მაკროეკონომიკული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის დაბალანსებას. ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლისა და გაანალიზებისას აქცენტირებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭებას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური ზრდის ხარისხი, რომელიც მიიღწევა სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარებით, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ადამიანური კაპიტალის განვითარებით. მშპ-ის მაღალი ტემპით ზრდა ტრადიციული მიდგომებით, უპირატესად ფიზიკური კაპიტალის გამოყენებითაც შეიძლება. ასეთი მაღალი ტემპების მიღწევას მრავალი ქვეყანა ახერხებდა, მაგრამ თანამედროვე პირობებში ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პრობლემები ვერ გადაწყდება, რადგანაც სასურველი სტრუქტურული გარდაქმნები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ექსპორტის სერიოზული გადიდება მაინც მიუღწეველი რჩება. ეკონომიკურ ზრდას საქართველოში აფერხებს არა თავისთავად მხოლოდ ინვესტიციების უკმარისობა, არამედ დანაზოგების, მოსახლეობისა და საწარმოების შემოსავლების სიმცირეც, რაც ძირითადად სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მომზადების, გამოშვებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობის შედეგია. ამიტომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მთავარი ფაქტორია კონკურენტუნარიანი სამუშაო ადგილების შექმნა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებით, ანუ განათლების სისტემის პრიორიტეტული განვითარებითა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლებით. ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პრობლემების გადაწყვეტის მთავარი და ყველაზე ეფექტური გზა არის მუშათა კვალიფიკაციის, განათლების, ცოდნის ამაღლება, ანუ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინოვაციური სფეროს განვითარება. ინტელექტუალური და ინოვაციური განვითარება ფიზიკური კაპიტალის ხარისხის ამაღლებასაც იწვევს და ეკონომიკური ზრდაც კიდევ უფრო სტიმულირდება. პრიორიტეტი თავიდანვე უნდა მიენიჭოს ინვესტიციებს განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანმრთელობაში, სოციალურ ინფრასტრუქტურაში. [2]

აუცილებლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტული განვითარების უზ-

## დიალოგის და სამართლი

რუნველყოფა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, მრეწველობის მეცნიერებატევად დარგებში, მომსახურების სფეროში. მცირე ბიზნესის განვითარების უპირატესობა ის არის, რომ იგი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აქ ინვესტიციები, სამუშაო ადგილების ღირებულება შედარებით მსხვილ საწარმოებთან საგრძნობლად მცირეა, ხოლო უკუგება, შემოსავლიანობა და ეფექტიანობა – მაღალი, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას იწვევს. ამასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს სტრუქტურული ძვრების განხორციელებას რეალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით ინფორმაციული და პოლიტიკური სექტორების განვითარების დაჩქარებას. ეს აუცილებელია არა მარტო ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის, არამედ აგრეთვე განათლების, ინოვაციური სფეროს, ტელე-კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის, მაღალშემოსავლიანი დარგების განვითარების უზრუნველყოფისათვის.

დღეს ყველაზე უფრო მთავარ საკითხად სწორედ ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარება გვესახება, კერძოდ, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციის აღდგენა, მათი შემცირებისა და გამარტივების გზით, ხელფასების მატება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მინიმალურ ზომამდე დაყვანა. ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის, კონტრაბანდის დაძლევის გარეშე ქვეყანა ვერასოდეს ვერ გადაწყვეტს სილარიბის პრობლემას, შესაბამისად დანაზოგების, ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის სერიოზულად დაჩქარების პრობლემას. [3]

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდება პროფიციტული ბიუჯეტით, მარტივი და დაბალი გადასახადებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, საკუთრების უფლების დაცვით, ლიბერალური სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკით, ექსპორტის ზრდით, სოფლის მეურნეობის სექტორის კომერციალიზაციით, დასაქმებისა და დაგროვების სტიმულირებით, „მომავალი თაობების ფონდისა“ და „სტაბილური განვითარების ფონდის შექმნით“.

მეტად მნიშვნელოვანია ასევე საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევა, რომლის-თვისაც აუცილებელია მისი კომპენსაციური პოტენციალის ამაღლება, პირველ რიგში ექსპორტის პრიორიტეტული გაფართოებით, საგარეო ვალის შემცირებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვით. [2]

ექსპორტის სწრაფი ზრდა ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უნმიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. ამის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს განევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც საერთაშორისო ბაზრებზე მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით ზრდის მიღწევის საშუალებას იძლევა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია მსოფლიოს ბაზრებზე მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება, ასევე საჭიროა ექსპორტის დივერსიფიკაცია. მაგრამ საქართველოს საკუთარი ინვესტიციური შესაძლებლობანი ძალიან მოკრძალებულია, ამიტომ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასშტაბური წარმოება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება მხოლოდ საკუთარი ინვესტიციებით ვერ მოხერხდება. ამისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა აგრეთვე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფართოდ შემოსვლა, რომელსაც თან ახლავს ყოველთვის უახლესი ტექნოლოგიები და მენეჯმენტი. ასეთი შემოსავლების მთავარი პირობაა ქვეყანაში ინსტიტუციური წესრიგის არსებობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის დაძლევა, ინვესტიციური გარემოს ჩამოყალიბება. სხვა შემთხვევაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში მასშტაბით არ შემოვა, შესაბამისად ზრდის დაჩქარებისა და საგადასახდელო ბალანსის განხონასწორების პირობები არ გადაწყვდება.



ამგვარად, ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩინია ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭება, სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ადამიანური კაპიტალის განვითარება. წინა პლანზე უნდა გამოვიდეს ზრდის ხარისხის უზრუნველყოფი სოციალური, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური პოლიტიკა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტად უნდა მივიჩინოთ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროების განვითარება, ადამიანის განვითარების პოტენციალის ინდექსისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლება, რაც საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ჩამორჩენილობის დაძლევისათვის დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. [3]

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების რეალიზაციას შეუძლია მოიტანოს სისტემური მაკროეკონომიკური ეფექტი ზრდის ტემპისა და ხარისხის ამაღლების სახით. მრავალი ქვეყნის უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განათლების, სავაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების განვითარებით შესაძლებელია ქვეყნის მშპ-ის საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო ინსტიტუციური განვითარებით მოსახერხებელია ზრდის კიდევ უფრო მეტად დაჩქარება. ბოლო ათწლეულში მრავალი ქვეყანა ვითარდება ძალიან მაღალი ტემპებით. საქართველოსაც შეუძლია მიაღწიოს განვითარების ევროპულ სტანდარტებს, თუ იგი განახორციელებს სისტემურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- ა. აბრალავა, ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, უნივერსალი, თბ., 2005, გვ. 155.
- მ. ჭანია, ეკონომიკური ზრდისა და საგადასახდელო ბალანსის პრობლემები პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში, უნივერსალი, თბ., 2004, გვ., 200.
- მ. ჭანია, ეკონომიკური გარდაქმნები, სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა, კულტურათამორისი კომუნიკაციები, საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, თბ., 2011.

Eter Narimanishvili

*Samtskhe-Javakheti State University, Associate  
Professor of Business Administration*

### Tourist Products Development Perspectives in Georgia

#### Abstract

The article highlights the fact that the tourism market functions in accordance with the laws of demand and supply. Tourism product demand reflects the country's social and economic development. In addition to consumer demand it is affected by demographic factors, climatic conditions, and the country's political and economic stability. The government is responsible for the environment and culture as an important resource for the development of tourism, promotion of protective measures to ensure the policies and plans of action for the control of tourist development schemes.

There are number of serious problems to make tourism profitable. Georgia is in the difficult situation of political instability: economic crisis, violence and criminal situation, low quality infrastructure, complete absence or the wrong policies regarding tourism which is the major obstacle to international tourism.

In order to make tourism bring real economic benefits it should facilitate the raising of living standards and protect the environment.

**Key words:** tourism, environmental, demographic, conjuncture, Mini-vacation, market share



ეთერ ნარიმანიშვილი  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოში ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის განვითარების პერსპექტივები

### რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია, რომ ტურიზმის ბაზარი ფუნქციონირებს მოთხოვნისა და მიწოდების კანონების შესაბამისად. ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა ასახავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეს. გარდა ამისა, სამომხმარებლო მოთხოვნაზე მოქმედებს დემოგრაფიული ფაქტორი, კლიმატური პირობები, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. მთავრობა პასუხისმგებელია გარემოსა და კულტურის, როგორც ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი რესურსის დაცვითი ღონისძიებების წახალისებაზე, უზრუნველყოს პოლიტიკის გეგმებისა და იურიდიული სქემების დამუშავება ტურისტული საქმიანობის კონტროლისათვის, იმისათვის, რომ ტურიზმმა მოიტანოს მნიშვნელოვანი მოგება, პარალელურად შექმნილი სერიოზული პრობლემების გარეშე.

საქართველოში არსებული მძიმე სიტუაცია: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი, მძიმე კრიმინოგენური ვითარება, დაბალი ხარისხის ინფრასტრუქტურა, ან მისი სრული არარსებობა და ტურიზმთან დაკავშირებით სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკა თითქმის გადაუღახავ წინააღმდეგობას უქმნის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას.

იმისათვის, რომ ტურიზმმა მოიტანოს რეალური ეკონომიკური სარგებლობა, ის ყოველმხრივ ხელს უნდა უწყობდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და გარემოს დაცვას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, კონიუქტურა, მინი-შვებულება, საბაზრო წილი, საპილიგრიმო.

## ეთერ ნარიმანიშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

## საქართველოში ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის განვითარების პერსპექტივები

XX საუკუნის მეორე ნახევრისათვის კაცობრიობამ მეორე მსოფლიო ომის ჭრილობების მოშუშება მოგზაურობის საშუალებით მოახერხა, ტურიზმის განვითარებამ ღრმა ეკონომიკური ხასიათი მიიღო, წარმოიშვა ტურიზმის ბაზარი.

ბაზარი მყიდველთა და გამყიდველთა დამაკავშირებელი მექანიზმია და ის ეკონომიკური სივრცეა, სადაც ყალიბდება ნებაყოფლობითი ურთიერთობა თავისუფალ და თანაპარუფლებიან პარტნიორებს შორის. რა თქმა უნდა, ბაზარი მიმოქცევის სფეროსთან ერთად კვლავწარმოების მთელ პროცესს მოიცავს. ბაზარი არის წარმოებისა და მოხმარების პორიზონტალურად დამაკავშირებელი მოქნილი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციულ ჩარევას ფასწარმოქმნასა და რესურსების განაწილებაში.

ტურიზმის ბაზარი შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც აერთიანებს მოთხოვნასა და მიწოდებას, ტურპროდუქტის ყიდვა-გაყიდვის პროცესის უზრუნველყოფისათვის მოცემულ დროსა და განსაზღვრულ ადგილას.

ტურიზმის ბაზარი წარმოადგენს ტურისტებისათვის განკუთვნილ საქონლისა და მომსახურების ბაზრის ნაწილს. ტურიზმის ბაზარი ასრულებს ტურპროდუქტის ღირებულებისა და სამომხმარებლო ფასეულობის რეალიზაციისა და ტურპროდუქტის მომხმარებლამდე დაყვანის პროცესის ორგანიზაციის ფუნქციებს.

ტურიზმის ინდუსტრია ქმნის სამუშაო ადგილებს, შემოსავლებს უცხოური ვალუტის სახით, ასტიმულირებს კაპიტალდაბანდებებს, გამოაჩინს ახალ შესაძლებლობებს მსხვილი და წვრილი წარმოების განვითარებისათვის. აგრეთვე ხელს უწყობს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას.

ტურიზმის განვითარებას თან ახლავს თვალსაჩინო სარგებლობა: ახალი სამუშაო ადგილები, დამატებითი შემოსავალი, ახალი ტექნოლოგიები, გარემოსა და კულტურისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, აგრეთვე დაგეგმვისა და კონტროლის დროს მიწათსარგებლობის პროგრესული მეთოდების გამოყენება. დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებსა და ადმინისტრაციას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მიმღები ინფრასტრუქტურის შექმნასა და ტურისტების მომსახურებაში, საჩვენებელი ობიექტების განვითარებასა და კულტურული კონტაქტების უზრუნველყოფაში.

მნიშვნელოვანი ურთიერთებულება არსებობს ტურიზმსა და ადგილობრივ სოფლის მეურნეობასა და თევზჭერას, აგრეთვე სხვა სამრეწველო სექტორებს, საცალო ვაჭრობის მაღაზიებს, სატ-



რანსპორტო სისტემას, ჯანდაცვას, საფოსტო და საბანკო დაწესებულებებს, სხვა კომუნალურ სამსახურებსა და საწარმოებს შორის.

ყოველმა რეგიონმა თვითონ უნდა გამოარკვიოს, გააჩნია თუ არა შესაბამისი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის და არის თუ არა პოტენციური ტურისტული ბაზრები, რომელზეც შეუძლია მას გავიდეს, აუცილებელია თუ არა მისთვის ტურიზმი ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად; გააჩნია თუ არა საკმარისი შრომითი რესურსები ტურიზმის დარგისათვის მუშა-მიგრანტების შემოყვანის გარეშე; გამართლებულია თუ არა დანახარჯები რეგიონის სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებისა და ტურიზმის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის; არსებობს თუ არა კონკურენციის შესაძლებლობა მეზობელ რეგიონებში არსებული ან პოტენციური ტურისტული პროექტებისაგან.

იმისათვის, რომ ტურიზმი მოიტანოს რეალური ეკონომიკური სარგებლობა, ის ყოველმხრივ ხელს უნდა უწყობდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და გარემოს დაცვას.

საქართველოში ძირითადად კულტურული და სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარული უცხოელი ტურისტები ჩამოდიან. უცხოელთა ინტერესი ძირითადად ბაკურიანის, გუდაურისა და აჭარის რეგიონისკენაა მიმართული. ბაკურიანში ბალტიის ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტები ჭარბობენ, გუდაურში – უკრაინელები და რუსები, ხოლო აჭარაში – თურქეთიდან და სომხეთიდან ჩამოსულები.

როგორც ბოლო წლებში გამოკვეთილმა ტენდენციამ ცხადყო, საქართველოს ზღვის კურორტებზე არანაკლებ პოპულარობას მთიანი კურორტების ინფრასტრუქტურაც იძენს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა როგორც ზამთრის სახეობებისადმი მისადაგებული ადგილები (გუდაური, ბაკურიანი, ბორჯომი), სადაც უკვე ინტენსიური ტურისტული მეურნეობის განაშენიანება მიმდინარეობს, ასევე უფრო ნაკლებად ურბანიზებული ადგილებიც – სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, ხევი. 2007 წელს საქართველოს მთიანმა ზოლმა საკმაოდ ბევრი ტურისტი მიიზიდა. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ტურიზმის წილი და ადგილი ქართული მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაში სულ უფრო მეტად სოლიდური გახდება.

საქართველოში არსებული მძიმე სიტუაცია: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი, მძიმე კრიმინოგენური ვითარება, დაბალი ხარისხის ინფრასტრუქტურა, ან მისი სრული არარსებობა და ტურიზმთან დაკავშირებით სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკა თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას უქმნის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას.

საქართველოსათვის ტურიზმის ინდუსტრიის არანაკლებ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საშინაო ტურიზმი, რომელიც შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩევა:

- საშინაო ტურისტები ფულს ხარჯავენ არა უცხო, არამედ საკუთარი ქვეყანაში, რის გამოც ფული არ გაედინება, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას;
- საშინაო ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის იმ რეგიონების განვითარებაში, რომელთაც არ გააჩნიათ საწარმოო რესურსები და საშუალებები, რადგან იძლევა შემოსავლების გადანაწილების საშუალებას რეგიონებს შორის;
- საშინაო ტურიზმი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რეგიონში არსებული ტურიზმის სფეროსთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული ფირმებისათვის;
- საშინაო ტურისტებს ხშირად იმავე ტურისტულ პროდუქტზე აქვთ მოთხოვნა, რაზეც საერთაშორისო ტურისტებს. ისინი იმ ინფრასტრუქტურასა და ობიექტებს იყენებენ, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი ტურისტებისათვის;
- საშინაო ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება დღესდღეობით, როცა ზემოთ

მოყვანილი მიზეზების გამო უცხოელი ტურისტების შემოსვლა ქვეყანაში შეფერხებულია.

ტურიზმის პაზრის თავისებურება მისი მომსახურებით ხასიათით გამოიხატება, აქედან გამომდინარეობს მისი სპეციფიკური თავისებურებანი: ტურისტული მომსახურების ხელშეუხებლობა; მომხმარებელი უნდა მიყვანილი იქნეს ტურპროდუქტის წარმოების ადგილას, განსხვავებით მატერიალური წარმოებისაგან, სადაც საქონელი მოძრაობს წარმოების ადგილიდან მოხმარების ადგილისაკენ; ტურისტულ მოთხოვნაზე მოქმედებს სეზონურობა და ტურისტული ნაკადების უთანაბრობა; ტურიზმის პაზარზე ტურპროდუქტის წარმოება, ფორმირება, რეალიზაცია და მოხმარება ობიექტურად ბადებს დამატებით ხარჯებსა და დამატებით მოგებას, ამასთან პაზრის ყოველი მონაწილე ცდილობს დანახარჯები სხვას გადასცეს, ხოლო მოგება მიითვისოს თვითონ. აქედან გამომდინარეობს, რომ ტურიზმში პრინციპულ მნიშვნელობას იძენს აღირიცხოს აშკარა დანახარჯები, რომლებსაც გააჩნიათ წმინდა საბაზრო ხასიათი და ნაკლებად აშკარა დანახარჯები, რომლებიც ხელიდან გაშვებული ეკონომიკური შესაძლებლობების ხასიათისაა, აგრეთვე სოციალური დანახარჯები, რომლებსაც რეგიონისათვის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია.

როგორც სხვა სასაქონლო პაზარი, ტურიზმის პაზარი არაერთგვაროვანია. მის სტრუქტურაში გამოიყოფა თავისი მასშტაბით უფრო მცირე პაზრები. ამასთან დაკავშირებით არსებობს კლასიფიკაციის საკმაოდ ბევრი ნიშანი. აღვნიშნავთ მათგან მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს. განსაზღვრული რეგიონის, ან ქვეყნისათვის არსებობს ტურიზმის პაზრის შემდეგი ტიპები:

საშინაო ტურიზმის პაზარი – განისაზღვრება ქვეყნების საზღვრებში ამ ქვეყნის მაცხოვრებელთა მოგზაურობით.

შემოყვანის ტურიზმის პაზარი – განისაზღვრება ადამიანთა მოგზაურობით ამა თუ იმ ქვეყანაში, რომლის მაცხოვრებლებსაც ისინი არ წარმოადგენენ.

გაყვანის ტურიზმის პაზარი – განისაზღვრება რეზიდენტების გასვლით სხვა ქვეყანაში.

ქვეყნის ფარგლებში ტურიზმის პაზარი – განისაზღვრება საშინაო ტურიზმისა და შემოყვანის ტურიზმის პაზრების ერთობლიობით.

ეროვნული ტურიზმის პაზარი – განისაზღვრება საშინაო ტურიზმისა და გაყვანის ტურიზმის პაზრების ერთობლიობით.

საერთაშორისო ტურიზმის პაზარი – განისაზღვრება შემოყვანისა და გაყვანის ტურიზმის პაზრების ერთობლიობით.

მნიშვნელოვანია კლასიფიკაციის სხვა ნიშნებიც. მოგზაურობის მიზნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ტურიზმის პაზრები: თავისუფალი დროის გატარების, რეკრეაციისა და დასვენების; ნაცნობებისა და ნათესავების მონახულების; საქმიანი ტურიზმის; სამკურნალო ტურიზმის; საპილიგრიმო ტურიზმის (რელიგიური ტურიზმი); კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის; სამეცნიერო ტურიზმის პაზრები.

მოგზაურობის ორგანიზებიდან გამომდინარე არჩევენ ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ტურიზმის პაზარს. მოგზაურობის მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით – ჯგუფურს და ინდივიდუალურს.

ტურისტული პაზრების ზემოთ ჩამოთვლილი კლასიფიკაცია არ არის სრულყოფილი და არ ამოწურავს მთელ მათ მრავალფეროვნებას. დამოუკიდებლად შეიძლება ჩავთვალოთ ეკოლოგიური, ოჯახური ან სათავგადასავლო ტურიზმის პაზრები.

პაზრის გამოკვლევის ძირითადი მიზანია იმ პირობების განსაზღვრა, რომლის დროსაც მეტად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე და იქმნება გასაღების



ბის ეფექტურიანი პირობები. ამის შესაბამისად ბაზრის შესწავლისას პირველი ამოცანაა ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების მიმდინარე თანაფარდობის, ე.ი. ბაზრის კონიუნქტურის დადგენა. ამასთან ნებისმიერი ტურისტული ბაზრის შესწავლა არ უნდა ჩატარდეს იზოლირებულად, საერთო სამეურნეო კონიუნქტურისა და დარგის საერთო მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე.

მხედველობაში მისაალებია ის, რომ ბაზრის დიდი მოცულობა ყოველთვის არ ნიშნავს მისი ათვისებისათვის უკეთეს შესაძლებლობებს. ასეთ ბაზარზე შესაძლებელია ძლიერი კონკურენცია, კონკურენტების მომსახურებით მომხმარებელთა დაკმაყოფილების მაღალი ხარისხი იყოს და მოქმედებდეს სხვა ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ამა თუ იმ ბაზრის ამორჩევის დროს.

ამავე დროს ფართოდ გამოიყენება ტერმინი – საბაზრო წილი, იგი კარგად ასახავს საწარმოს საქმიანობის შედეგებს და განისაზღვრება, როგორც გაყიდვების მოცულობის დამოკიდებულება მოცემული ბაზრის პოტენციურ მოცულობასთან. ცხადია, რომ საბაზრო წილის გაზრდასთან ერთად საწარმოს პოზიცია გამოიყენება უფრო დამაჯერებლად, იმდენად რამდენადაც ფირმის საბაზრო წილი მოქმედებს მიღებული შემოსავლის ნორმაზე.

ბაზრის სავაჭრო-ეკონომიკური ანალიზი უმეტესწილად იფარგლება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ამსახველი მაჩვენებლებით (ბაზრის ტევადობა, მოთხოვნის მოცულობა, საქონელპრუნვა და საქონელპრუნვადობა, მუშაკთა რაოდენობა და მათი შრომის ნაყოფიერება, ძირითადი კაპიტალი და მათი გამოყენების ეფექტურიანობის მაჩვენებლები, მიმოქცევის ხარჯების დონე და სტრუქტურა, მთლიანი შემოსავალი, მოგება, რენტაბელობა და სხვ.), რომელთა რაოდენობრივი პარამეტრების ზუსტად განსაზღვრა შედარებით ადვილია. ბაზრის ეკონომიკური ანალიზის პროცესში გამოყენებული მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს: რაოდენობრივ და ხარისხობრივ, ნატურალურ და ლირებულებით, აბსოლუტურ და შეფარდებით, დამტკიცებით და გაანგარიშებით მაჩვენებლებად.

ტურისტული პროდუქტის ანალიზისას აუცილებელია მივიღოთ პასუხი კითხვაზე: „რას იყიდის ტურისტი სინამდვილეში?“ განსაზღვრულ მომენტამდე ტურისტულ პროდუქტს ხომ მომხმარებლისათვის აბსოლუტურად არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ადამიანები ბაზარზე შეიძენენ არა საქონელს, არამედ მის ფუნქციურ შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განსაზღვრული მოთხოვნილებები. როგორც ცნობილია, ტურისტული პროდუქტი – ეს ნებისმიერი მომსახურებაა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტთა მოთხოვნებს მოგზაურობისას და ანაზღაურებული იქნება მის მიერ. პრაქტიკაში არსებობს ძირითადი და დამატებითი მომსახურების ცნება, თუმცა სამომხმარებლო თვალსაზრისით მათ შორის რაიმე არსებოთი განსხვავება არ არსებობს.

ნებისმიერი ადამიანი შეიგრძნობს ძალზე მრავალფეროვან მოთხოვნილებებს, ანუ მუდმივად განიცდის რაღაცის ნაკლებობას. მოთხოვნილებათაგან ერთნი ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური ბუნებისაა და პირველსაწყისია, ხოლო მეორენი, ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები, უშუალოდ უკავშირდება გამოცდილებას. რამდენადაც ადამიანებს განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისა-გან, ვიდრე ფიზიოლოგიური.

ტურისტული მოთხოვნილებები ყალიბდება უამრავი ფაქტორის ზეგავლენით. ამიტომ ისინი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება; ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თითოეულ ფაქტორს თავისი კონკრეტული როლი გააჩნია და მომხმარებელთა მოტივაციას განაპირობებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომხმარებელთა მოტივაციის შესწავლა სპეციალისტებს ეხმა-

რება ჩასწოდნენ კლიენტთა ქცევის თავისებურებებს. ამერიკელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი აბრაჰამ მასლოუ ცდილობდა აეხსნა, რატომ აიძულებს კონკრეტული მოთხოვნილებები ადამიანს იმოქმედოს განსაზღვრულ დროს. მასლოუს მიხედვით ადამიანური მოთხოვნილებების იერარქიული სისტემა წარმოდგენილია პირამიდის სახით, ცნობილი «მასლოუს პირამიდის» სახელით, რომლის საფუძველში დევს ყველაზე აუცილებელი საბაზისო მოთხოვნილებები (ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების), ხოლო ზედა საფეხურებზე სოციალური და სულიერი მოთხოვნილებები.

სამომხმარებლო პაზრების უმეტესობა ჰქონდა პეტეროგენურია. მომხმარებლებს გააჩნიათ განსხვავებული გემოვნებები, მისწრაფებები, ჩვევები, შესაძლებლობები, რის შედეგადაც ავლენენ არაერთგვაროვან მოთხოვნას.

კონკურენციის გამძაფრებასთან ერთად მწარმოებლები მიისწრაფვიან დაიჭირონ სამომხმარებლო მოთხოვნის თუნდაც პატარა ელემენტი, რათა ბაზარს შესთავაზონ ის პროდუქტი, რომელსაც ელიან. შესაბამისად საჭიროა სეგმენტირება, რაც გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა ინდივიდუალური უპირატესობების გამოვლენას, აღნერასა და მათი იდენტიფიკაციით შედარებით ერთგვაროვანი ტიპების გამოყოფას. სეგმენტირება გვიჩვენებს ბაზარზე ფირმის პოტენციურ შესაძლებლობებს, ხოლო ფირმა ირჩევს ყველაზე უფრო მიმზიდველ სეგმენტს (სეგმენტებს).

## გამოყენებული ლიტერატურა:

- რ. ასათიანი, ეკონომიკისი, განმარტებითი ლექსიკონი, თბ., საგამომცემლო ფირმა «სიახლე», 2003.
- კ. ასტახიშვილი, ტურიზმი, გამომცემლობა «განათლება», თბ., 1976.
- გ. ბაბუნაშვილი, მ. ხუტაშვილი, ზოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა, თსუ-ს გამოცემლობა, თბ., 2003.
- ბ. ბარკალაია, ვ. ნეიდე, ეროვნული პარკები და ტურიზმი, ბუნების დაცვის საქართველოს ოფისი, თბ., 1999.
- ბ. ბარკალაია, ეკოტურიზმი და მოსახლეობა, თბ., 2000.
- ბ. ბარკალაია, ტურიზმის განვითარების რეგიონული ასპექტები, ქ. «ეკონომიკა», 13-4, 2000.
- ე. ბახტაძე, ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხები, «მარკეტინგის აქტუალური საკითხები», (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), გამოშვება IV, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2001.



**Ia Gelashvili**

*Samtskhe-Javakheti State University, Associate Professor; Doctor of Economics*

**Koba Sandroshvili**

*Samtskhe-Javakheti State University Professor, Doctor of Economics*

## **Tourist Product as the Way of Improving Specific Goods in Business**

### **Abstract**

Tourism is fairly called the rise of modern industry, its revenues are characterized with increasing tendency. Except of the high profitability of the field, tourism with its role and functions contributes to the environment, biodiversity, cultural heritage, mutual understanding between people and supports to preserve the peace. It is closely related to the various sectors of the economy and represents the result of its functioning.

Tourism market is developing dynamically and it may be one of the branches of the national economy, the separate studies are extremely encouraging.

However, it is important to remember that this kind of energy production depends on whether the country will be able to respond to the needs of the client and to ensure their safety.

We can safely say that the Georgia can offer to tourists a wide variety of interesting and attractive tourist services. As tourism products could not be tested before the trip to the country, it is very important for Georgia to start an active policy in terms of advertising. We also note that everything must be done to ensure that the country will be able to satisfy the demand of the international tourism market.

ია გელაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკის დოქტორი

კობა სანდროშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი

ტურისტული პროდუქტი, როგორც განსაკუთრებული საქონლის  
სრულყოფის გზები ბიზნესში

## რეზიუმე

XXI საუკუნეში ტურიზმი სავსებით სამართლიანად იწოდება თანამედროვეობის მზარდ ინ-დუსტრიად, რომლის შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. გარდა დარგის მაღალდენ-ტაბელობისა, ტურიზმს თავისი როლითა და ფუნქციებით დიდი წვლილი შეაქვს გარემოს ბიომ-რავალფეროვნების, კულტურული მემკვიდრეობის, ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და მშვი-დობის შენარჩუნებაში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორთან და წარმოადგენს მისი ფუნქციონირების შედეგს.

ტურიზმის ბაზარი დინამიურად ვითარდება და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ის დარგია ეროვ-ნულ ეკონომიკაში, სადაც ცალკეული კვლევა იმედის მომცემია. თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვ-დეს, რომ ამ დარგის წარმოება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა უპასუხოს ტურისტის მოთხოვნებს და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს რეალურად შეულია შესთავაზოს ტურისტებს მრავალფეროვანი, საინტერესო და მიმზიდველი ტურიტული მომსახურება. ვინაიდან ტურისტუ-ლი პროდუქცია შეუძლებელია გაისინჯოს მოგზაურობამდე, მნიშვნელოვანია ქვეყანამ აქტიური პოლიტიკა გაატაროს რეკლამირების კუთხით. აქვე შევნიშნავთ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმი-სათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს ტურიზმის ბაზარზე საერთაშორისო მოთხოვნილების დაკმაყოფი-ლება.

**ია გელაშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

**კობა სანდროშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ეკონომიკის დოქტორი

## ტურისტული პროდუქტი, როგორც განსაკუთრებული საქონლის სრულყოფის გზები ბიზნესში

### აპსტრაქტი

ტურიზმის ბიზნესის განვითარება მეტად აქტუალური და ობიექტური აუცილებლობაა ეკონომიკის ტრანსფორმირების პერიოდში. ბოლო პერიოდის განმავლობაში შემომსვლელი და შიგა ტურიზმი მკვეთრად ჩამორჩება გამსვლელ ტურიზმს, რაც გამოწვეულია ქვეყანაში იმ ფირმებისა და ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდით, რომლებიც ენევიან ტურისტულ მომსახურებას. გამომდინარე იქნება, რომ ტურიზმის ინდუსტრია მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორთან, შესაბამისად ტურისტული პროდუქტიც წარმოადგენს მათი ფუნქციონირების შედეგს.

ტურისტული პროდუქტი არის ის, რასაც ტურისტები ყიდულობენ, ან ყველა ის ნარევი, რასაც ტურისტი აკეთებს და ყველა ის მიმზიდველობა, მოწყობილობა და მომსახურება, რასაც იგი იყენებს მოგზაურობისას.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ტურისტული პროდუქტი, ტური, ტურისტული ბაზარი.

**შესავალი.** ტურიზმი, როგორც მაღალრენტაბელური დარგი, არის დამატებითი წყარო ვალუტის შემოდინების, ეკონომიკური სტრუქტურის დივერსიფიკაციის ფაქტორი. მას თავისი როლით და ფუნქციებით დიდი წვლილი შეაქვს გარემოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების, კულტურული მემკვიდრეობის, ხალხთაშორის ურთიერთგაებასა და მშვიდობის შენარჩუნებაში.

ტურისტული პროდუქტის ფორმირებისას გასათვალისწინებელია მისი რეალიზაციის თავისებურებები: ხელშეუხებლობა, წარმოებისა და მომსახურების განუყოფლობა, ცვალებადობა, შენახვის შეუძლებლობა. ეს არის ყველა ის თვისებები, რითაც ტურისტული პროდუქტი განსხვავდება ჩვეულებრივი პროდუქტისაგან.

**მსჯელობა:** საქართველოში დიდი ტურისტული პოტენციალის გამო, კურორტებმა და ტურისტულმა ბაზებმა დიდი ხანია აღიარება მოიპოვეს, ამიტომ უცხოელი მოგზაურებისა და ტურისტებისთვის ის უფრო მიმზიდველი ხდება.

ტურიზმი ის სფეროა, სადაც წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა უპასუხოს ტურისტის მოთხოვნებსა და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება. 2013 წელს ტურისტების ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება 2012 წელთან შედარებით, სადაც ტურიზმის ადმინისტრაციის მონაცემებით იანვარ-მარტში საქართველოს რუსეთიდან 46 438 ვიზიტორი სტუმრობდა.

ტურიზმის პაზარი დინამიურად ვითარდება და ის პირველ ადგილზეა ბიზნესსექტორში. ინტერნეტ და მობილური ტექნოლოგიები ტურისტს საშუალებას აძლევს მიიღოს ღრმა ინფორმაცია დანიშნულების ადგილების შესახებ მთელი მსოფლიოს მაშტაპით.

ტურიზმის პროდუქცია არ შეიძლება გაისინჯოს მოგზაურობამდე, ამიტომ გადაწყვეტილება-დანიშნულების ადგილას მოგზაურობის ყიდვის შესახებ დაფუძნებულია ტურისტისათვის მისაწვდომ განსაკუთრებულ ინფორმაციაზე: მეგობრების რეკომენდაციები, ბროშურები, განცხადებები და ა.შ.

ტურისტული მომსახურების წარმოება და მოხმარება დროსა და სივრცეში უმეტესად ემთხვევა ერთმანეთს. თანამედროვე ტურისტული პროდუქტის ფორმირებებს ახორციელებს ტუროპერატორი, რომლის ძირითად ტურისტულ პროდუქტს წარმოადგენს ტური. ტურისტულ ფორმირებაში იგულისხმება ვადებიც მიზნების მიხედვით ურთიერთდამოკიდებული ფასში და ხარისხში შეთანხმებული ხელშეკრულებების შედგენა და მისი წარდგენა შესაბამისი დაჯავაბინით.

ქართული ტურისტული პროდუქტის რეალიზაციის ბაზრების მოსახებნად ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების მონაცემთა გაცნობა, რომლებიც ყველაზე მეტს ხარჯავენ ტურიზმში. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით ტრადიციულად ყველაზე მეტს გერმანელები ხარჯავენ ტურიზმში. (ბაზრის წილს 10,2 %), შემდეგ აშშ-ის მოქალაქეები, (9,8%).

საქართველოში ყოველგვარი საფუძველი არსებობს მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის. ამიტომ რამდენიმე საკანონმდებლო ბაზის სწორად განვითარება და დახვეწილების განვითარების ტურიზმის.

ახალი ტურისტული პროდუქტის, კონკურენტებისა და კომპონიონების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად ტურისტული გამოფენა-ბაზრობები საუკეთესო საშუალებაა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაშიც. ყოველწლიურად საქართველო 15-მდე და მეტ საერთაშორისო გამოფენებში იღებს მონაწილეობას, რაც ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებაა.

მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს ტურიზმს, ადგილობრივ სოფლის მეურნეობასა და სამრეწველო სექტორებს, საცალო ვაჭრობის მაღაზიებს, სატრანსპორტო სისტემას, ჯანდაცვას, საფოსტო, საბანკო დაწესებულებებს და სხვა კომუნალურ სამსახურებსა თუ საწარმოებს შორის.

ყოველმა რეგიონმა თვითონ უნდა გაარკვიოს, გააჩნია თუ არა შესაბამისი რესურსები ტურიზმის განვითარებისთვის და არის თუ არა პოტენციური ტურისტული ბაზრები, რომელზეც მას შეუძლია გავიდეს. აუცილებელია თუ არა მისთვის ტურიზმი ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად, გააჩნიათ თუ არა საკმარისი შრომითი რესურსები ტურიზმის დარგისათვის მუშა მიგრანტების შემოყვანის გარეშე, გამართლებულია თუ არა დანახარჯები რეგიონის სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებისა და ტურიზმის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. არსებობს თუ არა კონკურენციის შესაძლებლობა მეზობელ რეგიონებში არსებული ტურისტული პროდუქტებისაგან.

იმისათვის, რომ ტურიზმმა მოიტანოს რეალური ეკონომიკური სარგებლობა, ის ყოველ მხრივ ხელს უნდა უწყობდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და გარემოს დაცვას.

საქართველოში არსებული მძიმე სიტუაცია: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური კრიზისი, დაბალი ხარისხის ინფრასტრუქტურა და ტურიზმთან დაკავშირებით არასწორი პოლიტიკა თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას უქმნის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას.

როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო ტურიზმის საინტერესო სეგმენტს წარმოადგენს ახალგაზრდული ტურიზმი, ყველაზე მობილური და აქტიურ ტურისტთა ჯგუფი, თუმცა მის განვითარებას ხელს უშლის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მათი შემოსავლების სიმცირე. ეს ჯგუფი ადვილად იღებს სიახლეებს, უყვარს რისკი და თავგადასავლები, რის საშუალებასაც იძლევა ტურიზმი,



ამასთანავე ნაკლებად საჭიროებს უმაღლესი დონის სასტუმროებსა და მომსახურებას.

ახალგაზრდული ტურიზმი ტურისტული ინდუსტრიის სწრაფად მზარდი სექტორია და საერთაშორისო ტურიზმის 20% შეადგენს. ტურისტული პროდუქტის შექმნისას ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანია გართობა, ამიტომ აქტიური ტურების რეკლამირების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს გასართობ ელემენტებზე.

ჩვენი ქვეყნისათვის ბევრად მნიშვნელოვანია მცირე სასტუმროების, სასტუმრო სახლების აშენების ინვესტიციება, განსაკუთრებით მთავან რეგიონებში. ტურისტული პროდუქტის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია ტურიზმის სატრანსპორტო, განსაკუთრებით საპარტო ტრანსპორტით მომსახურების რაციონალიზაცია. ქვეყანაში ტურისტული პროდუქტის მსყიდველობითი უნარიანობის შენარჩუნებისათვის საჭიროა საპარტო ტრანსპორტით მომსახურების ტარიფების შემცირების აქტიური პოლიტიკის გატარება. მთავრობა პასუხისმგებელია გარემოსა და კულტურის, როგორც ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი რესურსისა დაცვითი ღონისძიების წახალისებაზე. აგრეთვე ის ვალდებულია უზრუნველყოს პოლიტიკის გეგმებისა და იურიდიული სქემების დამუშავება ტურისტული საქმიანობის კონტროლისათვის. ტურიზმის შეიძლება მოიტანოს მნიშვნელოვანი მოგება, პარალელურად შექმნილი სერიოზული პრობლემების გარეშე.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი მდგრადი ეკონომიკური ზრდის რეალური საფუძველია. ქვეყნის სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რომელიც მიიღწევა ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობის და/ან მათ ქვეყანაში დანახარჯების ზრდით. ყოველივე ეს კი შესაძლებელია გადაწყდეს რამდენიმე მთავარი ამოცანის გადაჭრის საფუძველზე, მათ შორისაა:

- ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევებისა და ეფექტური რეკლამის წარმოება
  - ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებაზე ზრუნვა;
  - ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი სატრანსპორტო სასტუმრო – სიმძლავრეების უზრუნველყოფა;
- ტურისტთა და ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის დამკვიდრება და ა.შ.

**დასკვნა:** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეების ტურისტული აქტიურობა და უცხოელი ტურისტების შემოსვლა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით დაბალია, ქართული ტურისტული პროდუქტის, როგორც განსაკუთრებული საქონლის კვლევა და სრულყოფის გზების ძიება ბიზნესში მეტად აქტუალური საკითხია, რადგან მსოფლიოში ტურისტული მიმოსვლა ყველაფრის მიუხედავად მაინც იზრდება და საქართველოს ტურისტული პროდუქტი, მათ შორის საშინაო ტურისტული პროდუქტიც, უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო მოთხოვნებს, რათა საქართველო ამაყად იდგეს მსოფლიოს სხვა ქვეყნების გვერდით თავისი უძველესი ისტორიითა და მასპინძლობის კულტურით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ. „ეკონომიკა“ თბ., 2014, N 7-8.
2. ქ. „ეკონომიკა“, თბ., 2015, N 1-2.
3. Openspace.ge/, სამეცნიერო პუბლიკაცია, ტურისტული პროდუქტის წინ წაწევა საქართველოში.
4. DREAM41.com /, ახალი ტურისტული პროდუქტი, 2014 წლის 3 ივნისი.
5. www.nplg.gov.ge .

**Mariam Zubiashvili**

*Doctor of Economics,  
New Higher Education Institute*

**Lela Zubiashvili**

*Doctor of Economics, Assistant Professor of  
Georgian Technical University*

## **Urgent Issues on Management Reporting**

### **Abstract**

Financial management is one of the important functions of the plant to control their production costs in order to optimize spending. In this case the most important role is in the management reporting. Management accounting, bookkeeping as an independent needs is a certain degree of reorganization, which makes it relevant to introduce the practice.

It should be noted that in the vast majority of enterprises management accounting is very poorly developed, or does not exist at all. We think that the main reason of it in various sectors of economy is the lack of common methodological framework and guidelines.

In order to solve the problems of organization managerial accounting, it is necessary: to identify correctly industry's goals and strategies and the ways of their achievement, to select the financial liability of the main areas. It is necessary to have the organization's business operations in line with the tasks and management reporting system planning.

Management reporting system from the obtained results allow the organization to outline the priorities for the future and ensure the stable development.



მარიამ ზუბიაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის პროფესორი

ლელა ზუბიაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი

### მმართველობითი აღრიცხვის აქტუალური საკითხები

#### რეზიუმე

საწარმოს მართვა – არის მისი საქმიანობის კოორდინაციის და რეგულირების პროცესი, იგი მიმართულია დასახული მიზნების მიღწევისაკენ. ნებისმიერი მართვა იწყება ინფორმაციის მიღებით, აღქმითა და გადამუშავებით. ყველა ამ ფუნქციების განხორციელება კი შეუძლებელია საწარმოში მმართველობითი აღრიცხვის სისტემის გამოყენების გარეშე.

თანამედროვე პირობებში, სხვა ნებისმიერი სახის აღრიცხვისაგან განსხვავებით, მმართველობით საქმიანობაში მმართველობითი აღრიცხვა არის ყველაზე კომპლექსური და ფუნდამენტური, ე.ი. იგი არის ძირითადი სტრატეგია და ტაქტიკა, რომლის გარეშეც ეფექტურად ვერ იარსებებს ვერც ერთი თანამედროვე საწარმო.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვიდან მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა ორგანიზაციის საქმიანობაში გამოიკვეთოს პრიორიტეტები და უზრუნველყოს მომავალში სტაბილური განვითარების პერსპექტივები. ამგვარად, ეკონომიკის განვითარების და ბიზნესის წარმართვის თანამედროვე ეტაპზე მმართველობითი აღრიცხვის დანერგვა ამტკიცებს თავის აუცილებლობას და აქტუალობას.

მარიამ ზუბიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი  
სასწავლებლის პროფესორი

ლელა ზუბიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-  
პროფესორი

## მმართველობითი აღრიცხვის აქტუალური საკითხები

საწარმოს მართვა – არის მისი საქმიანობის კოორდინაციის და რეგულირების პროცესი, იგი მიმართულია დასახული მიზნების მიღწევისაკენ. ნებისმიერი მართვა იწყება ინფორმაციის მიღებით, აღქმით და გადამუშავებით. ყველა ამ ფუნქციების განხორციელება კი შეუძლებელია საწარმოში მმართველობითი აღრიცხვის სისტემის გამოყენების გარეშე.

მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს სააღრიცხვო ინფორმაციის ყველა სახეს, რომელიც შეფასდება, დამუშავდება და გადაცემა შიდა მომხმარებლებს, საწარმოს ხელმძღვანელობას ოპტიმალური სამმართველო გადაწყვეტილებების მისაღებად. [5]

მმართველობითი აღრიცხვა უნდა განვიხილოთ როგორც ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება, რომელიც წარმოიქმნა XV საუკუნეში როგორც ქონების, მოგებისა და კაპიტალის აღრიცხვის ერთიანი სისტემა. მანუფაქტურული წარმოების აღმოცენებამ და განვითარებამ აუცილებელი გახადა პროდუქციაზე დანახარჯებისა და თვითლირებულების კალულაცია, სააქციო კაპიტალის აღრიცხვა, რომელთა დანიშნულებაა ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგებისა და დასაბეგრი ბაზის შედგენა. ამან საფუძველი ჩაუყარა მმართველობითი აღრიცხვის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბებას.

ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში მსხვილი და საშუალო რგოლების ხელმძღვანელთა უმრავლესობა თვლის, რომ ბიზნესის ახალ დონეზე წარმართვის პირობებში, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები ვერ უზრუნველყოფენ საწარმოს ინფორმაციულ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება სწორედ მმართველობით აღრიცხვას ეკისრება, იგი საჭიროებს აღრიცხვის გარკვეული დონით რეორგანიზაციას, ამდენად მოცემული პრობლემა ძალზე აქტუალურია და საყურადღებოა.

დღეს საწარმოს დანახარჯებისა და ფინანსური საქმიანობის მართვის სფეროში გაჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. ჯერ ერთი, დინამიურად ცვლადი ბაზრის პირობებში საწარმოთა მართვაში ახალი ამოცანების გადასაწყვეტად მიმდინარეობს მართვაში დაგროვილი გამოცდილების ორიენტაციის შეცვლა, მეორე, იქმნება დანახადჯების შესახებ ინფორმაციის მიღების ახალი, არატრადიციული სისტემები, ინერგება და ადაპტირდება თვითლირებულების კალულაციის, ფინანსური შედეგების გაანგარიშების ახალი მიდგომები, ასევე მმართველობითი გადაწყვეტილებების ანალიზის, კონტროლისა და მიღების ახალი მეთოდები. აღნიშნული გვარნემუნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მმართველობითი აღრიცხვის შესწავლა საქართველოს საწარმოებისათვის. აღსანიშნავია, რომ მმართველობითი აღრიცხვა საწარმოს მართვის აუცილებელი საშუალებაა, იგი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ოპტიმიზაციის საშუალებას



იძლევა. მისი საშუალებით შესაძლებელია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მოსალოდნელი შე-დეგების გაუმჯობესება და ეფექტურად კონტროლი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა სპეციალისტების შერჩევა და მათი კვალიფიკაციის შეფასება, რამდენადაც მათ აკისრიათ საწარმოებში მმართველობითი აღრიცხვის შემოღებისა და დანერგვის ძირითადი პასუხისმგებლობა. პრობლემებია ასევე გაყიდვების, დანახარჯების, შემო-სავლებისა და სხვათა შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და მიღების ავტომატიზირებლი სისტე-მების შექმნაში. გარდა ამისა, თანამედროვე საწარმოებში შეინიშნება მმართველობითი აღრიცხვის შემოღებისა და წარმოების აუცილებლობის საკითხებში ტოპ-მენეჯერებისა და ხელმძღვანელების აზრთა სხვაობის ტენდენციები, რაც ასევე ართულებს მმართველობითი აღრიცხვის სრულყოფას.

საქართველოს უმრავლეს საწარმოებში მმართველობითი აღრიცხვა ძალზე სუსტად არის გან-ვითარებული, ან საერთოდ არ იწარმოება. ამის ძირითად მიზეზად მიგვაჩინა ის, რომ საქართვე-ლოს ეკონომიკის ცალკეულ დარგში არ არსებობს მმართველობითი აღრიცხვის ერთიანი მეთო-დოლოგიური ბაზა და მეთოდური რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ მმართველობითი აღრიცხვა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, მუდმივ განვითარებაშია: ფართოვდება მისი ფუნქციები, იზრდება მათ მიერ დასმული პრობლემე-ბის და ამოცანების გადაწყვეტის მეთოდები.

ორგანიზაციაში მმართველობითი აღრიცხვის სისტემის აგება ეფუძნება ფორმალიზებული პრო-ცედურების შექმნას, რომლებიც გარე და შიდა წყაროებიდან მიღებულ მნიშვნელოვან ინფორმა-ციას აწვდიან ყველა დონის მენეჯერსა და ხელმძღვანელებს. ეს კი აუცილებელი პროცესია, რათა მათ თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში მიიღონ დროული და ეფექტური გადაწყვეტილებები.

მმართველობით აღრიცხვასთან ერთად ორგანიზაციის სააღრიცხვო სისტემაში შედის საგადა-სახადო და ფინანსური აღრიცხვა, რომლებიც კანონმდებლობით განსხვავდებიან წარმოების ხერ-ხებითა და ვალდებულებებით. ასე რომ, ბუღალტრული აღრიცხვა მოქმედებს ყოველთვის გარე მომხმარებელთა ინტერესებში. ამის გამო, ბუღალტრული ბალანსი არის შედარებით ღია დოკუ-მენტი, უფრო მეტიც, ღია სააქციო საზოგადოების შემთხვევაში იგი იქნება მასობრივი ინფორ-მაციის საშუალებებშიც კი. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, თავის მხრივ ამუშავე-ბენ ყველა ორგანიზაციისათვის აუცილებლად შესასრულებელ ბუღალტრული აღრიცხვის სტან-დარტებს. ასეთ სტანდარტებს მიეკუთვნება ბუღალტრული აღრიცხვის წესები.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ინფორმაციის სიზუსტე და მნიშვნელობა დამოკიდებუ-ლია სხვადასხვა ფაქტორებზე. მნიშვნელოვანია, რომ მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შე-მუშავების დროს სწორად იქნეს გამოყოფილი და გათვალისწინებული საწარმოს მიზნები და მათი მიღწევის სტრატეგიები. აუცილებელია სწორად შეირჩეს ფინანსური პასუხისმგებლობის მთავარი სფეროები, ასევე აუცილებელია ბიზნეს-პროცესები შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ამოცანებს და მმართველობითი აღრიცხვის დაგეგმვის სისტემას. სწორად უნდა იქნეს შერჩეული ხარჯების განაწილების სისტემა. ასევე აუცილებელია ჰორიზონტალური კავშირების მოწესრიგება, ე.ი. კომ-პანიაში ურთიერთეკვაშირების სისტემის, ინფორმაციის შეკრების პასუხისმგებლობის და ბიუჯე-ტების შედგენის სისტემისა.

ორგანიზაციაში მმართველობითი აღრიცხვის დანერგვის სირთულეებთან დაკავშირებული ზე-მოჩამოთვლილი პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამოცა-ნის გადაწყვეტა, რაც შესაძლებელს გახდის მმართველობითი აღრიცხვის სამუშაოები მოწესრიგ-დეს სწრაფად და ეფექტურად. ასეთ ამოცანებს მიეკუთვნება: ფინანსური სტრუქტურის შექმნა, საშტატო განრიგის შემუშავება, გადასახადების განხორციელების წესის განსაზღვრა, საბიუჯეტო რეგლამენტის შემუშავება, მმართვლებლითი ანგარიშთა გეგმისა და მმართველობითი აღრიცხვის გატარებების შემუშავება, ასევე საწარმოს საერთო მმართველობითი პოლიტიკის შემუშავება.

მაგალითად, სამრეწველო საწარმოს საამქროების მუშაობის ანალიზისას, მმართველობითი აღრიცხვის გამოყენებით, შესაძლებელია განისაზღვროს ფინანსური შედეგი, ე.ი. ამა თუ იმ საამქროს მოგება ან ზარალი. შესაბამისად შესაძლებელია ზარალიანი საწარმოების და მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა, შემდგომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მათი დახურვის შესახებ ან შემუშავდეს პროგრამა – ფინანსური პრობლემის აღმოფხვრის შესახებ. კერძოდ: შემუშავდეს დანახარჯთა შემცირების ეფექტური ღონისძიებების აუცილებელი ჩამონათვალი, შემუშავდეს საწარმოს პერსონალისათვის მოტივაციის სისტემა [4].

მმართველობითი აღრიცხვის ფუნქციები განისაზღვრება მისი მიზნებითა და ამოცანებით. მმართველობითი აღრიცხვის ორგანიზაციაში დანერგვის პრობლემას განიხილავს მრავალი ქართველი და უცხოელი ავტორი. მაგალითად, ე.კ. მეცნიერებათა დოქტორი ო. დ. კავერინა თავის წიგნში „მმართველობითი ანალიზი“ რამდენიმე ძირითად ფუნქციას გამოყოფს: მართვის ყველა დონის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ინფორმაციით ბიზნესის სისტემატური და პრობლემური მართვისათვის, საწარმოს ქვედანაყოფების მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციის ფორმირება [3].

უცხოელი ავტორები ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციებში გამოყოფენ მმართველობითი აღრიცხვის ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: დაგეგმვა, ფინანსური ანალიზი და ა.შ.

მმართველობითი აღრიცხვის ერთ-ერთი ფუნქციაა დაგეგმვა. ჩვეულებრივ არსებობს აღრიცხვის სისტემა და არსებობს მართვის სისტემა. აღრიცხვის სისტემა აკონტროლებს ორგანიზაციის ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობას ფაქტობრივად, ე.ი. როცა მოვლენა უკვე მომზდარია და მასზე ზემოქმედება არანაირად აღარ შეიძლება. მმართველობითი აღრიცხვის სისტემა დაფუძნებულია გეგმების უშუალოდ შედგენაზე.

დაგეგმვის პროცესი სიტუაციის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. სწორედ ამ ეტაპზე გამოვლინდება მიმდინარე მუშაობის შეცდომები და ნაკლოვანებები. დაგეგმვა ასევე ხელს უწყობს საწარმოს საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენას, რომლითაც შესაძლებელია ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზირება, საწარმოს და მისი თანამშრომლების მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, ხარჯების შემცირება და ა.შ.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემა შედგება მრავალი პროცედურისაგან, ისინი შეიძლება მართვის მიზნებიდან გამომდინარე იცვლებოდეს. ეს პროცედურები უნდა პასუხობდეს მმართველობითი აღრიცხვის გარკვეულ მოთხოვნებს და პრინციპებს. ასეთ პრინციპებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ორგანიზაციის უწყვეტი საქმიანობა, აღრიცხვის დაგეგმვისათვის და კოორდინირებისათვის ერთიანი საზომი სისტემის გამოყენება, შიდა ანგარიშების მაჩვენებლებისათვის მართვის სხვადასხვა დონეებს შორის კომუნიკაციური კავშირების დამყარება, აღრიცხვის ოპიექტების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის მოღების მიზნით დეტალური ანალიზის ჩატარება, საწარმოს საწარმოო ციკლში პერიოდულობის დაცვა, ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის დაცვა.

ჩამოთვლილი პრინციპები ადასტურებენ მმართველობითი აღრიცხვის სისტემის მიზანშეწილობას და ეფექტურობას. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერმა ორგანიზაციამ შეიძლება გამოიყენოს მმართველობითი აღრიცხვის სისტემა თავისი დასახული მიზნებიდან, პოლიტიკიდან და განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე. მმართველობითი აღრიცხვის სისტემის პრაქტიკული გამოყენება გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობის საერთო მდგომარეობაზე, ამაღლებს მმართველობითი პროცესის დონეს, ხელს უწყობს მის ოპტიმიზაციას.

ორგანიზაციის საქმიანობაზე და ფორმირებაზე მმართველობითი აღრიცხვის გავლენის შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: უპირველეს ყოვლისა, მმართველობითი აღრიცხვა მართვის ყველა დონის ხელმძღვანელს უზრუნველყოფს იმ აუცილებელი ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მიმდინარე დაგეგმვისათვის, კონტროლისათვის და



დღიაგნოსტიკისათვის, ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. შემდეგ, მმართველობითი აღრიცხვა რჩება მართვის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და დონეებს შორის კავშირის საშუალებად. მმართველობითი აღრიცხვა ასევე მიმართულია მომავალში ორგანიზაციის განვითარების კოორდინაციაზე, რამდენადაც აღრიცხვის დახმარებით ხდება ორგანიზაციის მთელი საქმიანობისა და მისი შედეგების მუდმივად შეფასება და ანალიზი.

ორგანიზაციებს მმართველობითი აღრიცხვის დანერგვასთან დაკავშირებული ზემოჩამოთვლილი პრობლემების გარდა, სხვა მრავალი პრობლემაც წარმოქმნება. მაგალითად, პერსონალის სწავლება, კოლექტივის წინააღმდეგობა და კონფლიქტები სიახლეებისადმი, გუნდის ფორმირების პრობლემები და მასში ძლიერი ჰორიზონტალური კავშირების დადგენა და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, მმართველობითი აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მენეჯერებისა და სხვა მმართველობითი პერსონალის ინფორმაციით მაქსიმალურად უზრუნველყოფა, ამდენად მნიშვნელოვანია შიდაორგანიზაციული ანგარიშების შინაარსი და ხელმისაწვდომობა.

მსგავსი სახის პრობლემების გადასაწყვეტად მმართველმა პერსონალმა პირველ რიგში უნდა ჩამოაყალიბოს იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მენეჯერებისათვის, ასევე განსაზღვროს ინფორმაციის წარდგენის ოპერატიულობის დონე, მისი რეგულარულობა, შეძლებისდაგვარად მოახდინოს მოცემული მაჩვენებლების მაქსიმიზაცია.

ხსენებულ პრობლემებთან ერთად არსებობს ორგანიზაციაში მმართველობითი აღრიცხვის ადაპტაციის პრობლემა, კერძოდ, მისი სუსტი სტრუქტურირება. ამ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი არსებობს: ჯერ ერთი, აუცილებელია ინფორმაციის აღრიცხვისა და ანალიზისათვის მკაცრად და მკაფიოდ დადგენილი ორგანიზაციული სტრუქტურების გამოყენება, მეორე, აუცილებელია დამუშავებული ინფორმაციის წარდგენის ვადებში შეზღუდვების და სტანდარტების შემოღება. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაციაში მისი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პროცესში მიიღება უფრო ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილება.

თანამედროვე პირობებში, სხვა ნებისმიერი სახის აღრიცხვისაგან განსხვავებით, მმართველობით საქმიანობაში მმართველობითი აღრიცხვა არის ყველაზე კომპლექსური და ფუნდამენტური, ე.ი. იგი არის ძირითადი სტრატეგია და ტაქტიკა, რომლის გარეშეც ეფექტურად ვერ იარსებებს ვერც ერთი თანამედროვე საწარმო.

მმართველობითი აღრიცხვის სისტემის დანერგვიდან მიღებული შედეგები საშუალებას იძევა ორგანიზაციის საქმიანობაში გამოიკვეთოს პრიორიტეტები და უზრუნველყოს მომავალში სტაბილური განვითარების პერსპექტივები. ამგვარად, ეკონომიკის განვითარების და ბიზნესის წარმართვის თანამედროვე ეტაპზე მმართველობითი აღრიცხვის დანერგვა ამტკიცებს თავის აუცილებლობას და აქტუალობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჭელიძე, მმართველობითი აღრიცხვა, სახელმძღვანელო, 2012, გვ. 304.
2. ვасильев Л.С. Бухгалтерский управленческий учет., учебник, М.: Экмо, 2009, 544 с.
3. Каверина О.Д. Управленческий анализ: учеб.пособие, 2007.
4. Керимов В.Э. Бухгалтерский управленческий учет., М.: Дашков, 200.
5. [www.auditgroup.ge/page.php?id=35](http://www.auditgroup.ge/page.php?id=35).

**Maia Gelashvili**

*Associate Professor of New Higher  
Education Institute*

### **Trade Role in International Relations**

#### **Abstract**

Trade occupies an important place in international relations, influence on international politics and a close business ties between the countries. Open trade system requires country's to implement a fair and non-discriminatory access to each other's markets. To accomplish this they have to lower their trade barriers to multilateral and bilateral agreements. Trade allows countries to do things, which are the best and get a wide variety of goods and services. However, the main issue is how to know who uses the method which allows international trade. Most of the foreign trade relations theories conclude that free trade improves the well-being of the country. Its positive effects mentioned example: Increasing the efficiency of production and consumption, the optimal size of the enterprise to achieve rapid and increasing competition due to innovations. All the changes and developments in the world of currency exchange rate movements are reflected in the schedules. Accordingly, Georgia's main problem is that in recent years in international trade Participating companies especially will affect the currency risk, which is the currency reduce insurance that may be relevant to the business processes of the organization, so that the company will avoid foreign exchange or other financial risks. I consider the government's policy with regard to international trade or the government will take into account the country monetary receivables as it affects the export and import prices of goods at home and abroad and the foreign exchange rate.



მათა გელაშვილი  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
ასოცირებული პროფესორი

## ვაჭრობის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

### რეზიუმე

ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე და ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის მათ უნდა – შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით. ვაჭრობა ქვეყნებს საშუალებას აძლევს აკეთონ ის, რაშიც საუკეთესონი არიან და მიიღონ უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება. თუმცა მთავარი საკითხია ის, თუ ვინ როგორ იყენებს ამ საშუალებას, რომელსაც საერთაშორისო ვაჭრობა იძლევა. საგარეო სავაჭრო ურთიერთობების თეორიების უმეტესობა მიდის დასკვნამდე, რომ თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობას ამაღლებს. მის დადებით ეფექტებად მოიხსენიება, მაგალითად: წარმოებისა და მოხმარების ზრდადი ეფექტურობა, საწარმოს ოპტიმალური სიდიდის სწრაფი მიღწევა და ზრდადი კონკურენციით განპირობებული ინოვაციები.

მსოფლიოში არსებული აბსოლუტურად ყველა ცვლილება და მოვლენა ვალუტის კურსის გრაფიკების მოძრაობაზე აისახება. შესაბამისად, საქართველოშიც მთავარი პრობლემაა ისაა, რომ ბოლო წლებში საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებზე განასაკუთრებულად მოქმედებს სავალუტო რისკი, რომლის შემცირების საშუალება არის სავალუტო დაზღვევა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ბიზნეს პროცესების შესაბამისი ორგანიზებით, ისე რომ კომპანიამ მაქსიმალურად აარიდოს თავი სავალუტო ან სხვა ფინანსურ რისკებს. მიზანშეწონილად მიმართია მთავრობის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში, თუ ხელისუფლება გაითვალისწინებს ქვეყანაში სავალუტო შემოდინებებს, რადგან ექსპორტსა და იმპორტზე გავლენას ახდენს საქონლის ფასი ქვეყანაში და უცხოეთის სავალუტო კურსი.

მაია გელაშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცი-  
რებული პროფესორი

## ვაჭრობის როლი საერთაშორისო ურთიერთობისათვის

თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას, რადგან მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთი-ერთობებში და უდიდეს გავლენას ახდენს, როგორც ქვეყნებს შორის მჭიდრო საქმიანი კავშირების შექმნაზე, ისე საერთაშორისო პოლიტიკაზე. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარ-მოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირო-ბებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორ-ტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში. ვაჭრობა ქვეყნებს საშუალებას აძლევს აკეთონ ის, რაშიც საკუთესონი არიან და მი-იღონ უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება. თუმცა მთავარი საკითხია ის, თუ ვინ როგორ იყენებს იმ საშუალებას, რომელსაც საერთაშორისო ვაჭრობა იძლევა.

ბოლო წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა იმ-პორტის წილი ექსპორტზე ბევრად მეტია. ამის გამო ქვეყანას მუდმივად უარყოფითი სავაჭრო საღდო აქვს. ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროპისა და ამერიკის ბაზრები ქართული პროდუქციისთვის გახსნილია, რამაც ექსპორტის მოცულობის გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი. თა-ვად მენარმები კი ამ ბაზრების დაპყრობას ჯერჯერობით არ ჩქარობენ. მიზეზი არის ის, რომ ქარ-თული პროდუქცია ხშირ შემთხვევაში ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 2145 მლნ. აშშ დო-ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია; აქედან ექსპორტი 443 მლნ. აშშ დოლარს შეადგინს (12%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1703 მლნ. აშშ დოლარს (5%-ით ნაკლები), ხოლო უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-მარტში 1260 მლნ. აშშ დოლა-რი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 59 % შეადგინა. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალი-ბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება 2011-2016 წლების დინამიკური მნერივის მიხედვით. 2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევრო-კავშირის ქვეყნებთან 712 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 111 მლნ. აშშ დოლარი იყო (35 -ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 601



მლნ. აშშ დოლარი (28%-ით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 33% შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 25 % და იმპორტში 35 % (2015 წლის იანვარ-მარტში შესაბამისად 28, 34 და 26 %). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 39 % (2015 წლის იანვარ-მარტში 23 %). უახლოეს წლებში ამ ვითარების შეცვლა მოსალოდნელი არ არის, რადგან ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, როგორიც იქნება იმპორტისა და ექსპორტის მინუსიანი სხვაობის დაძლევა. კერძოდ: ექსპორტსა და იმპორტზე შემდეგი ფაქტორები ახდენენ გავლენას:


- მომხმარებლის გემოვნება სამამულო და უცხოური საქონლის მიმართ;
- საქონლის ფასი ქვეყანაში და უცხოეთში;
- სავალუტო კურსი;

დარგები	1990 წ. <sup>1</sup>	2013 წ.
სულ	100	100
მრეწველობა	20,3	16,5
მშენებლობა	10,1	12,1
სოფლის მეურნეობა	25,2	1,8
ვაჭრობა	6,5	21,8
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	4,2	10,3
მატერიალური წარმოების დანარჩენი დარგები	3,2	0,1
არამატერიალური წარმოება	30,5	22,6

- ქვეყნიდან ქვეყანაში საქონლის ტრანსპორტირების ხარჯები;
- მთავრობის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში.

ვაჭრობა ქვეყნებს საშუალებას აძლევს აკეთონ ის, რაშიც საუკეთესონი არიან და მიიღონ უფრო მრავალფეროვანი საქონელი და მომსახურება. თუმცა მთავარი საკითხია ის, თუ ვინ როგორ იყენებს ამ საშუალებას, რომელსაც საერთაშორისო ვაჭრობა იძლევა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დანარჩენი ქვეყნების წილი 27% იყო, მათ შორის ექსპორტში 29% და იმპორტში 26% (2015 წლის იანვარ-მარტში შესაბამისად 29, 35 და 28%). 2016 წლის იანვარ-მარტში დანარჩენი ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 25% (2015 წლის იანვარ-მარტში ასევე 25%). ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტს (იხ.დიაგრამა 1). დანარჩენი ქვეყნების წილი 2016 წლის იანვარ-მარტში 574 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2015 წლის იანვარ-მარტში შედარებით 15-ით ნაკლები). აქედან ექსპორტი 129 მლნ. აშშ დოლარი (26%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 445 მლნ. აშშ დოლარი იყო (11%-ით ნაკლები).

2016 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არა-დეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 9957 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1701 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (7 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 8256 მლნ. აშშ დოლარს (31 პროცენტით მეტი). ალსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში განხორციელდა C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტი, რომლის გარეშეც იმპორტი შეადგენს 5859 მლნ. აშშ დოლარს (2 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბრუნვის 2016 წლის იანვარ-ოქტომბერში 6555 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 66 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 1332 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება 2011-2016 წლების დინამიკური მნიჭივის მიხედვით.



2011-2016 წწ. იანვარ-ოქტომბრის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში (%)

2016 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68% შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (342 მლნ. აშშ დოლარი), ირლანდია (210 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (185 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (169 მლნ. აშშ დოლარი). 2016 წლის იანვარ-მარტში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 84 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 19% შეადგინა. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 38 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9% უდრიდა. მესამე ადგილზე თხილის და სხვა კაკლის ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 33 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 7% შეადგინა. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროპის ბაზრები ქართული პროდუქციისთვისაც გახსნილია, რადგან ქართული პროდუქცია შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმით სარგებლობს. საქართველო 2006 წლიდან GSP+ -ით სარგებლობს. ევროკავშირის ბაზარზე შეღავათიანი საბაზო რეჟიმით 7200 სახის პროდუქციის ექსპორტია შესაძლებელი. თუმცა ეკონომიკური ექსპერტები აცხადებენ, რომ ექსპორტის სტიმულირებისთვის GSP+ ბევრი არაფერი მოაქვს, რადგან ქართული პროდუქცია ხარისხის ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. რაც გამოწვეულია, იმით რომ საქართველოში ადგილობრივი წარმოება არ არის მნიშვნელოვნად განვითარებული, რის გამოც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი შეზღუდულია. ამასთან, არც რაიმე ნედლეულით მდიდარი ქვეყანა ვართ, რომ საექსპორტიორო ვიყოთ. თუმცა ჩვენთან წარმოებული პროდუქციის თვითონირებულება მაღალია, რადგან სათანადოდ არ არის განვითარებული ტექნილოგიები. ევროკავშირს ხარისხის სტანდარტის მოთხოვნები გააჩნია. თანაც ევროკავშირის შიგნით ბევრი დასახელების პროდუქცია იწარმოება, რომლიც გააქვთ ქვეყნიდან ქვეყანაში ბაზის გადახდისა და შედარებით ნაკლები სატრანსპორტო დანახარჯებით. ამიტომ ცხადია, მათ ქართული პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს. შესაბამისად, ძირითადად მომხმარებელი ქვეყანაა და უწევს პროდუქციის დიდი ნაწილის იმპორტირება. ეს კი იწვევს უარყოფით სავაჭრო სალდოს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბოლო წლებში საექსპორტო პოტენციალი არ გაზრდილა. ის, რაც იმპორტით შემოდის საქართველოში იმპორტის წილის ზრდა არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებულია.



აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში სავალუტო შემოდინებებმა და ეროვნული ბანკის ინტერვენციებმა გამოიწვია ის, რომ ლარის მაღალი კურსი შენარჩუნდა, რაც იმპორტს უწყობდა ხელს. მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ ბოლო წლებში საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ კომპანიებზე განასაკუთრებულად მოქმედებს სავალუტო რისკი, მუდმივად მაღალია მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რადგან იმპორტიორებს უცხოური ვალუტა სჭირდებათ. ისინი იძულებულნი არიან, პროდუქციის რეალიზების შედაგად მიღებული ლარები უცხოურ ვალუტაზე გადაცვალონ, რაც ზრდის ვალუტაზე მოთხოვნას. შესაბამისად მნიშვნელვანია მთავრობის პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში, კერძოდ, თუ ხელისუფლება გაითვალისწინებს ქვეყანაში სავალუტო შემოდინებებს, რადგან ექსპორტსა და იმპორტზე გავლენას ახდენს სავალუტო კურსი და საქონლის ფასი ქვეყანაში და უცხოეთში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების გზები“, (თანაავტორები: თ. აბუაშვილი) სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს – ინჟინერინგი“, 2014, N 1, გვ. 213-216.
2. „საქართველოს ექსპორტ-ინპორტის მდგომარეობა, სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2015, გვ. 65-71.
3. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
4. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
5. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
6. [www.gcci.ge](http://www.gcci.ge)

Tina Gelashvili

*Doctor of Economics Professor of  
New Higher Education Institution*

## **Global Changes and New Perspectives of Organizational Management Development**

### **Abstract**

In 21st century the new approaches and methods of management were set towards managers based on technological and organizational progress that are related to the organizational changes. The undertaking of the organizational changes are identified with the threats for lot of people, because it implies the changes in the existing ones. Due to the fact that in today's dynamic world of rapidly changing circumstances, the organizational changes are inevitable, which imposes an obligation and responsibilities on managers to implement changes in the organization and deal with the obstacles related to the changes.

“Change or Death”! – This is a call to managers throughout the world.

The causes of global changes are analyzed in the article; there are also studied famous scientist-managers' views on new organizational management development that are linked to the organizational changes; there are outlined some factors of overcoming the resistance to changes and the means of intervention.

The findings were set about the need for the inevitable changes based on research, which are related to the attitudes in the organization, perception, team, leadership, motivation, organizational arrangements and etc., without which it is impossible to manipulate managers. If the environment is static, if an employee's skills and abilities are appropriate to a time and there is no threat of deterioration, and if tomorrow day will be similar to today, then organizational changes have no meaning for managers, but in fact, the world is changing and from organization and its member it requires the dynamic changes and constant management of the changes to maintain the competitive manner.

**Key words:** Organizational Changes, Organizational Management, Evaluative Survey, Resistance to Changes.



თინა გელაშვილი  
ეკონომიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებლის  
პროფესორი

გლობალური ცვლილებები და ახალი, ორგანიზაციული  
მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები

რეზიუმე

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიურმა და ორგანიზაციულმა წინსვლამ ხელმძღვანელის მიმართ მართვის ხვაგვარი მიდგომა და მეთოდები დასახა, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ორგანიზაციულ ცვლილებებთან. ორგანიზაციაში ცვლილებების წამოწყება ბევრი ადამიანისთვის გაიგივებულია საფრთხესთან, რადგან ეს გულისხმობს არსებულის შეცვლას. გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელ დინამიკურ სამყაროში ძალიან სწრაფად იცვლება გარემოებები, შესაბამისად ორგანიზაციული ცვლილებებიც გარდაუვალია, რაც მენეჯერებს აკისრებს ვალდებულებას და დიდ პასუხისმგებლობას განახორციელონ ცვლილებები ირგანიზაციაში და გაუმკლავდნენ წინააღმდეგობებს ცვლილებების მიმართ.

„ცვლილება ან სიკვდილი“! – ეს არის მენეჯერთა მოწოდება მთელ მსოფლიოში.

ნაშრომში გაანალიზებულია გლობალური ცვლილებების გამომწვევი მიზეზები, შესწავლილია ცნობილ მეცნიერ-მენეჯერთა შეხედულებები ახალი, ორგანიზაციული მენეჯმენტის განვითარებისთვის, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციულ ცვლილებებთან, გამოკვეთილია ცვლილებების წინააღმდეგობის დაძლევის ფაქტორები და ცვლილებებში ჩარევის საშუალებები.

კვლევის შედეგად მიღებულია დასკვნები ცვლილებების გარდაუვალ საჭიროებაზე, რომელიც უკავშირდება ორგანიზაციაში დამოკიდებულებებს, აღქმას, გუნდს, ლიდერობას, მოტივაციას, ორგანიზაციულ მოწყობას და სხვა, რის გარეშეც შეუძლებელია მენეჯერთა მანიპულირება. თუ გარემო სრულიად სტატიკურია, თუ დაქირავებულების უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები დროის შესაფერისია და გაუარესება არ ემუქრება, თუ ხვალინდელი დღე დღევანდელის მსგავსი იქნება, მაშინ ორგანიზაციულ ცვლილებას მენეჯერებისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რეალურად სამყარო ცვალებადია და ორგანიზაციისა და მისი წევრებისაგან კონკურენტულობის შესანარჩუნებლად დინამიკურ ცვლილებებს და შესაბამისად ამ ცვლილებების მუდმივად მართვას მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:** ორგანიზაციული ცვლილებები, ორგანიზაციული მენეჯმენტი, შეფასებითი გამოკითხვა, ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა.

თინა გელაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლე-  
სი სასწავლებლის პროფესორი

## გლობალური ცვლილებები და ახალი, ორგანიზაციული მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები

### შესავალი

დღეისათვის, სულ უფროდაუფრო მეტი ორგანიზაცია დგება დინამიკური და ცვალებადი გა-  
რემოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ორგანიზაციებისგან ცვლილებას მოითხოვს. სამუშაო ძა-  
ლა ხასიათდება ცვალებადი ბუნებით, თითქმის ყველა ორგანიზაციას უხდება მრავალფეროვან  
კულტურულ გარემოსთან შეგუება. ადამიანური რესურსების საქმიანობა და პოლიტიკა სამუშაო  
ძალის შესაბამისად უნდა შეიცვალოს. გლობალური ცვლილებების ფონზე კომპანიები მასიურად  
ახდენენ თანამშრომელთა გადამზადებას ახალი უნარ-ჩვევებით, რაზედაც არ იშურებენ დიდალ  
თანხებს. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენ ვცხოვრობდით წყვეტილობის ეპოქაში (1950-90-იანი წლები),  
როცა ხვალინდელი დღე გუშინდელიდან მომდინარეობდა. დღეს ასე აღარ არის. ეკონომიკურმა  
შოკებმა ორგანიზაციებში ცვლილებები გამოიწვია. შესაძლოა, ერთ დღეში ასობით ათასი ადამი-  
ანი მილიონერად იქცეს და შემდეგ გაღატაკვდეს. საფონდო ბირჟამ 2000-2002-2012 წლებში და-  
ახლოებით 40%-ით შეამცირა დაქირავებულთა პენსია. ამ ფაქტმა საფონდო ბირჟის მუშაობა კი  
გააუმჯობესა, მაგრამ ბევრმა საპენსიო ფონდმა ეს ვერ შეძლო და იძულებული გახდა საპენსიო  
ასაკი გადაეწიათ. უძრავი ქონების ბაზრის არასტაბილურობამ მშენებლობისა და რეკონსტრუქ-  
ციის სპეციალისტების, ავეჯის გამყიდველების, იპოთეკარი ბანკირებისა და სახლთან დაკავშირე-  
ბული სხვა ბიზნესების არამდგრადობა გამოიწვია. იცვლება კონკურენცია და ხდება გლობალური.  
კონკურენტები, თუ ადრე მხოლოდ ერთი ქვეყნის, რაიონის, ან რეგიონის შიგნით იყვნენ, დღეს  
შესაძლოა ოკეანის გადაღმიდან გყავდეს. არც სოციალური ტენდენციებია უცვლელი, სულ რაღაც  
10-15 წლის წინანდელი მდგომარეობისაგან განსხვავებით ადამიანები ინფორმაციას ინტერნეტ  
პროგრამებითა და ბლოგებით უზიარებენ ერთმანეთს. გლობალიზაციის მამამთავრებიც კი ვერ  
წარმოიდგენდნენ, რომ სწრაფი ცვლილებები შეცვლიდა მსოფლიო პოლიტიკას, რომელიც პირდა-  
პირ უკავშირდება ორგანიზაციულ ცვლილებებს.

საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთულ სიტუაციაში იმყოფება. ერთის  
მხრივ, მსოფლიოში კონკურენტული ურთიერთობა სისტემატიურად მწვავდება, ბაზრების დაპ-  
ყრობისათვის ბრძოლა რთულდება, ხოლო, მეორეს მხრივ, საქმიანობის ყველა სფეროში და მათ  
შორის მენეჯმენტში, მრავალი ინოვაცია და მოდელი ინერგება. აღნიშნულ საკითხში კი საქართვე-



ლო მნიშვნელოვნად ჩამორჩება დროის მოთხოვნებს.

მიზანი: გლობალური ცვლილებებიდან და საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება, გვაინტერესებდა ცნობილ მეცნიერ-მენეჯერთა აზრი ორგანიზაციულ ცვლილებებსა და მასზე მომქმედი ფაქტორების შესახებ. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა ორგანიზაციული ცვლილებების სიტუაციური მოდელის ფორმირების თეორიული საფუძვლების განსაზღვრა, ხოლო მისი რეალიზაციისთვის მეთოდური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის თეორიული საფუძველია ორგანიზაციული მენეჯმენტის ცვლილებების წარმოშობისა და განვითარების პრობლემებზე მეცნიერ-თეორეტიკოსთა კონცეპტუალური შეხედულებები, რისთვისაც კვლევაში გამოყენებული იქნა სისტემური და შედარებითი ანალიზის მეთოდები, ემპირიული განზოგადება და თეორიული კვლევა, ანალიზი და სინთეზი, შეფასებითი გამოკითხვა-განზოგადება და აბსტრაქცია.

შინაარსი (შედეგები და მსჯელობა): კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება ორგანიზაციულ ცვლილებებზე მოქმედ შემდეგ ძალებზე, კერძოდ:

1. სამუშაო ძალის ბუნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია-კულტურის მრავალფეროვნება, დაბერებული მოსახლეობა, არაადეკვატური უნარ-ჩვევების მქონე დაქირავებულები;
2. ტექნოლოგია – უფრო სწრაფი, იაფი და მობილური კომპიუტერები, ინტერნეტი და სხვა;
3. ეკონომიკური შოკი – საფონდო ბირჟის არამდგრადობა, მაღალ და დაბალკვალიფიციურ სამსახურებში იმიგრაცია, ენერგეტიკულ საშუალებებზე ფასების ზრდა;
4. კონკურენცია-გლობალური კონკურენცია, შეერთება და კონსოლიდაცია, ინტერნეტ-ვაჭრობის ზრდა;
5. სოციალური ტენდენციები – ინტერნეტის სასაუბრო პროგრამის დემოგრაფიული აფეთქების თაობის პენსიაზე გასვლა, ფასდაკლებების და პიპერმარკეტების ზრდა;
6. მსოფლიო პოლიტიკა – ომი აშშ-სა და ერაყს შორის, წყნარი ოკეანის სანაპირო რეგიონებში ბაზების გახსნა, ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. (პასმორე, 1992: 375-397; ლევინი კ., 1989:139; .რობინსი ს. 2009:349...).

აღსანიშნავია ის, რომ ორგანიზაციაში ცვლილებების მამოძრავებლები შეიძლება იყვნენ მენეჯერები და არამენეჯერები, დაქირავებულები და მოწვეული კონსულტანტები.

როგორც ცვლილება მენეჯერების ან დაქირავებულების მხრიდან მოდის, გასათვალისწინებელია, რომ მენეჯერებს ამ ცვლილებების შედეგებთან შეგუება მოუწევთ.

ცოტა ხნის წინ, პრაქტიკოს მენეჯერთა აზროვნებაში გაბატონებული იყო ეგრეთწოდებული „წყნარი წყლის“ შედარება, რომელიც ყველაზე კარგადაა გადმოცემული კურტ ლევინის „ცვლილების სამსაფეხურიან აღწერაში“. ლევინის მიხედვით, წარმატებული ცვლილებისათვის საჭიროა სტატუს-ქვოს გაღლობა, ცვლილება ახალ მდგომარეობამდე და ხელახლა გაყინვა, რათა ახალი ცვლილება შენარჩუნდეს. ამ სამი გზიდან (გაღლობა-ცვლილება-გაყინვა) წინასწორობის შესანარჩუნებლად ერთ-ერთის საშუალებით მაინც უნდა განხორციელდეს.

1. მამოძრავებელი ძალების ზრდით, რაც ქცევას სტატუს-კვოდან გამოიყვანს;
2. შემაკავებელი ძალების შემცირებით, რაც ხელს უშლის არსებული წინასწორობის რღვევას;
3. ეს მიდგომა 30-40 წლის წინ შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო, მაგრამ დღეს „წყნარ წყლებს“ ვეღარ ვუწოდებთ იმ ზღვებს, რომლის გადაღახვაც დღევანდელ მენეჯერებს უხდებათ.

მეცნიერთა ნაწილი დღეს მსჯელობს ცვლილების ახალ მიდგომაზე და მას „აქაფებული წყლის

## დიალოგიური და სემირთული

დინებას“ ამგვანებს, რომელსაც ბევრი მენეჯერი თავს ვერასდროს აღწევს და ისინი იძულებული ხდებიან ითამაშონ ის თამაში, რაც ადრე არ უთამაშიათ..... იმ მენეჯერთა რიცხვი, რომლებიც ცვლილებების წინაშე არ დგანან, ძალიან სწრაფად მცირდება.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მაუსი ეთანხმება ტომ ბეტერს და ალნიშნავს, რომ იგი ძალიან მახვილგონივრულად აცხადებს: „ძველად ამბობდნენ, თუ არ არის გაფუჭებული, არ შეაკეთო“. ამუამად მსგავსი მიღომა არ გამოდგება, დღეს ამბობენ „თუ არ არის გაფუჭებული, ესე იგი საკ-მარისად არ გიმუშავია და მაინც შეაკეთე“ (მაუს,... 2002: 31).

ინდივიდისა და ორგანიზაციული ქცევის შესახებ კვლევის ერთ-ერთი საუკეთესო მიგნებაა ის, რომ ორგანიზაციები და მისი წევრები ეწინააღმდეგებიან ცვლილებას, რასაც ხშირად ვაწყდებით ჩვენს ქვეყანაში. რაღაც თვალსაზრისით ეს შეიძლება დადებითიც იყოს, რადგან ის სტაბილურობის მაჩვენებელია და ქცევის პროგნოზირებას იძლევა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა ასევე შეიძლება გახდეს ფუნქციური კონფლიქტის წყაროც. მაგალითად, რეორგანიზაციის გეგმაში, ან პროდუქციის ხაზში ცვლილება სტიმულს აძლევს ამ იდეისადმი ჯანსაღ მსჯელობას და შედეგად უკეთესი გადაწყვეტილება მოჰყვება, მაგრამ ის ხელს უშლის ადაპტაციას და პროგრესს.

ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს პიროვნული მიზეზებით (მაგ. წარმოების ერთი ხაზი გადავიდა სხვა გეოგრაფიულ არეალში, ეს ცვლის იმ ადამიანების ქცევას და მოქმედებას – იცვლის ტრანსპორტს, სადილის დროს, ილვიძებს ადრე და სხვა). ცვლილების წინააღმდეგობამდე ორგანიზაციულ ფაქტორებსაც მივყავართ. მაგალითად, სტრუქტურული ინერცია, როცა ორგანიზაციის სტაბილურობის შენარჩუნების მექანიზმები აქვა: შერჩევის პროცესში სისტემატიურად ირჩევენ ერთსა და იმავე, ან ერთნაირი ტიპის ადამიანებს, ფორმალიზაცია – დაქირავებულებს უდგენს გარკვეულ სამუშაო აღწერილობას, წესებსა და პროცედურებს, რომელსაც უნდა დაემორჩილონ.

ცვლილებების წინააღმდეგობების კიდევ ერთი ფაქტორი, როგორც ს. რობინსი აღნიშნავს, ცვლილების შეზღუდული დიაპაზონია. ცვლილებები ერთ რომელიმე დარგში გამოიწვევს მეორე დარგშიც ცვლილებას. მაგალითად, თუ მენეჯერი შეცვლის ტექნოლოგიას და სტრუქტურას იმავეს დატოვებს, ცვლილება არ განხორციელდება და არ იქნება ეფექტის მომცემი (სტივენ პ. რობინსი, ტიმოთე ა. ჯავი: 2009:350-357).

მეცნიერებს შესწავლილი აქვთ ორგანიზაციული ცვლილების წინააღმდეგობის დაძლევის მამოძრავებელი 5 ფაქტორი:

განათლება და კომუნიკაცია; მონაწილეობა; მხარდაჭერისა და ერთგულების წარმოქმნა, ისე-თი ადამიანების შერჩევა, რომელიც ცვლილებებს იღებს და იძულება, რომელიც ყველაზე ბოლო ადგილზეა (პასმორე, 1992: 375-397).

როგორ შეიძლება ორგანიზაციაში ვმართოთ ცვლილებები?

ორგანიზაციული მართვა არ არის მარტივად განსაზღვრული, ან განყენებული ცნება, იგი ჰქონისტურ-დემოკრატიულ ლირებულებებზე დაფუძნებული ცვლილებების განსახორციელებლად დაგეგმილი ჩარევაა, რომელიც ორგანიზაციის ეფექტურობისა და დაქირავებულების ყოფის გაუმჯობესებას მოიცავს.

ორგანიზაციული განვითარების პარადიგმა აფასებს ადამიანისა და ორგანიზაციის ზრდას, თანამშრომლობით და მონაწილეობით პროცესებსა და ძიებისკენ სწრაფვას. ორგანიზაციული განვითარებისათვის ამერიკელი მეცნიერები პასმორი და ფეგანსი მიიჩნევენ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. ადამიანების დაფასება: ინდივიდები აღიქმებიან პასუხისმგებელ, კეთილსინდისიერ და



მზრუნველებად, მათ ღირსების გრძნობით და პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ ორგანიზაციაში; 2. ნდობა და მხარდაჭერა: ეფექტურ და ჯანსაღ ორგანიზაციას ახასიათებს ნდობა, ავთენტიკურობა, გახსნილობა და მეგობრული გარემო; 3. ძალაუფლების გათანაბრება: ეფექტური ორგანიზაცია კონცენტრირებას არ ახდენს იერარქიულ ხელისუფლებასა და კონტროლზე; 4. დაპირისპირება: პრობლემები არ უნდა დაიმალოს, მათ ღიად უნდა დავუპირისპირდეთ; 5. მონაწილეობა: რაც მეტი ადამიანი, ვისზეც ცვლილება ახდენს გავლენას იქნება ჩართული ცვლილების გარშემო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მით მეტად იქნებიან ისინი გადაწყვეტილების მიღების მსურველი (ჰაიკაუს, 2002: 277-290).

რა არის ორგანიზაციული ცვლილების ჩარევის საშუალებები? ამერიკელი მეცნიერი ჰიგპაუსი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციული ცვლილების ჩარევისათვის ეფექტურია მგრძნობელობის ტრენინგი. ტრენინგს ატარებს პროფესიონალი ქცევის სპეციალისტი, ჯგუფი არის პროცესზე ორიენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდები სწავლობენ დაკვირვებითა და მონაწილეობით და არა სხვისი ნათქვამით (ედვარდსი, 1993: 28). მეორე ფაქტორი, რომელიც ცვლილებების ჩარევას ეხება, გამოკითხვის უკუკავშირია, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის წევრების დამოკიდებულების შეფასებას, წევრების აღქმებს შორის განსხვავებების განსაზღვრას (სჩეინი, 1993: 9).

არცერთი ორგანიზაცია არ მუშაობს უნაკლოდ, მენეჯერები ხშირად გრძნობენ, რომ განყოფილების ქმედითობა უნდა გაუმჯობესდეს, მაგრამ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მათ ეს არ იციან და ხშირად გარე კონსულტანტს მიმართავენ.

ედვარდ სჩეინის აზრით, პროცესის კონსულტაცია მგრძნობელობის ტრენინგს ჰგავს, რადგან ეს ორივე მიდგომა ვარაუდობს, რომ ორგანიზაციის ეფექტურობა შეიძლება გაუმჯობესდეს ადამიანთა შორის არსებული პრობლემების გადაჭრითა და მათ ჩართულობაზე კონცენტრირებით. პროცესის კონსულტაცია უფრო მეტადაა ამოცანაზე ორიენტირებული, ვიდრე მგრძნობელობის ტრენინგი. პროცესის კონსულტანტები „კლიენტს იმის განვირეტის შესაძლებლობას აძლევენ, თუ რა ხდება მათ გარშემო, მას და სხვა ადამიანებს შორის“ (ნელსენი, 2012: 329-343).

ორგანიზაციული განვითარების და ცვლილებებში ჩარევის გზად, კიდევ ერთი ამერიკელი მეცნიერი ნელსენი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციული განვითარების ძირითადი პრობლემა ჯგუფებს შორის არსებული დისფუნქციური კონფლიქტია, ეს არის ის, რისკენაც უნდა იქნეს მიმართული ცვლილებისთვის ძალისხმევა (გითლოუ, 2001: 65).

ორგანიზაციული განვითარების მიდგომების უმეტესობა პრობლემებზეა კონცენტრირებული. ისინი განსაზღვრავენ პრობლემას, ან პრობლემათა რიგს და შემდეგ ეძებენ გადაწყვეტას. შეფასებითი გამოკითხვა ყურადღებას ამახვილებს დადებით მოვლენებზე ნაცვლად იმისა, რომ პრობლემების მოგვარებას ეცადოს, ეს მიდგომა ორგანიზაციის გამორჩეულ ღირსებებსა და ძლიერ მხარეებს განსაზღვრავს, რის შედეგადაც ორგანიზაციის ქმედითობა უმჯობესდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასებითი გამოკითხვა ინტერესდება ორგანიზაციის წარმატებით. შეფასებითი გამოკითხვის დამცველები ამტკიცებენ, რომ პრობლემის გადაჭრის მიდგომები ყოველთვის თხოვს ადამიანებს, დაფიქრდნენ გუშინდელ მარცხზე, დააკვირდნენ ნაკლოვანებებს, ხოლო ამ უკანასკნელს კი შედეგად მოჰყვება ახალი ხედვის წარმოშობა.

როგორია დღეისათვის თანამედროვე მეცნიერთა მიდგომა ორგანიზაციული ცვლილებისადმი? მეცნიერები თანხმდებიან სხვადასხვა მიმართულებებზე. მაშასადამე, პირველი ტექნოლოგიის გავლენაა სამუშაო ადგილებზე. ტექნოლოგიაში მიღწეული ბოლოდროინდელი წარმატებები ცვლის სამუშაო ადგილებს და გავლენას ახდენს მშრომელთა სამუშაო პირობებზე. ტექნოლოგიასა და სამუშაო პროცესთან ორი მნიშვნელოვანი საკითხი არის დაკავშირებული-მუდმივი გაუმჯო-

ბესების პროცესი და პროცესის გარდაქმნა-ორგანიზაციის გამორჩეული კომპეტენციის განსაზღვრა, ძირითადი პროცესის შეფასება და პროცესის საშუალებით ორგანიზაციის პორიზონტალურად რეორგანიზაცია (სლოვობინ, 2003: 18). მეორე, სამსახურებრივი სტრუქტური, როცა ადამიანები უპირისპირდებიან შესაძლებლობებს, მოთხოვნებს – ბევრი სამუშაო, ცოტა სამუშაო დრო (ედვარდს, 1993: 180-191). მესამე მიმართულებაა ცოდნაზე ორიენტირებული ორგანიზაციის შექმნა, რომელიც მუდმივად ადაპტაციისა და ცვლილების პროცესშია, ორგანიზაციები სწავლობენ, ისევე როგორც ინდივიდები – ეს მათი არსებობის შენარჩუნებისათვის ძირითადი მოთხოვნაა. რა უნდა გააკეთონ მენეჯერებმა, რომ თავიანთი ორგანიზაცია გარდაქმნან ცოდნაზე ორიენტირებულ ორგანიზაციად: 1. ჩამოაყალიბონ სტრატეგია, მენეჯმენტმა უნდა გამოავლინოს ცვლილების, სიახლეების დანერგვის და მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა და 2. გარდაქმნან ორგანიზაციის სტრუქტურა; ფორმალურმა სტრუქტურამ (პიროვნებებზე მორგებულმა) შეიძლება ორგანიზაციის სერიოზული დაბრკოლება გამოიწვიოს. 3. შეცვალონ ორგანიზაციული კულტურა, მენეჯმენტი ორგანიზაციულ კულტურას ქმნის იმით, რომ რასაც ამბობს (სტრატეგია), იმას აკეთებს (ქცევა) (კიმ, 1993: 37).

**დასკვნები და რეკომენდაციები:** კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი დებულებების განზოგადების საფუძველზე ჩამოაყალიბებულია შემდეგი დასკვნები:

\* ორგანიზაციული ცვლილების საჭიროება ესება ორგანიზაციაში დამოკიდებულებებს, აღქმას, გუნდს, ლიდერობას, მოტივაციას, ორგანიზაციულ მოწყობას და სხვა. შეუძლებელია მათ გარეშე მანიპულირება. თუ გარემო სრულიად სტატიკურია, თუ დაქირავებულების უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები დროის შესაფერისია და გაუარესება არ ემუქრება და თუ ხვალინდელი დღე დღევანდელის მსგავსი იქნება, მაშინ ორგანიზაციულ ცვლილებას მენეჯერებისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რეალურად სამყარო ცვალებადია და ორგანიზაციისა და მისი წევრებისაგან კონკურენტულობის შესანარჩუნებლად დინამიკურ ცვლილებებს და შესაბამისად ამ ცვლილებების მუდმივად მართვას მოითხოვს;

\* თანამედროვე წარმატებულმა ორგანიზაციებმა სიახლეებს ბიძგი უნდა მისცენ და შეითვისონ ცვლილებათა უნარი, წინააღმდეგ შემთხვევში გაქრობის კანდიდატები გახდებიან. წარმატება ხშირად ისეთ ორგანიზაციებს ხვდებათ, რომლებიც მოქნილობას ინარჩუნებენ, ხარისხს მუდმივად აუმჯობესებენ და პროდუქტებისა და მომსახურეობის მუდმივად განახლებით ბაზარზე კონკურენტულები ხდებიან;

\* ორგანიზაციაში მომსახურე პერსონალი შეიძლება გახდეს როგორც მისი განახლებისა და ცვლილების სტიმული, ისე დაბრკოლებაც;

\* მენეჯერებისთვის კვლავ პრობლემად რჩება თანამშრომლების შემოქმედებითი უნარის წახალისება და ცვლილებებისადმი შეგუება;

\* პრობლემას წარმოადგენს ორგანიზაციაში შეფასებითი გამოკითხვები, რაც სტიმულს მისცემს მენეჯერებს დაფიქრდნენ სტრატეგიის მუდმივ ცვლილებაზე და თამანშრომლობით ურთიერთობებზე, რომელიც ორგანიზაციის ეფექტური მუშაობის გარანტია.


რეკომენდაციები: 1. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მენეჯერებს შევთავაზოთ ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებული ორგანიზაციის სრულყოფისა და ეფექტური ფუნქციონირების მოდელი (სქემა 1):



## ორგანიზაციული ცვლილებების მოდელი

სქემა N1

## ორგანიზაციული ცვლილებების ხელშემწყობი ფაქტორები



2. მენეჯერებმა ეფექტური ორგანიზაციული ცვლილების განსახორციელებლად მიზანშეწონილია ჩატარებული შეფასებითი გამოკითხვა, რომელიც შეიძლება დავყოთ ოთხ ეტაპად:

პირველი-ადმონიჩნა, რომლის მიზანია გამოვლინდეს, თუ რომელი ადამიანები ითვლებიან ორგანიზაციის ძლიერების საფუძვლად. დაქირავებულებს უნდა ეთხოვოს ჩამოთვალონ, რამდენჯერ მუშაობდა ორგანიზაცია ძალიან კარგად, ან როდის იყვნენ ისინი ყველაზე კმაყოფილები თავიანთი სამსახურით;

მე-2 ეტაპს ოცნება წარმოადგენს, როგორ წარმოუდგენიათ უახლოეს 5 წელში თავიანთი ორგანიზაცია და რა იქნება მასში განსხვავებული;

მე-3 ეტაპი დაგეგმვაა, ოცნების სიტყვიერი გამოხატვით მონაწილეები აყალიბებენ ხედვას;

მეოთხე ეტაპი ორგანიზაციის მომავალს განსაზღვრავს, თუ როგორ აპირებენ ორგანიზაციები თავიანთი მიზნების განხორციელებას.

კვლევის შედეგების გამოყენების სფერო: კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და შემოთავაზებული რეკომენდაციები საშუალებას მისცემს საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, სტუდენტებსა და მენეჯმენტით დაინტერესებულ სხვა პირებს გაეცნონ ორგანიზაციული ცვლილებების თანამედროვე მიდგომებს, რომელიც დაეხმარება მათ შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში, ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს მომავალში მათ მიერ ინიციატიური მენეჯმენტის სტრატეგიის შემუშავებისას, ეფექტური და ცვლილებებზე ორიენტირებული მართვის განსახორციელებლად.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- გითლოუ, 2001 – Gitlow H.S. Quality Management systems: a Practical Guidde for improvement, 2001.
- ედვარდს, 1993 – Edwards J. E. & Thomas M. D., The organizational Survey process:general Steps and Practical Conciderations, 1993.
- კიმ, 1993 – Kim D.H. the link between individual and organizational Learning, Sloan Management Review, 1993.

- ლევინი, 1989 – Levin K. Group Decision and Social Change, New York, 1989.
- ნეილსენ, 2012 – Neilsen E. H. Understanding and Managing Intergroup Conflict, 2012.
- სლობოგინ, 2003: 18 – Slobogin K. Many U.S. Employees Feel Overworked, Stressed Study says, 2003.
- სჩეინ, 1993 – Schein E. H., Process Consultation: its Role in Organizational Development, 1999.
- პასმორე, 1992 – Pasmore W. A. & Fagans M. R. Participation, individual development and organizational change, Journal of Management, 1992.
- ჰაუ, ... 2002 – Huy Q. N. Emotional Balancing Change, The Contribution of middle managers, Art, 2002.
- მაუს, 1993 – Mauws M., Dyck B., and Kleysen R. The politics of Organizational learning, Academy of Management Review, 2005.
- ჰაიგუს, 2002 – Highhouse S. A history of the T-Group and its early Application in management development, Group Dynamics: theory, research, & practice, 2002.



**Nino Maziashvili**

*Doctor of Economics,  
Georgian National University*

## **Imagology Tools**

### **Abstract**

Imagology as the branch of public relations is searching for the most effective methods in modern society for the impact of the audience. In this sense, one important trend is the positioning technology. Positioning is placing the object in to Supportive Environment.

A stranger, an unknown object is potentially dangerous for customers. Therefore, we have a task: it must be converted into known and required subject. The main instrument for Imagology is Mythology. Myths aren't only special sign of the past. Each modern person lives within the framework of one or other myths. Frequently they can not see this. But myths always point the rules of our world arrangement.

One of the important tools is verbalizing which conveniently verbalizes the reality. It is very important, when the leader can clearly and vividly describe the situation. Verbal slogans become a major component of any election campaign. Therefore, the image maker must apply verbalizing, when it is necessary to hide the real situation. Intersect two aspects in using of these words: A) derogation from real situation, B) accession audience opinion. Another, also interesting mechanism is making distance from negative characters. Presidents often dismissed their premieres from their position to shift negative emotions to them, shift blame for the gravity of events.

ნინო მაზიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## იმიჯოლოგიის ინსტრუმენტები

### რეზიუმე

იმიჯოლოგია, როგორც ფაბლიქ რილეიშენზი, აუდიტორიაზე ზემოქმედებისათვის თანამედროვე საზოგადოებაში ექცევს ყველაზე ეფექტური მეთოდებს. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა პოზიციონირების ტექნოლოგია. პოზიციონირება ეს არის... ობიექტის მოთავსება მათვის კეთილგანწყობილ გარემოში. უცხო, უცნობი ობიექტი პოტენციურად საშიშია მომხმარებლისთვის. ამიტომ, ამოცანა ასეთია: ის უნდა გარდაიქმნას ნაცნობ და საჭირო სუბიექტად.

იმიჯოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი მითოლოგია. მითები არ არის მხოლოდ წარსულის განსაკუთრებული ნიშანი. თითოეული თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს ამა თუ იმ მითების ჩარჩოებში. ხშირად ისინი ამას ვერც ამჩნევენ, თუმცა მითები ყოველთვის მიუთითებენ ჩვენი სამყაროს მოწყობის წესებზე.

იმიჯოლოგიის ინსტრუმენტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ვერბალიზაცია, რომელიც მოხერხებულად ვერბალიზებს სინამდვილეს. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ლიდერს შეუძლია მკაფიოდ და ხატოვნად აღწეროს სიტუაცია. ვერბალური ლოზუნგები ხდება ნებისმიერი საარჩევნო კამპანიის ძირითადი კომპონენტი. ამიტომ იმიჯმეიკერმა უნდა მიმართოს ვერბალიზაცია საჭირო მხრისკენ, როცა აუცილებელია რეალური მდგომარეობის დამალვა. იკვეთება ამ სიტყვების გამოყენების ორი მომენტი: ა) რეალური სიტუაციიდან გადახვევა, ბ) აუდიტორიის აზრთან მიერთება. ერთ-ერთი, ასევე საინტერესო მექანიზმია ნეგატიური სიმბოლოებისგან დისტანცირება. ხშირდ პრეზიდენტები ხსნიან თავიანთ პრემიერებს, რათა მათზე გადაიტანონ ნეგატიური ემოციების მთელი ტენირობი. მათ გადააბრალონ მოვლენების სიმძიმე.

საინტერესოა, როგორ გადადის ზემოთნათქვამი ბიზნესში იმიჯის შექმნის ტრადიციული სფერო გახდა ქველმოქმედება. მოსახლეობა ყოველთვის დადებითად რეაგირებდა პიროვნებისა და ორგანიზაციების მიერ განეულ დახმარებაზე. ნდობა, რეპუტაცია, სოლიდურობა არის ის მიზნები, რომლის მიღწევასაც ცდილობს ყველა კომპანია. ორგანიზაციის იმიჯი იქმნება იმ ფასეულობის ჩარჩოთ, რომლითაც ერთი ადამიანი აფასებს მეორეს. ამიტომ იმიჯმეიკერის ამოცანაა ორგანიზაციის „გაადამიანურება“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით.

იმიჯმეიკერები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები ქმნიან უფრო ნათელ რეალობას, ვიდრე ეს არის სინამდვილეში. უცნაურია, მაგრამ სწორედ ეს აინტერესებს საზოგადოებას. სპეციალისტები ყველაზე მეტად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ აისახება ესა თუ ის მოვლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ვირტუალური რეალობის ნარმოშობას ეთმობა უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე რეალურ ცხოვრებას. ეს არის ბუნებრივი შედეგი ინფორმაციულ საუკუნეში, სადაც გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კომუნიკაციის როლი.

**ნინო მაზიაშვილი**

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს  
ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირე-  
ბული პროფესორი

## იმიჯოლოგის ინსტრუმენტი

იმიჯოლოგია, როგორც ფაბლიქ რილეიშენზი, ეძებს ყველაზე ეფექტურ მეთოდებს თავის აუდიტორიაზე ზემოქმედებისათვის. ერთ-ერთი მათგანია ლიდერების აზრი, როდესაც აუდიტორიასთან მუშაობა 10-20%-მდე რეალურად ფარავს ხალხის აუცილებელ მასას. ასევე მნიშვნელოვანია პოზიციონირების ტექნოლოგია. „პოზიციონირება ეს არის... ობიექტის მოთავსება მათვის კეთილგანწყობილ გარემოში. უცხო, უცნობი ობიექტი პოტენციურად საშიშია მომხმარებლისთვის. ამიტომ, ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: მისი გარდაქმნა ნაცნობ და საჭირო სუბიექტად. როცა არჩევნებში მონაწილეობს ბევრი პარტია, ამომრჩეველს უჭირს იპოვოს მათ შორის განსხვავება. ამომრჩეველი არ არის ვალდებული მთელი ინფორმაცია აითვისოს როგორც პოლიტოლოგმა. ამიტომ პარტიები თავის იდენტიფიცირებას ახდენენ თავიანთი პარტიის შემადგენლობაში ცნობილი მსახიობების, პოლიტიკოსების, სპორტსმენების შეყვანით, ქმნიან სიმბოლიკას ფაუნის, ან ფლორის ამა თუ იმ წარმომადგენლების ჩართვით. ეს შესაძლებლობას აძლევს ამომრჩეველს, გამოყოს არჩეული პარტია სხვებისგან.

გორბაჩივი პოზიციონერობდა, როგორც გმირი დემოკრატი; ელცინი, როგორც რეფორმატორი; ბუში, როგორც რეიგანის საქმის გამგრძელებელი; კლინტონი – კენედის, სააკაშვილი, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და კორუფციასთან მებრძოლი დემოკრატი. პოლიტიკოსმა უნდა შეასრულოს საჭირო კომუნიკაცია ბუნებრივი მანერებით, რათა არასდროს შეიქმნას „ორმაგი ფსკერის“ შეგრძნება. პოლიტიკოსი მარგარეტ ტეტჩერი ფლობდა მსახიობის ილეთებს. ზამიატინი იხსენებს: „ ტეტჩერი ფლობს არტისტიზმს, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკაში. როცა გორბაჩივს უნდა შეხვედროდა, ის წონიდა შეხვედრის ყველა პოლიტიკური ასპექტის მნიშვნელობას, ამუშავებდა თითეოულ ჟესტს, გამოხედვას. ბრიტანელები აღნიშნავენ, შეხვედრისას ინგლისელი პრემიერი მთლად გარდაიქმნა, მისი თვალები ბრწყინვადა. ეს მოვლენა საბჭოთა კავშიორის პრეზიდენტის ზეგავლენა იყო“.

ადამიანის იმიჯზე უდიდეს გავლენას ახდენს ინტერიერი. მაგ. გორვბაჩივმა პირველად მიმართა ქვეყნის მოქალაქეებს კრემლის ერთ-ერთი ოთახიდან, რომელიც ოდესაც მეფის საძინებელი იყო. ის პომპეზური, მოოქროვილი და შთამბეჭდავი ჩანდა ტელევიზიის ეკრანებზე [3 გვ.110]. აქ არის ვიზუალური კომუნიკაცია, სადაც ინტერესის საშუალებით იზრდება პრეზიდენტის მიმართვის სტატუსი.

## დიალოგიური და სამართლი

ზოგიერთი პოლიტიკოსი აშინებს ხალხის მასებს მითებით, მოგონილი ფანტაზიებით, რათა გამოიწვიოს დეპრესია, ემოციური დისკომფორტი, მოახდინონ ადამიანის ლოგიკური აზროვნების ნეიტრალიზაცია და რაციონალურად შეაფასონ ინფორმაცია [4 გვ41]. ნათლად ჩანს ორი ინსტრუმენტის სიახლოებები – პოზიციონირების მანიპულირების. ორივე შემთხვევაში ობიექტის ერთი მახასიათებელი დომინირებული ხდება. მას აძლიერებენ, რომ აუდიტორიაზე ზემოქმედება უფრო ეფექტიანი იყოს.

იმიჯოლოგის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი მითოლოგია. მითები არ არის წარსულის განსაკუთრებული ნიშანი. თითოეული ადამიანი ცხოვრობს ამა თუ იმ მითების ჩარჩოებში. ხშირად ამას ვერც ამჩნევენ. მითები მიუთითებენ ჩვენი სამყაროს მოწყობის წესებს. ამგვარი წესები ყოველთვის არის. მითები მხოლოდ ძველი სამყაროს სამართლიანი ნიშანია, როცა იმიჯნება მითი და სიახლე. ამერიკელები ცხოვრობენ მითოლოგიის ჩარჩოებში, კონცენტრირებული თავისუფლების გაგებაზე. არსებობს შემდეგი სახეობის მითები, რომელთა გარემოცვაშიც იმყოფება საზოგადოება: 1. პარტიული მითები (მაგ. მწვანეთა პარტიისათვის ასე უღერს „ბალახი მწვანდება, მზე ბრნყინავს“. 2. სახელმწიფო მითები (ყოფილი საბჭოთა კავშირის სლოვანები: „უსაქმურთა ფეხქვეშ მიწა იწვის“, „მშვიდობა, შრომა, ბედნიერება“, „ლენინი მუდამ ცოცხალია“ და ა. შ.).

იმიჯის მნიშვნელოვანი ნაწილია გარეგნული იერსახე. მარგარეტ ტეტჩერის მანერამ, ნახევარნლიანი სპეციალური მომზადება გაიარა. მისი გარეგნობა „იმიჯის“ მთავარი ნაწილია. მსოფლიოს უმაღლესი კლასის მემოდელები მას თვლიან ყველაზე ელეგანტურ ქალბატონად. მისი ტანსაცმელი ისე იყო შექმნილი, რომ არ გამოეწვია გაღიზიანება ბრიტანული საზოგადოების. მკაცრი ინგლისური კოსტიუმი (ლურჯი ან ცისფერი) ტრადიციული ინგლისური ვარცხნილობა, აუცილებლად ერთი ბრჭყვიალა ბროში და თავსაფარი ყელზე.

ტეტჩერის, როგორც ორატორის გამოსვლა, მოკლებული იყო ქალურ ლოგიკას. მის გამოსვლაში არ არის გაუგებრობა, ზედმეტი სირბილე, ხათრიანობა, მორჩილება. იგი „მკაცრი“ პოლიტიკოსის სახეს ქმნის დისკუსიებში მისი გამოსვლის მანერის გამო. ხოლო გორბაჩივის გამოსვლის მანერა შეფასებული იყო, როგორც „ქალური“, მისთვის დამახასიათებელი იყო მოსაპეზრებელი მრავალ-სიტყვაობა, გაურკვევლობა და გაგრძელებული ლაპარაკი. მაგალითად, რასპუტინმა და სტალინმა შექმნეს აღქმის განსაკუთრებული კონტექსტები. კომუნიკაციურ ზემოქმედებას ხელს უწყობს მთელი რიგი პარამეტრები, როგორიცაა: ა) ჰიპნოზური შეხედვა, ბ) ტანსაცმლის უჩვეულო სახე, გ) უჩვეულო ენის ტიპი, დ) არანორმირებული მოქცევა, ე) სხვებისთვის ავტორიტეტის გაზრდა.

იმიჯოლოგის ინსტრუმენტის შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ვერბალიზაცია, რომელიც მოხერხებულად ვერბალიზებს სინამდვილეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ლიდერს შეუძლია მკაფიოდ და ხატოვნად აღწეროს სიტუაცია. ვერბალური ლოზუნგები ხდება ნებისმიერი საარჩევნო კამპანიის ძირითადი კომპონენტი. ეს ლოზუნგები უნდა აკმაყოფილებდეს ორი ტიპის მოთხოვნას: 1) ისინი უნდა ეყრდნობოდეს პარტიის სიმბოლოს და 2) უნდა ასახოს ძირითადი პრობლემები, რომლებიც იმ მომენტში არსებითია მოსახლეობისათვის. ასე მუშაობდნენ ცნობილი იმიჯმეიკერები, როგორიცაა უაკ სეგელი (ევროპული სკოლის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელი), ამერიკელი რიჩარდ ვერსლინი, დევიდ გერგენი და დიკ მორისი პრეზიდენტების, საარჩევნო კომპანიის დაგეგმვაზე და მათ წარმატებებზე. მათ დაწერეს უახლოესი 100 დღის გეგმა, სადაც ჩადებული იყო იდეა „რეიგანომიკა“. ისინი მუშაობდნენ რეიგანის იმიჯის ამაღლებაზე. თეორი სახლი წარმოშობს ძლიერი ხარისხით სიმბოლურ რეალობას, სადაც ჭეშმარიტი მოვლენები არეულია პირობით მოვლენებთან. გარეთ იშვიათად ჩნდება ჭეშმარიტი სიტუაციები. დ. გერგენმა მას უწოდა „პოლიტიკაში გაშიშვლებული ელემენტი“, როცა უეცრად ჩნდება ურთიერთნინააღმდეგობა სიმბოლურსა და ჭეშმარიტ რეალობას შორის.



იმიჯმეიკერმა უნდა მიმართოს ვერბალიზაცია საჭირო მხრისკენ, როცა აუცილებელია რეალური მდგომარეობის დამალვა. ის აგრეთვე ახდენს ხალხის ვერბალიზაციას. ამრიგად, იკვეთება ამ სიტყვების გამოყენების ორი მომენტი: ა) რეალური სიტუაციიდან გადასვევა ბ) აუდიტორის აზრთან მიერთება. ასეთივე მნიშვნელოვანია პირადი ურთიერთობები. ხალხს მოსწონს ლიდერი ჰალსტუხის გარეშე. ამის გამო ხდება მისი სახის გაღრმავება. აქედან აღიძვრება ლიდერის მეუღლის გამოჩენის აუცილებლობა, რომელსაც ერის დედის პრეტენზია აქვს. როდესაც ჰილარი კლინტონი გააკრიტიკეს თეთრი სახლის საქმეში ჩარჩოსას, ეს იყო ყველასთვის საყვედური. ლეიბორისტების ლიდერის ტ. ბლერის მეუღლეს იმიჯმეიკერები ამზადებდნენ სცენაზე გამოსასვლელად სუფთა ქალური თვისებებით, დვეზელების ცხობისას და ჯემპრების ქსოვის ფონზე. ადამიანები ნებსით თუ უნებლიერ ცდილობენ გახსნან თავისი დამახასიათებელი თვისება ან დაფარონ ის, მოახდინონ იმის აქცენტირება, რაც საჭირო არ არის.

ერთ-ერთი ასევე საინტერესო მექანიზმია ნეგატიური სიმბოლოებისგან დისტანცირება. ხშირდ პრეზიდენტები ხსნიან თავიანთ პრემიერებს, რათა მათზე გადაიტანონ ნეგატიური ემოციების მთელი ტემირთი. მათ გადააბრალონ მოვლენების სიმძიმე. ძლიერი ლიდერი ზოგიერთი პრობლემისგან დისტანციას იჭერს. მაგ. მ. ტეტჩერს საბჭოთა უურნალისტებთან ინტერვიუს მიცემის დროს შეეძლო გარკვეული თემების შეწყვეტა, თითქოს ამას ლოგიკა აიძულებდა. იგი საუბრის თემატიკას ახვევდა თავს უურნალისტებს და არ მიდიოდა მათი სურვილებით. დსტ-ის ქვეყნების პრეზიდენტები მოხერხებულად დისტანცირებენ მათ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებიდან, ყოველწლიურად აცხადებენ, რომ ბოლო იქნება ხელფასების გაუცემლობა და პასუხიმგებლობას აკისრებენ მათ ხელქვეითებს.

იმიჯი ფორმირდება ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მასობრივი კომუნიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, მეორე მხრივ, იმ მახასიათებლების განსაზღვრით, რომელსაც აუდიტორია თვლის მნიშვნელოვნად. პიროვნება ვიზუალურ ინფორმაციებს დებულობს ტელეგადაცემების საშუალებით, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმიჯის ფორმირებაში.

ბიზნესში იმიჯის შექმნის ტრადიციული სფერო გახდა ქველმოქმედება. მოსახლეობა ყოველთვის დადებითად რეაგირებდა პიროვნებისა და ორგანიზაციების მიერ განეულ დახმარებაზე. ნდობა, რეპუტაცია, სოლიდურობა არის ის მიზნები, რომლის მიღწევასაც ცდილობს ყველა კომპანია. ორგანიზაციის იმიჯი იქმნება იმ ფასეულობის ჩარჩოთი, რომლითაც ერთი ადამიანი აფასებს მეორეს. ამიტომ იმიჯმეიკერის ამოცანაა ორგანიზაციის „გაადამიანურება“ საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით. ასევე, უნდა აღინიშნოს ორგანიზაციისათვის ისეთი ასპექტის მნიშვნელობა, როგორიცაა, კრიზისული კომუნიკაცია. ის დადებითი იმიჯი, რომელიც ხანგრძლივი მუშაობით იქმნება საზოგადო მოღვაწეების მიერ, შეიძლება დაინგრეს ერთ დღეში. ამ მიზნით ევროპარლამენტსაც კი ჰყავს სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელთა ამოცანაა საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება საჭირო ადგილას, რისთვისაც მათ უწევთ სიტუაციის სერიოზული მონიტორინგის წარმართვა, მრავალი საინფორმაციო ფაილების შექმნა. ორგანიზაციამ უნდა შექმნას თავის ირგვლივ დადებითი ფონი. ამის კლასიკური მაგალითია, ეგვიპტის მეფის გადაწყვეტილება, რომ დიდი ზეიმით გაეხსნა სუეცის არხი, ამისთვის მან კომპოზიტორ ჯ. ვერდის მისცა დაკვეთა ოპერა „აიდას“ შექმნაზე, რადგან პომპეურად გახსნილიყო არხი. ეს ტრიუმფი შედგა. ტრიუმფი არხისა და ტრიუმფი ოპერისა. ეს იყო ეგვიპტის მეფის იმიჯის გამარჯვება.

იმიჯმეიკერები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები ქმნიან უფრო ნათელ რეალობას, ვიდრე ეს არის სინამდვილეში. ბუნებრივია, სწორედ ეს აინტერესებს საზოგადოებას. სპეციალისტები ყველაზე მეტად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ აისახება ესა თუ ის მოვლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ვირტუალური რეალობის წარმოშობას ეთმობა უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე რეალურ

## დიალოგიური და სემირთული

ცხოვრებას. ასეთი შედეგებია ინფორმაციულ საუკუნეში, სადაც გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კომუნიკაციის როლი. გაფართოებული საარჩევნო კამპანია ქალაქებსა და რეგიონებში ის დასაყრდენია, რომელსაც პრეზიდენტის ინსტიტუტი მიჰყავს გამარჯვებამდე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ხახუტაშვილი, ე. კაპანაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბ., 2007.
2. რ. სურგულაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და მასმედია, თბ., 2003.
3. Замятин Л М Горви и Мегги, Записки послы о двух известных политиках-Махаила Горбачева и Маргарет Тэтчер-М. 1995.
4. Гарифуллин Р. Энциклопедия влечефа. Манипуляционная психология и психотерапия-Казань, 1995.



**Manana Aladashvili**

*Asassociate Professor*

*Georgian National University*

**Davit Lolua**

*Assistant Professor of*

*Georgian Technical University*

## **The Main Strategies of Tourism and Hospitality Development in Hereti Region**

### **Abstract**

Beautiful and unique nature of Lagodekhi, with its ancient historical monuments, offers great opportunities for tourism development. Thus, the development and extension of tourism is very important for the economic development of the Lagodekhi Municipality.

For reasons of poverty survey in the villages of Lagodekhi, it was revealed that the majority of the population is considered low income and unemployed, as the causes of poverty. To improve this situation, it is important that rural people have their own farm or on their basis other additional employment opportunities.

In this direction the development of rural and farm tourism is essential, which, in turn, leads to the development of small and family hotel businesses.

2014-2021 strategic goals, objectives and expected results for Lagodekhi Municipality are: the development of tourism, the exploration of new directions, staff training, infrastructure development, roads, staff qualifications, conducting courses and trainings on tourism business in Lagodekhi Municipality's educational institutions.

**Keywords:** *tourism development, business in Lagodekhi Municipality educational institutions.*

მანანა ალადაშვილი

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

დავით ლოლუა  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## ჰერეთის მხარეში ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის განვითარების ძირითადი სტრატეგიები

### რეზიუმე

ლაგოდეხის ულამაზესი და თვითმყოფადი ბუნება, უძველესი ისტორიული ძეგლები, ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. ამიტომ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ტურიზმის გაფართოება-განვითარება.

ლაგოდეხის სოფლებში სიღარიბის გამომწვევი მიზეზების კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის მიზეზად თვლის დაბალ შემოსავალსა და უმუშევრობას. ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მოსახლეობას საკუთარ საოჯახო მეურნეობასთან ერთად, ან მის საფუძველზე ჰქონდეს დასაქმების დამატებითი შესაძლებლობა. ასეთ მიმართულებას სოფლისა და ფერმერული ტურიზმის განვითარება წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ იწვევს მცირე და საოჯახო ტიპის სასტუმროების განვითარების ბიზნესს. 2014-2021 წლების სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და მოსალოდნელი შედეგებიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის აღსანიშნავია: ტურიზმის განვითარება, ახალი მიმართულებების ათვისება, ინფრასტრუქტურის განვითარება, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება, გზების მოწყობა, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტურისტული ბიზნესის შესახებ კურსებისა და ტრენინგების ჩატარება.

**საკვანძო სიტყვები:** ჰერეთის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, განვითრების სტრატეგია

**მანანა ალადაშვილი**

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსი-  
ტეტის ასოცირებული პროფესორი

**დავით ლოლუა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსი-  
ტეტის ასოცირებული პროფესორი

## ჰერეთის მხარეში ტურიზმისა და სტუმარების განვითარების ძირითადი სტრატეგიები

ისტორიული ჰერეთი უძველესი დროიდანვე ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ახ. წ. აღ-ით I-II საუკუნეებიდან ჰერეთი მტკიცედ იყო გაერთიანებული ქართლის (იბერიის) სახელმწი-  
ფოში. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, ჰერეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი  
საერისთაო იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული ჰერეთში ქალაქების, ეკლესიების, საეპისკო-  
პოსო კათედრების (ბოდბე, ხორნაბუჯი, ბახალათი, ანუ ბახთალო, გიში და სხვა.) აგება-დაარსება,  
და საერთოდ მრავალი დიდი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ღონისძიებების  
გატარება.

ჰერეთის სახელმწიფოს ქართულ და უცხოურ წყაროებში IX – X საუკუნეებში ეწოდება „შაქი“,  
„კამბეჩანი“. ის აგრეთვე მოიხსენიება სახელწოდებით „რანი“, „ალბანეთი“.

XI საუკუნის ოციან წლებში, კახეთის მეფის კვირიკე III დიდის (1009–1037) დროს დასრულდა  
ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი და წარმოიქმნა ე. წ. „რანთა და კახთა“ სამეფო.  
თუმცა იგი ისტორიულ წყაროებში კვლავაც იხსენიება XV საუკუნის დასასრულამდე.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით ალმაშენებლის (1089–1125) ხანაში, ჰერეთის ქვეყანა  
საბოლოოდ ჩამოყალიბდა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებში.  
ამიერიდან ვიდრე XV საუკუნემდე ჰერეთი ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. იგი  
აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვ-  
რებაში.

1604 წელს შაჰ-აბას I-მა, ელისუს სასულთნო ჩამოაყალიბა. ხოლო XVII საუკუნეში ამ მხარის  
მთისძირა სოფლებში მასობრივად ჩამოსახლდნენ დაღესტნის მთიელები. დამორჩილებულ და და-  
ბეგრილ ქართველ გლეხს ეწოდა „ინგილო“. ტერმინი ინგილოს სხვადასხვა განმარტება არსებობს:  
ზოგი მეცნიერის აზრით, იგი ახლად მოქცეულს ნიშნავს, ზოგი მოსაზრების თანახმად, იგი მომდი-  
ნარეობს კახის რაიონის სოფელ ჰენგიანის სახელწოდებიდან. „ენგილა“ სპარსულლად ამოძირკუ-  
ლის, ამოგდებულის შესატყვისია.

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი – საინგილო აზერბაიჯანს  
გადასცა.

დღეს ჰერეთის ტერიტორია მოიცავს ლაგოდეხის, ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონებს,

# დიალოგიზის და სამართლი

ხოლო საინგილოს ტერიტორია მოიცავს ბელაქნის, ზაქათლისა და კახის რაიონებს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს უძველესი ჰერეთის ტერიტორიაზე საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 200 – 3500 მეტრზე. ადმინისტრაციულ ერთეულს აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები.

ძველი დროიდანვე შიდა კახეთისა და ჰერეთის მხარის მიწები, რომლის ნაწილი ქიზიყს ეკუთვნოდა, გამოყენებული იყო სათესი კულტურების, მრავალწლოვანი ნარგავებისა და საძოვრების-თვის. ისტორიული ძეგლები და მატერიალური ცნობები იუნის მდინარეების სიუხვით. ვახუშტი ბატონიშვილი იუნის: „ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოველთა მარცვალთა, ვენახთა, ხილთა, პირუტყვთა, ნადირთა, ფრინველთა, თევზთა, არამედ უფროს ჰერეთი“.

ამჟამად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაა. აქ მაღალხარისხოვანი ყურძნისა და ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის რესურსია, რომელთა სამრეწველო გადამუშავება მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ მაჩვენებელს და, რაც მთვარია, მოსახლეობას მოწეული მოსავლის რეალიზების პრობლემას მოუხსნის.

ლაგოდეხის ულამაზესი და თვითმყოფადი ბუნება, უძველესი ისტორიული ძეგლები, ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. ნაკრძალის ფონდი თავისი ფლორით და ფაუნით, ერთ-ერთი უნიკალურია მსოფლიოში. ვიზიტორთა ცენტრის ადმინისტრაციისა და სასტუმრო ფუნქციონირება ნებისმიერ დამსვენებელს აძლევს შესაძლებლობას, დაინტერესდეს და გაეცნოს ნაკრძალის ღირშესანიშნაობებს. ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საოჯახო სასტუმროების ქსელის შექმნას. ასევე მნიშვნელოვანია ლაგოდეხში არსებული ბუნებრივი რესურსები, კურორტები და საკურორტო ზონები, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

**ტურიზმის ძირითადი მიმართულებები – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსებით.**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ტურიზმის გაფართოება-განვითარება.

**არქეოლოგიური – ლაგოდეხის არქეოლოგიური მონაპოვარი არქეოლოგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.**

**სამონადირეო ტურები** – სამონადირეო ტურიზმი მთელ მსოფლიოში მოისაზრება, როგორც ბუნებრივი რესურსების სწორი რეგულირების, განახლებისა და აღნარმოების, ხალხის დასაქმების, კულტურული ინტეგრაციისა და არაპირდაპირი შემოსავლების საუკეთესო საშუალება.

ლაგოდეხის ბუნება: მდინარეები, ტბები, ჭალის ტყეები – მშვენიერი არჩევანია მონადირული აზარტისათვის. ლაგოდეხში არსებობს გადამფრენ ფრინველთა ტრასები, რაც მონადირე „ფრინველებზე დაკვირვების“ ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს. კაბალის ხეობაში შესაძლებელია ტაზე ნადირობა.

ჭიათურის სამონადირეო მეურნეობა 5020 ჰა-ზეა გადაჭიმული, საქართველოში არსებული თითქმის ყველა ნადირ-ფრინველის სახეობა ბინადრობს საქმაო რაოდენობით, ასევე ხელოვნური ტბები და მდინარე კაბლის ხეობა, სამონადირეო ტურიზმის განვითარების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით შეიქმნება თავისუფალი ტერიტორიების, სანა-



დირო სავარგულების მოწყობისა და მართვის სისტემა, სადაც თვით ადგილობრივი მოსახლეობა იქნება მეპატრონე, მომვლელი და მაკონტროლებელი ამ ტერიტორიებისა. ეს შექმნის სახელმწიფოსა და კერძო ინტერესების სრულ თანხვედრას. მხოლოდ თავისუფალ ტერიტორიებზე სანადირო სავარგულების მოწყობის შემთხვევაში ლაგოდების მუნიციპალიტეტის ველური პუნქტის დიდი ნაწილი იქნება მოვლილი, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავისთავად გამოიწვევს ეკონომიკისა და რიგი სოციალური პრობლემების მოგვარებას, ხოლო დაინტერესებულ კერძო სექტორს საშუალება ექნება უფრო მარტივად მოიზიდოს საერთაშორისო ტურისტები ამ მიმართულებით.

**ეკოტურები** – ეკოტურები ლაგოდების დაცულ ტერიტორიებზე ხელს უწყობს არა მხოლოდ ტურიზმის ბიზნესის განვითარებას, არამედ გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებას, მოსახლეობის პასუხისმგებლობის გაზრდას, საკუთარი ქცევის შეფასება/შეცვლას გარემოს სასარგებლოდ.

ეკოტურები ლაგოდების დაცულ ტერიტორიაზე მოიცავს 5 მარშრუტს: როჭოს ჩანჩქერი, ნინოსხევის ჩანჩქერი (დიდი ჩანჩქერი), მაჭის ციხე, შავი კლდეების ტბა, ბუნების შემეცნებითი ბილიკი.

მარშრუტების ხანგრძლივობა მერყეობს 4სთ-დან 3 დღემდე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარშრუტი „შავი კლდეები ტბა“. ეს ბილიკი საქართველოში არსებული ბილიკებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა და გამოირჩევა ალაზნის ველისა და კავკასიონის მთების ულამაზესი ხედებით. ტური იწყება ლაგოდების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან. 10-15 წთ-ში გზად რცხილნარის უნიკალური კორომი შეგხვდებათ (ზ. დ. 400-600 მ.), რაც კავკასიაში საკმაოდ იშვიათობაა.

**კულტურული ტურები** – ლაგოდებში არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები იძლევა კულტურული ტურების განვითარების კარგ შესაძლებლობას.

**აგროტურები** ბოსტნეული კულტურების ძირითადი მწარმოებელია. აქ არსებული მიკროკლიმატი, ნაყოფიერი ნიადაგები და ტრადიციები ამ დარგის მიმართ ადგილობრივი ფერმერების მაღალ ინტერესს განაპირობებს.

მეფეტკრეობას უძველესი დროიდან მისდევენ საქართველოში, განსაკუთრებით კი ლაგოდებში. ქართული ფუტკარი თავისი უნიკალური და სამეურნეო თვისებებით გამორჩეულია ფუტკრის სხვა ჯიშებისაგან და მსოფლიოში აღიარებულია. ლაგოდების თაფლის წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორი იქნება ტურიზმის განვითარებისათვის. ლაგოდების ტყეებსა და მინდვრებში არსებული მცენარეების მრავალფეროვნება და სეზონური ყვავილობა მაღალხარისხოვანი თაფლის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. აღსანიშნავია თამბაქოს თაფლის მაღალი ხარისხი და შეიძლება სამკურნალო თვისება დააინტერესებს ტურისტულ სექტორს.

ლაგოდების მთებში უხვად მოიპოვება ველური თაფლი. ველურ პირობებში თაფლის მოპოვება არის საქმიანობა, რომელიც მრავალ ცივილიზაციაში უძველესი კულტურის ნაწილია.

ლაგოდების სოფლებში სიღარიბის გამომწვევი მიზეზების კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის მიზეზად თვლის დაბალ შემოსავალს და უმუშევრობას. ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მოსახლეობას საკუთარ საოჯახო მეურნეობასთან ერთად ან მის საფუძველზე ჰქონდეს დასაქმების დამატებითი შესაძლებლობა. ასეთ მიმართულებას სოფლის და ფერმერული ტურიზმის განვითარება წარმოადგენს.

სოფლის და ფერმერული ტურიზმის განვითარების შემთხვევაში ადგილობრივი მკვიდრნი სოფ-

## დიალოგიური და სამართლი

ლად აშენებენ, ფლობენ და განკარგავენ ტურისტულ ობიექტებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ განეული დანახარჯებით იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას. სასოფლო ტურიზმის წარმატებული განვითარება არ ითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, მაგრამ საჭიროებს სრულყოფილ დაგეგმვასა და პროგრამირებას. ადგილობრივმა მოსახლეობამ ობიექტთა მომსახურებისთვის უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება/გადამზადება – სასტუმროს მართვის, ტუროპერატორის, გიდის და სხვა მომსახურების სფეროს შემსწავლელი კურსები. ასევე შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიიღონ მცირე სესხები, ტექნიკური კონსულტაციები. მთავარია, რომ თითოეულ სოფელში შენარჩუნებული იქნეს განვითარების ოპტიმალური დონე, რათა არ შეიქმნას ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლოა სოფელში ახალი ტურისტული ობიექტები აშენდეს.

უფრო კონკრეტულად, ტურიზმის ეს სახეობა გულისხმობს ტურისტთა მცირე ჯგუფის მოგზაურობას დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში, დასვენებისა და ადგილობრივი ტრადიციების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მმართველები და მფლობელები სოფლის მაცხოვრებლები არიან.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მცირე ტიპის სასტუმროები (საოჯახო სახლები) პოპულარულია ტურისტებისთვის თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე. ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის პოპულარიზაციის ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე არსებული მცირე სასტუმროების კარგი მომსახურება და შეთავაზებული კომფორტი. ჩამოსული ტურისტისთვის მნიშვნელოვანია როგორც ბუნებით სიამოვნების მიღება, ასევე დღის ბოლოს კომფორტულად და სასიამოვნოდ გატარებული საღამო. აქ არსებული სასტუმროები, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, მაინც ცდილობენ მაქსიმალურად კარგი მომსახურება შესთავაზონ ტურისტებს.

იმისთვის რომ, მცირე საოჯახო სასტუმროები სათანადო დონეზე განვითარდეს საჭიროა:

- საოჯახო სასტუმროთა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. განსაკუთრებით სანიტარული კვანძების, კვების ბლოკების თანამედროვე სტანდარტით მოწესრიგება;
- კადრების მომზადება და გადამზადება: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ჯერ-ჯერობით დაბალია სერვისის დონე, მომსახურე პერსონალი არ შეეფერება სასტუმრო სახლებისთვის აუცილებელ სტანდარტებს;
- სოფლად საოჯახო სასტუმროებს არ გააჩნიათ სარეკლამო საინფორმაციო მასალები, როგორც ნაბეჭდი რეკლამის, ისე ელექტრონული რეკლამის სახით. განსაკუთრებით მცირეა იმ სასტუმროთა რიცხვი, ვისაც საკუთარი ვებ-გვერდი და ინტერნეტში რეკლამა გააჩნია;
- საოჯახო სასტუმროებს ძირითადად არ გააჩნიათ დაჯავშნის სისტემები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შემოსავლებს არასრული დატვითვის გამო.

არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა მცირე და საოჯახო სასტუმროების განვითარების შესახებ, როგორც განვითარებადი ქვეყნების განვითარება გვიჩვენებს და აღმოსავლეთ სახელმწიფოს ქვეყნებში, რომელიც ტურიზმზეა ორიენტირებული, არსებობს მცირე და საოჯახო სასტუმროების განვითარების სტრატეგიული გეგმა და პროგრამა.

### განვითარების სტრატეგია 2014-2021

**ტურიზმი:** ჰერეთის მხარის ისტორიული ძეგლების ტერიტორიული კონცენტრაცია, სახელმწიფო მელინების კერები, ბუნებრივი რესურსები, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და გეოგრაფიული მდებარეობა მხარის ტურიზმის განვითარების უდიდეს პოტენციალს განაპირობებს. შესაბამისად, ტურიზმს დიდწილად შეუწყობს ხელს მომსახურების სფეროს განვითარება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში აქტიურად ფუნქიონირებს 10-მდე სხვადასხვა დონის სასტუმრო,



მცირე სასტუმრო და საოჯახო სახლი, 15-მდე კვების ობიექტი, რესტორანი, კაფე-ბარი, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და რამოდენიმე ტურისტული კომპანია. ლაგოდეხში ვიზიტორის (ტურისტის) განთავსების ღირებულება 30-50 ლარიდან – 150 ლარამდე მერყეობს. მომსახურების დონე, სტანდარტები და საკადრო დეფიციტი პრობლემას წარმოადგენს სასტუმროებისთვის. აგრეთვე უნდა ითქვას, რომ სტატისტიკის სამსახურებს სასტუმროების მეპატრონები არ აწვდიან ღამისთევების ზუსტ მაჩვენებელს, ამიტომ ლაგოდეხის სასტუმროების ვიზიტორების საერთო ციფრების დადგენა გართულებულია. 2017 წელს მოსალოდნელია ლაგოდეხის მიმართულებით ტურისტული ნაკადის მნიშვნელოვანი გაძლიერება (სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ახალი ტურისტული მარშრუტების მიმართ ინტერესი იზრდება), თუმცა ტურისტები ძირითადად დაბალმხარჯველობით სეგმენტს წარმოადგენს. შესაბამისად, მაღალმხარჯველობითი სეგმენტის ათვისება ამ მხარეში გამოივიდება. ლაგოდეხის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გამოყენების შემთხვევაში რეალური გახდება ისეთი ტურისტული მომსახურების პროდუქტების განვითარება, რომლის საფუძველს კახური ლვინის წარმოების უნიკალური ტექნოლოგია და რეგიონის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა წარმოადგენს. განსაცვიფრებელი პეიზაჟები და დაცული ტერიტორია მთებში ლაშქრობების, საცხენოსნო ტურებისა და ველოტურების მოსაწყობად კარგ შესაძლებლობას ქმნის. მხარეში მრავლად არის წარმოდგენილი წინაქრისტიანული ძეგლები (მაგ. სოფ. მსხალეობის არქეოლოგიურ გათხრებში აღმოჩენილია უძველესი ეკლესია და საწნახელი, რომელიც წინა საუკუნეებით თარიღდება). აქვე აღსანიშნავია იშვიათი მიკროკლიმატის ადგილების კვლევის აუცილებლობა და ტურისტულ მიმართულებებად ჩამოყალიბება (მაგ: კავკა-სიონის მთა (მისი მიკროკლიმატი არ ჩამოუვარდება ბაკურიანისას)). ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ახალი მარშრუტების შესწავლა და მთელი რიგი მარკეტინგული ღონისძიებების გატარება, რაც ამ სფეროში მომუშავე ადამიანების ერთობლივ ჩართულობას მოითხოვს. დარგის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ასევე დარგის ინტერესების ლობირებისთვის მიზანშეწონილია მხარეში ტურისტული პროფესიული ასოციაციის (ასოციაციების) შექმნა. ინვესტიციების მოზიდვა საჭიროა იმ დარგებში, რომელსაც მოსახლეობის დასაქმების, ადგილობრივი ბაზრის ათვისებისა და საექსპორტო პოტენციალი გააჩნია, კერძოდ, აგრონარმოებასა და ტურიზმში. ინვესტიციები დარგების განვითარებისათვის ძალის მნიშვნელოვანია, ვინაიდან დაფინანსებასთან ერთად მათ თან ახლავს თანამედროვე კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, ტექნოლოგიების დანერგვა და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია. აგრომრეწველობის შემთხვევაში ინვესტიციები მიმართული უნდა იყოს წარმოებაში, ირიგაციის სისტემის რეაბილიტაციასა და ასევე ლოჯისტიკური ჯაჭვის აწყობაში, რომელიც მწარმოებელს, შუამავალ რეგიონებსა და საბოლოო მომხმარებლებს დააკავშირებს. აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა რიგ საწარმოებში, მაგალითად, როგორიც არის სამშენებლო მასალების წარმოება, თუკი წინასწარი შესწავლა ამის მიზანშეწონილობას დაადასტურებს. ენერგომატარებლების ღირებულების შემცირებისა და ხელმისაწვდომობის მიზნით მიზანშეწონილია ინვესტირება აღტერნატიული ენერგიის წყაროებში.

2014-2021 წლების სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგებიდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის აღსანიშნავია:

- ტურიზმის განვითარება, ახალი მიმართულებების ათვისება, ინფრასტრუქტურის განვითარება, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების მოწყობა, რაც წაადგება ტურიზმის სექტორს;

- კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტურისტული ბიზნესის შესახებ კურსებისა და ტრენინგების ჩაატარება, სადაც დაინტერესებული პირები ტურისტული ბიზნესის დაწყებისა და მართვისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას შეიძენენ. რეგიონში იგეგმება ტურიზმის სფეროში პროფესიული ასოციაციების შექმნა, რომლის მიზანი იქნება დარგის ინტერესების ლობირება, საქმიანი ურთიერთობების დამყარება, მომსახურების განვითარება და სახსრების მოძიება.
- დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება და მათი ტურისტული პოტენციალის გაზრდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2014-2020.
2. კახეთის რეგიონალური განვითარების სტრატეგია 2014-2025.
3. საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 2012.
4. ლაგოდების რაიონის ისტორიული ძეგლები, [saunje.ge/index.php?id=323&lang=ru](http://saunje.ge/index.php?id=323&lang=ru)
5. [www.Enpard.ge](http://www.Enpard.ge)
6. [www.dpa.gov.ge](http://www.dpa.gov.ge)
7. [www.lagodekhi.ge](http://www.lagodekhi.ge)
8. [www.knews.ge](http://www.knews.ge)



# პარალელური მიმღება

# **Madina Guseinova**

*Masters of English Language*

# **MODERNITY, PROBLEMS AND PERSPECTIVES ON TRAINING ENGLISH LANGUAGE**

## მადინა გუსეინოვა

## თანამედროვეობა, პრობლემები და პერსპექტივები ინგლისური ენის სწავლებაში

ကျော်စွဲများ

მსოფლიო ინფორმაციული სივრცის გლობალიზაციამ ხელი შეუწყო არა მარტო ინგლისური ენის გავლენის სფეროს მნიშვნელოვან გაფართოებას, არამედ მის გარდაქმნას ზოგადად აღიარებულ საერთაშორისო ურთიერთობის ენად.

ენის სწავლების ახალი, თანამედროვე მეთოდები საშუალებს აძლევს მოსწავლეებს განავითარონ დამოუკიდებელი აზროვნება და შემოქმდებითი აქტივობა.

ინგლისური ენის სწავლება დღეს ითვლება როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სასკოლო განათლების მოდერნიზაციის საქმეში. სულ უფრო იზრდება უცხო ენის დაუფლების მნიშვნელობა, მისი პრაქტიკული გამოყენების ცოდნა. ამის მიღწევა შესაძლებელია, თუ გავითვალისწონებთ შემდეგ მიღვომებს: შემოქმედებითს, კულტურისმცოდნეობითს, კომუნიკაციურ-კოგნიტიურს და კომპეტენციურს.

მოცემული ნაშრომი ეძღვნება ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას სკოლაში, მის მოთხოვნიზაკიას და პერსპექტივებს.

ინგლისური ენის სწავლებაში დიდ როლს ასრულებს მოტივი და ინტერესი. ეს ორი კომპონენტი შემეცნებითი აქტივობის განვითარების ძირითადი ფაქტორებიცაა, რადგან ადამიანის ყოველგვარ მიზანმიმართულ მოქმედებას მოტივი განსაზღვრავს, შემეცნებითი ინტერესი აქტიური სასწავლო მოტივის შექმნას მოითხოვს.

ენისა და კულტურის კავშირის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ინგლისური ენის შესწავლის პროცესი ეს კულტურათშორისი კომუნიკაციის პრაქტიკაა. საჭიროა მოსწავლეები გაეცნონ შესასწავლი ენის ქვეყნის (ქვეყნის) სპეციფიკას.

განათლების ჰუმანიზაცია, ე.ი. მოსწავლეთა მშობლიური და უცხო კულტურის მემკვიდრეობის დაახლოება, ხელს შეუწყობს ენის შემსწავლელებს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებასა და უცხოური ენის უკეთ დაუფლებაში.

Language is a system of communication, the most difficult phenomenon and a spirit of nation. Benveniste points out: "Language reproduces reality. This is to be understood in the most literal way. Language is possible only because each speaker sets himself up as a subject by referring to himself as in his discourse (Benveniste, 1971).

Methods of teaching English have developed rapidly, especially in the previous 40 years. As a language teacher or learner, it is important to understand the various methods and techniques to implement them in teaching process.

The paper is devoted to some problems and prospects of foreign language teaching to the pupils of secondary schools. Nowadays the problem of foreign language teaching is changing in direct proportion to changes in our society. The processes of globalization and integration of the world's economic, cultural and other vital processes that characterize the modern social order, led to the expansion of the communicative space of humanity.

Mastering a foreign language as a means of communication becomes strong stimulus of development of the modern person. Modern society is impossible without broad international contacts. Over the entire course of recorded history, languages have gone in and out of fashion as a preferred tool of international communication.

As is known English is an international language and lingua franca in the world today. D. Crystal says: "In the minds of many people, there is no longer an issue. They argue that English has already become a world language, by virtue of the political and economic progress made by English-speaking nations in the past 200 years and is likely to remain so, gradually consolidating its position... Surveys of range of use carried by UNESCO and other world organizations reinforce the general statistical impression. English is used as an official or semi-official language in over 60 countries, and has a prominent place in a further 20. It is either dominant or well established in all six-continent. It is the main language of books, newspapers, airports and air-traffic control, international business and academic conferences, science, technology, medicine, diplomacy, sports, international competitions, pop music, and advertising." (Crystal, 1997)

Training English language is considered as one of the priority directions of modernization of school education today. The importance of foreign language skills, abilities practically to use it increases. All this can be reached only at personally focused approach as main strategy of education. In relation to training foreign languages the following approaches have special importance: activity, cultural studies, communicative and cognitive. In the center of teaching the main purpose in educational process is the school student's abilities, opportunities, tendencies and requirements.

In public schools the principle of teaching English language should be implemented with modern needs of the individual and the school: a) Strengthening of activity nature of training which is expressed in consecutive mastering by pupils of main types of speech activity; b) Strengthening of socio-cultural abilities role and knowledge of the countries of the learned language; c) formation of complete English-language educational space in unity of class and non-class activities.

The main purpose of learning a foreign language is to develop pupils' communicative competence. In order to successfully implement communicative competence functions, the teacher needs to create a situation with the use of new information networks, Internet – resources, audio – and video resources, visual materials contributing the development of pupils' language skills (listening, speaking).

Maximum development of communicative abilities – that is the main objective of the course of a foreign language in school. Communicative language competences involve linguistic competence (knowledge,



skills and abilities of acquiring pronunciation, vocabulary and grammar (phonetics, lexis, grammar)), socio-linguistic competence (ability to use and interpret language forms with situational appropriateness (formal vs. non-formal in terms of communicative context: who is communicating with whom, about what, where, on what topic and for what purpose)) in the four communicative skills (listening, speaking, reading and writing) according to the four domains of language use (personal, public, academic and occupational) and pragmatic competence (ability to receive and produce coherent and fluent discourse with reference to differences in register, genre and type of text, focus on appropriate functional use of linguistic resources while communicating (implying language functions and speech acts as required by certain scenarios of international exchanges).

The main purpose of language is communication. Grammar is important, but a foreign language is no longer seen as being learnt through a lot of exercises, it's developed through pupils interacting and engaging in communication processes. Languages cannot be taught, they can only be learnt. Pupils should be responsible for their own learning process, and the teacher is just a guide who has to motivate them.

Recently, the project method is becoming more popular in the teaching of English. The use of project methodology improves students' interest in learning a foreign language through the development of internal motivation by means of transfer of the center of process of training from the teacher on the pupil.

A great opportunity is laid down in the project: to overcome the inertia and lack of initiative of students in class, fear of speaking a foreign language because of possible errors in the speech. The design method develops pupils' independence, creativity, activity, so they need the learning process. Use of a method of projects turns the pupil from object of training into subject of educational activity. The teacher acts as the assistant and the consultant (Polat, 2000).

On teaching a foreign language a great role plays the motive and interest. These two components are major factors of development of cognitive activity. As the motive defines the person's any purposeful action, cognitive interest requires the creation of active educational motive. Educational activities of pupils have to be caused by his/her internal motivation. In any successful completion of cognitive activity the motivation makes the significant contribution.

The increase of motivation goes through: 1) involvement of pupils in independent work at a lesson; 2) problematical character of tasks and situations; 3) control of knowledge of skills; 4) use of informative games; 5) regional geographic material and, certainly, benevolent relation of students.

In order to optimize the learning process, classroom experiences should be directly related to pupil interests. The achievement of success of study immensely depends on interest. Interest is not only a key and psychological base of study but it is also its result (Lortkipanidze, 1981).

Interest expresses the general direction of the person which positively influences all mental processes and is very fruitfully reflected on his/her activity. Dimitry Uznadze notes that "Interest generally is one of the major factors of study, there is no doubt in it, moreover it is necessary to say that study becomes psychologically absolutely an independent full form of behavior, in it along with volition interest also plays the fundamental role (Uznadze, 1998).

The teachers' participation in the activities helped make them realize that English language learning can be interesting and fun using simple and useful tasks and activities that could be incorporated within any English language lesson. The in-class and out-of-class activities have to be related and continuous. For example, in practicing lexical and grammatical items in role-plays, pupils can be actively engaged and encouraged to use the learned language. The best lessons are invariably lively affairs and usually contain a

wide variety of activities and games: These often involve action and movements such as when pupils:

- carry out ‘telephone’ conversations across the classroom;
- sort cards on the desk to create sentences;
- talk to as many of their classmates as possible in a short time in order to complete a survey; and
- find words on cards hidden around the room in order to complete a cloze (gap-filling) exercise.

Pupils enjoy competitive games and competitions. Successful games and strategies include:

- using personal mini whiteboards for word games;
- word games between teams using ‘noughts’ and ‘crosses’ on the board or screen;
- competitions between individual pupils or between teams.

According to G. Broughton “the student is best motivated by practice in which he senses the language is truly communicative, that it is appropriate to its context, that his teacher’s skills are moving him forward to a fuller competence in a foreign language” (Broughton, 1994). Here, the attention is drawn to the pupils’ activity in learning process. Teacher should encourage and help them to explore, make them get more information on different themes, make learning interesting, etc.

Nowadays one of the main subjects is the problem of development cognitive interest in pupils.

Cognitive interest is a special selective orientation of the personality on knowledge and the selective character expressed in getting knowledge. Problem of formation of cognitive interest is one of the most important tasks of modern school. It is known that steady cognitive interest is formed combining emotional and rational training. Cognitive interest is a powerful source of motivation. But we should see the difference between cognitive interest and curiosity. Curiosity is “situational” and a teacher can “win” students’ attention due to unusual and interesting task and students can be involved in doing it and they can be active but when they finish this task they’ll be bored again. Cognitive interest is stable and is believed to be the strongest motive of learning as it sounds like: “I learn because I feel like doing it”. I need to mention that nowadays cognitive interest as a motive has a tendency to cohere with pragmatic component and now it sounds like: “I learn because I feel like doing it and, yes, I’ll need this knowledge in my future career”.

Cognitive aspect of teaching area studies is used as means of enrichment of an inner world of students and it is realized mainly on the basis of receptive kinds of activity: readings and auditions. Introducing new information students’ interest, curiosity, enthusiasm and passion can be sparked and promoted. Foreign culture brings to students process of mastering a foreign language in developing of educational, informative aspects.

Languages should be studied in indissoluble unity with the world and culture of the peoples speaking these languages. One of the most serious and comprehensive methods of learning a foreign language is lingvosotsiocultural, involving an appeal to such a component, as a social and cultural environment.

I would like to underline the need to include in curriculum more materials not only English speaking countries’ cultural studies, but also Georgian regions cultural information. These materials also need to contrast regional cultures of different countries and peoples. Information on cultural studies can be included by following contents:

- informative or descriptive text material;
- texts presenting foreign attitudes and opinions;
- human-interest texts (including dialogues), authentic or fictitious, with details of everyday life;
- questionnaires, contextualized practice activities, writing tasks;
- lexis – particularly idioms – and unfamiliar collocations, which involve alien concepts;

The comparison is considered as a central method in language and culture teaching as pupils do compare



and contrast, particularly when talking about a foreign culture

The education humanization is familiarizing of learners with a cultural heritage and cultural wealth of the people and other peoples of the world. The special role in it belongs to a foreign language by means of which the direct and mediated dialogue of cultures – foreign and native is carried out“, – become to one of basic provisions of the modern concept of education” (Morozova, 2004).

There are many different approaches having its advantages to sustain pupils' interest in the language learning process. In my opinion, our teaching responsibility is to make teaching process more interesting and more attractive and combine different approaches to help develop the pupils' various skills.

Unlike traditional methodology, modern methodology is much more student-centered. According to Jim Scrivener, the teacher's main role is to “help learning to happen”, which includes “involving” students in what is going on “by enabling them to work at their own speed, by not giving long explanations, by encouraging them to participate, talk, interact, do things, etc.” (Scrivener, 2005).

The modern methodology comprises a rich variety of methods which should have some

common features: activities involving students and close to the real-life situations. To be effective, the methods follow after each other in a suitable order, and there should be a balance of teaching focused on different aspects of the language.

We should enrich programs suggesting various approaches as a crucial factor which interacts with other factors involved in language learning process. Individual differences in language acquisition depend not only on innate inclination, but also on actual tendencies in educational system. The usage of variety of methods in learning process is much more productive and effective, than using only one method.

In conclusion I would like to underline the need of different contemporary methods of training English in educational process in order to provide increase of learning activities of pupils, expand their communicative opportunities, create positive motivation at a lesson, and give stimulus to independent work over language.

### References:

1. Ф. Соловьев. Избранные труды, Фонд Краеведения, Томск, 1981, гл. 65.
2. Ф. Убдашев, Тюгасев Основы лингвистики, ч. III-IV, Гл. Мородз., „Алматы Журналы“, 1998.
3. Benveniste E. Problems in General Linguistics, Subjectivity in language 1971:224, from Journal de psychologie 55 July-September.
4. Broughton, G. Teaching English as a Foreign Language. 2nd ed. London: Routledge, 1994. p. 47
5. Crystal D. English as a Global Language. Cambridge University Press. 2003. p. 360
6. Maslova, V.A. Language Cultural Studies. Moscow: Academia, 2001. 208p.
7. Scrivener, Jim. Learning Teaching. Oxford: Macmillan, 2005. p.p.18, 19
8. Морозова Е. Твоя лингвосоциокультурная компетенция. Учитель.-2004.- №5.- с.56-57
9. Полат Е.С. Метод проектов на уроках иностранного языка// ИЯШ № 2, 3 2000 г.



გამომცემლობა „უნივერსალი”, 2015  
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com;